

საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი  
St. Andrew the First-Called Georgian University  
of Patriarchate of Georgia

**ქართველოლოგიის აქტუალური  
პრობლემები**

**Actual Problems of Kartvelology**

**APK**

**VI**

2017

UDC (უაკ) 908(479.22)

ქ-275

ყოველწლიურ სამეცნიერო ჟურნალში: **ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები** იბეჭდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული **საერთაშორისო კონფერენციის მასალები**; ასევე, რეცენზირებული (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები.

### **სარედაქციო კოლეგია:**

სვეტლანა ადამია /სწავლული მდივანი/, გია ალიბეგაშვილი, ამირან არაბული, ნომადი ბართაია, მერაბ ბერიძე, თეიმურაზ გვანცელაძე, კარინა ვამლინგი, სერგო ვარდოსანიძე, თამარ ლომაძე /ინგლისური ტექსტის რედაქტორი/, გურამ ლორთქიფანიძე, ჰიროკატე მაედა, როინ მეტრეველი, ლადო მინაშვილი, მაია მირესაშვილი, საიდ მულიანი, ალექსი ჟორდანიას, მერაბ რობაქიძე, მანანა ტაბიძე /რედაქტორი/, ტარიელ ფუტყარაძე /მთავარი რედაქტორი/, როინ ყავრელიშვილი, ბელა შავხელიშვილი, რევაზ შეროზია, ფეგზი ჩელები, ლევან ჭიქია.

### **რედაქციის მისამართი:**

0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის №53ა, ქართული უნივერსიტეტის

ქართველოლოგიის ცენტრი, ოთახი №110

ელ-ფოსტა: [kartvelology@sangu.edu.ge](mailto:kartvelology@sangu.edu.ge)

კრებულის ელ-ვერსია იხ.: [www.sangu.ge](http://www.sangu.ge)

© ქართული უნივერსიტეტი

ISSN 1987-930X

UDC (უკუ) 908(479.22)

ქ-275

The materials of the international conference organized by the Kartvelology Centre at the St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia are published in the annual scientific journal: "**Actual Problems of Kartvelology**".

## **Editorial Board**

**Svetlana Adamia** (scientific secretary), **Gia Alibegashvili**, **Amiran Arabuli**, **Nomadi Bartaia**, **Merab Beridze**, **Pevzi Chelebi**, **Teimuraz Gvantseladze**, **Roin Khavrelishvili**, **Tamar Lomadze** (editor of the English text), **Guram Lortkipanidze**, **Hirokate Maeda**, **Roin Metreveli**, **Iado Minashvili**, **Maia Miresashvili**, **Said Muliani**, **Merab Robakidze**, **Bela Shavkhelishvili**, **Lela Shatirishvili**, **Revaz Sherozia**, **Manana Tabidze** (responsible editor), **Tariel Putkaradze** (editor-in-chief), **Karina Vamling**, **Sergo Vardosanidze**, **Alexi Zhordania**, **Ivan Jikia**.

**Address of the editorial office:**

**Ilia Chavchavadze N53a, Tbilisi 0162, St. Andrew the First-Called Georgian University, Kartvelology Centre, Room №110**

***E-mail:*** [kartvelology@sangu.edu.ge](mailto:kartvelology@sangu.edu.ge)

Website: [www.sangu.ge](http://www.sangu.ge)

© Georgian University

ISSN 1987-930X

## შინაარსი

<b>მარია თედორაძე, ტარიელ ფუტკარაძე, დისკუსია მეგრული მეტყველების სტატუსის შესახებ XX საუკუნის 20-30-იან წლებში /თანამედროვე კონტექსტით/.....</b>	<b>5</b>
<b>Marika Tedoradze, Tariel putkaradze, Discussion About the Status of the Megrelian Speech in the 20-30-ies of the 20-th century /In the scope of the modern context/ .....</b>	<b>56</b>
<b>სოფიო კეკუა, აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული დოკუმენტების მიხედვით .....</b>	<b>58</b>
<b>Sopio Kekua, Abkhazian Onomastic According to Historical Documents .....</b>	<b>70</b>
<b>ვლადიმერ კიკილაშვილი, მცოცავი ექსპანსია კავკასიის რეგიონში რუსული იმპერიული პოლიტიკის მაგალითზე .....</b>	<b>73</b>
<b>Vladimir Kikilashvili, Language as a Means of Creeping Aggression (Russian Policy in the Caucasus Region).....</b>	<b>81</b>
<b>გიორგი სოსიაშვილი, ოსების ენა და კულტურა საქართველოში (წარსული და დღევანდელი, ზოგადი მიმოხილვა) .....</b>	<b>83</b>
<b>Giorgi Sosiashvili, The Ossetian Language and Culture in Georgia (the Past and the Present, General Review).....</b>	<b>109</b>
<b>მანანა ტაბიძე, არაავტოქთონი მოსახლეობის ენები საქართველოში.....</b>	<b>110</b>
<b>Manana Tabidze, Languages of Nonnative People in Georgia .....</b>	<b>125</b>
<b>ბელა შავხელიშვილი, თანამედროვე დისკუსიები თუშების სამეტყველო კოდების სტატუსის შესახებ .....</b>	<b>126</b>
<b>Bela Shavkhelishvili, Contemporary Discussions on the Status of the Tush Speech Codes .....</b>	<b>148</b>

## გამომმაურება

<b>დიდი წიგნი დიდ მოღვაწეთა შესახებ (სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატთანე (1917-2017 წ.წ.), თბილისი, 2017 წელი) .....</b>	<b>149</b>
<b>Great Book of the Great Public Figures (Sergo Vardosanidze, Anniversary Chronicles of the Georgian Orthodox .....</b>	<b>149</b>
<b>ოთარ მათეშვილის ინგლისურ-ქართული იდიომების ლექსიკონი .....</b>	<b>153</b>
<b>Dictionary of English-Georgian Idioms by O. Matashvili .....</b>	<b>153</b>

მარია თედორაძე, ტარიელ ფუტყარაძე

**დისკუსია მეგრული მეტყველების სტატუსის შესახებ  
XX საუკუნის 20-30-იან წლებში  
/თანამედროვე კონტექსტით/**

**შესავალი**

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ ოდნავ განსხვავებული სქემით გაგრძელდა მეფის რუსეთის დროს შემუშავებული **ენობრივი პოლიტიკა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მიმართულებით**; კერძოდ:

მეფის რუსეთი ცდილობდა, ქართველთა ერთი ნაწილისათვის (მეგრელების, სვანების, ლაზებისათვის...) **ღვთისმსახურებისა და განათლების ენად** მრავალსაუკუნოვანი ქართულის ნაცვლად ჯერ კუთხური დიალექტი შეეთავაზებინა, შემდეგ კი რუსული ენა დაემკვიდრებინა. ბოლშევიკებს ღვთისმსახურების ენა არ აინტერესებდათ, თუმცა იგივე პოლიტიკა გააგრძელეს განათლების სფეროში. ამ მიზნით შეეცადნენ, ქართული შეეცვალათ, ერთი მხრივ, რუსულით (რევოლუციის ენით), მეორე მხრივ კი - ადგილობრივი დიალექტებით. ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მიზნიდან გამომდინარე, ბოლშევიკებმაც დიალექტები “განუვითარებელ ენებად” - “უმწერლობო ენებად” გამოაცხადეს (რასაც ზოგი დღესაც იმეორებს). ამ მიმართულებით 1922 წლიდანვე სამეგრელოში გააქტიურდა რამდენიმე ჯგუფი, რომელთაც თავდაპირველად ი. სტალინის მხარდაჭერა ჰქონდათ. მათ დაუპირისპირდნენ საქართველოს (მეტწილად სამეგრელოს) ღირსეული შვილები. დაპირისპირება პრესაში დაიწყო. დისკუსია მიმდინარეობდა 1922-1932 წლებში; გამოიკვეთა ორი ძირითადი მიდგომა:

- **სამეგრელოში დაწყებით საფეხურზე სწავლება და გაზეთები ყოფილიყო მეგრულად (სვანეთში – სვანურად, ლაზეთში – ლაზურად);**
- **სამეგრელოს (სვანეთის, ლაზეთის) ქართულ სკოლებში მეგრული (სვანური, ლაზური) მეტყველება გამოყენებულიყო**

### **დამხმარე საშუალებად, გაზეთები კი გამოცემულიყო ისტორიულ დედაენაზე - ქართულ ენაზე.**

ათწლიანი ფართომასშტაბიანი დისკუსია დასრულდა 1932-33 წლებში არნ. ჩიქობავას მიერ ჩამოყალიბებული დასკვნით, რომელიც ერთ არსებით საკითხში ი. სტალინს დაუპირისპირდა. ნაშრომში დეტალურად გავანალიზებთ “მეგრულენოვანი“ (ასევე, “სვანურენოვანი“) სკოლების **მიზანშეუწონლობის შესახებ** 1933 წლის მთავრობის შესაბამისი სტრუქტურის სავანგებო კომისიის დასკვნის მომზადების პროცესსა და არნ. ჩიქობავას არგუმენტებს; შევეცდებით ამ პროცესის მექანიზმის შეფასებას წინასიტორიისა და თანამედროვე კონტექსტის გათვალისწინებით (რუსეთის იმპერიის მიერ შემუშავებული სქემა-სტრატეგია დღესაც აქტუალურია: იცვლებიან მხოლოდ მოქმედი პირები).

**ქართველთა ენობრივი ისტორია მოკლედ** (უხსოვარი დროიდან ბოლშევიკური ოკუპაციის პერიოდამდე).

დიდი ალბათობით, ქართველთა ენობრივი ისტორია მოიცავს, სულ მცირე, 35 საუკუნეს. სავარაუდოდ, ქართული სამწიგნობრო ენა შეიქმნა 23 საუკუნის წინ - ქუჯისა და ფარნავაზის პერიოდში – **საერთოქართველური ენის საფუძველზე**: ქართველთა სამწიგნობრო ენა დაეფუძნა არა ქართლ-კახურ დიალექტს, არამედ თანამედროვე ქართველთა ყველა ენობრივი ქვესისტემისათვის ამოსავალ ენობრივ ვარიანტს<sup>1</sup>.

ბოლო 16 საუკუნის დოკუმენტური მონაცემების მიხედვით დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ:

ქართული სამწიგნობრო ენის ჩამომძერწავ მწიგნობართა დიდი ნაწილი იყო **ისტორიული ეგრისიდან** (ამყამინდელი სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლივანა, ლაზეთი, კლარჯეთი, იმერეთი); სწორედ ამით უნდა აიხსნას შემდეგი ფაქტი: სამეგრელოსა თუ სვანეთის, კახეთისა თუ ქართლის შვილებს არასოდეს უცდიათ, სამწიგნობრო კულტურა შეექმნათ მშობლიური დიალექტის მიხედვით, რამდენადაც ყველამ კარგად იცოდა, რომ მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ქართული ენა

<sup>1</sup> ტ. ფუტყარაძე, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა, 2006. *The Origin of the Georgian Literary Language and its Prospects*, Tbilisi, 2006; <http://www.scribd.com/doc/11390384/The-Origin-of-the-Georgian-Literary-Language-and-its-Prospects>;

წინაპრების მიერ შექმნილი საერთო დედაენა იყო. საუკუნეების მანძილზე, სხვა ქართველების მსგავსად, **სამეგრელოს მოსახლეობაც ძერწავდა ქართულ სამწიგნობრო ენას; ამ ენით იღებდა განათლებას და აღასრულებდა ღვთისმსახურებას<sup>2</sup>.**

კავკასიის იარაღით დაპყრობის შემდეგ რუსეთის იმპერიის მოხელეებმა ინტენსიურად დაიწყეს ადგილობრივთა ასიმილაციისა და “გათიშე და იბატონეს“ გეგმის განხორციელება; კერძოდ, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან გააქტიურდნენ ქართველთა ასიმილაციისა და ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მიმართულებით. ამ გზაზე პირველი ნაბიჯი იყო საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, ეკლესიასა და საერო განათლების სისტემაში ქართული ენის გამოყენების შეზღუდვა. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან კი **რუსი მოხელეები** ცდილობენ ქართული ენის სრულად გამოდევნას საქართველოს ორ კუთხიდან - სვანეთიდან და სამეგრელოდან. ამ მიზნით რუსული ანბანის საფუძველზე გენერალმა უსლარმა შექმნა “სვანური ანბანი“, ხოლო პეტერბურგელმა პროფესორმა ალ. გრენმა - მეგრული ანბანი. ამავე პერიოდში, ლევიცკის ინიციატივით, ხონის სემინარიის მასწავლებლებმა: ივან პეტროვმა და თადა აშორდიაშვილმა შექმნეს მეორე მეგრული ანბანი, შეადგინეს მეგრული საკითხავი ტექსტები. რუსი მოხელეების საბოლოო მიზანი იყო ქართველთა ენობრივი ისტორიის, საეკლესიო ტრადიციისა და მეცნიერული ლოგიკის იგნორირებით ქართული ენის ჩანაცვლება **რუსული ენით<sup>3</sup>.**

<sup>2</sup> ვრცლად იხ.: ტ. ფუტყარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები, 2005, გვ. 624; ინგლ. ვერსია: გვ. 395-394; თურქ. ვერსია: გვ. 395-492; The Georgians The Kartvels (Historical Home, Mother Tongue Dialects); English version pg. 395-492; Turkish version pg. 331-394; გამომცემლობა “ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“; Publishing house "Akaki Tsereteli State University"

[;http://www.scribd.com/doc/2158690/The-Georgians-the-Kartvels;](http://www.scribd.com/doc/2158690/The-Georgians-the-Kartvels)

[http://www.scribd.com/doc/2158759/Kartveller-Gurculer;](http://www.scribd.com/doc/2158759/Kartveller-Gurculer)

ტ. ფუტყარაძე, ქართველოლოგიის შესავალი, თბ., 2014.

<sup>3</sup> იხ., მაგ., გრაფ ნიკიტა პანინის (1770 წ.), გენერალ ტორმასოვის (1810 წ.), შტაბსკაპიტან შახოვსკისა (1834 წ.) და სხვათა გეგმების შესაბამისად მოქმედი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი 1881 წელს აქვეყნებს ცირკულარს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიაზე დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსულენოვანი სწავლება.

1886 წლის სექტემბერში ლევიციმ კატეგორიულად მოითხოვა სამეგრელოს სკოლების მეგრულ ენაზე გადაყვანა. ეს იყო პირველი მცდელობა, სწავლებისა და ღვთისმსახურების სფეროში მეგრული მეტყველების **დამკვიდრებით სრულად გადაეფარათ ქართული ენის ისტორიული ფუნქცია საქართველოს ამ კუთხეში**. რუსი მოხელეების “არგუმენტი” ასეთი იყო: მეგრულ-სვანთათვის ქართული დედაენა არ არის; მეგრელების დედაენაა უმწერლობო მეგრული ენა, სვანებისა კი - უმწერლობო სვანური ენა; შესაბამისად, მათ კეთილშობილურ მიზნად გამოაცხადეს, ამ “მცირე ხალხებისათვის” შეექმნათ სამწიგნობრო კულტურა<sup>4</sup>.

ამ პროცესს **თედო ჟორდანია და თედო სახოკია** ასე აღწერენ:

**თ. ჟორდანია:** “არა ნაკლები ღვაწლი მიმიძღვის მე, როგორც მებრძოლს იანოვსკის პროექტისას. ამან ხომ ქართული ენა სამეგრელოს სკოლებიდან ამოაგდო. შემდეგ ამისა ხელი მიჰყო დასამხობად ქართველთ ეკლესიისა, ე.ი. საეკლესიო ენისა, სამეგრელოში... **ვიდაც ნაძირალებს ქართული ლოცვები მეგრულად გადაათარგმნია და ეგზარხოსის დასტური ითხოვა**. აქ ისევ მე დაუხვდით... რამდენი უსიამოვნება ამაზე მე მომადგა. პირადად მე ამაზე არას ვიტყვი, ხოლო იანოვსკისაგან დაწყებული საქმე სამუდამოდ ჩაიფუშა... იმერეთში გადასვლის შემდეგ მე აღვადგინე ქართული ენის უფლება სვანეთის სკოლებში (სადაც ქართული ენა გადაგდებული იყო 1903 წლიდან)”<sup>5</sup>.

**თ. სახოკია:** “ყველას მოგეხსენებათ, რომ მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი

<sup>4</sup> საკითხის ისტორიისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, “ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ” და საქართველო“, ქუთაისი, 2010; T. Putkaradze, E.Dadiani, R. Serozia "European Charter for Regional or Minority Languages" and Georgia", Kutaisi, 2010; <http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Serozia-2010>

<sup>5</sup> თედო ჟორდანია, ქართული ენისათვის ბრძოლა 1882-1910 წლებში და ვინ დაიცვა ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში? (ანტიკრიტიკა პასუხად ბ. ი. ფანცხავას და მის კამპანიას); ქუთაისი, 1913. გვ. 15-17. სტამბა “მობა“



**მოიკიდეს.** როცა საქართველოს სხვადასხვა სამთავროები გაუქმდა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ნაწილები გაერთიანდა, რუსის მთავრობამ იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება და გადაწყდა ხელოვნურად შეექმნა დაქუცმაცება ჩვენის ქვეყნისა. 1870-იან წლებში იერიში მიტანილ იქნა სამეგრელოს სკოლებზე.

**აქ სამინისტრო სკოლებიდან ქართული ენა გამოდევნილ იყო, როგორც არადედაენა და პირდაპირ რუსულის საშუალებით ასწავლიდნენ საგნებს...** ასე მიდიოდა სამეგრელოს გარუხების საქმე 1890 წლამდე. ამ ხნიდან იწყება უფრო “დასაბუთებით” უარყოფა ქართული ენისა, როგორც სამშობლო ენისა... ამ ხნიდან სცენაზე გამოდის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი (ტომით პოლონელი) და მისი მარჯვენა ხელი ლევიცი (ისიც პოლონელი)...

ლევიციმ ხონის სემინარიის მასწავლებელ პეტროვს მეგრელთათვის ცალკე ანბანიც შეადგენინა, რა თქმა უნდა, რუსული ასოებით და იმავე სემინარიის მუშაკის და შემდეგში “ცნობილი” თადა აშორდიას საშუალებით მეგრული ხალხური ზღაპრები თუ ლექსებიც ჩააწერინა; ეს სახელმძღვანელო უნდა გამხდარიყო სამეგრელოს სკოლებში. თ. აშორდიას კარგი ადგილი მისცეს, მატერიალურად უზრუნველყვეს, თან დაავალეს, ზუგდიდის მაზრაში ქართული ენა, თუკი სადმე არსებობდა ასეთი, სკოლებიდან გამოედევნა და ხელი შეეწყო რუსული ენის განმტკიცებისათვის. **აშორდიას თავის მხრივ აგენტებიც გაუჩნდნენ და გააჩაღა საქმე;** სამეგრელოს სკოლა გადაიქცა ბავშვების დაჩლუნგებისა და გადაგვარების ერთგვარ ქარხნად.

ერთი თოფის დაცლით მთავრობამ ორი კურდღლის მოკვლა მოახერხა: სამეგრელოს სამინისტრო სკოლებიდან ქართული გამოდევნა და გარუხების გზაზე შეაყენა სამეგრელოს მკვიდრნი... განსაკუთრებით სამეგრელოსათვის შეიქმნა მძიმე დეკანოზ ვოსტორგოვის ფარფაში. იგი თამამად იძახდა: მეგრელები სხვანი არიან, ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ და ამიტომ ქართული ენა მათს სკოლებში არ უნდა ისწავლებოდეს, მის მაგივრად რუსული, სახელმწიფო ენა, ასწავლეთო... 1905 წ. რევოლუციამ ცოტათი შეანელა ჩვენი რუსიფიკატორების გულმოდგინება. რევოლუციის შემდეგ, რეაქციის დაწყებისთანავე, ბნელეთის ძალნი ისევ ამუშავდნენ. 1918 წ. ფოთში მასწავლებელ სტეფანე გაგუას ინიციატივით უკვე თვით მეგრელები გამოვიდნენ ლევიცი-ვოსტორგოვის მიერ დაწყებული საქმის განმგრძობ-

ნი, როგორც მოხალისენი. მაგრამ ყველას ბალთა ღალთად მიგვაჩნდა მათი ნაცოდვილი და სერიოზულობაში არ ჩამოგვირთმევია, სანამ 1925 წელს, როცა ყველაზე ნაკლებ მოველოდით ასეთი ავანტიურის გაღვივებას, ზუგდიდში დაიწყო ავტონომიის ნიადაგის მზადება. მაფალუელთა ჯგუფმა მოსკოვში თხოვნა გაგზავნა: “გვიხსენით საქართველოს სუვერენიტეტისაგან, სამეგრელოს “პროლეტარიატის საცოდაობას ნულა უყურებთ და უშუალოდ შეუერთეთ რუსეთის პროლეტარიატსო”...<sup>6</sup>

ქართველი ერის ენობრივ-ენიკურ დანაწევრებას XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში აქტიურად აღუდგნენ წინ გამორჩეული ქართველები: **ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ დადიანი<sup>7</sup>, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ბესარიონ ნიჟარაძე, ამბროსი ხელაია, ივანე მარგიანი, პეტრე ჭარაია** და სხვები, რომელთაც შეძლეს, მოსალოდნელი საფრთხე მიეტანათ ფართო საზოგადოებამდე. სამეგრელო-სვანეთის ქართველობამ სრულად გააცნობიერა, რომ რუსეთის იმპერიის მოხელეები კულტურულ ისტორიას უუცხოვებდნენ და მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენის შემქმნელ საზოგადოებას დედაენად უცხადებდნენ **უმწერლობო კუთხურ მეტყველებას<sup>8</sup>**.

<sup>6</sup> თედო სახოკია, თქვენ ვისღა მისდევთ?! თბ., 1927; დოკუმენტი იხ. <https://www.scribd.com/document/24443368/Putkaradze-Saqartvelos-Mokle-Istoria>.

<sup>7</sup> ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი: “მეგრული ქართული ენის დიალექტია და არა დამოუკიდებელი ენა... მეგრული ქართულ ენას აღიქვამს როგორც თავის ძირეულ საკუთრებას...” ვრცლად იხ.: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, უწმინდესი გრიგოლის განკარგულების საფუძველზე შექმნილი კომისიის დადგენილება მეგრულ კილოზე ლოცვათა თარგმანის მიზანშეწონილობის შესახებ (1895), /რუსულიდან თარგმნეს თ. გვანცელაძემ და მ. ტაბიძემ/, ქართველური მემკვიდრეობა, XIV, ქუთაისი, 2010, გვ. 204-235; იხ., აგრეთვე: თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული: “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა 5 წლისა” თბ., 2006; გრიგოლ დადიანის შესახებ იხ. ასევე: <https://www.youtube.com/watch?v=pJ2e0ZvmFw8>.

<sup>8</sup> საკითხის ისტორიისა და მსჯელობისათვის იხ.: ტ. ფუტყარაძე, ღვთისმსახურების ენა “ყოველთა ქართველთა“ ერთიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი (სამწიგნობრო ენისა და დიალექტთა მიმართების საკითხისათვის“ , ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001, გვ. 227-241; თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1920) ისევ იყო მცდელობა, დაარსებულიყო **მეგრულენოვანი“ სკოლები**; კერძოდ, აქტიურობდა ქალაქ ფოთის “ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს“ თავმჯდომარის - სტეფანე გაგუას რამდენიმეკაციანი ჯგუფი (მათ ჰქონდათ ორგანიზაცია: “მაფალუ“)<sup>9</sup>, რომელიც ფოთსა და ზუგდიდში მოქმედებდა<sup>10</sup>. სტ. გაგუას ჯგუფის ინიციატივას ნეგატიურად შეხვდა საქართველოს დემოკრატიულ ხელისუფლება, თუმცა არსებითი ყურადღებაც არ მიუქცევია.

### **ი. სტალინისა და ლ. ბერიას განსხვავებული პოზიციები მეგრულის სტატუსთან დაკავშირებით.**

ქართველთა დედაენის ისტორიის გაყალბებით ქართველი ერის ენობრივ-ენთიკური დანაწევრების რუსული გეგმა აქტიურად განაახლეს ბოლშევიკებმა; კერძოდ, 1913 წელს გამოქვეყ-

---

რუსული იმპერიული პოლიტიკის განხორციელების საშუალება საქართველოში, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001, გვ. 89-116; მ. ტაბიძე, ენობრივი პოლიტიკის საკითხები ქართულ სინამდვილეში, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2002, გვ. 155-165; ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ზოგადქართული სამწიგნობრო ენა და ქართველთა დიალექტები (ისტორიული მიმოხილვა), ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002, გვ. 187-203; თ. გვანცელაძე, ენა და კილო ქართველოლოგიაში, თბ., 2006; ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, ქართველური ენობრივი სივრცე, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქუთაისი, 2007, გვ. 155-165; ტ. ფუტყარაძე, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები და ქართველოლოგიის ცენტრის ამოცანები, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, I, თბ., 2012, გვ. 9-38

<sup>9</sup> **თედო სახოკია:** “რევოლუციის შემდეგ, რეაქციის დაწყებისთანავე, ბნელეთის ძალნი ისევ ამუშავდნენ. 1918 წ. ფოთში მასწავლებელ **სტეფანე გაგუას ინიციატივით** უკვე თვით მეგრელები გამოვიდნენ ლევიცკი-ვოსტორგოვის მიერ დაწყებული საქმის განმგრძობნი, როგორც მოხალისენი (თ. სახოკია, “**თქვენ რაღას მისდევთ?!“** <http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=44&id=2111>). შტრ.: “მაფალუიზმი“ იყო “მეცადინეობა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა მეგრული ენა და მეგრული თვითმყოფადი ყოფითი კულტურა“ (ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, “მეგრული საკითხი“, თბ., 2009, გვ. 101);

<sup>10</sup> შტრ.: ვ. გვარამიასა და გ. ციციშვილის აზრით, “სტ. გაგუას მიერ წამოწყებული “მაფალუს“ ინიციატივა გულისხმობდა **სამეგრელოს რეგიონის** კულტურული მონაპოვარის წარმოჩენას და ამით საერთო ეროვნული (ქართული - ტ.ფ.) კულტურის გამდიდრებას“ (ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 80-86).

ნდა ი. სტალინის წიგნი: მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, რომელშიც ვკითხულობთ (ვიმოწმებთ 1951 წლის გამოცემიდან):

“კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ? (გვ. 138-139)... ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ“ (გვ. 142).

როგორც ვხედავთ, ყოველგვარი ისტორიული ლოგიკის საწინააღმდეგოდ, მეფის რუსეთის მოხელეების კვალად, ი. სტალინი უმწერლობო ენის მქონე დაგვიანებულ ერებად თუ ხალხებად აცხადებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ. ი. სტალინის წარმოდგენილი კონცეფცია დიდად არ განსხვავდება იანოვსკ-ვოსტოროვოს მიდგომისაგან. აქვე აღვნიშნავთ, რომ მეფის რუსეთის მოხელეები ეყრდნობოდნენ პეტერბურგელი პროფესორის - ქ. პატკანიანის “სამეცნიერო“ ხედვებს; ამ უკანასკნელის მოწაფე იყო ნიკო მარი, რომელმაც რუსეთის აკადემიის აკადემიკოსად არჩევის შემდეგ, ფაქტობრივად, გააგრძელა ქ. პატკანიანის გზა<sup>11</sup>; კერძოდ, გასული საუკუნის 20-იან წლებში ნ. მარი აქტიურად რომ იყო ჩაბმული მეგრულის სტატუსის დადგენის პროცესში, ჩანს ისაკ ჟვანიას შემდეგი ტექსტებიდანაც: “მაშინ კომისიამ უ. ელიავას დაძალებით მეგრული ენაც არ ცნო, თუმცა, აკადემიკოს მარის განმარტების შემდეგ, რომ არსებობს მეგრული ენა და არა - კილო, ამხ. ელიავამ შეცვალა თავისი აზრი“<sup>12</sup>.

ი. სტალინის “თეორიის“ შესაბამისად, 1923 წლის ივლისში ჩატარდა საქართველოს ცკ მეორე სესია, რომელმაც მიიღო “დეკლარაცია ენის შესახებ“. დეკლარაციაში ვკითხულობთ: “ჩვენი ურყევი პრინციპია, რომ ყველაფერი, როგორც მართვა-

<sup>11</sup> ნ. მარის წინააღმდეგობრივი მიდგომების შესახებ ვრცლად იხ. ტ. ფუტყარაძე, ი. ვაშაყიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა; თბ., 2011.

<sup>12</sup> ციტატას ვიმოწმებთ წიგნიდან: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 183.

გამგეობა, ისე სწავლება და სხვა ხდებოდა ხალხისათვის გასაგებ და მშობლიურ ენაზე<sup>13</sup>. აქვე ნათქვამია:

“ეთნიკური სიჭრელის და ჩამორჩენილობის პირობებში დგას **ჩამორჩენილი ერების** (ხაზი ჩვენია - ავტ.) კულტურულ-ეკონომიკური დონის ამალღების... ტომებში ნაციონალური განცალკევების ნაშთების აღმოფხვრის მძიმე ამოცანა. **ამიერკავკასიის ცოცხალი სალაპარაკო ენები** (ხაზი ჩვენია - ავტ.) უნდა გადაიქცნენ მათი კულტურული განვითარების და მათ მიერ მუშურ-გლახური რევოლუციის მონაპოვართა შეთვისების მძლავ იარაღად“. ამავ დოკუმენტით ამიერკავკასიის ცკ-ის პრეზიდიუმს წინადადება მიეცა, მოკლე ხანში გამოეცა კანონი, რომელიც დაარეგულირებდა როგორც ფედერაციის სახელმწიფო ორგანოებში, ასევე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში **“სამშობლო ენის“ (ანუ დედაენის) გამოყენების წესებს**.

აშკარაა, რომ დასახელებული დეკლარაცია შექმნილია ი. სტალინის იდეების საფუძველზე. მალევე, ი. სტალინის მიერ დეკლარირებული გეგმის განხორციელება, სავარაუდოდ, ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით დაიწყო ბოლშევიკთა რამდენიმე ჯგუფმა, რომელთა ნაწილმა **სამეგრელოს ავტონომიაც მოითხოვა**. მათ დაუპირისპირდა ბოლშევიკთა ერთი ნაწილი ალ. გეგეჭკორისა<sup>14</sup> და **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით<sup>15</sup>; კერძოდ, სამეგრელოს ავტონომიასა და საქმისწარმოებაში მეგრული “ენის“ (ასევე, სხვა სეპარატისტული გამოხდომების) მოთხოვნის დასაბალანსებლად, ალ. გეგეჭკორისა და ლავრენტი ბერიას აქტიურობით, ამიერკავკასიის ცაკ-მა 1924 წლის 27 თებერვალს მიიღო განსხვავებული შინაარსის დეკრეტი: “რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის, მოსახლეობის უმრავლესობის და ნაციონალური ენის გამოყენების შესახებ“. ამ დეკრეტის ბაზაზე სრულიად საქართველოს ცაკ-მა 1924 წლის 4 აპრილს მიიღო დეკლარაცია, რომლითაც გამოირიცხა მეგრული ენის საქმისწარმოების ენად გამოცხადება.

<sup>13</sup> გაზეთი კომუნისტი, 1923 წ. 3 ივლისი.

<sup>14</sup> ალ. გეგეჭკორი გარდაიცვალა 1928 წელს.

<sup>15</sup> ალ. გეგეჭკორისა და ლ. ბერიას წერილები 2018 წელს გამოქვეყნდება წიგნში: ტ. ფუტყარაძე, “ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები.“

ამის მიუხედავად, 1925 წლის 5-9 აპრილს, საქართველოს საბჭოების III ყრილობაზე, **ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივანი ბ. შოგირაძე** ყრილობას მეგრულად მიესალმა (მისი გამოსვლა სალიტერატურო ქართულით გადმოსცა ვინმე თოდრიამ). იგივე შოგირაძე დისკუსიის დროს რუსულ ენაზე გამოვიდა (და არა - ქართულად!)<sup>16</sup>. ამავე ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა **ამიერკავკასიის ცკ-ის წევრმა ბიმურზა აფრასიძემ** ყრილობას მიმართა სვანური მეტყველების ბალსქვემოურ დიალექტზე. 1925 წელს სვანურად სიტყვით წარმომთქმელი ბიმურზა აფრასიძე არის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის, ბიმურზა აფრასიძის (დადეშქელიანის) ბაბუა. ბ-ნი ბ. აფრასიძე-დადეშქელიანის ცნობით, ბაბუამისი ბრწყინვალედ ფლობდა დედაენას - ქართულ ენას

ფაქტია, ერთი მხრივ, ისტორიული რეალობისა და, მეორე მხრივ, საბჭოთა იმპერიის ინტერესების (“გათიშე და იბატონე”) შესაბამისად, 1922-24 წლებიდან **ბოლშევიკთა ადგილობრივ წრეებშიც** მეგრულთან მიმართებით გამოიკვეთა ორგვარი პოზიცია; კერძოდ:

1. საქართველოს ერთ-ერთი კუთხის - სამეგრელოს (ისტორიული ეგრისის, ოდიშის) მოსახლეობის ისტორიული გზის შესაბამისად, სამეგრელოში საქმისწარმოების, განათლებისა და პრესის ენად ქართული ენის შენარჩუნება (ლ. ბერია, ალ. გეგეჭკორი...);
2. “ნაციონალურ საკითხში“ ი. სტალინის ხედვის შესაბამისად, მეგრული მეტყველების დამკვიდრება დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად.

დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეორე მიდგომის მომხრენი არ წარმოადგენდნენ სამეგრელოს, მათი იდეები არ ეფუძნებოდა სამეგრელოს ქართველობის ინტერესებსა და სურვილებს. ისინი იყვნენ არა სეპარატისტები, არამედ **საბჭოთა იმპერიის ენობრივი პოლიტიკის ბრმა მიმდევრები**, რომლებიც ვერ აცნობიერებდნენ, რომ ამ გზაზე დადგომით უარს ამბობდნენ მათივე წინაპრების მიერ შექმნლ მრავალსაუკუნოვან

<sup>16</sup> ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 152

სამწიგნობრო კულტურაზე. ამ ჯგუფს პირობითად ვუწოდებთ **სტალინელ კოლაბორაციონისტებს**.

სტალინელი კოლაბორაციონისტები, თავის მხრივ, ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდნენ:

ა) პირები, რომლებიც ითხოვდნენ სამეგრელოს შეერთებას რუსეთთან, ან ნაციონალური ავტონომიის გამოცხადებას 1922-1936 წლებში არსებული “ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის“ ფარგლებში; ასევე, **სამეგრელოში მეგრული მეტყველების დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად** (ბუკონია-ბესელიას ჯგუფი, გრ. ახალაიას ჯგუფი და ბეგლარ ბერიას ჯგუფი<sup>17</sup>. ლავრენტი ბერია 1925 წელს ამ ჯგუფის ლიდერად ასახელებს **მიშო დადიანს**. ეს ჯგუფი “ჩხოუშიელი ავტონომისტები“ სახელით არის ცნობილი<sup>18</sup>;

ბ) პირები, რომლებიც ითხოვდნენ სამეგრელოს გამოცხადებას “ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის“ ადმინისტრაციულ ოლქად და **მეგრული მეტყველების დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად** (ისაკ ჟვანიას ჯგუფი).

ჩვენ გამოკვლევის კონტექსტში არსებითია ის, რომ **ორივე ჯგუფი ითხოვდა უმწერლობო მეგრული მეტყველების ქცევას სამწერლობო ენად და ქართულის ნაცვლად** (თუ პარალელურად) მის **დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად**<sup>19</sup>. ცხადია, კრემლის

<sup>17</sup> ბეგლარ ბერია, გალდავა, ნიკოლეიშვილი, შონია, ციმენტია... დასახელებული პირები 1923 წელს პარტიიდან გარიცხეს ავტონომიის მოთხოვნის გამო (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 493, ფურცელი 17; დოკუმენტს ვიმოწმებთ წიგნიდან: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, “მეგრული საკითხი“, თბ., 2009 გვ. 146-148

<sup>18</sup> იხ.: ვახტანგ გვარამიასა და გიორგი ციციშვილის წიგნი, გვ. 135-144; თავი VII - “ჩხოუშიელი“ ავტონომისტები და მათი მოთხოვნები.

<sup>19</sup> **ეს მოთხოვნა დღესაც ისმის ხოლმე:** ზოგი დღესაც თვლის, რომ სამეგრელოში ქართული ბევრს არ ესმის, ამიტომ სწავლა-განათლებლისათვის აუცილებელია მეგრულენოვანი სკოლები; მეგრულენოვანი სკოლებისა და სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნანი სკოლა-ზომიერების მტკიცებას ისახავს მიზნად ჩვენ მიერ არაერთხელ ციტირებული წიგნი: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, “მეგრული საკითხი“, თბ., 2009 (იხ., მაგ. თავი V, “რა აწუხებს სამეგრელოს გლეხობას“, გვ. 102-114). ამ ავტორებმაც არ იციან, რომ **მსოფლიოს**

მიერ ორივე ჯგუფი ხელოვნურად იყო შექმნილი. მათ შორის არსებული მცირე სხვაობა საერთო სცენარის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ; **სცენარი კი ასეთი იყო:** უფრო რადიკალური მოთხოვნის ფონზე ქართველობის შეგუება შედარებით კომპრომისულ ვარიანტზე. “სცენარისტების“ ჩანაფიქრი ითვალისწინებდა იმასაც, რომ მეგრული ენის (და სამეგრელოს ავტონომიის) საკითხი ისეთ დონეზე ყოფილიყო აქტუალიზებული, რომ ჯანსაღი აზრის გამოსათქმელად ადგილი აღარ დარჩენილიყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, გასული საუკუნის 20-იან წლებში დასახელებულ ორივე ჯგუფს ერთ კონტექსტში განიხილავდნენ როგორც ქართველი მოღვაწენი (თ. სახოკია, კ. გამსახურდია...), ისე ბოლშევიკ ხელისუფალთა ერთი ნაწილიც (ალექსანდრე გეგეჭკორი, ლავრენტი ბერია...).

### **მოკლედ სტალინელ კოლაბორაციონისტთა ორივე ჯგუფის შესახებ.**

#### **“ჩხოუშიელი ავტონომისტები“**

1925 წელს ციბაკ ბუკონიამ, სოლომონ ბესელიამ და კიდევ 18 პირმა “სამეგრელოს მშრომელი ხალხის“ სახელით მიმართეს “სრულიად რუსეთის სტაროსტას, მამა მიხეილ ივანეს ძე კალინინს“; დოკუმენტში ორი ძირითადი მოთხოვნა იყო:

1. სამეგრელოს ავტონომიის უშუალო დაქვემდებარება მოსკოვზე საქართველოს სუვერენიტეტის გარეშე, რომ “სამუდამოდ განმტკიცდეს სამეგრელოს და რუსეთის მშრომელთა კავშირი“. ავტონომიის სახელის ორი ვარიანტი იყო შემუშავებული: ან: ლაზ-კოლხიდა, ან: მარგალისტანი.

**თითქმის ყველა ენას აქვს ისეთი დიალექტები, რომელთა მფლობელებს არ ესმით სამწიგნობრო ენა, თუკი ეს ენა არ შეისწავლეს.** ქართული სამწიგნობრო ენაც ბევრი სხვა კუთხის ქართველისათვის იქნება გაუგებარი, თუკი განათლებას არ მიიღებს - არ ისწავლის ისტორიულ სამწიგნობრო ენას და მხოლოდ კუთხური კილოს ფარგლებში დარჩება მისი ენობრივი მსოფლალქმა. ვფიქრობთ, ამგვარი მოთხოვნა დღესაც სახიფათოა ქართველი ერის ენობრივ-ენთიკური ერთიანობისათვის, რამდენადაც მეგრული მეტყველების გადაქცევა საქმისწარმოებისა და მწიგნობრობის ენად ამ კილოს მფლობელთ გაუუცხოვებს მრავალსაუკუნოვან ისტორიულ დედაენას - ქართულ ენას და ენობრივ-კულტურულად დაანაწევრებს ქართველ ერს.



ბუკონია-ბესელიას არგუმენტი: სამეგრელო რუსეთს შეუერთდა 1804 წლის ტრაქტატით და ალექსანდრე მეორის 1867 წლის 4 იანვრის ბრძანებით;

2. სამეგრელოს “სამშობლო ენაზე” - “მეგრელი ტომის“, მეგრული ხალხის ენაზე - მეგრულ ენაზე - გაზეთების გამოცემის აღდგენა “ლენინიზმის ხაზის მკაცრი დაცვით“, რომელ ხაზსაც ეწინააღმდეგებიან “ქართველი უკლონისტები“ და “სამეგრელოს მშრომელი ხალხის სათავეში უკლონისტების მიერ დაყენებული მეგრული ამხანაგები“.

**ბუკონია-ბესელიას აზრით,** მეგრული ხალხი ცალკე ერია, მეგრული კი არის დამოუკიდებელი ენა<sup>20</sup>.

1925 წლის 13 სექტემბერს გამოქვეყნებულ წერილში: “მეგრული ავტონომისტების შესახებ“<sup>21</sup> **ლავრენტი ბერია** ამ ჯგუფის წინამძღოლად ასახელებს მიხეილ (მიშო) დადიანს, რომელსაც დაუწერია ნაშრომი: “ფილოსოფია და უბრძნესი ენა“; ამ გამოქვეყნებულ ნაშრომში გატარებულია აზრი, რომ მეგრული ენა მსოფლიოს მარგალიტია, მეგრული ძველსიტყვაობა პირველდაწყებითი ენაა აზიისა და აფრიკის ხალხებისათვის, რომ მეგრულენები პირველი ხალხია დედამიწაზე...“<sup>22</sup>

### **რაც შეეხება გრ. ახალაიას ჯგუფს:**

1925 წლის 20 მარტს გრიგოლ ახალაიას, ალიკო კვარაცხელიას, ბაგრატ ხუფენიას, მარზი ხუბუტიასა და ილია ჯანჯალიას ხელმოწერით წერილი გაეგზავნა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს; ხელმომწერთა აზრით, კაცობრიობის უხსოვარი დროიდან მეგრული ხალხი ქართველი (ქართველური) ტომისაგან გამოირჩევა როგორც ჩვეულებით, ისე სალაპარაკო ენით; მეგრული ხალხი იჩაგრება იმიტომ, რომ მეგრული ენით არ მიეწოდება კომუნიზმის იდეები და ითხოვენ ბელადების წიგნების თარგმნას მეგრულ ენაზე. ავტორები ემიჯნებიან ქართველ ერს და მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება მათ, როგორც

<sup>20</sup> მოთხოვნებს ვიმოწმებთ ლავრენტი ბერიას წერილიდან: “მეგრულ ავტონომისტების შესახებ“, გაზეთი კომუნისტი, 1925, 13 სექტემბერი. ლ. ბერია ამ დროს იყო საქართველოს ჩეკას საიდუმლო ოპერატიული განყოფილების უფროსი.

<sup>21</sup> ლ. ბერიასა და მსგავსი შეხედულებების მქონე სხვა ავტორთა თვალსაზრისების კრიტიკისათვის იხ. ვანტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, “მეგრული საკითხი“, თბ., 2009, გვ. 22-27.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 136-137.

დამოუკიდებელ ერს, ისე უნდა მოექცეს<sup>23</sup>. ავტორები კატეგორიულად ითხოვდნენ მეგრული ენის ქცევას საქმისწარმოებისა და სწავლების ენად. ამ ჯგუფის მიერ გამოიციმოდა გაზეთი: “ნოთე“ (რედაქტორი გრიგოლ ახალაია)<sup>24</sup>.

**ლ. ბერია დადიანი-ბუკონია-ბესელია-ახალაიას ჯგუფში აერთიანებს ისაკ ჟვანიასაც,** თუმცა, ფაქტია, რომ ბუკონია-ბესელიასაგან განსხვავებით, ისაკ ჟვანია ითხოვდა სამეგრელოს ადმინისტრაციულ ოლქს. ამ ცდომილების მიუხედავად, ვფიქრობთ: ცნობილი საზოგადო მოღვაწეების კვალად, ლ. ბერია მიშო დადიანს, გრ. ახალაიასა თუ ისაკ ჟვანიას ერთ რანგში იმიტომ განიხილავდა, რომ **სამივე მათგანი ცდილობდა, მეგრული მეტყველება ექცია სამწიგნობრო ენად და საქმისწარმოების ენად,** რაც, ერთი მხრივ, ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დაშლის შეუქცევად საფუძველს შექმნიდა, მეორე მხრივ კი, სამეგრელოს მოსახლეობას დაუკარგავდა წინაპრების მიერ შექმნილ, სულ მცირე, 16-საუკუნოვან სამწიგნობრო კულტურას.

ლოგიკურია, ამავე ჯგუფში განვიხილოთ ბოლშევიკი ტარასი შენგელიაც, რომელმაც 1933 წელს მსგავსი მოთხოვნებით მიმართა სკკპ (ბ) ცკ-ს მდივანს, ამხ. ი. სტალინს, სსრ კავშირის ცკ-ის თავმჯდომარეს, ამხ. კალინინს და სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, ამხ. მოლოტოვს; კერძოდ, იგი სამეგრელოს სახელით ითხოვდა აჭარის ავტონომიის მსგავს ავტონომიურ ოლქს საქართველოს შემადგენლობაში და მეგრული ენისა და ლიტერატურის შექმნას<sup>25</sup>.

<sup>23</sup> კრიტიკისათვის იხ. ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 149-151.

<sup>24</sup> “ნოთე“ დაიხურა 1925 წელს. საინტერესოა: ამ სახელით 1990 წელს “საქართველოს სახალხო ფრონტის“ ზუგდიდის რეგიონალურმა ორგანიზაციამ ზუგდიდში გამოსცა ორკვირეული გაზეთი; რედაქტორი: ჯამბულ არქანია. ამავე სახელით გაზეთი გამოიცემოდა 1997-1998 წლებში (საინტერესო იქნება ამ გაზეთების შინაარსის ანალიზი).

<sup>25</sup> საარქივო დოკუმენტის თარგმანი რუსულ ტექსტთან ერთად გამოქვეყნდება წიგნში, რომელიც ავტორთა ჯგუფის მიერ მზადდება გამოსაცემად. დოკუმენტის განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის იხ. ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 117

### ისაკ ჟვანიას ჯგუფი

ისაკ ჟვანია, ი. სტალინის თვალსაზრისზე დაყრდნობით, ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებისთანავე ცდილობდა სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნას, მეგრული სკოლების დაარსებასა და მეგრული გაზეთების გამოცემას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა 1925 წლის 24 აგვისტოს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებისა (ი. ჟვანია და სხვები) და ცენტრის წარმომადგენლების (მათიკაშვილი, გიორგაძე, ეგოროვი) ერთობლივი დადგენილება:

1. სამეგრელო “გაფორმდეს“, როგორც საქართველოს სსრ შემადგენლობაში შემავალი კულტურულ-ტერიტორიული ერთეული.
2. ნება დაერთოს პარტკომის ორგანოს სახით ყოველდღიური გაზეთისა და სხვ. პოლიტიკურ-ლიტერატურული და სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ბროშურების გამოცემას.
3. პირველი საფეხურის სკოლებში შემოღებულ იქნას მეგრული ენით სწავლება.
4. ყველა დაწესებულებაში საქმისწარმოება შემოღებულ იქნას მეგრულ ენაზე<sup>26</sup>.

დასახელებული მოთხოვნები გაიმეორა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის (წევრები: კახიანი, ოკუჯავა, ელიავა, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე, მათიკაშვილი, სუხიშვილი, ივანოვ-კავკაზსკი) 1925 წლის 3 სექტემბრის დადგენილებამ **“მეგრული საკითხის შესახებ“**; დადგენილება ითვალისწინებდა:

1. სამეგრელოს იმ რაიონებში/სოფლებში, სადაც მოსახლეობამ არ იცის ქართული ენა, “აუცილებლად ჩაითვალოს ურთიერთობა მეგრულ ენაზე“;
2. რაიონის სასამართლოში, სადაც არ ესმით ქართული ენა, დაშვებულ იქნას სასამართლო ლაპარაკი და სასამართლო განაჩენისა და დადგენილების გაცემა მეგრულ ენაზე;
3. შესაძლებლად ჩაითვალოს გლეხების გაზეთის და სააგიტაციო ხასიათის ფურცლების გამოცემა მეგრულ ენაზე;
4. შესაძლებლად ჩაითვალოს სამეგრელოს პირველი საფეხურის სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება<sup>27</sup>.

<sup>26</sup> საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, 226 ფურც. 53/3. მსჯელობისათვის იხ., ასევე: ვანტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 108.

**ამგვარ გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ ალექსანდრე გეგეჭკორი და ლავრენტი ბერია,** რომელთაც ეგოროვ-მათიკაშვილ-კახიან-ყვანიას მოთხოვნები ფაქტობრივად გააიგივეს მიშო დადიანისა და გრ. ახალაიას ჯგუფების მოთხოვნებთან; კერძოდ, 1925 წლის 8 სექტემბრის გაზეთ “კომუნისტში“ მათ წინააღმდეგ გაილაშქრა ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორმა წერილით: **“იანოვსკი-ვოსტორგოვის ღირსეულ მემკვიდრეებს“.** კოლაბორაციონისტების ორივე მოთხოვნას (სამეგრელოს ავტონომია და მეგრული ენის სტატუსი) ალ. გეგეჭკორმა ასეთი არგუმენტებით უპასუხა:

1. სამეგრელოს არასოდეს უცხოვრია საქართველოსგან მოწყვეტით; სამეგრელო არის საქართველოს ისტორიული და განუყოფელი ნაწილი, ისეთივე, როგორც ქართლ-კახეთი, მთა, გურია, იმერეთი.

2. მეგრელები წარმოადგენს ქართველი ერის ისეთივე შტოს, როგორიცაა: იმერლები, გურულები, ფშავ-ხევსურნი... მეგრელი არ არის ცალკე ეროვნება, როგორც ამას აცხადებდა იანოვსკი-ვოსტორგოვ-აშორდია; გარდა ამისა, მეგრელი დასაბამითვე შემოქმედია ქართული სალიტერატურო ენისა (ალ. გეგეჭკორი იმოწმებს ანტონ ჭყონდიდელისა და თედო ჟორდანიას ისტორიულ სახელებს; ასევე, სამეგრელოდან გამოსული პარტიული და უპარტიო ინტელიგენციის პოზიციას, რომელიც დაფიქსირდა 1924 წელს - ავტ.). ქართული ენა არის მეგრელთა “სამშობლო ენა“; შესაბამისად, მეგრულს ვერ ვუწოდებთ დამოუკიდებელ

<sup>27</sup> საარქივო დოკუმენტის განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის იხ.: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 90-92 (საარქივო დოკუმენტი: ფონდი 14, აღ. 2, ს. 359, ფურც. 29).

**ჩენი აზრით, უმწერლობა ხალხის ენას ნამდვილად ესაჭიროება ასეთი მხარდაჭერა;** შდრ., დღეს დაახლოებით ასეთი აქტივობებია გათვალისწინებული “რეგიონულ ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიითაც“; თუმცა, აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ:

მეგრელები, სვანები, ლაზები არიან მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე ქართველები; შესაბამისად, მეგრულის შესახებ ზემოხსენებული დადგენილებებიც და ამჟამინდელი მოძრაობაც მეგრული-სადმი რეგიონული ენის სტატუსის მინიჭების შესახებ, **ერთ მიზანს ემსახურება: ქართველთა ნაწილს გაუუცხოვოს ისტორიული დედაენა და ქართველები დაანაწევროს ენობრივ-ეთნიკურად** (მსჯელობისათვის იხ. ქვემოთ).

ენას, რადგან მეგრულში ძირითადად იგივე ქართული სიტყვებია; მეტიც, მეგრულის “უკლებლივ ყველა ძირის სიტყვები მთლად ეთანაბრება ქართული სიტყვების ძირებს იმდენად, რომ ქართული ლიტერატურული ენის შესასწავლად აუცილებელია მეგრული დიალექტიკის გაცნობა... მეგრული მართლა დიალექტია, მხოლოდ დიალექტი, ქართული ენის ერთ-ერთი შტოთაგანია“... “არავითარ დამოუკიდებელ მეგრულ კულტურაზე არ შეიძლება ლაპარაკი. სამეგრელოს კულტურა მთლიანად ქართულია, ქართულ საფუძველზეა მოქარგული, ქართული ფესვებითაა მოარსებე“<sup>28</sup>.

ლავრენტი ბერიამ ალ. გეგეჭკორის მსგავსი არგუმენტებით გააკრიტიკა სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა 1925 წლის 13 სექტემბრის გაზეთ “კომუნისტში (№210) დაბეჭდილ წერილში: “მეგრელ ავტონომისტების შესახებ“, რომელშიც მიშო დადიანის ანტიქართული ჯგუფის წევრად გამოაცხადა ზუგდიდელი ბლ-შევიკების ერთ-ერთი ძველი ლიდერი ისაკ ყვანია; ეს უკანასკნელი ამ დროს იყო ზუგდიდის მაზრის კომუნისტთა ხელმძღვანელი.

**ისაკ ყვანია რბილად, მაგრამ მაინც საჯაროდ დაუპირისპირდა ლ. ბერიას; კერძოდ, 1925 წლის 15 სექტემ-**

<sup>28</sup> ალ. გეგეჭკორის წერილის გაუმართლებლად სუბიექტური ანალიზისათვის იხ., ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 5; კერძოდ, ავტორები წერენ, რომ გეგეჭკორის ეს სიტყვები სიმართლეა, მაგრამ “ამ სიმართლესთან ერთად მან (გეგეჭკორმა) არაფერი სთქვა, რომ ისტორიის ბედუკუღმართობის გამო სამეგრელოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი რეალურად მხოლოდ მეგრული ენით ფუნქციონირებდა; რადგან სამეგრელო-აფხაზეთში მოსახლე მეგრელთა ერთ ნაწილს არ ესმოდა სხვა ენა, გარდა თავისი მშობლიური მეგრული ენისა, საჭირო იყო იმ თავისებურების გათვალისწინება. ამასთანავე, მეგრელ მოსახლეობას უხსოვარი დროიდან ჰქონდა შესისხლხორცებული სალაპარაკო მეგრული ენა, რომელიც დამახინჯებული ქართული კი არ იყო, როგორც ეს ზოგიერთ საბჭოთა ჩინოვნიკს გამოჰყავდა, არამედ ქართული ენის პარალელურ, ძმა ენას წარმოადგენდა“. ვახტანგ გვარამიამ და გიორგი ციციშვილმა, ისევე როგორც ქართველთა ენობრივი სამყაროს ისტორიის არმცოდნე სხვა პირებმა, არ იციან, რომ მეგრული მეტყველება არის ქართველთა დედაენის კუთხური სახესხვაობა, მათივე ტერმინოლოგიური პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ, ქართული ენისაგან მიღებული “შვილი სახესხვაობა“ და არა - “ძმა სახესხვაობა“.

ბერს გამოქვეყნდა ისაკ ჟვანიას პასუხი სათაურით: “სამეგრელოს ავტონომისტების შესახებ“.

გაზეთ “კომუნისტის“ სხვა პუბლიკაციები ცხადყოფს, რომ საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლება იმხანად ლავრენტი ბერიას თვალსაზრისზე იდგა; კერძოდ, **ალ. გეგეჭკორისა და ლ. ბერიას სტატიებს მოჰყვა ქართველთა ეროვნულ-ენობრივ ერთიანობასა და სეპარატიზმის მხილებაზე ორიენტირებული სხვა წერილებიც**, რომელთა ავტორები იყვნენ: დ. თოფურაძე, სოფ. ხობში დაბადებული უხუცესი სოციალ-დემოკრატი (“სამეგრელო და აშორდისტები“; გაზეთი “კომუნისტი“, 15.09.1925); მ. კვარაცხელია (“უპასუხისმგებლო გამოსვლის შესახებ“; გაზეთი “კომუნისტი“, 16.09.1925); ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის ყოფილი გამგე ბ. შოგირაძე (“ახალი აღმოჩენა“; გაზეთი “კომუნისტი“, 17.09.1925)<sup>29</sup> და სხვ.

**სტალინელი კოლაბორაციონისტებისაგან განსხვავებით, საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების გეგეჭკორ-ბერიას ფრთის კურსი, აგრძელებდა რა ტრადიციულ კალაპოტს, მისაღები იყო ფართო საზოგადოებისათვის; ამას ცხადყოფს იმავე პერიოდში ჩატარებული ორი მასშტაბური შეხვედრაც და მაშინ მოღვაწე პირთა მემუარებიც; კერძოდ:**

- 1925 წლის 22 სექტემბერს ახალ სენაკში ჩატარდა “მას-წავლებელთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა“ კრება, რომელსაც 60 წარმომადგენელი ესწრებოდა. წარმომადგენელთა ყრილობამ დაადგინა, რომ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა არის საქართველოს დანაწევრების მცდელობა (რეზოლუცია დაიბეჭდა 24 სექტემბერს გაზეთ “კომუნისტში“; ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ კრებას მხარს უჭერდა ბოლშევიკური ხელისუფლების უფრო ძლიერი ფრთა).

- 1925 წლის 23 სექტემბერს თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში ჩატარდა სამეგრელოდან წამოსული

<sup>29</sup> ეს ის შოგირაძეა, რომელიც ამ წერილის გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვით ადრე ყრილობაზე მეგრულად გამოვიდა (იხ. ზემოთ). ეს ფაქტიც ცხადყოფს, რომ საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების პოლიტიკა მეტად ლაბილური იყო “მეგრული თემის“ საკითხში; არსებული გაორება ძალე გადაიზარდა ისაკ ჟვანიასა და ლავრენტი ბერიას სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში, რომელსაც ახანგრძლივებდა ი. ჟვანიასადმი ი. სტალინის თანადგომა. ჩანს, 1933 წლიდან ლ. ბერიამ ი. სტალინი გადაარწმუნა. იხ. ქვემოთ).

საზოგადო მოღვაწეების, მწერლებისა და სხვა ცნობილი ადამიანების შეკრება, სადაც თავისი ცნობილი სიტყვით გამოვიდა თედო სახოკია<sup>30</sup>. საყურადღებოა პრეზიდენტის შემადგენლობა: ცნობილი ეროვნული მოღვაწე გიორგი ჟორდანიას (თედო ჟორდანიას შვილი), თედო სახოკია (პრეზიდენტის თავმჯდომარე), აკაკი ფალავა (პრეზიდენტის წევრი), დიომიდე თოფურაძე (პრეზიდენტის წევრი), ბართლომე პატარაია (პრეზიდენტის წევრი), ანდრო თოდუა (პრეზიდენტის წევრი) და **ალ. გეგეჭკორი, პრეზიდენტის საპატიო წევრი.**

ცნობილი ადამიანების შეკრებამ თავის რეზოლუციაში ნეგატიურად შეაფასა როგორც სამეგრელოს ავტონომიის, ისე მეგრულად სწავლების დაწყების მოთხოვნა<sup>31</sup>. მას შემდეგ 85 წელი გავიდა, მაგრამ მეგრულად სწავლების საკითხი ისევ გააქტიურდა; სწორედ ამ კონტექსტშია განსახილველი ვ. გვარამიასა და გ. ციციშვილის წინააღმდეგობრივი პოზიცია: ისინი, ერთი მხრივ, გამოხატეს იანოვსკი-ლევინსკი-აშორდია-ვოსტორგოვის ქმედებებს, მაგრამ, მეორე მხრივ, **ცდილობენ, დადებითად წარმოაჩინონ ისაკ ჟვანიას “საქმიანობის არსი”** და ამართლებენ 1931 წელს დაწყებით საფეხურზე მეგრულად სწავლების შემოღებას; კერძოდ, წერენ: “1886 წლის სექტემბერში ლევინსკის კატეგორიულად მოუთხოვია სამეგრელოს სკოლების მეგრულ ენაზე გადაყვანა. ამით თითქოს ქართულის არმცოდნე მეგრელი ბავშვების პირველდაწყებითი სწავლების პრობლემა იხსნებოდა, მაგრამ, სინამდვილეში მისი მთავარი დანიშნულება იყო სამეგრელოს სკოლებში ქართული ლიტერატურული ენის გამორიცხვა... ლევინსკიმ სხვა მზაკვრობაც გადაწყვიტა: მან თ. აშორდიას საღვთო წერილის ქართულიდან მეგრულად თარგმნა დაავალა და სამეგრელოს ეკლესიებიდან ქართულის განდევნა დაისახა მიზნად”<sup>32</sup>.  
**მღრ. იმავე წიგნში ვკითხულობთ**<sup>33</sup>:

<sup>30</sup> წერილად გამოქვეყნდა რამდენჯერმე; იხ.

<http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=44&id=2111>

<sup>31</sup> კრების მასალები დაიბეჭდა 25 სექტემბრის გაზეთებში: “კომუნისტი“, “მუშა“. საგანგებო მასალა გამოქვეყნდა ასევე, 27 სექტემბრის გაზეთ “მუშის“ დამატებაში სათაურით: “ტარტაროზი“.

<sup>32</sup> ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ.52.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 331

“ი. ჟვანია იბრძოდა სამეგრელოს მოსახლეობის სპეციფიკური მეგრული ენით, საერთო რეგიონალურ ერთიან ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული ცენტრის და საერთო რეგიონალური ადმინისტრაციული ოლქის კომპლექსური და უფრო ეფექტიანი ღონისძიებებით მოგვარებისათვის“.

1925 წელს თბილისში ჩატარებულ კრებაზე სიტყვით გამოვიდა ცნობილი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია; მეგრულთან დაკავშირებით საინტერესოა მისი შეფასება: “ამორდია-ლევციკის აგენტებს - ამ გამოთაყვანებულ ხალხს - უნდათ, რომ ჩვენ უარვყოთ რუსთაველის, ჩახრუხაძის, გურამიშვილის ენა და მის ნაცვლად შემოვიღოთ ამორდიას მიერ შეთითხნილი მეგრული მართლწერა. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვსპოთ საქართველოსაგან სამეგრელოს ჩამომორებისა და საქართველოს დაქუცმაცების ყოველი ცდა“.

#### **ხაზგასმით აღვნიშნავთ:**

კონსტანტინე გამსახურდიას მსგავსად, ყველა გამოსვლაში მეგრულად სწავლების მოთხოვნა გაიგივებული იყო ქართველი ერის დანაწევრებისა და საქართველოს დაქუცმაცების მცდელობასთან; რაც აისახა კრების რეზოლუციაშიც<sup>34</sup>.

თავისის გატანას ცდილობდნენ ისაქ ჟვანიას მოსკოველი მხარდამჭერებიც.

1925 წლის ბოლოს მკაფიოდ გამოიკვეთა კრემლის ინტერესები; რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

<sup>34</sup> უდრ.: ვახტანგ გვარამიასა და გიორგი ციციშვილის აზრით (იქვე, გვ. 28-32), “ისაქ ჟვანია იცავდა სამეგრელოს ინტერესებს“. იხ., ასევე: გვ. 95: “ყველაზე ღვარძლიანი კრიტიკა **სამეგრელოს ინტერესების დამცველებმა** განიცადეს საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე. აქ ლ. ბერიას და მ. კახიანის აზრის მიმდევრებმა რაღა არ მოიგონეს და რა არ დააბრალეს ი. ჟვანიასა და გ. გაბუნიას“; იხ., ასევე: “ი. ჟვანიას და მისი თანამოაზრე-თანამებრძოლების მთავარი საზრუნავი იყო ქართულის არმცოდნე მეგრული გლეხების, მათი შვილიშვილების **ენობრივი ბარიერის**, მეურნეობრივ-კულტურული პრობლემების დროული მოგვარება“ (გვ. 228)... აშკარაა: ვახტანგ გვარამია და გიორგი ციციშვილი “სამეგრელოს ინტერესების“ დამცველებად თვლიან პირებს, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, სამეგრელოს ქართველობას უუცხოვებენ წინაპართა მიერ შექმნილ დიდ სამწიგნობრო კულტურას (ნიშანდობლივი ფაქტი: დასახელებული წიგნი გამოცემულია ჩვენს თანამედროვე პროორუსი პოლიტიკოსის - ალექსანდრე ჭაჭიას მონაწილეობით).



- რუსული ენის როლის გაზრდა ადგილობრივი ნაციონალური ენების შევიწროების ხარჯზე;
- სპეციალური “საერთაშორისო“ ტერმინოლოგიის დამკვიდრება, რომელიც ხელს შეუწყობდა ბოლშევიკური პროპაგანდის გავრცელებას;
- ეროვნული იდენტობების დარღვევის მიზნით საგანგებო ლინგვისტური იდეოლოგიების შემუშავება.

საქართველოში კრემლის პოლიტიკის განსახორციელებლად ფილიპე მახარაძემ 1925 წლის 8 დეკემბერს შექმნა **“სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო“**, რომელსაც ევალეობდა სახალხო განათლების სფეროს დაგეგმვა. კონკრეტულად სამეგრელოში დაგეგმილი აქტივობების შესამოწმებლად 1928 წელს მოსკოვიდან ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი პშენიცინი, რომელმაც შემოიარა სამეგრელოს სოფლები და დაასკვნა: **“მეგრულ გლეხებს უნდა მივცეთ სკოლა, სასამართლო და პოპულარული ბროშურა მშობლიურ ენაზე“**.

1929 წლის 25 მარტს “საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. კახიანმა კრემლის მითითებით მიიღო **დადგენილება მეგრული ენის პრივილეგიების აღსადგენად სკოლაში, სასამართლო საქმის წარმოებისა და გამოძიების საქმეში**. ამ დადგენილების მიხედვით, იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცოდა (!), საქმის წარმოება და სასამართლოს წარმოება მეგრულ ენაზე უნდა შესრულებულიყო... (ი. ჟვანია, 1931, გვ. 147). ნიშანდობლივია: დადგენილების I და II პუნქტებში ერთმანეთს უპირისპირდება ქართული და მეგრული; მაგ. IV პუნქტში მითითებულია, რომ დადგენილებები, განკარგულებები უნდა გამოქვეყნდეს როგორც ქართულად, ისე მეგრულად... რუსული იმპერიული მანქანა XVIII საუკუნეში დაწყებულ სვლას განაგრძობდა; “მავრის“ როლის შემსრულებელნი კი სხვები იყვნენ (ბოლშევიკები: იოსებ სტალინი, ფილიპე მახარაძე, ისაკ ჟვანია...)”<sup>35</sup>.

<sup>35</sup> ი. ჟვანია ნამდვილად არ გამოხატავდა სამეგრელოს მოსახლეობის პოზიციას. ვრცლად იხ. ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ და საქართველო, ქუთაისი, 2010, გვ. 29-48.

ჩანს, ლავრენტი ბერიას წინააღმდეგობის გამო, არც 1929 წლის დადგენილებას მოჰყოლია რეალური შედეგი; ამიტომ 1929 წლის 12 სექტემბერს სოჭში ი. სტალინის შეხვედა ი. ჟვანია, რომელიც წერს:

“ამხ. სტალინის ვთხოვე, რომ მას თავისი მითითებები მოეცა შემდეგ საკითხებზე:

1. მეგრულ ოლქთან, ან საოლქო აღმასკომთან დაკავშირებით,
2. მეგრულ ენაზე გაზეთის და სხვა გლეხური ლიტერატურის გამოცემის შესახებ,
3. სამეგრელოს პირველი საფეხურის სკოლებში მეგრული ენით სწავლების შემოღების შესახებ.

ყველა სამივე საკითხზე ამხ. სტალინმა დადებითი მითითება გასცა<sup>36</sup>.

ამ შეხვედრის შემდეგ ი. ჟვანიასა და მის თანამზრახველებს ხელ-ფეხი გაეხსნათ:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1929 წლის 21 დეკემბერს მიიღო დადგენილება მეგრულ ენაზე გლეხური გაზეთის გამოცემის შესახებ, რომელიც დაამტკიცა 1930 წლის 12 იანვარს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა. შედეგად, 1930 წლის 1 მარტიდან დაიწყო მეგრული ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა<sup>37</sup>.

**ეს დადგენილება ნეგატიურად შეფასდა მაშინდელ ფართო საზოგადოებაში. სანიმუშოდ მოვიყვან მღვდელ ნიკიტა თალაკვაძის შეფასებას:**

“ასეთი დადგენილებაა დღევანდელ გაზეთ “კომუნისტში“ (25/XII) მოთავსებული! ის შესდგება ექვსი მუხლისაგან. ხელს

<http://www.putkaradze.ge/cigni%20dasrulebuli/links/shesavali.htm>

<sup>36</sup> ვიმოწმებთ წიგნიდან: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, “მეგრული საკითხი“, 2009, თბ., გვ. 262.

<sup>37</sup> შტრ. ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 264: “გაზეთის რედაქტორად დაინიშნა ი. ჟვანია. გაზეთს მიეცა საქართველოს კომპარტიის ცეკას ორგანოს სტატუსი და უკვე 1 მარტს ზუგდიდში გამოიცა “ყაზახიში გაზეთის“ პირველი ნომერი. მაშასადამე სამართალმა პური ჭამა“; ავტორები აქვე იმოწმებენ “ყაზახიში გაზეთის“ ერთ ციტატას, სადაც ქართული გათანაბრებულია სხვა ენებთან: “მეგრული წერით ჩვენ ვეხმარებით სკოლის გარეთ დარჩენილ ახალგაზრდებს, ქართულის არ მცოდნე გლეხ ახალგაზრდებს. ჩვენმა ორგანიზაციებმა წუთითაც არ უნდა შეასუსტონ ყურადღება ქართულის და სხვა ენების მიმართ, მათი შესწავლის მიმართ“ (“ყაზახიში გაზეთი“, 1932, 2 მარტი).

აწერს მას - ცაკის თავმჯდომარის (მიხა ცხაკაია - მეგრელი) მაგიერ ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ბოლქვაძე, საქ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე და ცაკის მდივანი ს. თოდრია! ეგ სამნივე გურულებია!.. ესეც სიმპტომატიურია. ჩვენ თავის ადგილზე გვქონდა აღნიშნული, რომ სამეგრელო ავტონომიას თხოულობსო!.. ჩვენ ვიცით “აშორდია- მაფალუს“ მიმდევართა მიდრეკილება პატარა საქართველოში ასეთი დიდი სეპარატიზმის - განხეთქილების, გათიშვის ჩამოსაგდებად! წინეთ დეკ. ვოსტორგოვის ზურგს უკან იმალებოდნენ ეგ ვაჟბატონები, მაშინ ქართული ენის და მასთან ერთად მეგრული კილოკავის განდევნას სკოლიდან, ეკლესიიდან თუ დაწესებულებებიდან სცდილობდნენ რუსული ენის გასაბატონებლად! ეხლა კი “მეგრული ენა“ დაუბირდაპირეს - “ქართულს“, “როგორც სამშობლო ენა“ (მუხ. 2.) არამშობლიურს - ქართულს (?!). ეტყობა, აშორდია-მაფალუელებმა იმზომ თავი შეაბეზრეს ხელისუფლებას, რომ მიზანს მიაღწიეს და საქართველოს უზენაეს დაწესებულებებს ასეთი უხამსი და გამხრწნელი დადგენილება გამოატანეს! აქ არავინ იფიქროს, ვითომც უბრალო საქმე იყოს ეს დადგენილება!.. ის არ შემოიფარგლება მარტოოდენ ზუგდიდის მაზრის ზოგიერთი ადგილებით, სადაც თითქოს “მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცის“!.. არა, ეს განგრენა ბოლოს და ბოლოს მთელი სამეგრელოს ორგანიზმს გამოხრავს, გამოფიტავს! ყირამალა დაყენებს იქ ქართულ კულტურას და მისს პროგრესიულ მსვლელობას! უხსოვარი დროიდან ქართული ენით სარგებლობდნენ მეგრელები ყველგან და ყველაფერში! ქართული ენა მიაჩნდა მათ “მშობლიურ ენად“! ქართულ ენაზე ლოცულობდნენ, სწერდნენ და მწიგნობრობდნენ მეგრელები და რაღა ეხლა - მეოცე საუკუნეში, “თავისუფალ საქართველოში“ უნდა მოხდეს ეგ საბედისწერო ნაბიჯი! წინეთ ზუგდიდი-სამურზაყანო საქართველოს სხვა ნაწილებზე მოწყვეტილი იყო, დაშორებული მიუვალი გზებით, ათასგვარი უკუღმართი პოლიტიკური ვითარებებით! (გვ. 554-555)“.

ლ. ბერია ცდილობდა, დაებრკოლებინა სამეგრელოს ოლქის შექმნა და მეგრული სკოლების გახსნა<sup>38</sup>.

<sup>38</sup> ლოგიკურია დავუშვათ, რომ ბოლშევიკური რეჟიმის დამკვიდრების პირველ ეტაპზე ლ. ბერია უფრთხოდა ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლების გაღიზიანებას და ამიტომაც დაუჭირა

ი. სტალინისაგან მხარდაჭერილი ისაკ ჟვანია კი ცდილობს, საბოლოოდ დაამარცხოს ლავრენტი ბერია. ამ მიზნით ი. ჟვანია 1931 წლის 20 ნოემბერს **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ამხ. ლ. ბერიას სახელზე წერს** ოფიციალური წერილს, რომელშიც აყალიბებს თავის ხედვას სამეგრელოსა და მეგრულის შესახებ; ი. ჟვანიას მოთხოვნები ასე გამოიყურება:

“1. გაფორმდეს **მეგრული ოლქი** იმ რაიონებისაგან, რომლებშიც მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობას არ ესმის ქართული ენა.

2. ნება დაერთოს მითითებული რაიონების დაწყებით სკოლებში სწავლებას **მშობლიურ, ე.ი. მეგრულ ენაზე**“; იქვე ჩამოთვლილია შემდეგი რაიონები: ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხობი, სენაკი; ხოლო ნაწილობრივ - მარტვილი, აბაშა და ფოთი<sup>39</sup>.

საქართველოს ფაქტობრივმა მმართველმა ლ. ბერიამ არ შექმნა სამეგრელოს ავტონომიური ოლქი, მაგრამ წინ არ აღუდგარა საბჭოთა იმპერიის პირველი პირის, **ი. სტალინის ნებას**, ი. ჟვანიას გუნდს საშუალება მისცა 1932 წლის დასაწყისში **გაეხსნა პირველდაწყებითი მეგრული სკოლები**. ნიშანდობლივია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს 1932 წლის 16 მარტის დადგენილებაში არსებული ასეთი პუნქტიც (სადაც მეგრული გათანაბრებულია ბერძნულ თუ აფხაზურ ენებთან): “წინადადება მიეცეს სახელგამს, უზრუნველყოს, განსახკომის მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების გამოცემა 1-ლ სექტემბრამდე, მათ შორის -

---

მხარი ქართველთა ენობრივი ერთიანობის შენარჩუნებას და წინააღმდეგობა გაუწია სამეგრელოს ავტონომიის შექმნას.

<sup>39</sup> საარქივო დოკუმენტი: პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 103. ვიმოწმებთ წიგნიდან: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, “მეგრული საკითხი“ (რედაქტორი ოთარ ჯანელიძე; რეცენზენტები: დავით სანდოძე, გურამ კუტალაძე), თბ., 2009, გვ. 90-92. არქივში დაცულია, ასევე, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1931 წლის 28 ნოემბრის საიდუმლო გზავნილი (№82/87/ს), რომელიც გვამცნობს: “საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს: ამხანაგ ბერიას დავალებით გასაცნობად გეგზავნებათ მეგრული საკითხის შემდეგი მასალები“

გამოცემა აფხაზურ, ოსურ, მეგრულ, ბერძნულ და სხვა ენებზე<sup>40</sup>.

**ლ. ბერიას ამ დროებით დათმობას მოჰყვა, დიდი ალბათობით, მისგანვე დაგეგმილი რამდენიმე საპასუხო ქმედება:**

- 1932 წლის გაზაფხულზე სამეგრელოდან ორგანიზებულად წამოვიდა მშრომელთა წერილები, რომელთაც ფატობრივად ერთნაირი შინაარსი ჰქონდათ. მათი ავტორები **მიზანშეუწონლად თვლიდნენ** მეგრული სკოლებისა და გაზეთების დაარსებას (იხ. ქვემოთ);

- მეგრული სკოლების ფუნქციონირების შესამოწმებლად, განათლების სახალხო კომისარიატის სახელით, სამეგრელოში **გაიგზავნა ცნობილი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა;**

- სხვადასხვა ავტორისგან ორგანიზებულად დაიწყო 1932 წელს დიდი ტირაჟით დაბეჭდილი ი. ჟვანიას წიგნის: “როგორ იბრძოდა სამეგრელოს მშრომელი გლეხობა საბჭოების ხელისუფლებისათვის“ მკაცრი კრიტიკა<sup>41</sup>;

- 1933 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობამ ენათმეცნიერ ვუკოლ ბერიძის მონაწილეობით კიდევ ერთი კომისია ამუშავა სამეგრელოში და 1933 წლის 25 მაისს ცნობილი მეცნიერებისა (არნ. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, ვ. თოფურია...) და სამეგრელოს პოლიტიკური ელიტის მონაწილეობით ჩაატარა კოლეგიის სხდომა, რომელსაც დაასწრეს ცხინვალში გადაყვანილი ისაკ ჟვანიაც (გამოსვლის ტექსტები იხ. ქვემოთ).

- 1933 წლის ბოლოს დაიხურა მეგრული სკოლებიც და მეგრული გაზეთებიც.

ვფიქრობთ, ჩამოთვლილ ნაბიჯთაგან ლავრენტი ბერიას გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა არნ. ჩიქობავამ, რომელმაც, ნ. მარის (და სტალინის!) საპირისპიროდ<sup>42</sup>, დაასაბუთა,

<sup>40</sup> ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, “მეგრული საკითხი“, თბ., 2009, გვ. 294.

<sup>41</sup> ისაკ ჟვანიას წიგნის კრიტიკოსების შესახებ ინფორმაციისათვის იხ. ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, “მეგრული საკითხი“, თბ., 2009, გვ. 374-384.

<sup>42</sup> მიგვაჩნია, რომ 1932 წელს ი. სტალინისა და თავისი კარიერის ზენიტში მყოფი ნ. მარის პრინციპული დებულებების საწინააღმდეგოდ წასვლა იყო არნ. ჩიქობავას დიდი გაბედულება; აქვე აღვნიშნავთ, რომ არნ. ჩიქობავა წინ ვერ აღუდგა ჩრდილო კავკასიელი ხალხების

რომ მეგრული არ არის ცალკე ენა; მეგრული არის უმწერლობო ზანური ენის დიალექტი და რომ “ქართული ენა მეგრული და სვანი ბავშვების ნორმალური განვითარებისათვის ისეთივე ბუნებრივი და პედაგოგიურად მიზანშეწონილი იარაღია, როგორც ხევსური და გურული ბავშვებისათვის“. ამ ისტორიის შესახებ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

### **არნ. ჩიქობავასა და სხვა ენათმეცნიერთა როლი 1933 წელს მეგრული სკოლების დახურვის ისტორიაში.**

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია 1932 წლის გაზაფხულზე სამეგრელოს რაიონების კომუნისტ აქტივისტთა და მშრომელთა წერილები, რომელთა ავტორებიც მიზანშეუწონლად თვლიდნენ სამეგრელოს ავტონომიურ ოლქს, მეგრულ სკოლებსა და მეგრულ გაზეთებს. ამგვარი ქმედება რომ ცენტრიდანაა ორგანიზებული, ამას ცხადყოფს **კოლექტიური წერილების “შაბლონი“**:

იმხანად ბევრს არ ჰქონდა საბეჭდი მანქანა, ამიტომ, ჩანს, სოფლებს/რაიონებს დაურიგეს ერთი და იგივე ტექსტი, რომელშიც გამოტოვებული იყო სოფლის სახელი და ხელმოწერთა გვარები. “შაბლონის“ გამოტოვებულ ადგილებში იწერებოდა შესაბამისი სოფლებისა თუ რაიონების სახელი და ამ რაიონების/სოფლების იმ წარმომადგენელთა (ძირითადად, პარტიულ აქტივისტთა და დეპუტატთა) გვარები, რომლებიც ხელს აწერდნენ ამ დოკუმენტს. ხელისუფლების (ლ. ბერიას!) დავალებით ეს შაბლონი შეივსო და ხელმოწერილ იქნა ბევრ სოფელში; **სწორედ ამ წერილებით გაჩნდა აუცილებლობა, ხელისუფლებას სამეგრელოში გაეგზავნა სპეციალური კომპეტენტური კომისია.**

---

ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მიმართულებით მოქმედ საბჭოთა იმპერიის გეგმას.

## შაბლონის ტექსტი ასე გამოიყურება:

ოქმი №

..... პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრებისა 1932 წლის “ მარტიდან და ესწრებოდნენ პარტიის წევრები “ “ , კანდიდატი “ “ , კომკავშირის წევრ-კანდიდატი “ “ , მდივნობ-და: ამხ. ....

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ინფორმაციული მოხსენება კომ. უჯრედის მდივნისა, ამხ. ....  
სამეგრელოს საკითხის შესახებ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. პარტ. კომკავშირის გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა ინფორმაციული მოხსენება კომ. უჯრედის მდივანი ამხ. .... სამეგრელოს საკითხის შესახებ. პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება აღნიშნავს, რომ ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგები **ამხანაგ ი. ჟვანიას მეთაურობით დიდი ხანია ცდილობენ, რომ სამეგრელო გამოაცხადონ ავტონომიურ ოლქად** (აქ და ქვემოთაც ხაზი ჩვენია - ტ.ფ., მ.თ.). ამ მიზნით ისინი მიმართავენ ყოველგვარ ღონესა და საშუალებას. **ზოგ შემთხვევაში თავს აცხადებენ სამეგრელოს წარმომადგენლებად და ლაპარაკობენ მთელი სამეგრელოს სახელით.** ..... პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგების მიერ უფლებების უკანონოდ მითვისების გამო და ვადაჭრით აცხადებს, რომ **ამხ. ი. ჟვანიას და მის თანამოაზრეებს არავითარი უფლება არა აქვთ ილაპარაკონ** ..... მშრომელი მოსახლეობის სახელით. თუ მას ასეთი მინდობილობა აღმოაჩნდა, იგი უსათუოდ ყალბია და უსაფუძვლო.

2. .... პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება კატეგორიულად აცხადებს, რომ სამეგრელოს ავტონომიურ ოლქად გამოცხადება ან ყოფილი ზუგდიდის მაზრის ოლქად გამოცხადება, ან ზუგდიდის ყოფილი მაზრის რაიონების ერთ რაიონად გაერთიანება ..... სოფლის ზუგდიდთან შეერთება არ არის .....

სოფლის მშრომელი მოსახლეობის სურვილი, არამედ იგი სურვილია მხოლოდ ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგების და ამიტომ პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება კატეგორიულ პროტესტს აცხადებს სამეგრელოს ავტონომიურ ოლქად გამოცხადების ცდის წინააღმდეგ, ან ზუგდიდის ყოფილი მაზრის ოლქად გამოცხადების ცდის წინააღმდეგ, აგრეთვე ზუგდიდის ყოფილი მაზრის ერთ რაიონად გაერთიანების ცდის წინააღმდეგ და ..... ზუგდიდის რაიონთან შეერთების ცდის წინააღმდეგ.

3. .... პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება იწონებს საქ. კ. პ. /ბ/ და საქართველოს მთავრობის დადგენილებას სამეგრელოს რაიონებში პირველ დაწევით სასწავლებლებში გამოყენებული იქნეს მეგრული ენა, როგორც დამხმარე ენა ქართული ენის სწავლებით. მაგრამ არ იზიარებს სამეგრელოს პირველ დაწევით სკოლებში მეგრული ენით დაწვების ცდას.

4. .... პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება მხურვალედ ესალმება საქ. კ.პ. /ბ/ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს უმაღლესი მთავრობის მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემის გამო, მაგრამ აღნიშნავს, რომ ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელობა, რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობს მეგრულ გაზეთ "ყაზახიში გაზეთს", ამახინჯებენ მეგრულ ენას და "ყაზახიში გაზეთს" ხდიან ქართული ენის უცოდინარი მშრომელი მეგრული გლეხებისათვის გაუგებარს. რომ ქართული ენა, რომელიც ძალიან მონათესავეა მეგრულ ენასთან და ქართულ ენაში აუარებელი მეგრული სიტყვებია შესული და პირიქით, მეგრულ სიტყვებში აუარებელი ქართული სიტყვებია შესული, ეს გარემოება ქართულ ენას ადვილად შესათვისებლად ხდის მეგრელისათვის, ამასთან ერთად, პარტ. კომკავშირის კრება აღნიშნავს, რომ ქართულ კულტურასა და მეგრულ კულტურას, რომლებიც წარმოადგენენ ერთი და იგივეს, გაორება-გათიშვა ყოვლად დაუშვებელია. მიუხედავად ამისა, ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი, მათ შორის, "ყაზახიში გაზეთის" რედაქტორი, მიუხედავად ჩვენი არაერთი განცხადებისა, მაინც ამახინჯებს მეგრულ ენას. შეაქვთ რა მეგრულ ლექსიკონში მეგრული გლეხისათვის სრულიად გაუგებარი, მათ მიერ ახლად გამოგონილი სიტყვები /ყაზკომი, დუდმახვენჯი, მელამოსე, სხუნუ, და სხვა უამრავი ასეთი სიტყვები/.



ექებენ აგრეთვე სამეგრელოს ფეოდალიზმისდროინდელ არქივებში დავიწყებულ სიტყვებს /მარჯვალი, ვერწემი, ორთა ლმა კანჩხუ, ობუჭოლაია, ტაბაკის უნჩაში და სხვა უამრავი ასეთები/. იმისათვის რომ დააშორონ მეგრული ენა ქართული ენისაგან და ამით გაუძნელონ მეგრულ ბავშვს ქართული ენის შესწავლა, ცდილობენ რა შექმნან მეგრული ლიტერატურა, მეგრული კულტურა, რაც დღევანდელი გაშლილი სოციალისტური მშენებლობისა და კულტურული რევოლუციის ხანაში მეგრულ მშრომელთათვის ყოვლად მიუღებელია. მეორეს მხრით, მეგრული ენის ქართული ენისაგან დაშორებით ცდილობენ დაამტკიცონ მეგრულ მშრომელთათვის მიუღებელი სამეგრელოს ავტონომიური ოლქის ჩამოყალიბების აუცილებლობა. წალენჯიხის რაიონი ითვლება მთელ სამეგრელოში ყველაზე ჩამორჩენილ კუთხედ, მიუხედავად ამისა, ამ რაიონის მოსახლეთა ოჯახებში არ არის ისეთი ოჯახი, სადაც ერთი, ორი ან სამი ან კიდევ მეტი, და მთელ რიგ შემთხვევებში, მთელმა ოჯახის წევრებმა ქართული ენა არ იცოდეს. ის ფოქუსი და ეშმაკობა, რომელსაც ჩადის ზუგდიდის ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგები, იმ დროს, როდესაც მათ ევლინებათ ცენტრიდან ქართველი ხელმძღვანელი ამხანაგები და უმტკიცებენ მათ, რომ უჯრედის უმნიშვნელო ნაწილმა იცის ქართული და ამის დასამტკიცებლად განგებ გამოწვეული გლეხი, თუნდაც ქართულის მცოდნე იყოს, მაინც მალავს და ქართულის უცოდინრად აჩვენებს თავს, რაც ყოვლად მიუღებელი საქციელია.

5. საქ. კ.პ./ბ/ მეთექვსმეტე ყრილობის დადგენილება მაზრებისა და ოლქების დარაიონების შესახებ და ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებამ დაუახლოვა ხელისუფლება მასას, დიდად გააუმჯობესა კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობა და დიდად შეუწყო ხელი სოფლების პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო ზრდის სწრაფი ტემპით წარმართვას. განსაკუთრებით მეტისმეტად თვალსაჩინო დახმარება გაუწია მთავორიანი ზემო სამეგრელოს, მითუმეტეს ჩვენი რაიონის სოფლებს. სოფლელ მშრომელთათვის ხელმისაწვდომი გახდა ხელისუფლება და მათ იგრძნეს მეტი შვება.

მშრომელი გლეხი დიდად აფასებს პარტიისა და ხელისუფლების ამ საუკეთესო ღონისძიებას. ყოველივე ეს უღვიძებთ მშრომელთ

დიდ ენთუზიაზმს და სოციალისტური სახელმწიფოს ყველა დაკვეთებს პირნათლად ასრულებს. სულ სხვა მაზრის არსებობის დროს სიშორისა და ცუდი გზების გამო ძალზე ცუდი იყო მაზრის ხელისუფლების კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობა. ის დაშორებული იყო მასას ან ნაკლები ყურადღება ექცეოდა ისეთ დაშორებულ სოფლებს, როგორც იყო წალენჯიხის რაიონი. გლეხებისთვისაც ნაკლები მისაწვდომი იყო მაზრის ხელისუფლება. გლეხი ერიდებოდა ხარჯებს და დროის დაკარგვას, ამიტომ მთელი რიგი გლეხის კანონიერი მოთხოვნები რჩებოდა დაუკმაყოფილებელი. ერთმა ნახევარმა წელმა განვლო დარაიონების შემდეგ და ეს განცხადება გლეხებისათვის ნათლად წარმოდგენილი ვახდა. პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება იგებს რა ყველა ზემოთხსენებულ პირობებს, დარაიონების უპირატესობას და სარგებლიანობას, რათა არ ჩაქრეს ის ენთუზიაზმი, რომელიც გამოიწვია დარაიონებამ. .... პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება სთხოვს საქ. ს. პ. /ბ/ ცეკას, რათა არ გააუქმოს წალენჯიხის რაიონი და მისცეს მას არსებობის საშუალება, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ნამდვილად აუტანელია ყოფილი ზუგდიდის მაზრის ზემომთავარიან ნაწილში ორი წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონის შენახვა. მაშინ პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება სთხოვს საქ. კ.პ./ბ/ ცენტრალურ კომიტეტს, რათა გააერთიანოს წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონები ერთ რაიონად, იმ ადგილას, სადაც ამას აირჩევენ ორივე რაიონების მშრომელი მოსახლეობა.

6. თუ ვინცობაა ჩვენი თხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება, იმ შემთხვევაში ეცნობოს საქ. კ. პ. /ბ/ ცეკას, რათა ყოველივე ზემოთ თქმულის გამოსარკვევად, **ყოველი მიზეზის გარეშე მიავლინონ ავტორიტეტიანი კომისია, რომელიც გამოარკვევს და შეისწავლის ..... მთელი მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილებას ამ საკითხში....**

7. ეთხოვს აგრეთვე, წალენჯიხის რაიონის პარტიულ კომიტეტს, რათა დასვას ეს საკითხი რაიკომის სხდომაზე და დაიცვას ჩვენი კანონიერი მოთხოვნილებანი.

8. ამ დადგენილების პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის მისართმევად და ჩვენი სოფლის მდგომარეობის და სურვილების ცენტრალური კომიტეტისათვის სიტყვიერად ასახსნელად არჩეუ-

ლი იქნეს დელეგატად ამხ. .... , რომელსაც დაევალოს ჩვენი დადგენილება მხარეთას საქ. კ. პ. /ბ/ ცეკას მდივანს და სიტყვიერად აუხსნას ჩვენი სოფლის სურვილები და სულისკვეთება.

ზემოთ აღნიშნულ დადგენილებას ხელს ვაწეროთ:

კრების თავ-რე: .....

მ დ ი ვ ა ნ ი: .....

პარტიის და კომკავშირის წევრ-კანდიდატები<sup>43</sup>.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამეგრელოდან თბილისში ამ ტიპის კოლექტიური წერილების გამოგზავნა იყო ისაკ ჟვანიაზე ლავრენტი ბერიას შეტევის პირველი ეტაპი. მეორე ეტაპად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს სახალხო განათლების კომიტეტის სახელით სამეგრელოში ცნობილი ენათმეცნიერის - არნ. ჩიქობავას გაგზავნა; კერძოდ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, 1932 წლის აპრილში სამეგრელოში მუშაობდა ზუგდიდის რაიკომის მიერ შექმნილი კომისია (“ბრიგადა”), რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, ზუგდიდის რაიკომის წარმომადგენელი და განსახკომის წარმომადგენელი ამხ. არნ. ჩიქობავა<sup>44</sup>.

1932 წლის 23-27 აპრილს **სსსრ განათლების სახალხო კომისარის სახელზე მომზადდა კომისიის (“ბრიგადის“)** <sup>45</sup>

<sup>43</sup> შსს არქივი, ფ. 14, აღ. 6. №266, ფურც.220-223.

<sup>44</sup> 1898 წელს დაბადებული არნ. ჩიქობავა 1926 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (1929 წ.). 1932-36 წლებში იყო სახელმწიფო ტერმინოლოგიური კომისიის სწავლული მდივანი. **1933 წელს დამტკიცებულ იქნა უნივერსიტეტის პროფესორად.** 1933 წელს არნ. ჩიქობავას ინიციატივით უნივერსიტეტში დაარსდა კავკასიურ ენათა კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1960 წლამდე. 1933-34 სასწავლო წელს არნ. ჩიქობავას თაოსნობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა კავკასიურ ენათა განყოფილება. 1936 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა თავის მიერ დაარსებულ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებას ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

<sup>45</sup> კომისია ბრიგადის სახელითაა მოხსენიებული განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომის ოქმში.

**მოხსენებითი ბარათი.** დოკუმენტში ჩამოყალიბებულია შემდეგი ძირითადი დასკვნები<sup>46</sup>:

**1. საბჭოთა საქართველოს მშრომელთათვის (მხედველობაში გვყავს ქართული გვარტომობის მოსახლეობა) მეცნიერებისა და ლიტერატურის ენა იყო და არის ქართული ენა, საქართველოს სახელმწიფო ენა.** სოციალისტური მშენებლობისა და კულტურული რევოლუციის ენა.

**2. ძირითადი პედაგოგიური საკითხი, რომელიც ამჟამად ისმის, ამ ხასიათისა არის:** წარმოადგენს თუ არა მეგრულად მოლაპარაკე ბავშვებისთვის ქართული ისეთ იარაღს, რომელიც მის ბუნებრივ განვითარებას ზღუდავს?

უნდა ითქვას, რომ ფსიქოლოგია მეგრულ მეტყველებისა იმდენადვე ახლო სდგას ქართულთან, რამდენად ახლო სდგას ქართულთან რომელიმე ხევსურის ფსიქოლოგია. იმდენადვე მეგრულად მოლაპარაკე ბავშვებისათვის ქართული ენა ნორმალურ იარაღს წარმოადგენს, როგორც ვსთქვი წარმოადგენს იმავე ხევსურისათვისა, სვანისათვის. **ქართული ენა მეგრელი და სვანი ბავშვების ნორმალური განვითარებისათვის ისეთივე ბუნებრივი და პედაგოგიურად მიზანშეწონილი იარაღია, როგორც ხევსური და გურული ბავშვებისათვის.** არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ სალიტერატურო ქართული ენა განსხვავდება (ზოგჯერ თვალსაჩინოდაც) თვით ქართული კუთხური მეტყველებისაგან (მაგ. თუშური, ხევსურული, გურულისაგან). სალიტერატურო ქართულს თვით ქართულად მოუბარნიც სწავლობენ.

**3. ისტორიულად მეგრულის უფლებებისათვის იღვწოდა (ანბანის შედგენა და სხვა) თვითმპყრობელობა (იგულისხმება მეფის რუსეთი! - ტ.ფ. მ.თ.), ე.ი. სწორედ ის ძალა, რომელიც ქართული ენის უფლებებს ხშავდა:** მეგრულის უფლებებისათვის ზრუნვა ქართულის შევიწროების საშუალება იყო. კულტურულ-ისტორიულად საზოგადოებრივ-პოლიტიკურად მეგრული ენის უფლებების საკითხის გაჩენა საქართველოში ისევე წარმოუდგენელია, როგორც წარმოუდგენელია “დაჩაგრული მეგრული”. ამჟამად მეგრული ენის ქართული სალიტერატურო ენისათვის დაპირისპირება საუკეთესო შემთხვევაში არის ფეოდალუ-

<sup>46</sup> დოკუმენტი გამოქვეყნდება 2018 წელს წიგნში: ტ. ფუტყარაძე, “ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები”.

რი საქართველოს კუთხური კარჩაკეტილობის და წეწა-გლეჯის ფსიქოლოგიის რეციდივი.

4. ქართულად სწავლება სავსებით შესაძლებელია პირველი ჯგუფებიდანვე. **პედაგოგიურად საჭიროა და პრაქტიკულად აუცილებელი სწავლების პროცესში გამოვიყენოთ მეგრული, როგორც დამხმარე საშუალება ქართულად მოცემული მასალის შეთვისების გასაადვილებლად** (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, №26, ფ. 44-47); მეორე დოკუმენტში უფრო დაზუსტებულია ეს საკითხი:

მეგრულის საკითხი არის პრაქტიკული საკითხი. სამეგრელოს მოსახლეობა აღმოსავლეთ სანაპიროს გამოკლებით ოჯახში ქართულად არ ლაპარაკობს (იქაც კი, სადაც ყველას ესმის ოჯახში ქართული). ბავშვები სკოლაში რომ მოდის, მან ქართული ჩვეულებრივად არ იცის, **ამიტომ პრაქტიკულად აუცილებელია მეგრული იქნეს გამოყენებული, როგორც დამხმარე საშუალება ქართულის შეთვისებისას და შესათვისებლად**. არა თუ პირველ ჯგუფში, უფროს ჯგუფშიაც მასწავლებელს მოუხდება მეგრულის წაშვლიება; ამისათვის, რა თქმა უნდა, არც მეგრული სახელმძღვანელოა საჭირო და არც მეგრული ტერმინოლოგია, რომელთაც ებღაუჭებიან სწორედ ისინი, ვისაც სურს მეგრულის საკითხი პრინციპული-პოლიტიკურ საკითხად აქციოს და მეგრული ქართულისაგან გასამიჯნ საშუალებად გამოიყენოს, რასაც, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს საერთო ლენინურ პოლიტიკასთან“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, №26, ფ. 1-6)“.

ჩანს, ამ მოხსენებითი ბარათის შინაარსი მალევე ცნობილი გახდა სტალინელი კოლაბორაციონისტებისათვის; ამას მოჰყვა **ტარასი შენგელიას საჩივარი**, რომელიც 1933 წლის აპრილში გაეგზავნა სკკპ (ბ) ცკ-ს მდივანს, ამხ. ი. სტალინს, სსრ კავშირის ცკ-ის თავმჯდომარეს, ამხ. კალინინს და სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, ამხ. მოლოტოვს. ი. სტალინის ზემოთ დამოწმებულ კონცეფციასზე დაყრდნობით, ტ. შენგელია სამეგრელოს მოსახლეობის სახელით ითხოვდა აჭარის ავტონომიის მსგავს ავტონომიას სამეგრელოსათვის და მეგრული ენისა და ლიტერა-

ტურის შექმნას<sup>47</sup>. **ამავე საჩივარში გალანძღულია არნ. ჩიქობავა;** კერძოდ, ვკითხულობთ:

“განათლების სახალხო კომიტეტმა ზუგდიდის რაიონში მიაგლინა “მეგრელი“ ჩინოვნიკი, “პროფესორი“ ჩიქობავა დავალებით, რომ ამ “მეგრელ ვაი მეცნიერს“ “მეცნიერული“ თვალსაზრისით შეეჯამებინა დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება. ამ მეცნიერმა ზუსტად შეაჯამა შედეგები და დაწერა: “მართალია მეგრელი ბავშვები უკეთ ითვისებენ მასალას მშობლიურ მეგრულ ენაზე, ვიდრე მათთვის გაუგებარი ქართულ ენაზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომში მეგრულიდან ქართულ ენაზე გადასვლა გაძნელებდა, ამიტომ მეგრული სკოლების პირველივე ჯგუფებიდანვე ამოღებული უნდა იქნას მეგრულ ენაზე სწავლება; ანუ სამომავლო “პერსპექტივისათვის“, უკვე დღეს გაეწიროთ მეგრული ენა“. ასეთ “საფუძვლიან“ “მეცნიერულ“ ანტილენინურ გამოსვლას დაეთანხმა ზუგდიდის პარტიის რაიკომის ახალი ხელმძღვანელობა და გადაწყვიტა მომავალი სასწავლო წლიდან სამეგრელოს დაწყებით სკოლებში დაეკანონებინათ ქართულ ენაზე სწავლება. ამ “ჭკვიანური“ გადაწყვეტილებით ზუგდიდის ახალი ხელმძღვანელობა განათლების სახკომთან ერთად ცვლის სკპ(ბ) ცკ-ს დადგენილებას კავკასიის ნაციონალური კომიტეტის და საერთოდ ლენინურ-სტალინური სწავლების ნაციონალური საკითხის შესახებ<sup>48</sup>.

<sup>47</sup> საარქივო მასალა 2018 წელს გამოქვეყნდება წიგნში: ტ. ფუტყარაძე, “ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები.“

<sup>48</sup> წერილის ამ მონაკვეთის განსხვავებული თარგმანისა თუ კომენტარებისათვის იხ.: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, “მეგრული საკითხი“, თბ., 2009, გვ. 299-300; 192-294; შდრ., თარგმანი: “საქართველოს განსახკომმა ზუგდიდის რაიონში მოაგლინა “მეგრელი“ ჩინოვნიკი “პროფესორი“ ჩიქობავა იმ მიზნით, რომ ამ ვაი “მეცნიერს“ “მეცნიერული“ თვალსაზრისით შეეჯამებინა დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე ბავშვების სწავლება. ამ “მეცნიერმა“ ზუსტად შეაჯამა შედეგები და დაწერა: მართალია, მეგრელი ბავშვები მშობლიური მეგრული ენით უკეთ ითვისებენ, ვიდრე გაუგებარი ქართული ენით. მაგრამ მხედველობაში მისაღებია. რომ შემდეგ მეგრულიდან ქართულზე გადასვლა ძნელი იქნება, ამიტომ მეგრულ სკოლებში პირველივე ჯგუფებიდან ამოღებული იქნას მეგრული ენა... ასე დამაჯერებელ “მეცნიერულ“ დასკვნას დაეთანხმა ზუგდიდის პარტიის რაიკომის ახალი ხელმძღვანელობა და გადაწყვიტა მომდევნო სასწავლო წლიდან დაწყებით მეგრულ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების დაკანონება“.

ამ დანოსის<sup>49</sup> დაწერიდან 1 თვეში, 1933 წლის 25 მაისს **სსსრ განათლების სახალხო კომისარს** არნ. ჩიქობავამ **წარუდგინა** დამატებითი განმარტებითი მოხსენება<sup>50</sup> და 1933 წლის 25-27 მაისს ზუგდიდის რაიონში მომუშავე ახალი კომისიის - ვუკოლ ბერიძის<sup>51</sup> კომისიის - დასკვნაც. ახალი კომისიის შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: ხობის რაიკომის მდივანი, ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყოფილების გამგე, გალის რაიონის განყოფილების გამგე, ენისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის კომისიის თავმჯდომარე ვუკოლ ბერიძე, ხობის რაიონული განყოფილების გამგე. კომისიის დასკვნა ხელმოწერილია 1933 წლის 27 მაისს. ამ კომისიის დასკვნაში გამეორებულია არნ. ჩიქობავას კომისიის ძირითადი პუნქტი:

**“მეგრულ ენაზე სწავლების შემოღება თუნდაც 1-ლ ჯგუფში არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას. სწავლება პირველი ჯგუფიდანვე ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს, ხოლო მეგრული ენა გამოყენებული უნდა იქნას, როგორც დამხმარე არა მარტო პირველ ჯგუფში,**

---

როგორც ვხედავთ, გვარამია-ციციშვილის ციტირებაში რამდენიმე ფრაზა ხელოვნურადაა დამახინჯებული; მაგ., ფრაზა **“მეგრული ვაი მეცნიერი“** შეცვლილია ფრაზით: **“ვაი მეცნიერი“**.

<sup>49</sup> მსგავსი მიზნის მქონე დანოსები პოსტსაბჭოთა პერიოდშიც არ არის იშვიათი მოვლენა; მაგ., ზუსტად ასეთი ბოლშევიკური სულისკვეთებითა დაიწერა კოლექტიური დანოსი სახელწოდებით: “ქართველური ენები და დიალექტები (ერთი “სამეცნიერო პოლემიკის“ გამო)“, რომელიც ბროშურადაც გამოიცა (რედაქტორი მარიამ მანჯგალაძე; გამომცემლობა “მერიდიანი“, თბ., 2007); იხ., ასევე, გიორგი გოგოლაშვილის, ჭაბუკა ქირიას, ზაქარია ფურცხვანიძის, გაია ოკუჯავას... პასკვილები (რომლებიც შორსაა აკადემიზმისგანაც და ადამიანური ფასეულობებისგანაც).

<sup>50</sup> დოკუმენტი გამოქვეყნდება წიგნში, რომელიც ავტორთა ჯგუფის მიერ მზადდება გამოსაცემად.

<sup>51</sup> ვუკოლ ბერიძემ 1912 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1922-1932 წლებში ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში კითხულობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კურსს. იყო საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სახელით 1925 წლის დასაწყისში შექმნილი “ცენტრალური სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომიტეტი“ თავმჯდომარე. 1932 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავდა სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

### სადაც მეგრული ენა უფრო ფართოდ გამოიყენება, არამედ ზედა ჯგუფებშიაც<sup>52</sup>.

სამივე დასკვნა განიხილა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ 1933 წლის 25 მაისის<sup>53</sup> სხდომაზე. სხდომას ესწრებოდნენ: განათლების სახალხო კომისარი ამხ. ერმილე (ერიკი) ალექსის ძე ბედია /საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტურის განყოფილების გამგე/, გაბრიელ გოგუაძე (კოლეგიის მდივანი), ზუგდიდის განათლების განყოფილების გამგე, ამხ. შალვა ფაჟავა (ბრიგადის წევრი), განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, **ენათმეცნიერი** არნ. ჩიქობავა (ბრიგადის წევრი), **ენათმეცნიერები**: ვუკოლ ბერიძე, ვარლამ თოფურია, გიორგი ახვლედიანი; ასევე: ამხ. გვიჩია (ქართული ჯგუფის მასწავლებელი), ბერიძე, ამხ. ანჯაფარიძე (მეგრული ჯგუფის მასწავლებელი); განათლების განყოფილების გამგეები ხობის, ჩხოროწყუს, გალის რაიონებიდან და აფხაზეთიდან: ამხ. პერტაია, ამხ. ზამთარაია (გალის რაიონი), ამხ. დანელია (ხობის რაიონი), ამხ. ქაცარავა, ამხ. კარპუზ ბერიძე, ამხ. ისაკ ჟვანია... ჩვენთვის საინტერესოა ამ სხდომაზე გამოსული ვუკოლ ბერიძის, გიორგი ახვლედიანისა და არნ. ჩიქობავას მოსაზრებები მეგრულის სტატუსის შესახებ:

**ვუკოლ ბერიძე** (გვ. 29-30): არქივში არის დაცული (ცნობები), საიდანაც რუსი მოხელეები ამტკიცებენ, რომ მეგრულზე შესაძლებელი არის მწერლობა დაფუძნდეს, 1884 წელს ცირკულიარი არის გაგზავნილი იანოვსკის მიერ; მათი მიზანი იყო არა მეგრულის დამკვიდრება, არამედ ქართულის განდევნა სკოლებიდან: “მეგრელების ჩამოშორება, რომ ქართველების მთლიანი ოჯახი დასუსტებულიყო“... რაც შეეხება კითხვას: არის თუ არა მეგრული დამოუკიდებელი ენა? “არის მიდგომა **ლინგვისტიკური** და არის მიდგომა **საზოგადოებრივ პოლიტიკური** (ხაზი ჩვენია - ტ.ფ., მ.თ.)... უდიდესი მეცნიერი ნიკო მარი გარკვევით ლაპარაკობს: “მეგრული ლინგვისტურად ენაა, რომელიც საინტერესო მასალას იძლევა საერთო ქართუ-

<sup>52</sup> დოკუმენტი გამოქვეყნდება წიგნში, რომელიც ავტორთა ჯგუფის მიერ მზადდება გამოსაცემად.

<sup>53</sup> 27 მაისს ხელმოწერილი დასკვნა განიხილეს 25 მაისს? დასაზუსტებელია არქივის პირველ ან მეორე დოკუმენტის თარიღი.



ლის შესასწავლად, მაგრამ **საზოგადოებრივ კულტურულ-ისტორიულად იგი დიალექტია** (ხაზი ჩვენია - ტ.ფ. მ.თ.). საზოგადოებრივ-კულტურულად **მეგრელთა მშობლიური** სამრეწველო კულტურული **ენა** არის ქართული...“ (ხაზი ჩვენია - ტ.ფ., მ.თ.).

**გიორგი ახვლედიანი (გვ. 41):** “ენის ფსიქოლოგია ქართულსა და მეგრულს ერთი და იგივე აქვთ. ეს ის არის, რომ აზროვნების იარაღი ჩვენთვის და მეგრელებისათვის ერთი და იგივე არის ძირითადად. მაშასადამე, აზროვნების იარაღი არ მახინჯდება. მხოლოდ აქ არის ლექსიკის ამბავი: აქ კი დამახინჯება არის. მაშასადამე, კვადრატში აყვანილი დამახინჯების, რადგან /ენის/ სტრუქტურა ერთი და იგივე ყოფილა“.

**არნ. ჩიქობავა (გვ. 52):** “ქართული ენა მეგრელი ბავშვის კულტურული განვითარებისათვის არის ბუნებრივი იარაღი“.

სხდომას აჯამებს კოლეგიის თავმჯდომარე, განათლების სახალხო კომისარი ერმილე ბედია (გვ. 59): “ნუთუ ისეთი ბრმები ვართ, რომ არ დავინახოთ, რომ სამეგრელოს ახალგაზრდობის აღზრდა საშუალო, უმაღლესი უნდა მოხდეს ქართულ ენაზე. რა საჭიროა ნიკო მარის თეორია მეგრული დამოუკიდებელი ენის შესახებ?!“<sup>54</sup>

1932-33 წლებში შემუშავებული წარმოდგენილი თვალსაზრისი არნ ჩიქობავამ შემდგომ პერიოდში უფრო სრულყო; კერძოდ, გაითვალისწინა რა რეალური ისტორია, სტალინის **თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ**, მეგრელთა, ლაზთა, სვანთა ისტორიულ სამწიგნობრო ენად (დედაენად, ეროვნულ ენად) გამოაცხადა ქართული ენა. თუმცა, ბოლომდე ვერ შეეწინააღმდეგა რა ი. სტალინს, სვანური და ზანური (მეგრულ-ლაზური) ტომობრივ ენებად ჩათვალა, მაგრამ სტატუსით ისინი მაინც გაუთანაბრა ქართველთა სხვა დიალექტებს<sup>55</sup>; შდრ., ამ თემაზე

<sup>54</sup> კოლეგიაზე სიტყვით გამომსვლელების ტექსტები სრულად იხ. წიგნში, რომელიც ავტორთა ჯგუფის მიერ მზადდება გამოსაცემად.

<sup>55</sup> ბოლშევიკური დიქტატურის პერიოდში შეუძლებელი იყო, ვინმე რადიკალურად დაპირისპირებოდა ი. სტალინს. პეტრ ჭარაიასა და სილოვან ხუნდაძისაგან განსხვავებით, არნ. ჩიქობავამ (ასევე, აკ. შანიძემ, გ. ახვლედიანმა, ვ. თოფურია) უშალედური პოზიცია არჩიეს: არ უარყვეს უმწერლობა (ტომობრივი) ქართველური ენების სტალინური

სხვადასხვა დროს არნ. ჩიქობავას მიერ გამოთქმული თვალსაზრისები:

**არნ. ჩიქობავა, 1936 წელი** (ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 3): “ჭანური და მეგრული ორივე კილოა ერთი ენისა, რომელიც ქართველურ ენათა ჯგუფის მესამე წევრს წარმოადგენს; ცალკე ენებად ჭანურსა და მეგრულს ისევე ვერ მივიჩნევთ, როგორც ხევსურულსა და გურულს; ეს უკანასკნელნი, როგორც ცნობილია, ქართული ენის კილოებს წარმოადგენენ; ფონეტიკურად, მორფოლოგიურად და სინტაქსურად, ლექსიკითაც კი, ჭანური და მეგრული, როგორც ქვევით დავინახავთ, უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, ვინემ გურული და ხევსურული; ხევსურული და გურული კილოებია ქართული ენისა; ჭანურიცა და მეგრულიც კილოებია, ოღონდ ქართული ენისა კი არა, არამედ ცალკე ენისა, რომელიც ქართულთან გაცილებით უფრო ახლოსა დგას, ვინემ სვანური. **ამ ენას ბ ი რ ო ბ ი თ ზანურს ვუწოდებთ**”.

**არნ. ჩიქობავა, 1938 წელი** (ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. XII): “**ზანური (ჭანურ-მეგრული) მიჩნეულია ქართულის** (ზუსტად რომ ვთქვათ, იმ ენისა, რომლის გაგრძელებასაც ისტორიულად ცნობილი ქართული წარმოადგენს) **დიფერენციაციის შედეგად** (და არა დიფუზური ბგერების მქონე რალაც X-მეტყველების დიფერენციაციის შედეგად); **ამ ქართულს ჩამოყალიბებული სახით უკვე გააჩნდა ყველა ის ფონება, რაც მასში დღეს მოგვეპოვება (რ, ჰ და ს-ს გარდა)**”.

**არნ. ჩიქობავა, 1952 წელი** (“ენათმეცნიერების შესავალი“): “ქართული სალიტერატურო ენა ყველა ქართველი ტომის მწიგნობრობის ენა იყო ისტორიულად და არის ამჟამადაც, ქართლელი და აჭარელი, კახელი და იმერელი, თუში და მეგრელი, ხევსური და აფხაზი, ფშაველი და სვანი, ინგილო და ლაზი... ამ ენაზე სწავლობს სკოლაში, ამ ენას იყენებს კულტურული წინსვლის იარაღად. ასეა ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს; ასე იყო ეს მრავალი საუკუნის მანძილზე: არც აფხაზებს, არც სვანებს, არც მეგრელებსა და არც ჭანებს (ლაზებს), სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ. მეფის მთავრობის ცდა (მეცხრამეტე

იდეა, მაგრამ უარყვეს მეგრულის, როგორც ტომობრივი (უმწერლობო) ენის, არსებობა.

საუკუნის მეოთხედი (წლებში) მეგრულად შემოედო სწავლა სამეგრელოს სკოლებში და მით ქართული ენა სამეგრელოს სკოლებიდან განედგნა, მარცხით დამთავრდა: თუ **დედა-ენას** ასწავლიდნენ ქართველ ბავშვს სკოლაში, **ეს ენა ქართული იყო ყველა ქართველი ტომისათვის** (არნ. ჩიქობავა, 1952, 363).

**არნ. ჩიქობავა, 1958 წელი** (გაზეთი “კომუნისტი“, 1958: 3): **ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ, იგი კუთვნილებაა მთელი ქართველობისა, - იქნება ეს ქართველი - ხევსური თუ სვანი, კახელი თუ მეგრელი, ქართლელი თუ აჭარელი... თვით დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოშიც კი სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ არც მეგრელებსა და არც სვანებს. ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთი ეროვნული ენაა მთელი ქართველობისათვის; ასე იყო წარსულში და მით უფრო ასეა ახლა, როცა საბჭოთა საქართველოში სოციალისტურ ქართველ ერში შედუღაბებულია როგორც ქართველობის განუყრელი ორგანული ნაწილი, მეგრელი, ჭანი და სვანი ისევე, როგორც ქართლელი, კახელი, აჭარელი, თუში... დიდმა ქართველმა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა დედა-ენა უწოდა იმ წიგნს, რომელსაც ყოველი კუთხის ქართველი ბავშვი, სვანი ისევე, როგორც ფშაველი, მეგრელი ისევე, როგორც აჭარელი, ქართლელი და კახელი... იღებს პირველად ხელში, რომ ერთიან ნაციონალურ ქართულ ენას დაეუფლოს, დაეუფლოს იმ ენას, რომლითაც ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ შექმნეს ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ნიმუშები, იმ ენას, რომელიც განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა საბჭოთა დროის სახელოვანი ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების შემოქმედების წყალობით“.**

**არნ. ჩიქობავა, 1969 წელი** (გაზეთი “სამშობლო“, 1969: 4): “კუთხური კილოკავების მთელი წყება გვაქვს, სალიტერატურო ქართული ენა კი ერთია ყველა კილოკავზე მოუბართათვის, ერთობლივ ყველა კუთხის ქართველთათვის. ქართლელი იქნება იგი, აჭარელი, ფშაველი თუ სვანი, ხევსური თუ მეგრელი. ეს ერთი სალიტერატურო ქართული ენა ქართველობის **ეროვნული ენაა**, სკოლისა და სასამართლოს ენა, თეატრისა და რადიოგადაცემათა ენა, იგი საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ენას წარმოადგენს“...

**სრული საფუძველი გვაქვს ყოველივე ზემოთქმული ასე შევაჯამოთ:**

ი. სტალინის (და ნიკო მარის) თავდაპირველ “სოციოლინგვისტურ” “თეზისს“, რომლის მიხედვითაც საბჭოთა იმპერიის ენობრივი პოლიტიკა იგეგმებოდა 1913-1932 წლებში (და რომელიც ენობრივ-ეთნიკურად ანაწევრებდა ქართველ ერს), იმთავითვე შეეწინააღმდეგნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები (კონსტანტინე გამსახურდია, თედო სახოკია...), ბოლშევიკთა ერთი ნაწილი და ქართველი ენათმეცნიერები: სილოვან ხუნდაძე, არნოლდ ჩიქობავა, ვუკოლ ბერიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია... თუმცა, მათ შორისაც შეინიშნებოდა გარკვეული სხვაობა; კერძოდ, **ალექსანდრე გეგეჭკორი და სილოვან ხუნდაძე უკომპრომისოდ დაუპირისპირდნენ ი. სტალინის მიდგომას**, რაც საბოლოო ჯამში მათი სრული იგნორირებით დასრულდა (შემთხვევითი დამთხვევა: ორივე გარდაიცვალა 1928 წელს)<sup>56</sup>.

იმხანად უფრო პრაგმატული აღმოჩნდა არნ. ჩიქობავას, გ. ახვლედიანის, ვ. ბერიძის და სხვა ლინგვისტების **გარკვეულ-წილად კომპრომისული თვალსაზრისი**; კერძოდ, მათ არ გაიზიარეს იოსებ სტალინის (და ნიკო მარის!) ე.წ. ოთხი ქართველური ენის თეორია და ხელი შეუშალეს სამეგრელოსა და სვანეთში ქართული ენის, როგორც ისტორიული დედაენის, ჩანაცვლებას ადგილობრივი კუთხური მეტყველებებით. ამ მიმართულებით ლიდერად ჩანს არნ. ჩიქობავა. ზოგადად თუ ვიტყვი, ი. სტალინის რეპრესიული რეჟიმის პირობებში ი. სტალინის ენობრივი პოლიტიკის უარყოფა ენათმეცნიერის მიერ **სამოქალაქო გმირობის** ტოლფასი იყო.

<sup>56</sup> ტ. ფუტყარაძე, სილოვან ხუნდაძისა და აკაკი შანიძის პოლემიკა ქართველური ენობრივი ერთეულების კვალიფიკაციის შესახებ; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იოსებ ოცხელის სახელობის №2 საჯარო სკოლის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, მიქაელენა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, პირველი ქართული გიმნაზიის /იოსებ ოცხელის სახელობის №2 საჯარო სკოლის/ ერთ-ერთი დამფუძნებლის - სილოვან ხუნდაძის დაბადებიდან 156-ე წლისთავს. ქუთაისი, 16 აპრილი, 2016 წ.; ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, სილოვან ხუნდაძის “ქართულ გრამატიკაში” მეტანილი მეგრულ-სვანური მასალის შესახებ ქართველური მემკვიდრეობა, XX, 2016.

ფრიად ფასეულია, ასევე, მეგრულის სტატუსის შესახებ გამოთქმული ვუკოლ ბერიძისა და გიორგი ახვლედიანის **კომპრომისული** თვალსაზრისი: **“საზოგადოებრივ კულტურულ-ისტორიულად მეგრული დიალექტია, საზოგადოებრივ-კულტურულად მეგრელთა მშობლიური სამრეწველო კულტურული ენა არის ქართული...”** (ვ. ბერიძე); **“ენის ფსიქოლოგია ქართულსა და მეგრულს ერთი და იგივე აქვთ; ეს ის არის, რომ აზროვნების იარაღი ჩვენთვის და მეგრელებისათვის ერთი და იგივე არის ძირითადად (გ. ახვლედიანი).**

**რაში მდგომარეობდა არნ. ჩიქობავას, ვ. ბერიძის, გ. ახვლედიანის კომპრომისი?**

1913 წელს დაწერილ წიგნში: **“მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი”** ი. სტალინი წერდა, რომ მეგრელთა დედაენა არის **“დაგვიანებული ერის”** უმწერლობო ენა (!).

**შდრ. სილოვან ხუნდაძის საპირისპირო პოზიცია:** **“მეგრული არის ქართული ენის დიალექტი (მაშინ ეს თვალსაზრისი ბუნებრივი იყო ქართველი მოღვაწეებისთვისაც)”<sup>57</sup>.**

**შდრ. კომპრომისული პოზიცია:** მეგრელების დედაენა არის ისტორიული ქართული სამწიგნობრო ენა, ხოლო მეგრული არ არის დამოუკიდებელი ენა; იგი არის უმწერლობო ზანური ენის (და არა - ქართული ენის) დიალექტი. **ეს მოსაზრება ჩამოაყალიბეს არნ. ჩიქობავამ და 1933 წლის განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომის მონაწილე სხვა ლინგვისტებმა.**

შემდგომში არნ. ჩიქობავა უფრო ვრცლად მსჯელობს ამ მიმართულებით; კერძოდ, არნ. ჩიქობავას აზრით, მეგრელი, საქართველოს სხვა კუთხეების ქართველთა მსგავსად, დიდი სამწიგნობრო კულტურის პატრონია (არ არის უმწერლობო ჩამორჩენილი ერი); მეგრელის ეროვნული ენა არის ქართული ენა; საკუთრივ მეგრული კი არის **ქართული ენისგან წარმოქმნილი**

<sup>57</sup> **სილოვან ხუნდაძე** (**“ქართული გრამატიკა”, 1917, გვ. 20**): **“ქართული ენის კილოკავებია - სვანური, მეგრული, ლაზური, ინგილოური, ფშაური, თუშური, ხევსურული და სხვ. საქართველოს ყოველის განსაკუთრებული კუთხის ენას თავისი განსხვავებული გამოთქმა და ფორმები აქვს, მაგრამ ყველა კუთხეს ერთმანეთის საუბარი კარგათ ესმის. მხოლოდ სვანური და მეგრული ენა (და ამ უკანასკნელის მახლობელი დიალექტი ლაზური) დედა-ქართულისაგან განსაკუთრებით განსხვავებულ სახეს წარმოადგენს”.**

ტომობრივი ზანური ენის დიალექტი<sup>58</sup>. “დიფერენციაციის პროცესში ზანური (რომლის ერთ-ერთ კილოს მეგრული წარმოადგენს) იმდენად დაშორდა ქართულს, რომ ქართულის კილოდ მისი მიჩნევა შეუძლებელია“ (არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 6).

**არც ამ ნაშრომში და არც სხვაგან არნ. ჩიქობავას არ წარმოუდგენია პროცენტული ზღვარი, თუ ქართული ენის დიფერენციაციის რომელი ეტაპიდან იქცა ზანური “ტომობრივ ენად“.** ასეთი ზღვრის დადგება შეუძლებელიცაა, რამდენადაც მეტყველების დიალექტად თუ ენად კვალიფიცირებას განაპირობებს არა ფონეტიკა-მორფოლოგია-ლექსიკაში წარმოქმნილი სხვაობები, არამედ **მოცემული საზოგადოების სამწიგნობრო ენის ისტორია და ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმა** (სოციოლინგვისტური კრიტერიუმი); შდრ.: არნ. ჩიქობავაც, ვუკოლ ბერიძეც, გიორგი ახვლედიანიც და უფრო ახალი თაობის მეცნიერებიც<sup>59</sup> “საზოგადოებრივ-კულტურულად“ ანუ სოციოლინგვისტურად **მეგრულს მიიჩნევენ ქართული ენის დიალექტად**<sup>60</sup>; შესაბამისად, ქართული “ეროვნული ენის“ პარალელურად არნ. ჩიქობავას მიერ ზანურის/სვანურის “ტომობრივ ენად“ გამოცხადება **შეიძლება აიხსნას მხოლოდ ი. სტალინისადმი კომპრომისით და არა - მეცნიერული საფუძვლით.**

<sup>58</sup> არნ. ჩიქობავა. 1952, გვ. 99-101: “ტომობრივი ენების ნიმუშად ჩვენი სინამდვილიდან შეიძლება დავასახელოთ ქართველ ტომთა ენები: სვანური, ზანური (მეგრულ-ჭანური)... ტომობრივი ენებია, აგრეთვე დადესტნის ენები: აღულური, წახურული, რუთულური, ანდიური, დილოური.

<sup>59</sup> იხ., ქვემოთ.

<sup>60</sup> უმწერლობო ენისა და კილოს (დიალექტის) სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შესახებ დისკუსიისათვის იხ.: ტ. ფუტყარაძე, საერთოეროვნული სალიტერატურო ენისა და საშინაო სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მიხედვით, XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ზუგდიდი, 2000; კ. გაბუნია, ქართველური ენების საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური კრიტერიუმების გამიჯვნისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, №1, 2004; ტ. ფუტყარაძე, ენისა და კილოს გასამიჯნი კრიტერიუმები და ქართველური იდიომთა კვალიფიკაციის პოლიტიზების რეტროსპექტივა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. VII, თბილისი, გამომცემლობა “ქართული უნივერსიტეტი“, 2016...

**ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარაა, ბოლშევიკების პერიოდშიც მეგრული “ენის“ (და სამეგრელოს ავტონომიის) საკითხი წამოიჭრა არა სამეგრელოში, არამედ - რუსეთის იმპერიის ცენტრში, ამჯერად უკვე ი. სტალინის კონცეფციის მიხედვით. შესაბამისად, უსაფუძვლოა ე.წ. მეგრულ “სეპარატიზმზე“ საუბარი; უფრო ლოგიკურია, ვისაუბროთ კოლაბორაციონისტ პირებსა თუ მცირე ჯგუფებზე, რომელთა ანტიქართული მიმართულებით აქტიურობა პროვოცირებული იყო იმპერიული ცენტრიდან (ასეთი სუბიექტები ყველა კუთხეში და ყველა დროში შეიძლება არსებობდნენ)<sup>61</sup>.**

**ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების რუსული გეგმა დღესაც აქტუალურია; მაგ., 2002 და 2010 წლების რუსეთის მოსახლეობის აღწერების დოკუმენტებში სხვადასხვა ეროვნებებადაა ჩათვლილი: ქართველი, მეგრელი, სვანი, აჭარელი<sup>62</sup> ... საბჭოთა ინერციითა თუ მიზანმიმართულად, ქართველები ოთხი თუ სამი ენის მიხედვით არიან დაყოფილი უცხო-**

<sup>61</sup> მეფის რუსეთის დროინდელ პროცესზე, ასევე, სტ. გაგუას, ბ. დადიანისა და გრ. ახალაიას ჯგუფების ქმედების შესახებ სწორი დასკვნა აქვთ გაკეთებული ვ. გვარამიასა და გ. ციციშვილს: “1922 წელს ს. ორჯონიკიძე ამბობს: “პოლიტიკა იქმნება არა აქ და არა - ჩვენს მიერ, არამედ მოსკოვში; ამის გათვალისწინებით გასაგები ხდება, რომ “მეგრული საკითხიც“ პრინციპში მოსკოვის დონეზე წყდებოდა“ (ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 97); თუმცა, იგივე ავტორები ამართლებენ ისაკ ჟვანიას, მეტიც, ისაკ ჟვანიას “ეროვნული“ მოღვაწეობის დასაბუთებას დასახელებული სქელტანიანი წიგნიც კი მიუძღვნეს.

<sup>62</sup> ტ. ფუტკარაძე, 2002 და 2010 წლების საერთო-სახალხო აღწერები რუსეთში და ქართველთა იდენტობის საკითხები; ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 14-17 ივნისი, 2010; ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართველთა ენობრივ-ეთნიკური აღწერა “მსოფლიოს ენათა რეესტრის“ (inguarium.iling-ran.ru) მიხედვით და არსებული სინამდვილე, საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა), ბათუმი, 2009. წაკითხულ იქნა მოხსენებად სამეცნიერო კონფერენციაზე: “საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა)“, ბათუმი, 2008 წ., 14-15 ნოემბერი. <http://www.scribd.com/doc/14098229/Putkaradze-Msoflios-Ena-Ta-Reestri-Da-Sakartvelo> მსჯელობისათვის იხ. ქვემოთ.

ელ თუ ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერაც<sup>63</sup>; კერძოდ, ზოგი ამჟამინდელი უცხოელი თუ ქართველი ექსპერტის მიერ ქართველურ ქვესისტემათა ნაწილი დღესაც იწოდება: “უმწერლობო ენად“, “ტომობრივ ენად“, “განვითარებად ენად“ თუ “აღორძინებად ენად“<sup>64</sup>. არადა, დღეს ყველამ კარგად იცის, რომ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში “ტომი“ ველურ საზოგადოებას ნიშნავს; ასევე, ნამდვილად სახარბიელო სტატუსი არ არის: “უმწერლობო ენა“, “აღორძინებადი ენა“, “არასამწერლობო ენა“, “ტომობრივი ენა“ ... შდრ., მაგ., **ერთი ციტატა ა.ონიანის ერთ-ერთი ბოლო ნაშრომიდან:**

“ქართულთან, მეგრულთან და ლაზურთან ერთად სვანური არის ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრი. ქართველურ ენებზე, ბევრი სხვა მონათესავე ენათა ჯგუფისაგან განსხვავებით, არ წარმოქმნილა სხვადასხვა ეროვნული კულტურა (მეცნიერება, ხელოვნება)... ქართული იყო მთელი ქართველი ხალხის **ბუნებრივი (და არა - თავსმოხვეული)** საერთო-სახალხო ეროვნული ენა, მეცნიერების, კულტურის ენა და ერთადერთი სალიტერატურო ენა. ეს არის ის დიდი ტვირთი, რაც **ისტორიამ ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართულს დააკისრა** და რის გამოც ის არის სწორედ სრულიად საქართველოს საერთო-სახალხო ეროვნული ენა და ქართველი ხალხის ერთიანობის ბურჯი. დანარჩენი ქართველური ენები კი, რომლებიც ლინგვისტური თვალსაზრისით ჩვეულებრივი ენებია, ფუნქციონალურად (საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით) **ქართული ენის დიალექტებს უტოლდებიან.** ნათქვამიდან ჩანს, რომ სვანური (მეგრულისა და ლაზურის მსგავსად) **უმწერლობო ენაა**“ (ა. ონიანი, 1998, გვ. 3-4).

**ჩვენი კომენტარი:**

ლინგვისტური თვალსაზრისით, **ბუნებრივ ენად შეიძლება კვალიფიცირდეს აღქმადი ბგერითი ნიშნების ყველა სისტემა**, რომლებიც გამოიყენება კომუნიკაციის საშუალებად. მსოფლიოში

<sup>63</sup> თანამედროვე რეალობაში. როცა აღარ არის ი. სტალინის რეჟიმის მსგავსი ზეწოლა, “გაუგებარია“ ი. სტალინის **მეცნიერულად დაუსაბუთებელი** თვალსაზრისის გაზიარების მოტივი.

<sup>64</sup> იხ., მაგ.: [http://www.ethnologue.com/show\\_country.asp?name=GE](http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE) სადაც ქართველური ქვესისტემების მიმართ იგივე კვალიფიკაციაა ამ წერილის გამოქვეყნების პერიოდშიც (დამოწმებულია 02.12. 2017).



არსებული ენების/კილოების სახელების პრინციპებიდან გამომდინარე, მეტყველების ენად თუ კილოდ კვალიფიცირება ხდება მხოლოდ “საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით“.

შდრ., ასევე:

**აკადემიური დოქტორი ნაზი მიქელაძე:**

“ტომობრივი ენები ამჟამადაც არსებობენ, მაგალითად, ტომის ენებია: ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები ინდიელების ენა (მაია-ენა, აცტეკური და ირეკოზული ენები და სხვა). ჩვენი ენებიდან ტომის ენას წარმოადგენს: მეგრული, ჭანური (ანუ ლაზური) და სვანური. სხვა ტომობრივი ენებია მაგალითად: დაღესტნური ენები: დიდოური, ნახურული, რუთულური და სხვა“<sup>65</sup>.

მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურის შემქმნელი სამეგრელოს მკვიდრების გამოცხადება უმწიგნობრო ტომებად, სამეგრელოს მკვიდრი ქართველების (მეგრელების) კუთხური მეტყველების - ქართული ენის კუთხური სახესხვაობის - გამოცხადება ტომის ენად (ტომობრივ ენად)<sup>66</sup> რომ დიდი შეცდომაა, ვფიქრობთ, **ეველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელია.**

იხ., ასევე:

**აკადემიური დოქტორის რუსუდან გერსამიას ციტატა:**

“ელექტრონული ბაზები უმწერლობა ქართველური ენებისთვის დღემდე არ არსებობს. ჩვენთან ციფრულმა ჰუმანიტარიამ ახლახან აიღვა ფეხი, უკვე შექმნილია რამდენიმე კორპუსი ქართული ენისთვის, ქართული ენის დიალექტებისთვის და

<sup>65</sup> <http://batumelebi.netgazeti.ge/news/5599> (დამოწმებულია: 11.04.2018)

<sup>66</sup> ტომობრივი ენა - tribal language; Indigenous language - An indigenous language or autochthonous language is a language that is native to a region and spoken by indigenous people, often reduced to the status of a minority language. This language would be from a linguistically distinct community that has been settled in the area for many generations. Indigenous languages are not necessarily national languages, and the reverse is also true. [https://en.wikipedia.org/wiki/Indigenous\\_language](https://en.wikipedia.org/wiki/Indigenous_language).

племенной язык - Бесписьменный диалект, форма существования языка в первобытно-общинную эпоху, когда границы лингвистической и этнической группы совпадали <https://www.psyoffice.ru/5-sociolinguistics-518.htm>

ჩვენი კოლეგები დღესაც აგრძელებენ მუშაობას. თუმცა სხვა ქართველური ენებისთვის ჯერ ამგვარი ბაზები არ ჩანს“<sup>67</sup>.

**ამ შემთხვევაშიც მოკლე კომენტარით შემოვიფარგლებით:**

საერთაშორისო სამეცნიერო ველში საქართველოს (/სამეგრელოს) მკვიდრისაგან იმის მტკიცება, რომ მეგრელებს, ლაზებს (თუნდაც საქართველოში მცხოვრებ ლაზებს!), სვანებს დედაენებზე მწიგნობრობა არა აქვთ, საფრთხის ქვეშ მყოფი “უმწერლობო ენების“ გადარჩენის საბაბით **ევროპული გრანტის** მიღების სურვილს უფრო ჰგავს.

**წინააღმდეგობრივია, თუმცა გარკვეულწილად საინტერესოა პროფ. კახა გაბუნიას შემდეგი მსჯელობა:**

“ვეიქრობთ, სრულიად მართებულია მოსაზრება, რომელიც ბ. ჯორბენაძის მიერ არის ფორმულირებული: “ენათმეცნიერული (დავაზუსტებთ - საკუთრივ ლინგვისტური) თვალსაზრისით მეგრულ-სვანური და სვანური ქართულის მოძმე ენებია, მაგრამ ეთნიკურ-პოლიტიკური (აქაც დავაზუსტებთ - სოციოლინგვისტური) <sup>68</sup> თვალსაზრისით, მათ იგივე სტატუსი აქვთ, რაც დიალექტებს (ჯორბენაძე, 1989, გვ. 36). საინტერესოა ეს საკითხი თვითინდეფიკაციის თვალსაზრისით: ენაა თუ დიალექტი მეგრულ-ლაზური და სვანური? - ეს იყო რესპონდენტებისთვის დასმული ერთ-ერთი კითხვა ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩაწერისას. თუმცა, ცხადია, ამ საუბრის მიზანი არ ყოფილა და ვერც იქნებოდა საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა და სათანადო არგუმენტაციების მოთხოვნა-წარმოდგენა. საინტერესოა იყო უბრალო ადამიანების (რომელთაც ენათმეცნიერებასთან არაფერი აკავშირებთ) დამოკიდებულება მეგრულ-ლაზურთან და სვანურთან, მის როლთან დაკავშირებით. რესპონდენტებისთვის მეგრულ-ლაზური და სვანური,

<sup>67</sup> <https://sputnik-georgia.com/people/20180323/239777724/qartuli-ena-rusudangersamia.html>

ბუდაპეშტის კონფერენცია: მე-18 საერთაშორისო მორფოლოგიური შეხვედრა (18th International Morphology Meeting).

<sup>68</sup> ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისის დაზუსტებები ეკუთვნის კახა გაბუნიას.

ჩვეულებრივ, **კუთხურ-ტომობრივი ენა** (ხაზი ჩვენია - ტ.ფ., მ. თ.) ან **ქართული ენის დიალექტია**<sup>69</sup>.

თანამედროვე რეალობაში მეგრულ-ლაზ-სვანთა დედაენის აღსანიშნავად საკამათოა ტერმინი: “კუთხურ-ტომობრივი ენა“. ამ ავტორთანაც ხელოვნურია “ენათმეცნიერებისა“ და “სოციოლინგვისტიკის“ გამიჯვნა, რადგანაც **სოციოლინგვისტიკა ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგია!**

უფრო არსებითია ის, რომ მსოფლიოში არსებული უკლებლივ ყველა ცივილიზებული ხალხის ენის სტატუსი დადგენილია არა **ე.წ. ლინგვისტური, ანუ შიდასტრუქტურული** (ბგერათმესატყვისობა, ენობრივი სტრუქტურების მსგავსება-განსხვავება)<sup>70</sup>, არამედ სწორედ **სოციოლინგვისტური** კრიტერიუმებით (დამწერლობის ქონა-არქონა, სტანდარტულობა, პრესტიჟულობა, სახელმწიფო ენის სტატუსი; რეესტრული კრიტერიუმი, თვითშეფასებითი კრიტერიუმი; ასევე, იდიომის კვალიფიკაცია მოცემული ეთნოსის სამწიგნობრო კულტურის ისტორიის გათვალისწინებით); ზოგჯერ მეტყველების სტატუსი განსაზღვრულია **ექსტრალინგვისტური მიდგომებითაც** - რელიგიური ან პოლიტიკური ნიშნით)<sup>71</sup> ;

<sup>69</sup> კ. გაბუნია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში International Journal of Multilingual Education (IJME საერთაშორისო ჟურნალი, მულტილინგვური განათლებისთვის, № 3, 2014, გვ. 45-69 [http://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles\\_contents/141215024122.pdf](http://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles_contents/141215024122.pdf) <http://www.multilingualeducation.org/>

<sup>70</sup> ბგერათმესატყვისობა გამოიყენება ენათა ნათესაობის დასადგენად და არა - ენათ/კილოთა სტატუსის განსაზღვრავად. უმწერლობა ენისა და დიალექტის გამიჯნავი კრიტერიუმების შესახებ ვრცლად იხ.: **ტ. ფუტყარაძე, ენისა და კილოს გასამიჯნი კრიტერიუმები და ქართველურ იდიომთა კვალიფიკაციის პოლიტიზების რეტროსპექტივა**, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, VII, თბ., 2017 გვ.115-134.

<sup>71</sup> ექსტრალინგვისტურია “გაგებინების“ კრიტერიუმიც, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მონათესავე საზოგადოებებს არ გააჩნიათ არც წინაპრებისგან შექმნილი საერთო მწიგნობრობა და არც კოინე; როცა არ არსებობს ეროვნული მეობის ჩამომძერწავი, გამაერთიანებელი ენობრივ-კულტურული სისტემა, მაგრამ ველურ ტომებს აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ტომობრივი იდენტობა. ასეთ შემთხვევაში მათი უმწერლობა კონტინუუმები დამოუკიდებელ ენებად შეიძლება იქნენ მიჩნეული.

**შესაბამისად, 1933 წლის დისკუსიის მონაწილე არნ. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე და დისკუსიაში გვიან ჩართული: ა. ონიანიც და კ. გაბუნიაც მეგრულს (სვანურს, ლაზურს) ქართული ენის დიალექტად თვლიან.**

საკამათოა, ასევე, პროფ. რამაზ ქურდაძის ხელმძღვანელობით გამოქვეყნებული “ხუთენოვანი ლექსიკონის“ კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, ქართულთან მიმართებით ინგლისურის გვერდით დამოუკიდებელ “ენებად“ განიხილება: მეგრული, ლაზური, სვანური. “მონათესავე ენად“ სახელდება ბევრს არაფერს ცვლის, რამდენადაც რ. ქურდაძე ხაზგასმით ამბობს, რომ ხუთენოვანი ლექსიკონის შექმნის იდეა გაუჩნდა “ინგლისურ-ფრანგულ-ესპანური ლექსიკონის“ ნახვის შემდეგ<sup>72</sup>: **დასახელებული ინდოევროპული ენები სხვადასხვა ერების დამოუკიდებელი ენებია.**

შდრ., ერთი ციტატა ე.წ. ხუთენოვანი ლექსიკონიდან:

“ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონის გამოცემა უმთავრესად ორი თვალსაზრისით არის აქტუალური: ერთი, ის წარმოაჩენს ქართველური ტომების ენობრივი ერთიანობასიანგლოვის სურათს, მეორე მხრივ, აქ ჩანს არამონათესავე ენების (კერძოდ, რუსულის, ბერძნულისა და თურქულის) გავლენის კვალი. ორივე ფენომენი საინტერესო მასალას იძლევა შემდგომი კვლევა-ძიებისთვის. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა წარმოაჩენს სამხრეთკავკასიური მონათესავე ენების: ქართულის, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის თანამედროვე ენობრივ მდგომარეობას, კერძოდ, ლექსიკურ ვითარებას. ფაქტობრივად, ეს კიდევ ერთი საინტერესო გზაა **უმწერლობო ქართველური ენების** (ხაზი ჩვე-

<sup>72</sup> რ. ქურდაძე: “ხუთენოვანი ლექსიკონის იდეა გაჩნდა ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე სეირნობის დროს, როდესაც ბუკინისტურ მაღაზიაში ვნახე ინგლისურ-ფრანგულ-ესპანური ლექსიკონი... ეს იდეა გავაცანი ბატონ გუნტერს...” რამაზ ქურდაძის გამოსვლის სრული ტექსტი იხ.: <https://www.youtube.com/watch?v=chSKfvqWc1k> (დამოწმებულია 1917 წლის 22 დეკემბერს). იხ. აგრეთვე, მ. თანდაშვილის გამოსვლის ტექსტი: [https://www.youtube.com/watch?v=HBIdCz\\_f5B8](https://www.youtube.com/watch?v=HBIdCz_f5B8) (ეხება “დამწერლობის არმქონე ქართველური ენების“ აღნიშნულ ხუთენოვან ლექსიკონს. მისი გამოცემა განხორციელდა სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით <https://edu.aris.ge/news/tsu-shi-xutenovani-qartul-megrul-lazur-svanur-inglisuri-leqsikonis-prezentacia-gaimarta.html> (მასალები დამოწმებულია 1917 წლის 22 დეკემბერს)

ნია - ტ.ფ., მ.თ) ლექსიკის არა მარტო შესწავლის, არამედ მოხ-მარების გააქტიურებისათვისაც, რაც გარკვეულ შემთხვევებში თავიდან აგვაცილებს ამა თუ იმ ძირძველი ქართველური ლექსემის დავიწყებასა და გაუჩინარებას<sup>73</sup>.

კომენტარის ნაცვლად, ამ შემთხვევაში დავიმოწმებთ **პროფ. ალექსი ჟორდანიას რიტორიკულ კითხვას:**

“რატომ უნდა გამოვაცხადოთ მეგრელები, ლაზები თუ სვანები უმწიგნობრო საზოგადოებებად? მით უმეტეს, ყველა მეგრელი, სვანი თუ ტაოელი მრავალი საუკუნის მანძილზე ქმნიდა საერთოეროვნულ სალიტერატურო ენას?!<sup>74</sup>

**ჩვენი მსჯელობა ასე შეიძლება შევაჯამოთ:**

დაპყრობილ ტერიტორიებზე “გათიშე და იბატონეს“ პრინციპით მოქმედი მეფის რუსეთი ცდილობდა, ქართველთა ერთი ნაწილისათვის (მეგრელების, სვანების, ლაზებისათვის...)

**ღვთისმსახურებისა** და განათლების ენად, მრავალსაუკუნოვანი ქართულის ნაცვლად, ჯერ კუთხური დიალექტი შეეთავაზებინა, შემდეგ კი რუსული ენა დაემკვიდრებინა. ცხადია, **ბოლშევიკებს ღვთისმსახურების ენა არ აინტერესებდათ**, თუმცა ქართველი ერის დასანაწევრებლად იგივე პოლიტიკა გააგრძელეს განათლებისა და კულტურის სფეროში. ამ მიზნით შეეცადნენ, ქართული ენა შეეცვალათ, ერთი მხრივ, რუსულით (რევოლუციის ენით), მეორე მხრივ კი - ადგილობრივი დიალექტებით: ბოლშევიკებმა ქართველური დიალექტები “განუვითარებელ ენებად“ - “უმწიგნობრო ენებად“, მათი მფლობელები კი უკულტურო “ხალხებად“ გამოაცხადეს; პარალელურად შეეცადნენ ახალი სალიტერატურო ენების შექმნით მრავალსაუკუნოვანი ცივილიზა-

<sup>73</sup> რამაზ ქურდაძე, დოდო შონია, ლილე თანდილავა, ლელა ნიჟარაძე, ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი

[http://unicumfiles.vible.solutions/tmp/10903\\_20171128195045.pdf](http://unicumfiles.vible.solutions/tmp/10903_20171128195045.pdf). იხ. ასევე:

[http://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles\\_contents/160128041403.pdf](http://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles_contents/160128041403.pdf).

რ. ქურდაძე: “ქართველური ტომებისათვის სწავლა-განათლებისა და წირვა-ლოცვის ენა ქართულია, რომელსაც 16-საუკუნოვანი ისტორია აქვს“... **ვფიქრობთ, 16-საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე საზოგადოება ტომებად ნამდვილად არ უნდა კვალიფიცირდეს.**

<sup>74</sup> ალექსი ჟორდანია, დიგლოსის ზოგიერთი ასპექტი არაბულში, ქართულსა და გერმანულში, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, ტ. I, 2012, გვ. 172-189.

ციის მქონე ქართველების ამ ნაწილის “კულტურულ ხალხებად“ ქცევას. ამ მიზნით 1922 წლიდანვე სამეგრელოში გაააქტიურეს რამდენიმე ჯგუფი, რომელთაც თავდაპირველად ი. სტალინის მხარდაჭერა ჰქონდათ. მათ დაუპირისპირდნენ საქართველოს (სამეგრელოს) ღირსეული შვილები. დისკუსია მიმდინარეობდა 1922-1932 წლებში; გამოიკვეთა ორი ძირითადი მიდგომა:

1. **ქართველთა ენობრივ-კულტურული დანაწევრების გზა:** სამეგრელოში, ლაზეთსა და სვანეთში დაწყებით საფეხურზე, ქართული ენის ნაცვლად ადგილობრივი “ენით“ სწავლება; ადგილობრივი “ენით“ გაზეთების გამოცემაც და საქმისწარმოებაც... საბოლოო ჯამში, საკუთარი ისტორიული სამწიგნობრო კულტურის გაუცხოება ქართველთა დიდი ნაწილისათვის;

2. **ქართველთა ისტორიული ენობრივი ერთიანობის შენარჩუნების გზა:** ტრადიციის შესაბამისად, სამეგრელოს (სვანეთის, ლაზეთის) სკოლების დაწყებით საფეხურზეც ქართული ენით სწავლება და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი დიალექტების გამოყენება დამხმარე საშუალებად; მთლიანობაში, ისტორიული სამწიგნობრო კულტურის დაცვით ქართველი ერის ერთიანობის შენარჩუნება.

ათწლიანი ფართომასშტაბიანი დისკუსია დასრულდა 1932-33 წლებში არნ. ჩიქობავასა და სხვა ენათმეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული დასკვნით, რომლებიც ლ. ბერიას მხარდაჭერით არსებით საკითხში ი. სტალინს დაუპირისპირდნენ; კერძოდ, ნაშრომში, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, დეტალურადაა განალიზებული “მეგრულენოვანი“ (ასევე, “სვანურენოვანი“) სკოლების მიზანშეუწონლობის შესახებ 1933 წლის საქართველოს კომუნისტური მთავრობის შესაბამისი სტრუქტურის საგანგებო კომისიის დასკვნის მომზადების პროცესიც და არნ. ჩიქობავას კომპრომისული პოზიციის არსიც.

სტატიაში, ასევე, დოკუმენტური მასალის საფუძველზეა წარმოდგენილი ქართველური იდიომების სტატუსის შესახებ დღეს მიმდინარე დისკუსია, რომელიც ფაქტობრივად, აგრძელებს გასული საუკუნის 30-იანი წლების დისკუსიას; კერძოდ:

- რამდენადაც საერთაშორისო ფონდები დაინტერესებული არიან **საფრთხის ქვეშ მყოფი უმწიგნობრო ენების გადარჩენით**, გრანტების იოლი გზით მოპოვების მსურველები, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, დღესაც ცდილობენ, “განუვითარებელ ენებად“

თუ “უმწერლობო ენებად“ გამოაცხადონ ქართველურ ზეპირ იდიომთა ერთი ნაწილი. ისინი ხელისუფლებას სთავაზობენ, უმწერლობო ქართველურ “ენებზეც“ გავრცელდეს “რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ დებულებები (რაც დააკანონებს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას).

- მეცნიერთა თუ ექსპერტთა მეორე ნაწილი სამართლიანად თვლის, რომ ქართველებს მრავალი საუკუნეა გვაქვს ერთი დედაენა - ქართული ენა, რომელიც, ამავე დროს არის საქართველოს სახელმწიფო ენა. ამ ენის კუთხურ სახესხვაობებს წარმოადგენენ ზეპირი ქართველური იდიომები. რამდენადაც “რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ დებულებები არ ვრცელდება სახელმწიფო ენის სახესხვაობებზე, საქართველოს ხელისუფლებას აქვს კონსტიტუციური ვალდებულება, მოსალოდნელი საფრთხეებისაგან დაიცვას როგორც ქართული სამწიგნობრო ენა, ასევე, ქართველური დიალექტები.

## TARIEL PUTKARADZE, MARIKA TEDORADZE

### **Discussion About the Status of the Megrelian Speech in the 20-30-ies of the 20-th century**

*/In the scope of the modern context/*

In the occupied territories the Tsarist Russia, which was always acted with the principle “divide and conquer”, had been tried to offer the regional dialect to one group of Georgians (Megrelians, Svans and Lazes) as the language of the church and education, instead of the multi-century Georgian language. After the offering the regional dialect the next step by the Bolshevik Russia would probably be the offering of the Russian language.

The Bolsheviks did not care the language of the church, though they had developed the same policy in the educational and cultural domains in order to separate the Georgian nation.

With this aim, on the one hand , they tried to substitute the Georgian language with Russian (with the language of revolution). On the other hand, they tried to substitute it with the local dialects.

The Bolsheviks established the Kartvelian dialects as the “undeveloped languages” – “unwritten languages”. The holders of these languages were considered as “peoples” without culture;

At the same time, the Bolsheviks tried to create the new literary languages and this action can be qualified as their effort of remaking this group of Georgians (who had long century civilization) as the “cultural peoples”.

With this aim, since 1922 the Bolsheviks have activated the several groups in Samegrelo, who were supported by J. Stalin. The worthies individuals and heroes from Georgia (/Samegrelo) were against to them. The discussion had lasted from 1922 to 1932. Two main approaches were shaped:

- 1. The way of separating Georgians linguistically and culturally:**  
in Samegrelo, Lazeti and Svaneti in the first years of education the language of education should be the local “language” instead of Georgian. The local “language” should also be the language of Press and administration... In sum, their goal was to remake



Megrelian's (Svans's) own historical literary culture like foreign for the major part of these Georgians.

- 2. The way of the preserving the historical linguistic unity of Georgians.** Accordingly to the tradition, teaching in Georgian language at the beginning of the education at the primary schools of Samegrelo (Svaneti, Lazeti); in case of the necessity, using the local dialects as the auxiliary means. In sum to save the unity of the Georgian nation with the saving the historical literary culture.

The broad discussion had been lasted for 10 years and finalized in 1932-33 by the conclusion made by Arn. Chikobava and other linguists, who were opposed to J. Stalin with the support of L. Beria. Particularly, in our article on the basis of the archival data we analyze the inexpedient idea of the "Megrelian language" (also, "Svan language") schools in details, also the process of making the conclusion by the particular committee of the Georgian Communistic government in 1933; we also analyze Arn Chikobava's position of compromises.

The present-day discussion about the status of the Kartvelian Idioms is also discussed in our article on the basis of the archival data; Actually, this discussion is the continuation of the discussion in 30-ies, particularly:

- Because of the special interest from the international funds to preserve the endangered unwritten languages, the individuals who would like to obtain the grants easily, are ready to establish these Kartvelian oral idioms as the "undeveloped languages" or "unwritten languages". They offer the government to adjust the frame of "the Charter of the regional or minority language" to the unwritten Kartvelian "Languages" (this action will cause the linguistic and ethnic separation of Georgian).

-The other groups of the scholars or experts fairly think, that we – Georgians have one mother tongue – Georgian during the so many centuries, which, at the same time is the National language of Georgia. The regional varieties of this language are oral Kartvelian idioms. As far as the statements of the "Charter of the Regional or Minority languages" could not be spread on the state language varieties, the government of Georgia have the constitutional obligations, to preserve the Georgian literary language and Kartvelian dialects from the possible danger.

## სოფრო კეკუა

### აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული დოკუმენტების მიხედვით

ქართული სამართლის ძეგლები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს შესახებ. X-XIX საუკუნეებში შედგენილი იურიდიული ხასიათის დოკუმენტები ასახავენ სხვადასხვა პერიოდში ქვეყნის შიგნით არსებულ მდგომარეობას პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, თუ სოციალური კუთხით. ამ ძეგლთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იურიდიულ საბუთებს. მათში ასახულია ონომასტიკური ერთეულებიც: პირსახელები, გვარსახელები და ტოპონიმები, რომელთა შორის წარმოდგენილია მრავალი ისეთი სახელი, ამჟამად რომ სრულებით აღარ დასტურდება, ანდა სერიოზული ცვლილებები აქვთ განცდილი. ამგვარი საბუთების მონაცემები გვაწვდის იმ ინფორმაციას, რაც სხვა წყაროებიდან ან სრულიად უცნობია, ან კიდევ საჭიროებს დამატებით დადასტურებას. მაგალითად, ძველი საბუთების მიხედვით შესაძლებელია დადგინდეს ამა თუ იმ გვარის თავდაპირველი საბინადრო, მისი მიგრაციის გზა, ანდა ამ გვარის ნაწილის მიერ ენისა და ეროვნების ცვლის მიზეზი. ასევე შესაძლებელია კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტში გავრცელებული ონომასტიკონის საფუძველზე გაირკვეს, თუ ვის უცხოვრია თავდაპირველად მოცემულ ადგილას და ა.შ.

წარმოვადგინოთ ისტორიული იურიდიული საბუთების ანალიზის შედეგებს იმის შესახებ, თუ რა ონომასტიკური მდგომარეობა იყო გვიან შუა საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე.

საკვლევი მასალის უმრავლესობა **ქრონოლოგიურად მოიცავს XVI-XVIII საუკუნეებს**, ხოლო მასალის გავრცელების გეოგრაფიული საზღვრები იწყება მდინარე ენგურიდან და უწყვეტად მიდის ამჟამინდელი გულრიფშის რაიონის შუაგულამდე, ამის იქით კი სახელდება მხოლოდ ბიჭვინთა და მისი ახლომდებარე 3 სოფელი; **საბუთებში სრულებით არ იხსენიება კოდორ-ფსოუს შუამდინარეთის არცერთი სხვა მსხვილი, თუ მომცრო გეოგრაფიული ობიექტი, ცხუმის გარდა, და მათში მოსახლე ადამიანთა პირსახელები და გვარები. ამ თავისებურების ჩვენეული ახსნა ამგვარია: აფხაზთა წინაპრებმა**

მხოლოდ XVII-XVIII სს. მიჯნაზე დაიწყეს კოდორის მარცხენა მხარეს, ანუ ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის მიწაზე დასახლება (ოკუჯავა, 2007: 187-172). ბუნებრივია, ახლად მოსულ უპირატესად წარმართ და/ან მაჰმადიან აფხაზებს აფხაზეთის საკათოლიკოსოს, ქართული ეკლესიის წინაშე არანაირი იურიდიულ-სოციალური ვალდებულებები არ ჰქონდათ, რაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ისტორიულ საეკლესიო საბუთებში არ იხსენიება აფხაზური წარმომავლობის პირსახელები, გვარსახელები და გეოგრაფიული ნომენკლატურა. გარდა ამისა, ენგურ-კოდორის უშამდინარეთის მოსახლეობის უმრავლესობა იმ დროს ჯერ კიდევ ქართული იყო.

ამ დასკვნას ადასტურებს საანალიზო დოკუმენტებში გამოვლენილი ონომასტიკური მასალაც, რომლის მიხედვითაც ხშირ შემთხვევაში ქართველური წარმოშობის პირსახელი, გვარსახელი, თუ ტოპონიმი უდევს საფუძვლად ამჟამად უკვე აფხაზური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმირებულ, ან ამ ენის ფონოტაქტიკის წესების საფუძველზე სახეცვლილ აფხაზთა შორის გავრცელებულ პირსახელებს, გვარებსა და ტოპონიმებს. საანალიზოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

დოკუმენტებში ხშირი გამოყენებისაა ლამაზის აღმნიშვნელი მეგრული სკუამ//სკვამ//სქვამ ძირისაგან ნაწარმოები პირსახელები: სკუამ-ილ-ე-ი//სქვამ-ილ-ე-ი < \*სქვამ-ილ-ა-ი < \*სქვამ-ილ-ა-მ გალამაზებული (1621 წ.) სოფ. ხოირი; სკუმ-იშ-ი-ა “ლამაზისა“ (1621 წ) სოფ. გუფი; სკუამ-იშ-ი-ა > სკუმ-იშ-ია; უ-სკუამ-ა - 1621 წ. სოფ. ხოირი (ქსძ, III, 1970: 424; 433).

უჩა შავი, შავტუხა სიტყვისაგან ნაწარმოები პირსახელები: უჩია - სოფ. ნაყანეული 1621 წ.; უჩარდი-ა შონია “შავი იყავი“ 1621 წ. სოფლები: ღაჩუ და გუფი. მარღია 1621 წ. სოფ. ჭალა < მეგრ. მარღ-ი “თვალჭრელი, ავთვალი; ალბინოსი“. ხუხულია 1621 წ. სოფ. ხოირი. ხუხულ-ი-ა//ხუხულა-ს ეძახიან “პატარა სახლს, ქონს, ხუხულას“. ვაჟ-ი-კოჩ-ა ვაჟკაცა და მხიარული-ა მხიარული 1621 წ. სოფ. ხოირი. თუთაშხია 1621 წელი სოფ. თილითი. პირსახელია იგი, როცა ახლავს გვარი გულუა - თუთაშხია გულუა, მაგრამ გვარსახელია ის, როცა ახლავს პირსახელი ქუფაჩა - თუთაშხია ქუფაჩა. თასია 1621 წ. სოფ. თილითი. იგი მეგრულად აღნიშნავს “თესვას“. ასევე

გვხვდება: **დასკუდ-ა**, **მუმაწყინდ-ა**, **მისხუნუდ-ა**, **გურიშ-ია**, **თოსკვამ-ია** და სხვ. (ქსდ, III, 1970: 419, 425, 429, 432, 433).

ქართველური წარმომავლობისაა გვარსახელები, რომლებიც დასტურდება დოკუმენტებში: **მეფორია** გვარი, რომელიც გამოვლინდა 1616-1621 წწ. შედგენილ დოკუმენტში ჭალაში (ამჟამინდელი ჭლოუ) მცხოვრებთა გვარსახელად (ქსდ, III, 1970: 467-468), ფორმის მხრივ ამკარად მიმღობაა მეგრული **ფორუა** ზმნისა (**მე-ფორ-ი-ა** < **\*მე-ფორ-ე-ა** შდრ. ბგერათმეცატიყვისობა სამწიგნ. ქართ. **ფარ-:** მეგრ. **ფორ-)**“საქმის მიმფუჩეჩებელი“. პროფ. თ. გვანცელაძემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ აფხაზთა შორის ამჟამად გავრცელებულია გვარსახელი **ამფარ**, რომელიც, მისი აზრით, აფსუიზებული **მეფორია** გვარსახელია: ამ ქართულ გვარს გააფხაზურების ეტაპზე მიმატებია აფხაზური ენის არსებითი სახელებისათვის და მათ შორის გვარსახელებისათვის დამახასიათებელი **ა-** პრეფიქსი (შდრ. **ჰაშბა//ა-ჰაშბა...**), ჩამოსცილება ქართული სუფიქსი **-ია**, მახვილის ზემოქმედებით ფუძიდან რედუცირებულა ანლაუტის ხმოვანი, ხოლო **ო** ხმოვანი **ფ** და **რ** თანხმოვნებს შორს გარდაქმნილა **ა** ხმოვანად. ამგვარი ცვლილებები აფხაზური ენისათვის უცხო სრულებითაც არ არის. მეცნიერი ასახელებს ამავე ტიპის სხვა გააფხაზურებულ გვარსახელებსაც. ესენია: **ა-ჯენჯალ** < **ჯინჯოლია**, **ა-მქაბ// ა-ნქაბ** < **მექვაბია// მიქვაბია**, **ა-მარშან** < **მარშანია**, **ა-ბლგსკრ** < **ბულისკირია // ბულისქირია...** (გვანცელაძე, 2003: 41; გვანცელაძე, 2011: 174-175).

გვარი **ბიგუა** საანალიზო დოკუმენტებში დასტურდება 1621 წ. სოფ. სუბვში (ქსდ, III, 1970: 427). იგი უნდა იყოს ამჟამინდელი **ბიგვაა//ბიგვა** ვარიანტების უაფიქსო საყრდენი ფუძე **ბიგუა//ბიგუა**: **ბიგვა-ვა** < **ბიგუა**. სიტყვა **ბიგვა** მეგრულში ნიშნავს “მკვრივს, ჩაფსკვნილს, ჩასუქებულს“ (ქობალია, 2010: 62). გვარი დღეს დასტურდება აფხაზთა შორისაც. 1867 წელს თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა სიაში დასახელებულია **ბიგვა** და **ბიგვაა** ვარიანტები (ხორავა, 2014: 152). ისტორიულ საბუთებში ასევე დასტურდება ქართული გვარები: **სუბუქია**, **ხვინგია**, **ღრუბლია**, **ცისკარავა**, **კონჯარია**, **ტოროჯია** და სხვ. ყველა მათგანს ეძებნება ეტიმოლოგია მეგრული მეტყველების ნიადაგზე.

საეკლესიო ისტორიულ დოკუმენტებში აფხაზეთის ტერიოტორიაზე გამოვლინდა 23 ტოპონიმი. **ჭალა** სახელით ხსენიებული სოფელი მდებარეობდა ამჟ. ოჩამჩირის რაიონის აფხაზურ სოფელ **ჭლოუს** ადგილას. ბ. ხორავა წერს, რომ **ჭალა** თავად ჯაიანების კუთვნილი სოფელი იყო და როცა ამ მხარეში აფხაზები დამკვიდრდნენ, სოფელს აფხაზურად **ჭლოუ** ეწოდა, თუმცა სოფლის ერთ-ერთ უბანს დღემდე შემორჩა სახელად **ჭალა-აიმარა**. სოფ. **ჭლოუ** რუსული **Чилоу** ფორმით ხშირად ჩანს საბუთებში XIX ს. 30-იანი წლებიდან (ხორავა, 2013: 100). ოიკონიმი **ჭლოუ** თავდაპირველი **ჭალა** ფორმის გააფხაზურებულ ვარიანტად მიაჩნია თ. გვანცელაძესაც. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, 1621 წლის ქართულ საბუთში სოფელ **ჭალაში** მხოლოდ ქართული გვარებია დაფიქსირებული: **გოგორღავა, ჩაგლია, ჭანია, ფალია, ქვაცხა** და სხვ. XIX ს. 40-იან წლებში კი სოფელს უკვე რქმევია არა საკუთრივ ქართული, არამედ გააფხაზურებული სახელი (გვანცელაძე, 2011: 502). ბუნებრივია, ამ ქართული გვარებით დასახლებულ სოფელს სახელიც ქართული ექნებოდა. ოიკონიმის ისტორია ორ ვარიანტად წარმოგვიდგენია:

1. ქართ. **ჭალა-მ** > მეგრ. დიალ. **ჭალე-მ** > **ჭალე** > აფხაზ. **ჭალა-ჟ** (ე ხმოვნის ა-დ გარდაქმნა და დიფთონგიზაცია) > **ჭლა-ჟ** > **ჭლო-ჟ**;
2. ქართ. **ჭალა-მ** > **ჭალა** + აფხაზ. აუ “გრძელი” > \***ჭალაუ** “გრძელი ჭალა” > \***ჭლაუ** > **ჭლოჟ**.

1621 წელს იხსენიება სოფელი **გუფუ** (ქსდ, III, 1970: 433). დღეს იგი ცნობილია **გუფი** სახელწოდებით და მდებარეობს ოჩამჩირის რაიონში. ჩვენი აზრით, ტოპონიმისათვის ამოსავალი უნდა იყოს მეგრული **გუფ-ი** // **გუფ-უ** “გუბე, დაგუბებული ადგილი”, შდრ. **გფუა** “დაგუბება” და **გუფილი** “დაგუბებული”. აფხაზურ ენაზე სოფლის სახელია **გფ [გვფ]**, რასაც ამ ენაზე ახსნა არ ეძებნება, მისი მეგრულიდან მომდინარეობა კი ასე იხსნება: **გუ** მარცვალი კანონზომიერად იძლევა აფხაზურ გუმარცვალს (ლომთათიძე, 1976: 168-169) - მეგრ. **გუფ-ი//გუფ-უ** > აფხაზ. **გფ**.

ტოპონიმი **ილორი** საეკლესიო საბუთებში იხსენიება 1616-1639 წლებს შორის (ქსდ, III, 1970: 501). მას მოიხსენიებენ აგრეთვე ევროპელი მისიონერები და მოგზაურებიც. სოფელს აფხაზურად **ელგზ** ეწოდება, მაგრამ ამ ენაზე ახსნა არ ეძებნება. ეს სახელი რომ აფხაზური წარმომავლობისა ყოფილიყო, მაშინ ქართულად უნდა არსებებულიყო არა ილორი ვარიანტი, არამედ **\*ელირი** ფორმა, რაც არ დასტურდება არც ცოცხალ მეგრულ მეტყველებაში და არც წერილობით, თუ კარტოგრაფიულ მასალაში. თ. გვანცელაძის აზრით, ტოპონიმის ქართული ფორმა **ილორი** უნდა უკავშირდებოდეს პირსახელ **ილია-ს: ილია-ური** “ილიას კუთვნილი მიწა“ > **ილორ-ი**. აფხაზური სიტყვათესხების წესების გათვალისწინება გვიკარნახებს, რომ აფხაზური ვარიანტის პირველწყარო ქართულია და ამგვარ ცვლილებათა გზითაა წარმოქმნილი: ქართ. **ილორი** > აფხაზ. **\*აღლარ** > **ელგზ**, ანდა ქართ. **ილორი** > აფხაზ. **\*აღლგზ** > **ელგზ** (გვანცელაძე, 2011: 246-247). პროფ. თ. გვანცელაძემ ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტსაც, რომ XI საუკუნეში სოფელში წმიდა გიორგის ეკლესიის აგებისა და ამ ეკლესიის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მას იმერეთში, ახლანდელი სამტრედიის რაიონის ტერიტორიაზე, სადაც აფხაზებს არასოდეს უცხოვრიათ, გაუჩნდა ფილიალი (მეტოქი), რომელსაც ასევე **ილორი** ეწოდა, მერე კი იგივე სახელი სოფელსაც დაერქვა (სოფელს ახლაც ჰქვია ილორი) (გვანცელაძე, იქვე). ჩვენი აზრით, პროფ. თ. გვანცელაძის ეს ვარაუდი საკმაოდ დამაჯერებელია, თუმცა შეიძლება სხვაგვარი ახსნაც: მეგრულში **ილორი** არის “მორი (იგივეა რაც **ლორი**); მორებად დასაჭრელი; ძელისა; ძელიცხოველი“; **ილორია** “მორისა, ძელისა; სამორე ტყე“; **ილორუა** “მორებად ხლეჩა, დამორვა“ (**ილორუ** იხლიჩება, იმორება)“ (ქობალია, 2010: 324). ჩვენი აზრით, სემანტიკაზე დაყრდნობით ტოპონიმ **ილორ-ისათვის** ამოსავალი უნდა იყოს აპელატივი **ილორი** მორი, ნამორი, ხოლო ტოპონიმის გააფხაზურების გზის შესახებ სავსებით მართებულად მიგვაჩნია პროფ. თ. გვანცელაძის მოსაზრება.

სოფელი **ხიორი** პირველად დასტურდება 1525-1550 წლებს შორის შედგენილ დოკუმენტში (ქსდ, II, 1965: 179). ადგილობრივ მეგრულთა მეტყველებაში გალისა და ოჩამჩირის

რაიონების საზღვარზე მდებარე სოფელ **ხოირ**-ს დღეს **ოხური//ოხური** ეწოდება. პ. ინგოროყვა ტოპონიმ **ხოირ**-ს მოიხსენიებს **ხორი**, ანუ **ხვრი** ფორმებით და მათ ქართული წარმოშობისად მიიჩნევს (ინგოროყვა, 1954: 176). **ხორ**- ძირისაგან ნაწარმოები **ოხორი//ოხორე**, **ხორუა** მეგრულში ნიშნავს სახლს, დასახლებას, სახლობას(ყიფშიძე, 1994: 499; ჭარაია, 1997: 181; ქობალია, 2010: 730). სავარაუდოდ, დასასახლებლად ვარგის ადგილს შეიძლებოდა შერქმეოდა **ხორი//ხოირი**. საყურადღებო გვგონია ის გარემოებაც, რომ მეგრულში არის სიტყვა **ოხური-ი**, რაც ნიშნავს ხუროს სახელოსნოს (ჭაჯაია, II, 2002: 471). არ გამოვრიცხავთ, რომ ამ ადგილას ცხოვრობდნენ განთქმული ხუროები და აქედან მიიღო სოფელმაც სახელწოდება, თუმცა საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს. რაც მთავარია, ოიკონიმი არ იხსნება აფხაზურ ენაზე. უძველესი **ხოირი** ვარიანტის პირველი მოხსენიების დროისათვის, 1525-1550 წლებს შორის ამ მხარის მიწაზე აფხაზური მოსახლეობა ჯერ კიდევ არ ბინადრობდა, ამიტომ უდავო გვგონია, რომ უფრო გვიანდელი **ოხური** სახელი მომდინარეობს მეგრული **ოხორე**-მ დასასახლებელი (ადგილი) ვარიანტისაგან. საყურადღებოა, რომ მსგავსი ჟღერადობის სახელი აქვს ისტორიულ ტაოში მდებარე სოფელ **ოხურ-საც**, სადაც დღემდეა შემორჩენილი ქართული ეკლესიისა და ციხის ნანგრევები. ამ ფაქტების გათვალისწინებით, ტოპონიმის ისტორია ასე გვესახება: **მეგრ. ო-ხორ-ე-მ > ო-ხურ-ე-მ > აფხაზ. ოხორე**. რაც შეეხება **ხოირი** ვარიანტს, მისი ეტიმოლოგია და კავშირი **ოხური** სახელთან ჯერ კიდევ გასარკვევია. მნიშვნელოვანია თ. გვანცელაძის მიერ დამოწმებული წერილობითი წყარო, რომელიც არაორაზროვნად გვიჩვენებს, რომ სოფელ **ხოირში** XVII საუკუნის მიწურულამდე მხოლოდ ქართველები, კერძოდ, მეგრელები ცხოვრობდნენ: 1616-1639 წლებში შედგენილ ბიჭვინთისადმი კათოლიკოს მალაქიას შეწირულების წიგნში წერია: “...ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო. მერმე ჩემის თეთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებისაგან და დარბაზი ვიყიდე და დავადგმევიწინე, ჯიხური დავადგმევიწინე და გარდავაჭედინე...” (ქსძ, III, 1970: 501; გვანცელაძე, 2011: 243).

კომონიმი **ხაუყელი** პირველად დასტურდება 1616-1639 წლებში (ქსდ, III, 1970: 431; 434; 500). **ხაუყელი** მდებარეობდა ამჟამინდელი ოჩამჩირის რაიონის სოფლებს თხინასა და ოტაფს შორის. ჩვენი აზრით, **ხაუყელი** იგივეა, რაც **ხაუყელი**, რომელიც ამ უკანასკნელისაგან მიიღება მეტათეზისის გზით: **ხაუყელი** < **ხაუყელი** “ადგილი, სადაც მომრავლებული იყო დაჟო, დაჟომრავალი ადგილი; ჭრელა, დაჟდაჟა“, შდრ. ფრინველის სახელი **ხაუო** “დაჟო“ (ქობალია, 2010: 718). საბას განმარტებით, **დაჟო** არის ფრინველი - ჯინჯვა, ჯიმჯვა(ორბელიანი, II, 1993: 247). ამრიგად, შესაძლოა, **ხაუყელი** რქმეოდა იმ ადგილს, სადაც ბინადრობდნენ მომცრო ზომის ჭრელი ფრინველები. საყუარადღებოა, რომ ყოფილი სოფელ **ხაუყელის** სიახლოვეს, კოდორის ქედზე არის მთა და მდინარე **ხოჯალი**, რომლებსაც, თ. გვანცელაძის ზეპირი ცნობით, აფხაზები **ხოჯალ** სახელით აღნიშნავენ და ეს ვარიანტი ქართული **ხაუყელ-ი** ფორმისგან აფრიკატიზაციისა და **აუ** > **ო** პროცესის გზით არის მიღებული: **ხაუყელ-ი** > **ხოჯალ**. მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ აფხაზურ ენაში ამ სიტყვის ადრევე არსებობის შემთხვევაში უნდა გვექონოდა არა **ხოჯალ** ფორმა, არამედ აფხაზური ენის ფონეტიკურ ნორმათა მიხედვით გამართული \***ხაჯალ** [**ხვაჯალ**] ვარიანტი, რომელიც მეგრულში მოგვცემდა **ხვაჯალი** ფორმას, რაც არ დასტურდება. ე.ი. საანალიზო ოიკონიმიც, მთისა და მდინარის სახელებიც შექმნილია სწორედ მეგრულად და მერეა ნასესხები აფხაზურში. ტოპონიმის მიღების გზა ასე გვესახება: **დაჟო** > **მეგრ. ხაუო** > **ხაუყელ-ი** > **ხაუყელ-ი** > **აფხაზ. ხოჯალ**.

1616-1639 წწ. და 1616-1621 წწ. შედგენილ დოკუმენტებში ნახსენებია ოიკონიმი **ღალიძგა** (ქსდ, III, 1970: 476-477), რაც მეგრულად ნიშნავს “ღელის ნაპირს“. ჰიდრონიმი **ღალიძგა-ს** თავდაპირველი მნიშვნელობა მეცნიერთა მიერ სხვადასხვანაირად არის განმარტებული. პ. ინგოროყვას აზრით, “სახელწოდება ამ მდინარისა **ღალიძგა** სიტყვასიტყვით ნიშნავს ღელე კიდისა, მდინარე საზღვრისა“ (ინგოროყვა, 1954: 128). ჩვენი აზრით, **ღალიძგა** მეგრულად არის **ღალიშ ძგა**, ანუ “ღელის ნაპირი“ და არა “ღელე კიდისა, მდინარე საზღვრისა“. თ. ბერაძისათვის **ღალიძგა**, “...კიდე-მდინარეს ნიშნავს“. როგორც ავტორი აღნიშ-



ნავს, “თავის დროზე ის რაღაც პოლიტიკურ ერთეულებს შორის გამყოფი იყო. ხომ არ წარმოადგენდა ეს მდინარე საზღვარს ცხუმისა და ოდიშის საერისთავოს შორის? ამ შემთხვევაში ოდიშის საერისთავოს დას. საზღვრად მდ. ღალიძგა უნდა გვეგულისხმა“. XVII საუკუნეში დამოწმებული ეს ტოპონიმი უკვე საზღვრის გამომხატველი აღარ იყო (ბერაძე, 1967: 168).

პ. ცხადაია უფრო მართებულად მიიჩნევს აღ. ცაგარლისა და ი. ყიფშიძის განმარტებას, რომ **ღალიძგა** სიტყვა-სიტყვით არის **берег реки**, ანუ მდინარის ნაპირი და თავდაპირველად ასე ერქვა სოფელს (ცხადაია, 2004: 42). ავტორი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ჰიდრონიმი თავდაპირველად წარმოადგენდა ოიკონიმს, ე. ი. დასახლებული პუნქტის სახელს და შემდეგ მეტონიმიის შედეგად იქცა იმ მდინარის სახელად, რომელიც მას ჩაუდიოდა. უფრო ზუსტად: ისეთ დიდ მდინარეს, როგორცაა **ღალიძგა**, შეეფერება ლექსემა **წყარი** (შდრ. სოფელი **წყალიძგა**, რომელშიც იგულისხმება რიონი) და არა **ღელი**. აქედან გამომდინარე, **ღალიძგა** უნდა დარქმეოდა ღალიძგის ერთ-ერთი შენაკადის, ღელის - ნაპირს, ხოლო შემდგომ უნდა ქცეულიყო აქ გაჩენილი დასახლების სახელად. მეტონიმიის მესამე ეტაპზე სოფლის სახელი გადავიდა მდინარეზე. თ. გვანცელაძის მიხედვით, მდინარე **ღალიძგას** “...მეგრულ დიალექტზე **ღალიძგა**, ხოლო აფხაზურად **ააღძგა** ეწოდება. აფხაზური ფორმა წყაროებში არ დასტურდება მაშინ, როდესაც მეგრული ვარიანტი ქართულ წყაროებში დამოწმებულია 1639 წლიდან სწორედ **ღალიძგას** სახით და ერქვა ამ მდინარის ნაპირზე მდებარე სოფელს, სადაც დადიანების სასახლეც მდგარა. შემდეგ სახელი მეტონიმიის გზით მდინარეზეც გადატანილა“. მისივე თქმით, აფხაზური **ააღძგა** მიღებულია **ღალიძგა-საგან** და მარცვლის გარდაქმნით **აა** ბგერებად და **ი** ხმოვნის რედუქციით. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ **ღა** მარცვლის ამგვარი ქცევა უცხო არ არის აფხაზურისათვის, რასაც ადასტურებს ქ. ლომთათიძის მიერ დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც, ორი **ა** (**აა**) ხმოვანი ამ ენაში წარმოიქმნება **ღა** მარცვლისგანაც. მეცნიერის აზრით, სახელი რომ აფხაზურიდან შესულიყო მეგრულში, ამ უკანასკნელში უნდა არსებულიყო **\*ააღძგა**, რაც არსად დასტურდება. **ა** ხმოვნით დაწყებულ ფუძეებს კი აფხაზურში მეორე **ა** ხმოვანი არასოდეს ერთვის, მაშასადამე, თ. გვანცელაძის დაკ-

ვირვებით, ირკვევა, რომ მდინარის სახელში აფხაზურმა ენამ ორი ა ხმოვანი წარმოქმნა და მარცვლის სანაცვლოდ და ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ ამ ტერიტორიაზე აფხაზთა მასობრივად დასახლების შემდგომ, ანუ XVIII საუკუნის დასაწყისიდან (გვანცელაძე, 2011: 44). და ბოლოს, **ღალიძგა** რომ ნამდვილად სოფლის სახელი იყო, ამაზე მიუთითებს “საცაიშლო გამოსავალი დავთრის მინაწერებიც“ (1616-1621 წწ.): “...**ღალიძგას** სასახლეშიდ მოიტანდნენ სააღაპოსა...“; “...ერთმან მთავარმან სასახლის **ღალიძგის** ეკლესიაში ჟამი სწიროს“; “ამის გარეთ მართებს საღალიძგოს კაცებსა...” (ქსძ, III, 1970: 476). ამ კონტექსტებიდან გამომდინარე, ღალიძგა-ში აშკარად იგულისხმება დასახლებული ადგილი და არა ღელის პირზე მდებარე სასახლე.

ამრიგად, ისტორიული საბუთების მონაცემების მიხედვით დგინდება, რომ:

1. დოკუმენტებში დადასტურებული უკლებლივ ყველა გამჭვირვალე ანთროპონიმი ქართველური წარმოშობისაა. ამ პირსახელთა მტარებლებს უცხოვრიათ აწინდელი აფხაზეთის მიწაზე მდებარე ქართულ სოფლებში (**გუფუ, თილითი, ნაჟანეული, ოხურეი, ჭალა (ჭლოუ), ხაუჟელი...**).
2. XVI-XVIII საუკუნეებში შედგენილ საბუთებში დადასტურებული გეოგრაფიული სახელების უმრავლესობა ენობრივად განეკუთვნება სამწიგნობრო ქართულ და მეგრულ ონომასტიკონს. მათი ნაწილი დღეს უკვე ფონეტიკურად არის ადაპტირებული, ან გადააზრიანებულია აფხაზურ ენაზე. ამგვარია: **ჭალა (>აფხაზ. ჭლოუ), გუფუ (>აფხაზ. გფ), თილითი (>აფხაზ. თლგთ-აბაა თილითის ციხე), ილორი (>აფხაზ. ელგრ), ხოირი//ოხურეი (>აფხაზ. ოხორეი), ხაუჟელი (>აფხაზ. ხოჯალ), მარმარისკარი (>აფხაზ. მარმალ-აბაა მარმალის ციხე), ღალიძგა (>აფხაზ. ააღძგა), ანარიას ღელე (>აფხაზ. ანარია), მუხურეი, ბიჭვინტა, საჩინო. ისტორიულ ქართულ ტოპონიმთა ნაწილი ამჟამად უკვე არ არსებობს. ესენია: სუბეიში//სუბე//სუბეი//სუბვი, ნაჟანეული//ნაჟანევი//ნაჟანეო//ნაჟანაური, ნაკაღმელიუ, ღაჩუ, ტყაურუ//ტყავარუ. ქართველურ ტოპონიმთა სიმრავლეს ვერ მივაწერთ განხილული იუ-**

რიდიული დოკუმენტების დამკვეთთა და შემდგენლების (კათალიკოსთა, ეპისკოპოსთა და სხვა სასულიერო პირთა) თვითნებობასა და ანტიაფხაზურ განწყობას, ვინაიდან გამოვლენილ ტოპონიმთა ამჟამინდელი აფხაზური ვარიანტების ქართველურ წარმომავლობას ამტკიცებს როგორც მათი მორფოლოგიურ-სემანტიკური თავისებურებანი, ისე აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათსესხების წესების გათვალისწინება, რაც გამორიცხავს ამ სახელთა აფხაზურ წარმომავლობას.

3. XVI-XVIII საუკუნეებში ენგურ-კოდორის შუამდინარეთში ჯერ კიდევ არსებობდა ერთიანი ქართველური ტოპონიმიკური სივრცე, რომელიც არ იყო შემღვრეული მოსულ აფხაზთა ენის ფონეტიკური და ტოპონიმიკური მოდელებით, რასაც ადასტურებს იმავე პერიოდში სხვა წერილობით თუ კარტოგრაფიულ წყაროებში ასახული ისეთი ოიკონიმებიც, როგორცაა: ბეღია, წიფურია, სკურჩა, მოქვი, დანდრა (დრანდა), ფშია, სკურ-ის თურქიზებული ისკურია ვარიანტი, კვიტოული//პიტაური, კამულეთი, თხლარი, მარცხული, ზეგანი, მარგულა // მერკულა, ოქუმბი, ფუწყური, ხეთი, გაგადა, ოლუშე, სათამაშა, წყურგილი-სპურგილი, ტკვაჯა, პაპათი, წარჩე, ჩხორთოლი, ბარდფი, ნაბაკია, გოგიელი, ჟირბიჯი, სათანჯო და სხვ. გაანალიზებული ტოპონიმები ქმნიან ზუსტად იმავე მორფოლოგიურ-სტრუქტურულ მოდელს, რაც დღემდეა დამახასიათებელი სამეგრელოს ტოპონიმიისათვის და გრძელდება ენგურ-კოდორის შუამდინარეთის ტერიტორიაზეც. იმდროინდელი და ამჟამინდელი მორფოლოგიური ინვენტარიც არ ქმნის არავითარ სხვაობას. ყოველივე ეს ადასტურებს იმ ფაქტს, რომ XVI-XVIII საუკუნეების საბუთები ზუსტად ასახავენ ქართველურ სინამდვილეს.
4. საეკლესიო საბუთებში დადასტურებული ომონასტიკური ერთეულები უნდა ჩაითვალოს იმ სუბსტრატულ ფენად, რომელიც დახვდა აქ მოსულ აფხაზთა წინაპრებს, დაილექა მათ ენაში და მცირედი ცვლილებით მოაღწია დღემდე.
5. ენგურსა და კოდორს შორის მდებარე მხარე სამეგრელოს ონომასტიკური სივრცის უშუალო ორგანული გაგრძელება იყო.

**დამოწმებული ლიტერატურა:**

- ბერაძე, 1967: ბერაძე, თ. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1967;
- გვანცელაძე, 2003: გვანცელაძე, თ. აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის. ტ. 1. თბ., 2003;
- გვანცელაძე, 2011: გვანცელაძე, თ. აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბ., 2011;
- ინგოროყვა, 1954: ინგოროყვა, პ. გიორგი მერჩულე, თბ., 1954;
- ლომთათიძე, 1976: ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბ., 1976;
- ოკუჯავა, 2007: ოკუჯავა, კ. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVII საუკუნეში. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. უძველესი დროიდან დღემდე. თბილისი, 2007;
- ორბელიანი, II, 1993: ორბელიანი, ს. ს. ლექსიკონი ქართული, II. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევათა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ., 1993;
- ქაჯაია, II, 2002: ქაჯაია, ო. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, 2002;
- ქსდ, II, 1965: ქართული სამართლის ძეგლები, II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965;
- ქსდ, III, 1970: ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970;
- ქობალია, 2010: ქობალია, ა. მეგრული ლექსიკონი. თბ., 2010;
- ყიფშიძე, 1994: ყიფშიძე, ი. რჩეული თხზულებანი, თბ., 1994;

---

ჭარაია, 1997: ჭარაია, პ. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997;

ხორავა, 2013: Хорава Б. Мухаджирство абхазов 1867 года. Тбилиси, 2013;

ხორავა, 2014: ხორავა, ბ. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა. თბ., 2014.

## SOPIO KEKUA

### **Abkhazian Onomastic According to Historical Documents**

Georgian legal documents contain important information about Georgia. Judicial documents of X-XIX centuries reflect the political, cultural, religious or social inner state of the country in different periods of time. Among these documents legal ones are of great importance. They also reflect onomastic units, such as: first names, family names and toponyms; among them are the names which are either completely lost or underwent serious changes. The data registered in these documents give us the information which either cannot be found in other sources or need additional verification. For example, these documents might indicate to the origin of the name, its migration root, or the reason of changing the language or nationality by the part of this family name. It also gives us the possibility to verify who used to live on the given are, coming out from the analyses of the spread in that geographical area toponyms, etc.

The given report displays the results of the analyses of Legal documents and the onomastic situation on the territory of Abkhazia in late mid-centuries.

Majority of the material under study covers XV-XVIII centuries, as for the geographical boundaries of the research material, it starts from the river Enguri and goes on a continuous basis to the center of contemporary Gulripshi Region; beyond this are named only Bichvinta and three nearby villages. ; there is no information on other large or small geographical objects in the documents covering Kodori-Psou river basin, but Tskhumi; there is no mentioning of the names and family names of their inhabitants as well. Common explanation of this phenomenon is the following: the ancestors of the Abkhaz started to settle on the lands at the left bank of the river Codori, or modern Oчамchire region, only at the turn of XVII-XVIII centuries. Naturally **newcomers who were pagans and/or Muslims have no legal-social obligations before the Abkhaz Catholicon and Georgian Church**, which determines the fact that there are no mentioning of names, family names and geographical names of the Abkhaz origin, in the given historical legal documents. Besides, majority

of the population of the Engur-Kodori basin in that particular period, were still Georgians.

This conclusion is verified by the onomastic materials revealed in these documents, according to which, often, first names, family names or toponyms of Georgian origin are already based on morphological inventories of Abkhaz origin or contain names, family names and toponyms changed according to the phonotactics of the Abkhaz language. Some of them are presented in the report.

First names: **sķuam-il-e-i // skvam-il-e-i** < \*skvam-il-a-i < \*skvam-il-a-j „beautified“, **sķuam-iš-i-a** > **sķum-iš-i-a** „beauty“; **uči-a, učardi-a megr. uča** „black“, **dasķud-a megr.** „stayed“; **mumačqind-a megr.** „I am bored“; **misxunud-a megr.** „I prefer“; **guriš-ia megr.** „hearty“ **tosķvam-ia megr.** „beautiful eyed“ etc.

Family names: **meporia megr.** „idle worker“, „the one who conceals“; **bigua** < **bigva megr.** „bulky, fat, stout“ **subukia megr.** „very thin, light“; **xvingia** < **xvingua megr.** „eating disgustingly too much“, **ťoroźia megr. ťoronźi** „pigeon“; **ģrublaia, cisķarava, konźaria** etc.

Toponyms: **čala (člou), gupu, ilori, xoiri, xauźeli, ģalizga** etc.

According to historical documents are established that:

1. **All transparent anthroponyms registered in the documents are of Georgian origin.** Bearers of these names used to live in, situated on the territory of modern Abkhazia, Georgian villages (**gupu, tiliti, naźaneuli, oxurei, čala (člou), xauźeli...**).
2. **Majority of verified in XVI-XVIII centuries' documents geographical names linguistically belong to literary Georgian or Megrelian onomasticon.** Part of them today is phonetically adapted or transformed by the Abkhaz language. They are: **čala** (>Abxaz **člou**), **Gupu** (> Abxaz. **g'əp**), **Tiliti** (Abxaz. **Tlt't-abaa** ‘fortress of Tiliti), **ilori** (> Abxaz **El'r**), **xoiri // Oxurei** (>Abxaz. **Ox'rej**), **xauźeli** (>Abxaz. **xoźal**), **Marmarişkari** (> Abxaz. **Marmal-abaa** ‘fortress of Marmal), **ģalizga** (> Abxaz. **Aalźga**), **Anarias ģele** (>Abxaz. **Anaria**), **Muxuri, Bičvinta, Sačino**. Part of the historical Georgian toponyms do not exist anymore. They are: **čamxari, Subeiši // Sube // Subei // Subvi, Naźaneuli // Naźnevi // Naźaneo // Naźanauri, Naķaģmeliu, ģaču, ťqauru // ťqavru**. The multiplicity of Georgian

toponyms cannot be ascribed to the desire or arbitrariness or anti-Abkhaz attitudes of the authors or customers of those documents (Catholicos, Bishops and other clergy), as **the revealed Georgian roots of the present day Abkhaz versions of toponyms are verified as in their morphological-semantic peculiarities, so are the characteristic for the Abkhaz language rules about the borrowed words**; all these rule out the Abkhaz origin of these words.

3. In XVI-XVIII centuries in the basin of Enguri-Kodori rivers still existed the universal Georgian toponymic space, which was free from any phonetic and toponymic models of Abkhaz origin, which in its turn is verified by used in the letters and cartographical sources of the same period –ioconyms, such as: **Bedia, çipuria, Şkurça, Mokvi, Dandra (Dranda), Pšia, Şkur-i**, the version of Turkish **iskuria, kıvıouli // Pitauri, kamuleti, Txalari, Marcxuli, Zegani, Margula // Merçula, Okumi, Puçquri, xeti, Gagida, Oluše, Satamaša, çqurgili-Spurgili, tkaža, papati, çarçe, çxortoli, Barğepi, Nabaqia, Gogieli, žirpiži, Satanžo, etc.** the analyzed toponyms create the same structural models as the ones that are still characteristic for the Samegrelo toponyms and covers the territory of Enguri-Kodori basin too. Comparison of the present and that period morphological inventory shows no difference as well. All these confirm that, compiled in XVI-XVIII centuries ecclesiastic documents with absolute accuracy display the Georgian reality.
4. Onomastic unites confirmed in ecclesiastic documents should be considered as the basic layer, which ancestors of Abkhaz encountered when coming to Georgia and which later precipitated in their language and reached us in a slightly transformed form.
5. **The territory between Enguri and Kodori was the organic continuation of Samegrelo onomastic space.**



## ვლადიმერ კიკილაშვილი

### მცოცავი ექსპანსია კავკასიის რეგიონში რუსული იმპერიული პოლიტიკის მაგალითზე

ენის, ეკონომიკური წყობის, ტერიტორიის, და ეროვნული ხასიათის ერთობა, რომლის გამოვლინებაა კულტურა - ეს არის ერის ძირითადი მახასიათებლები. ამათგან მთავარია - ენა. სწორედ ენის მოშლით კნინდება ერი. სტატია ეხება კავკასიაში ადგილობრივი ენების მიმართ წარმოებულ ზეწოლას მათი გადაგვარების, ხალხის მხსიერებიდან მათი ამოშლის მიზნით.

რუსეთის ენობრივი პოლიტიკა სათავეებს იღებს XIX საუკუნის დასაწყისიდან. აქ უნდა გავარჩიოთ ორი ძირითადი ასპექტი: დროული და სივრცითი. ორივე ასპექტი მოიცავს თავის შიგნით რამდენიმე ძირითად დონეს.

დროული ასპექტის პირველი დონე - ეს არის სამხრეთ კავკასიის რუსიფიკაცია, კერძოდ საქართველოში რუსული განათლების დამკვიდრება - პირველი საერო რუსული სკოლა იხსნება სწორედ თბილისში.

შემდგომი ეტაპი მართლმადიდებლობის აღდგენის კომიტეტია, რომლის მიზანია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გადაყვანა რუსულ ღვთისმსახურებაზე.

ცალკე ყურადღების ღირსია ქართული დამწერლობის შეცვლის ცდები კირილიციით. აქ ორი ეტაპი უნდა გამოიყოს: პირველი - რევოლუციამდელი და მეორე - საბჭოური. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მარი, რომელიც მომხრე იყო უნივერსალური ანბანის საყოველთაო დანერგვისა წინააღმდეგი გამოვიდა ქართული და სომხური ენებისთვის ამ ანბანის დანერგვისა.

ანალოგიური ვითარებაა ჩრდილო კავკასიაში, რომელსაც იმ პერიოდისთვის არა აქვს საკუთარი დამწერლობა, თუ არ ჩავთვლით მეშვიდე-მეთხუთმეტე საუკუნეების დამწერლობას შესრულებულს ქართული და პირველი ხუნძურენოვანი წარწერები შესრულებული არაბული გრაფიკით (1485 წელი), პირველი ხუნძური ბეჭდური ტექსტი შესრულებული არაბული გრაფიკით გამოვიდა სტამბოლში 1884 წელს, ეს იყო სასულიერო შინაარსის ლიტერატურა, ამ დროიდან რევოლუციამდე დაიბეჭდა 100 წიგნი.

რუსული გრაფიკის დანერგვას მოყვა გარკვეული წინააღმდეგობა, მას დაუპირისპირდა არაბული დამწერლობა.

საბჭოთა პერიოდში რუსიფიკაციის გამტარებლებმა გამოიყენეს დაშვებული შეცდომა და ჩრდილო-კავკასიელ ხალხებს შესთავაზეს ლათინური ანბანი. ამის ინიციატორი იყო აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ს.ა. აღამაღლი-ოღლი, მან თავისი აზრი მოახსენა ლენინს. დასახული ღონისძიების განხილვის შემდეგ უწოდა მათ “კულტურული რევოლუციის დასაწყისად თურქებს შორის“.

იმ დროისთვის იმპერიაში შემავალ ხილხებს ჰქონდათ არაბულგრაფიკიანი დამწერლობა. ახალი, რევოლუციური მთავრობის წინაშე იდგა ამოცანა ეს ხალხები მოეწყვიტათ დანარჩენი ისლამური სამყაროსაგან და მათი რელიგიისაგან.

ლათინურ გრაფიკაზე გადასვლას აქვს უდიდესი მნიშვნელობა - “ეს ანგრევს კედელს ევროპულსა და მუსულმანურ კულტურას შორის, აახლოებს ერთმანეთთან აღმოსავლეთსა და დასავლეთს“ - ამბობდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ა. მიქოიანი დამწერლობის ლათინიზაციისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე 1925 წელს.

ამას მოყვა ათწლიანი დებატები და წინააღმდეგობა. საბოლოოდ დებატებითა და რეპრესიებით დაღლილი კავასიელები დაითანხმეს “ნეიტრალურ კირილიცაზე“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის მოვლენები, რაც მოყვა კავკასიურ ენათა ანბანების ლათინიზაციას. როგორც ვიცით პ. უსლარმა 1862 წელს აფხაზური ენისთვის შექმნა ანბანი კირილიცის საფუძველზე რამდენიმე ქართული და ლათინური გრაფემის დამატებით. 1926 წელს აფხაზური ენა აირჩიეს ლინგვისტური ექსპერიმენტისთვის - ნ. მარმა გადაწყვიტა, შეექმნა აფხაზური ანალიტიკური ანბანი - მომავალი ერთიანი მსოფლიო ანბანის ვარიანტი, პირველი ნაბიჯი ერთიანი მსოფლიო ენის დამკვიდრების გზაზე. მაგრამ მარი ვერ ხედავდა სხვაობას სამეცნიერო ტრანსკრიფციასა და პრაქტიკულ ანბანს შორის, ამიტომ მისი იდეა განწირული იყო. ვერც ნ. იაკოვლევის მცდელობამ გადაარჩინა მარის იდეა. მართალია მან გამოიყვანა ფორმულა ანბანის მათემატიკური აგებისა, მაგრამ ამ ცდამაც ფუჭად ჩაიარა, მიზეზი ალბათ ის იყო, რომ მარი არ ითვალისწინებდა ქართული ანბანის იდეალურობასა და ხელთ არ ჰქონდა ცნობები კავ-

კასიელ ალბანელთა ენისთვის იდეალური მრავალ ბგერიანი ანბანის არსებობის შესახებ.

რუსული ენის ინტენსიური გავრცელება კავკასიაში დაიწყო XIV საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის მხრიდან ყირიმზე სერიოზული პრეტენზიებით, ივანე მრისხანესთან ჩერქეზთა მთავრების ვიზიტებით, რომლებიც ეძებდნენ გზებს ყირიმის ხანის თავდასხმებისაგან დასახსნელად. ყირიმის სახანოზე შეტევის მზადებით შეგულიანებული კაზაკები 4.000 კაცის რაოდენობით თვითნებურად ტოვებენ თავიანთ საცხოვრისს ჩერვლიონნი იარს, სახლდებიან მდ. სუნჟისა და არლუნის შესართავთან ახლად დაარსებულ მცირე დაბებში, რომელთა სახელებია: ჩერვლიონნი, შჩედრინსკი, კურდიუკოვსკი, სტაროგლადკოვსკი და ნოვოგლადკოვსკი. 1555 წელს კაზაკთა ატამანები ეახლნენ ივანე მრისხანეს და შეწყალება ითხოვეს. მეფემ დატუქსა, აპატია და დაუმკვიდრა აღნიშნული მიწები. ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს კავკასიაში რუსული ენის შემოჭრის ოფიციალურ თარიღად.

თუმცა რუსი გლეხების მიერ თავიანთი ბატონების დატოვება და მდ. დონისა და ჩრდილოეთი მიწებიდან გადმოსახლება უფრო ადრეა დაწყებული, ყოველწლიურად გიორგობის დღესასწაულზე (წმ. იურის დღეს) უამრავი გლეხი ტოვებდა თავის ბატონს და ჩერქეზთა მიწებს აფარებდა თავს. აქ ისინი ჩერქეზდებოდნენ, ეზიარებოდნენ ჩერქეზთა ადათ-წესებს, მათ სამოსს და საკუთარ თავს კაზაკებს უწოდებდნენ, რაც ჩერქეზთა რუსული სახელიდან - კოსოვიდან მომდინარეობს (ქართ. ქაშვები).

აღნიშნულ ტერიტორიებზე ყირიმელი თათრებისაგან თავდაცვის საბაბით ასტრახანამდე ჩნდებოდა სამხედრო დასახლებათა უზარმაზარი ჯაჭვი - ერთი დღის სავალზე გაფანტული რუსული დასახლებებით, რომლებსაც გააჩნდა ქალაქებისთვის დამახასითელი ყველა ნიშანი - ფოსტა, სკოლა, უპრაავა... “კუბანის ოლქის სამახსოვრო წიგნში“ 1874 წ. მოცემულია სტატისტიკა კომლთა, მაცხოვრებელთა - ქალი, მამაკაცი, სარწმუნოება, მდებარეობა, მანძილი ცენტრიდან, დაარსების თარიღი... აქვეა მოცემული ცნობები რომ გადმოსახლება სამ ტალღად მიმდინარეობდა. I. 1791-1804. II. 1808-1812. III. 1820-1870. სწორედ ამ დროისთვის კუბანის ოლქის ეკატერინოდარის მაზრის ჩერქეზთა 355 დასახლებული პუნქტდან დარჩენილია 27 ძველი სოფელი,

დანარჩენი განადგურებულია, ან დასახლებულია რუსებით. ასეთივე ვითარებაა მაიკოპისა და ბათალფაშის მაზრებში. “თერგის ოლქის ცნობათა კრებულსა“ და “კუბანის ოლქის აღწერაში“ რუსთა შემოსვლა ლამის წუთობითაა დაფიქსირებული:

პუგაჩოვისა და რაზინის დევნა, შეწყალებული დამნაშავეების რაზმების გაგზავნა ციმბირის დასალაშქრად...

და ასე იწყება რუსული ენის ექსპანსია კავკასიაში. გადადგმულია პირველი ნაბიჯები ყველა მთავარი გზის მიმართულებით, რომლებსაც აზიაში მივყავართ: I. დასავლეთიდან შავ ზღვასა და სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთიანეთი ფერდობებიდან სოჩისა და სამეგრლოს გავლით თურქეთისკენ, მეორე განშტოება - ქუთაისი, თბილისი - სპარსეთის მიმართულება. II. ცენტრალურ კავკასიაში დარიალის ხეობით თბილისის გავლით, III. სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასიის მთების ფერდობების შემოვლით კასპიის ზღვის სანაპირო ზოლზე თანამედროვე აზერბაიჯანის გავლით ინდოეთის ოკეანისკენ.

პარადოქსულია ის ფაქტი, რომ რუსეთის გავლენა იწყება ჯერ ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში, შემდეგ ჩრდილო ამოსავლეთ კავკასიაში და საზღვრების ეს გადმოწევა-დამკვიდრება გრძელდება ნახევარი საუკუნის მანძილზე, თუმცა ყველაზე ადრე რუსეთი დამკვიდრდა სამხრეთ კავკასიაში - საქართველოში - 1801 წელს.

ჩრდილო კავკასიის დაპყრობა დასრულდა 1854 წელს, როდესაც დაღესტნის საქართველოში შემავალი კასპიის პირა ოლქი დაიყო ორ - დამორჩილებულ და ურჩ ნაწილად.

1806 წელს დერბენტის, 1836 წელს კი სამურის მაზრაც უკვე რუსების ხელშია. დასრულდა აღმოსავლეთ კავკასიის ადმინისტრაციული მოწყობა. კავკასიის კომიტეტის უფრანალი 1849 წლის 13 დეკემბერს იწყებს მოსახლეობის აღწერას და გვაწვდის ფართო მონაცემებს კავკასიაში არსებული დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ.

ოლქის ადმინისტრაციული მოწყობის დასრულებას მოყვა რუსული ენის უფრო ინტენსიური გავრცელება.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ენის გავრცელების ტემპები დასავლეთ კავკასიაში უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე აღმოსავლეთ კავკასიაში. აქ გარკვეული როლი ითამაშა მუჰაჯირობამ, რომელმაც მკვეთრად შეცვალა კავკასიაში რუსეთის

მდგომარეობა. ე.დ. ფელიცინის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში შედგენილ რუკაზე ჩრდილო კავკასიის ცენტრული ნაწილი წარმოდგენილია როგორც თერგისა და სუნჯის ჩეჩენთა ყოფილი მიწები.

XIX საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურასა და სტატისტიკურ ცნობარში გვხვდება მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები კავკასიაში რუსული ენის გავრცელების შესახებ. ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ კავკასიის ტერიტორიაზე პირველები ჩნდებიან რასკოლნიკები (დუხობორები, მალაკნები, გერები, ხლისტები, საჭურისები...) ხელისუფლება არა თუ ეწინააღმდეგებოდა მათ გადმოსაღებას, არამედ აძლევდა პასპორტებს, რითაც ადასტურებდა მათ რუსეთის თანასწორ უფლებიან მოქალაქეობას ერთი მცირე შეზღუდვით - მათ ჰქონდათ თავისუფალი გადაადგილების უფლება მხოლოდ კავკასიის ტერიტორიაზე.

დიდი როლი ითამაშა რუსული ენის დამკვიდრებაში ჯარის გადაადგილებამ, სასაზღვრო დასახლებებისა და საჯარისო შენაერთების არსებობისთვის საჭირო თანმხლები სამეურნეო დასახლებების შექმნამ. ასეთი დასახლებები მრავლადაა კახეთში, განსაკუთრებით მდ. ალაზნისა და ივრის პირეთში, შავი ზღვის პირასა და საერთოდ საჯარისო ნაწილების გარშემო. მათი სახელები ძირითადად არის ულიანოვკა, ბოგდანოვკა, ან ალექსეევკა. რუსული ენის გავრცელება პირდაპირ კავშირშია განათლებასთან. როგორც იმდროინდელი პრესა წერდა რომ ამ საქმეში დიდ როლს თამაშობენ ეკლესია და ქალები, რომლებმაც ითავეს პოპულარული განათლების კერების დაფუძნება. პირველი ასეთი კერა ჩნდება რუსეთთან შეერთებისთანავე თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც დაარდა 1802 წელს. ვაჟთა ორკლასიანმა სასწავლებელმა, სადაც სწავლა შეიძლებოდა მხოლოდ რუსულ ენაზე. იარსება ერთ წელს. 1804 წელს ციციანოვის მიერ დაარსდა ახალი კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელმაც 20 წელზე მეტ ხანს იარსება. XIX საუკუნის ბოლოსთვის საგანმანათლებლო საქმიანობა კავკასიაში მიუახლოვდა რუსეთის სტანდარტებს.

1894 წელს დაღესტნის ოლქში სწავლობს 22.763 ვაჟი და 11.414 ქალი, სულ -- 34.117 მოსწავლე, მათგან ადგილობრივი მოსახლეობა - 16.861, დროებითი მოსახლეობა 9.433 და 6.789 საჯარისო მოსახლეობა, მათგან 50 % რუსები არიან. ოლქის

ქალაქებში 24 სასწავლებელში სწავლობს 1.175 მოსწავლე, სულ ოლქში 661 სასწავლო დაწესებულებაა 3.805 ვაჟი და 895 ქალი, სულ 4.700 მოსწავლე. ამ მონაცებით ირკვევა, რომ 862,8 სულ მოსახლეზე მოდიოდა ერთი სკოლა. ერთი ვაჟი მოსწავლე 150 სულ მოსახლეზე და ერთი ქალი მოსწავლე 637 სულ მოსახლეზე.

თავდაპირველად ყველა რუსულ სასწავლებელში სწავლა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. სინაგოგებთან არსებულ სასწავლებლებში - ივრიტზე, მეჩეთთან არსებულ სკოლებში - არაბულზე..

რუსულ მოსახლეობაში ყველაზე განათლებულები იყვნენ რასკოლნიკები, რომლებიც რელიგიურ წიგნებს დამოუკიდებლად კითხულობდნენ. კავკასიური მოსახლეობის მხოლოდ 0, 03 % სწავლობდა რუსულ სკოლებში (6 სკოლა 159 მოსწავლით). აქვეა აღნიშნული, რომ რუსული სკოლა სიახლეა, რომელიც უცხო სულიერებაშია შემოჭრილი ძალდატანებით. თუმცა ყუმუხსა და ახტიში პოპულარობას იძენს მოვაჭრე და მეწარმე მოსახლეობაში რაკი სარგებელს ხედავენ რუსული ენის ცოდნაში.

1898 წლისთვის კავკასიაში დამტკიცდა რუსეთის ქალაქებისთვის დაკანონებული საგანმანათლებლო სტანდარტების მიხედვით შექმნილი სასწავლებელი - ქალაქის - 42; მთის - 5; საოლქო: ნალჩიკში - 1; დაწყებითი - 4 (ნაზრანი, გროზნო - თერგის ოლქი), მაიკოპში (კუბანის ოლქი), სოხუმი (ქუთაისის გუბერნია), სამეწარმეო - 16, საზღვაო - 3 (ფოთი ანაპა, ბაქო).

ქალთა მონაწილეობით შექმნილი სასწავლებლები: გიმნაზიები -14, პროგიმნაზია - 7, ქალთა მარიამის სახ. სასწავლებელი - 4, წმინდა ნინოს სახელობის - 5, წმინდა ალექსანდრას საელობის სტავროპოლის ქალთა სასწავლებელი - 1, საეპარქიო სასწავლებელი - 2, კერძო სასწავლებელი - 100-ზე მეტი.

სასწავლო ოლქების დაქვემდებარებაში არის 1669, სხვა უწყებების დაქვემდებარებაში - 1.669, მუსულმანური - 1990, ებრაული - 38, სულ - 5.016 (ეს რიცხვი ორჯერ მეტია ვიდრე 1878 წელს).

მოსწავლეთა რიცხვი: ვაჟები - 104.684, ქალები - 35.084. ეროვნებათა მიხედვით: რუსები - 70.431, ქართველები - 26243, სომხები - 24.298, თათრები - 4.619, მთიელები - 3.949, ებრაელები - 1585, სხვა - 8.643.

რელიგიური თვალსაზრისით: მართლმადიდებლები - 64,4 %, სომეხი გრიგორიანელები - 16,1%, კათოლიკეები - 2,4 %, მუსულმანები - 3,9 %, იუდეველები - 1,7 %, სხვანი - 1,8 %.

სტატისტიკა იძლევა საშუალებას გავადევნოთ თვალი განათლებისა და შესაბამისად რუსული ენის გავრცელებას მთელ კავკასიის რეგიონში:

ჩრდილო კავკასია

ყუბანის ოლქი - 436 სასწავლო დაწესებულება

სტავროპოლის გუბერნია - 238

თერგის ოლქი - 162

დაღესტნის ოლქი (მიეკუთვნება ამიერ კავკასიას) - 23

სამხრეთ კავკასია

თბილისის გუბერნია - 262

ქუთაისის გუბერნია - 246

ელიასვეტპოლის გუბერნია - 100

ერევნის გუბერნია - 90

ყარსის ოლქი - 26

ბაქოს გუბერნია - 73

შავი ზღვის გუბერნია - 52.

კავკასიის მხარის მმართველობა და განათლების სამინისტრო რა თქმა უნდა იყო ინფორმირებული კავკასიაში რუსი მსახლეობის კონტიგენტითა (კაზაკები, რასკოლნიკები) და მათ მიერ რუსული ენის ცოდნის დონითა და მათ მიერ შემოტანილი დიალექტური და ჟარგონული მეტყველებით. რაც შეეხება სტანდარტული რუსულის ცოდნა ხელმისაწვდომი იყო სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში, 1864 წელს თერგის ოლქში გაიხსნა ხალხის მიერ შეგროვილი ფულით აშენებული სკოლები სადაც ადგილობრივ ენასთან ერთად ისწავლებოდა რუსული ენაც, თანაც რუსულის ცოდნა სავალდებულო იყო. რუსი ბავშვებისთვის იყიდებოდა საღვთო რჯული, მთიელებისთვის კი - ყურანი. 1872 წელს ქ. გროზნოში იხსნება მთარგმნელთა სკოლა. 1996 წელს პუშკინის სახ. სასწავლებელი. 1904 წელს რეალური სასწავლებელი და ქალთა გიმნაზია.

თუ 1848 წელს გიმნაზიის ყველა კლასში მოსწავლეთათვის აუცილებელი იყო ორი ადგილობრივი ენის სწავლა, 1853 წელს ეს ენები ისწავლებოდა მხოლოდ სამ დაწყებით კლასში, ზედა

კლასებში კი მხოლოდ ერთი. 70-ან წლებში კი რჩება მხოლოდ რუსული.

სახელმწიფო საბჭოს 1867 წლის სხდომაზე მიღებულ იქნა რუსული ენის საათების გაზრდის გადაწყვეტილება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პერიოდი ოქტომბრის რევოლუციიდან 1938 წლამდე. ეს არის პერიოდი ნაციონალური ანბანების გრაფიკის თანაარსებობისა - არაბული, ლათინური, რუსული. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შამილის ომების შემდგომი პერიოდის ვითარება, რომელსაც პეტრე უსლარი უწოდებს “კავკასიელების საბოლოო მიწინარების“ პერიოდს. 1957 წლიდან ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სწავლების ენა ხდება მხოლოდ რუსული, მოგვიანებით კი მისი ფარდობა ეცემა 5:1-თან. საინტერესოა, რომ ასეთ შემთხვევაში მოსწავლთა განათლება იყოფა სამ საფეხურად: დაბალი, დაწყებითი, საშუალო. თავისი მიდრეკილებისადმი მომავალი ცხოვრების მიმართ მოსწავლე ირჩევს მისთვის საჭირო აუცილებელ დონეს (შეადარე ინდოეთში კასტებისთვის დაწესებულ 14 დონეს, რომელთა გადაღობვა აკრძალულია).

ენისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება დამახასიათებელია დღევანდელი დღისთვისაც. ენის მრავალსაფეხურიანი ცოდნისადმი დამოკიდებულება განაპირობებს რუსული ენისადმი დაქვეითებულ ინტერესსაც. ასე რომ რუსულ ენას ამ საუკუნეში ხელახლა მოუწევს კავკასიის რეგიონში თავისი ადგილის დამკვიდრება. სულ რამდენიმე ხნის წინ ასე ვფიქრობდით, სამწუხაროდ ეხლა სულ სხვა ვითარება გვაქვს, რაც ნათლად ჩანს თბილისის ქუჩებსა და არქიტექტურული ძეგლების გარშემო, სადაც ინტერფრონტელი ექსკურსიამძღოლები ამაყად აცხადებენ - ეტო ნაშა იმპერია !!!



**VLADIMIR KIKILASHVILI****Language as a Means of Creeping Aggression  
(Russian Policy in the Caucasus Region)**

Russian language policy began to form in the first years of the 19th century. Here we must make a distinction between the two main aspects thereof: temporal and spatial ones. Both aspects comprise a number of basic levels.

The first level of the temporal aspect is the Russification of the South Caucasus, namely the introduction of the Russian education in Georgia – Tbilisi was the place where the very first secular “Russian school” was opened.

The next stage was the Committee for the Restoration of Orthodoxy, whose aim was the transfer of the Georgian Orthodox Church to the Russian language-based religious rites.

We must pay special attention to the attempts to substitute the Georgian script with the Cyrillic alphabet. Two stages must be singled out here: the first one taking place before the October revolution of 1917, and the second one – occurring during the Soviet era. It must be emphasized that Nicholas Marr, who advocated the idea of the global introduction of the universal alphabet, opposed the introduction of this alphabet for the Georgian and Armenian languages.

There was the similar situation in the North Caucasus, which by the time did not have its own alphabet with the exception of the script of 7th-15th centuries AD, executed in the Georgian graphical system and the first Avar-language inscriptions, made in Georgian and Arabic graphical systems (1485 AD). The first Avar printed text, executed in the Arabic graphical system, was published in 1884 in Istanbul. It was a piece of religious literature. In the period from this moment to the October revolution, there were printed 100 books in total.

The introduction of the Russian graphical system was met with certain opposition. It was confronted with the Arabic script.

In the Soviet era, the officials carrying out the Russification policy used the mistake made before and offered the Latin alphabet to the North Caucasian peoples. This was initiated by the Chairman of the Azerbaijani Central Committee S. A. Aghamali-oghli. He gave a report on his opinion to V. Lenin, who dubbed the idea as “the beginning of the cultural revolution among Turks”.

By the time, many peoples of the Russian Empire had the scripts based on the Arabic graphical system. The task of the new, revolutionary government was to break the links between these peoples and the rest of the Islamic world and their religion.

“The transfer to the Latin graphical system has a paramount importance – it tears down the wall between the European and the Muslim cultures, bringing the East and the West closer together”, said A. Mikoyan, a member of the Bureau of the Central Committee of the Bolshevik Party, during the conference dedicated to the Latinization of the script in 1925.

This move was followed by the decade-long debates and confrontation. Eventually, the Caucasians exhausted by the debates and reprisals were made to consent to the introduction of the “neutral Cyrillic alphabet”.

Here we must make a special mention of the events which ensued after the Latinization of the alphabets of the Caucasian languages. As we know, in 1862 P. Uslar developed for the Abkhaz language an alphabet based on the Cyrillic with the addition of several Georgian and Latin graphemes. In 1926, the Abkhaz language was selected for a linguistic experiment – N. Marr decided to develop the Abkhazian analytical alphabet as a version of the intended universal worldwide alphabet – the first step of the introduction of the universal worldwide language. Marr however could not see the difference between scholarly transcription and practical alphabet and this is why his idea was doomed to the failure. Neither the attempts made by N. Yakovlev could save Marr’s idea from the inevitable collapse. Although he devised a formula for the mathematical construction of alphabets, still his effort was also in vain. Perhaps, the cause of this was the fact that he did not take into account the ideal quality of the Georgian alphabet and the positive experience of the Caucasian Albanian alphabet in the field of the development of the ideal alphabet for multi-sound language.

We do not intend to discuss here the attempts to develop alphabets for the Abkhaz language, since this is the field of the specialists in the Abkhaz language who can better cope with the task and can better highlight another example of the Russification policies. We would like simply to state that Russia managed to succeed in its plans only in the North Caucasus. As for the propagation of the Orthodox Christianity in the Caucasus region, this effort of Russia was supported by the Institute for Bible Translation.

## ბიორბი სოსიაზვილი

### ოსების ენა და კულტურა საქართველოში (წარსული და დღევანდლობა, ზოგადი მიმოხილვა)

ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ქართული სახელმწიფოს მესვეურებს ახლო მეზობლობა ჰქონდათ ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ნაწილში დამკვიდრებულ ოსებთან. ცნობილია, რომ იმიერკავკასიის ის ნაწილი, სადაც მერმინდელი ოსთა სახელმწიფო ჩამოყალიბდა, მომთაბარე ალანთა პირველსაცხოვრისს არ წარმოადგენდა. სკვით-სარმატული წარმოშობის დღევანდელი ოსები ირანული მოდგმის ხალხს განეკუთვნებიან და ისინი ადრეულ შუასაუკუნეებში იმიერკავკასიის ველებზე გადაადგილდებოდნენ.

მონღოლთა შემოსევებმა ოსთა გაერთიანებას მძიმე დარტყმა მიაყენა და ისინი საბოლოოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში დამკვიდრდნენ.

მონღოლთა გამოჩენამდე ალანთა ტომები განფენილი იყვნენ ვრცელ ტერიტორიაზე. მათი საცხოვრისის შემცირების შემდეგ ალან-ოსების გადაადგილების ტერიტორიის ნაწილი სხვადასხვა ჩრდილო კავკასიურმა ხალხმა დაიკავა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სკვით-სარმატული მოდგმის ტომების შემოსვლა ჩრდილოეთ კავკასიაში ორ ნაკადად განხორციელდა. ძვ. წ. VIII საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიაში შემოდიან სკვითური, ხოლო ძვ. წ. III. საუკუნეში სარმატული ტომები. როგორც გ. თოგომზილი აღნიშნავს, სკვით-სარმატული ტომები: “თავისებურ დაღს ასვამენ ადგილობრივ მოსახლეობის განვითარების პროცესს.”<sup>75</sup> ამას მოჰყვა ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან დონისპირეთში, ყუბანისპირეთსა და ცენტრალურ კავკასიაში შუაზიიდან მოსული სარმატული ტომების მონათესავე ალანების შემოსვლა. საბოლოოდ, შემოსულმა სკვით-სარმატებმა და ალანებმა ადგილობრივი, ავტოქტონი მოსახლეობის ასიმილაცია მოახდინეს. იმ მოსახლეობის, რომელიც კოლხურ-ყოზანური კულტურის გავრცელების არეალში ცხოვრობდა და ამ კულტურის ერთ-ერთი შემოქმედი იყო. როგორც ტ. ფუტყარაძე აღნიშნავს: “კოლხურ-ყო-

<sup>75</sup> გ. თოგომზილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, (უძველესი დროიდან XIV საუკუნის დამლევამდე, თბ., 1958, გვ. 37.

ბანური არქეოლოგიური კულტურის არეალში მცხოვრებ იბერიულ-კავკასიური ენის მქონე მოსახლეობის საცხოვრისში ძვ. წ. პირველ ათასწლეულის შუა პერიოდში შემოვიდნენ ინდოევროპული ენის მქონე სკვითები, რომელთა ერთი ნაწილი კომპაქტურად დამკვიდრდა ერთ-ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაზე/დიალექტზე მოლაპარაკე ოვსთა საცხოვრისში. დროთა განმავლობაში, მოსულთა ენა გაბატონდა დამხდურთა ენაზე, თუმცა, ოვსთა ენა სუბსტრატულ ფენად შემორჩა გაბატონებულ ინდოევროპულ ენაში. „..იბერიულ-კავკასიური სუბსტრატული ფენა თანამედროვე ოსურში ჩანს ყრუ-მკვეთრი თანხმოვნებისა და დიდძალი ლექსიკის სახით“.<sup>76</sup> ტ. ფუტკარაძის და მ. ლაბაძის განმარტებით: “თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფონემატური სტრუქტურის მიხედვით ოსური ენა ძალიან ახლოსაა იბერიულ-კავკასიურ ენობრივ ერთეულებთან: როგორც უშუალოდ მოსახლევე ენებთან (ქართული, ჩეჩნურ-ინგუშური, ჩერქეზული), ისე არამოსახლევეებთანაც (დაღესტნის ენები) - დადგენილია, რომ ოსური ენის ფონემატურ სტრუქტურაში არსებობს ე. წ. კავკასიური ხშულები-ყელხშული (მკვეთრი) თანხმოვნები: პ, ტ, კ, წ, ჭ, ყ, ტ“.<sup>77</sup> ავტორთა კვლევა ოსურში არსებულ კავკასიურ ხშულებთან დაკავშირებით მიდის დასკვნამდე: “ამჟამინდელი ოსები ხანგძლივი დროის განმავლობაში წარმოიქმნენ დამხვდური იბერიულ-კავკასიური და მომხვდური ალანური ტომების შერევით“.<sup>78</sup> თანამედროვე ალან-ოსები რომ კავკასიაში მოსული, არავტოქტონი ეთნოსია ამას აღიარებს გ. თოგოშვილი. იგი წერს: “ოსები ენის მხრით ინდოევროპელები არიან, კულტურის მხრით კი ტიპური კავკასიელები“.<sup>79</sup> მოსული სკვით-სარმატული მოდემის ტომების ზეწოლის შედეგად არა მარტო კოლხურ-ყობანური კულტურის შემქმნელი იბერიულ-კავკასიური ენის ერთ-ერთ დიალექტზე მოლაპარაკე ხალხის (ქართულ წყაროებში შემორჩენილი ტერმინი “ოვსი“, “ოვსები“ სწორედ ამ ძველი ხალ-

<sup>76</sup> ტ. ფუტკარაძე, ქართველები, თბ., 2005, გვ. 144.

<sup>77</sup> ტ. ფუტკარაძე, მ. ლაბაძე, ოსურ ენაში არსებული კავკასიური ხშულების ისტორიისთვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2017, გვ. 146.

<sup>78</sup> იქვე, გვ. 148.

<sup>79</sup> გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

ხის აღმნიშვნელი ეთნონიმი უნდა იყოს) ასიმილიცია მოხდა. ალანებმა კავკასიური წარმოშობის სხვა ხალხებიც შეავიწროვეს და მათი ტერიტორიები მიითვისეს.\* ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავასახელოთ დვალეები.<sup>80</sup>

დვალთა ნაწილი საქართველოს დაბლობში ჩამოსახლდა, ხოლო ნაწილი ალანებს შეერია. დვალეებით დასახლებულ ტერიტორიაზე ოსური ენა გაბატონდა. ვახუშტი ბატონიშვილი მკვეთრად მიჯნავდა დვალთა ენას ოსური ენისაგან: “ენა აქეთ ძველი, დვალური და აწ უბნობენ ოსურსა”.<sup>81</sup> პროფ. რ. თოფჩიშვილის განმარტებით, დვალეთი თავდაპირველად დასავლეთ და აღმოსავლეთ ქართველთა თანაცხოვრების ადგილი იყო.<sup>82</sup> დვალთა გაოსების პროცესი, როგორც რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, ერთდროული აქტი არ ყოფილა. მათი ეთნიკური ასიმილაციის პროცესი ხანგძლივი დროის განმავლობაში (რამდენიმე თაობის მანძილზე) მიმდინარეობდა და ის ძირითადად განხორციელდა XVI—XVII საუკუნეების მიჯნაზე.<sup>83</sup> XVII საუკუნის I ნახევარში ჯერ კიდევ დვალეთში ქართველები (ქართული გვარისანი) მკვიდრობდნენ.<sup>84</sup> XVIII საუკუნის დვალეთის მოსახლეობას

\* აღსანიშნავია, რომ 1843 წელს საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური აუგუსტ ჰაქსტაუზენი, რომელმაც ოსების შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია დაგვიტოვა, მსგავსებას ხედავდა, ოსი და გერმანელი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში. გ. გელაშვილი, ჰაქსტაუზენი ოსების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №1(5), თბ., 2009, გვ. 399. ოსთა საუბრის უღერადობასა და მანერებში ასეთივე მსგავსებას ხედავდა გერმანელი მოგზაური იოჰან გეორგ კოლიც. გ. გელაშვილი, იოჰან კოლის ცნობები ოსების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (9), თბ., 2011, გვ. 297. ოსების წარმომავლობის შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოში ჩამოსულმა გერმანელმა მოგზაურმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა. მეცნიერი ოსებს ძველი ყივჩაღების, ან უყეების შთამომავლებად მიიჩნევდა, ხოლო ოსურ ენას სპარსულის მონათესავედ თვლიდა. გ. სოსიაშვილი, გერმანელი მოგზაურები ოსების შესახებ, თბ., 2007, გვ. 66-67.

<sup>80</sup> მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში, თბ., 1997, გვ. 379.

<sup>81</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, ტ. IV, გვ. 639.

<sup>82</sup> რ. თოფჩიშვილი, დვალეთი და დვალეები, თბ., 2016, გვ. 71.

<sup>83</sup> რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73;

<sup>84</sup> რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 40.

უკვე ეთნიკური ოსები წარმოადგენდნენ.<sup>85</sup> შუა საუკუნეებში ქართული სახელმწიფოს ურთიერთობა, იმიერკავკასიაში დამკვიდრებულ ალანებთან სამხედრო-პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ოსები ხშირად გამოდიოდნენ ქართული სამეფო ხელისუფლების დამხმარე ძალად როგორც საგარეო მტრის, ასევე, ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად. სამხედრო მოკავშირეობამ ორი ხალხის ურთიერთობაში განმსაზღვრელი ხასიათი შეიძინა და ამ კავშირების მდგრადობის სურვილმა და სამომავლო პოლიტიკურმა სტრატეგიამ საფუძველი შეუქმნა დინასტიურ ქორწინებებს. საკმარისია გავიხსენოთ: გიორგი I(1014-1027 წ.წ), ბაგრატ IV(1027-1072 წ.წ)), გიორგი III(1156-1184 წ.წ), ნათესაური კავშირების დამყარება ოსეთის მმართველ წრეებთან.

საქართველოს ხელისუფლებასთან ჩამოყალიბებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირებმა, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ წარმართ ოსებში გზა გაუხსნა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ამ სარწმუნოების წიაღში აღმოცენებულ ქართულ კულტურას. სამხედრო-პოლიტიკური კავშირების მდგრადობის შენარჩუნების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ალან-ოსების ქართულ კულტურულ სივრცეში შემოყვანას, ამ თვალსაზრისით ფართო კალაპოტი შექმნა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ. მკვლევრები თვლიან, რომ ოსებში ქრისტიანული სარწმუნოება ანდრია მოციქულმა იქადაგა. ამ აზრისაა ხარკოვის არქივისკოპოსი მაკარი.<sup>86</sup> დ. ლავროვი ოსებში ქრისტიანული სარწმუნოების გამავრცელებლად წმ. ნინოს მიიჩნევს.<sup>87</sup> ზ. ჭიჭინაძეს თავის წიგნში მოჰყავს გადმოცემა, რომლის მიხედვით ოსეთში ანდრია მოციქულმა მღვდელმთავრად ვინმე მატათა დანიშნა, საბოლოოდ კი ოსები წმ. ნინომ გააქრისტიანა. ზ. ჭიჭინაძის აზრით, ვახტანგ გორგასალმა V საუკუნეში ოსებისთვის საეპისკოპოსო კათედრა დააარსა.<sup>88</sup> საისტორიო წყაროების მიხედვით

<sup>85</sup> რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017, გვ. 170.

<sup>86</sup> История христианства в России до равноапостольного князя Владимира, (второе издание), Спб., 1869, стр. 86, 87. Пфаф, Сборник сведений о кавказских горцах, Вып. IV, 1870, стр. 31.

<sup>87</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Вып. III, 1883, стр. 200.

<sup>88</sup> ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, ტფ., 1913, გვ. 44, 62-67.

ოსების გაქრისტიანება 921-925 წლებში მოხდა და ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება დაკავშირებულია გიორგი II აფხაზთა მეფის სახელთან. ქართველ ხელისუფალს ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებაში ხელს უწყობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი-ნიკოლოზ მისტიკოსი.<sup>89</sup> ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებამ ქართველი და ოსი ხალხი კიდევ უფრო დაახლოვა.

საქართველოში მოღვაწე ოსმა დედოფლებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის განვითარებაში. ბაგრატ IV მეუღლე ბორენა ცნობილია, როგორც პალესტინის ერთ-ერთი მონასტრის კაპპათას ამშენებელი. ამ საქმეში მას თავისი ქალიშვილი მართა (ბიზანტიის იმპერატორის მეუღლე) უწევდა დახმარებას.<sup>90</sup> ბორენას დავალებით სვანეთში ლენჯერის საზოგადოებაში მაცხოვრის ეკლესიის ღვთისმშობლის ოქროჭედილ ხატზე წარწერაც ამოუკვეთიათ. როგორც ჩანს, იგი ძალზე განათლებული და ღვთისმოსავი ადამიანი იყო.<sup>91</sup> არანაკლებ მნიშვნელოვანია გიორგი III მეუღლის ბურღუხან დედოფლის კულტურული მოღვაწეობა. ბურღუხანი მოხსენიებულია ხობის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში. ნიკოლოზ კათალიკოსის წერილის თანახმად, იგი ძალზე ზრუნავდა რუისის ტაძარზე.<sup>92</sup>

ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობა კიდევ უფრო ახალ სიმაღლეზე ავიდა თამარის მეფობის(1184-1210წ.წ) დროს. საქართველოში გაზრდილი თამარის მეუღლე დავით სოსლანი არა მარტო სწორუბოვარი მხედართმთავარი იყო, არამედ განათლებული მოღვაწე და ქართული კულტურის დიდი მცოდნეც. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით დავითი: “მწიგნობრობასა და მეც-

<sup>89</sup> გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 115. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანიტურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. IV, ნაკვ. 2, თბ., 1952, გვ. 213.

<sup>90</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1980, გვ. 145.

<sup>91</sup> ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910 წ. პარიზი, 1937 წ. გვ. 316.

<sup>92</sup> გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 227, თ. ყორდანი, ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 268.

ნიერებაშიც დიდად დაწინაურებული აღმოჩნდა.“<sup>93</sup> ნუზალის საყდარში, რომელიც არაერთმა მკვლევარმა აღწერა და შეისწავლა,\* არსებობდა ქართული წარწერა, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ოსი ბაყათარის წინაპრები და მისი ორთაბრძოლა ქართველ მეფესთან. ზ. ჭიჭინაძე მიიჩნევდა, რომ ეს წარწერა დავით სოსლანის შეთხზული იყო.<sup>94</sup> დავით სოსლანი მოხსენიებულია ნუზალის ფრესკულ წარწერებში.<sup>95</sup> შუა საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანული კულტურა იმიერ კავკასიაში საქართველოდან ვრცელდებოდა. ოსეთში ქართული კულტურის არაერთი ნიმუში გვხვდება, მათ შორის ქართველ მეფეთაგან შეწირული საეკლესიო ზარები. მდ. არდონის შენაკად ცეის ხეობაში არსებობს რექომის სალოცავი, რომლისთვისაც გიორგი XI ზარი შეუწირავს. ზარი, ამოტიფრული წარწერის თანახმად, 1680 წლით თარიღდება.<sup>96</sup> ასეთივე ზარი გიორგი XI ქუთათის ხეობაში არსებულ ძივგისის ტაძრისთვისაც უბოძებია. აღნიშნული ზარი 1683 წლით თარიღდება.<sup>97</sup> ოსეთში ქრისტიანული სარწმუნოების მძლავრ გავრცელებას ადასტურებს სოფ. ზარამაგში აღმოჩენილი XIII საუკუნის ფსალმუნი, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში ჩაუტანიათ ოსეთში.<sup>98</sup>

ქრისტიანული სარწმუნოების და ქართული კულტურის ოსეთში გავრცელებაზე საუბრის დროს გვერდს ვერ ავუვლით ოსეთის სასულიერო კომისიის საქმიანობას. კომისიის შექმნამდე ოსეთში საგანმანათლებლო საქმის განვითარებაზე დიდი წილი შეიტანა ქართველმა სასულიერო მოღვაწემ, სამშობლოდან

<sup>93</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 261.

\* იხ. Уварова П, Кавказ. Путевые заметки, 1879, стр. 40-41; Пфаф, Материалы для истории Осетии, Сборник сведений о кавказских горах, Вып. V, 1871, стр. 33-35; Джанашвили, М., Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, т. XXII, 1897, стр. 43-44.

<sup>94</sup> ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, გვ. 207. Джанашвили, М., “Картлис Цховრება”, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Вып. 35, 1905, стр. 181-182.

<sup>95</sup> ივ. ლოლაშვილი, დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, თბ., 1971, გვ. 39.

<sup>96</sup> გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა, XV-XVIII სს თბ., 1969, გვ. 231.

<sup>97</sup> იქვე, გვ. 231.

<sup>98</sup> იქვე, გვ. 232.



ჩრდილოეთ კავკასიაში გადახვეწილმა არქიეპისკოპოსმა იოანემ. 1737 წელს ის ასტრახანში ჩავიდა და ტროიცკის მონასტერში მოღვაწეობდა, ხოლო აქედან მცირე ხანში ყიზლაში გადავიდა, სასწავლებელი გახსნა და ქრისტიანობის ქადაგებას შეუდგა.<sup>99</sup> თუმცა, ყველაზე მასშტაბური საგანმანათლებლო საქმიანობა ოსეთში ქართველ სასულიერო პირთა მიერ დაკომპლექტებულმა კომისიამ წარმართა. კომისიის შექმნის ინიციატორები იყვნენ მოსკოვის ზნამენსკის წინამძღვარი არქიეპისკოპოსი ნიკოლოზი და არქიეპისკოპოსი იოსებ სამეხელი.<sup>100</sup> აღნიშნულმა სასულიერო პირებმა კომისიის შექმნის თხოვნით იმპერატორს 1742 წელს მიმართეს. კომისიის მიზანი ოსებში შერყეული ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენა იყო. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ყიზლართან ახლოს მცხოვრებ ოსებს, რომლებიც უწინ მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და ქართველ მეფეებს ემორჩილებოდნენ. მათ ქვითკირით ნაგები ეკლესიებიც ჰქონდათ.<sup>101</sup> ცნობილია, რომ 1739 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ზავი დაიდო, ყაზარდო ნეიტრალურ ქვეყნად გამოცხადდა. რუსეთი ერიდებოდა ოსეთში რაიმე სახის ღია კამპანია ეწარმოებინა, ამიტომ ქართველი სასულიერო მოღვაწეების მისიონერულ საქმიანობას დათანხმდა, რითაც ის თავის პოლიტიკას შენიღბავდა.<sup>102</sup>

ქართველი არქიმანდრიტების ნიკოლოზისა და იოსების რეკომენდაციით 1744 წელს, ოსეთის სასულიერო კომისია შემდეგი შემადგენლობით დაკომპლექტდა: არქიმანდრიტი პახომი, ილუმენები ქრისტეფორე (დავით გურამიშვილის ძმა), ნიკოლოზი, ყაზანის ეპარქიაში მყოფი დეკანოზი გიორგი დავიდოვი, არქიელი ივანე სემენოვი, მნათე გიორგი ბორისოვი. კომისიის წევრები ქართველები იყვნენ.<sup>103</sup> აღნიშნულმა კომისიამ, რომელიც ქართველი სასულიერო პირების შემადგენლობით მუშაობას 1745

<sup>99</sup> М. Илуридзе, Исторический очерк деятельности православного миссионерства на кавказе в XVIII и XIX столетиях, Причины его успехов и неудач, Пастырь, 1888. #6, стр. 7.

<sup>100</sup> გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 235.

<sup>101</sup> იქვე, გვ. 235.

<sup>102</sup> იქვე, გვ. 236. შ. ხანთაძე, ქართველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში XVIII საუკუნეში, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, ---ჯ, და XX—ჯ. 1957, გვ. 406.

<sup>103</sup> გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

წლიდან შეუდგა, 1771 წლამდე იარსება. თურქეთთან ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ კომისია გადაახალისა და ქართველი სასულიერო პირები რუსი ეროვნების სასულიერო მოღვაწეებით ჩაანაცვლა.<sup>104</sup> ქართველი სასულიერო პირების მისიონერულმა მოღვაწეობამ ძალზე დიდი გავლენა იქონია ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაზე. სასულიერო კომისიის წევრები ზრუნავდნენ ოსი ბავშვების აღზრდაზე, მათ განათლებაზე. კომისიის ხელმძღვანელმა პახომმა 2 ოს ბავშვს საკუთარი ხარჯებით ასწავლა. სამი ოსი ბავშვი აღზარდა ილუმენმა გრიგოლმა და სხვ.<sup>105</sup> სასულიერო კომისიის წევრები დიდად ზრუნავდნენ ოსი ხალხისთვის საგანმანათლებლო კერების შექმნის თვალსაზრისით. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს არქიმანდრიტი პახომის მიერ ოსი ხალხისთვის სკოლის გახსნის პირველი მცდელობა, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. თუმცა, 1764 წელს მოზდოკში სკოლა მაინც გაიხსნა, რომლის დაარსების იდეა ქართველ სასულიერო პირებს ეკუთვნოდათ. სკოლის პირველი მასწავლებელი იყო არქიმანდრიტი გრიგოლ რომანიშვილი.<sup>106</sup>

განუზომლად დიდია ქართველი სასულიერო მოღვაწეების დამსახურება ოსი ხალხისთვის ანბანის შექმნის საქმეში. ამ მხრივ, დიდად იღვაწა მოზდოკის ეპისკოპოსმა გაიოზმა (თელავის სემინარიის ყოფილი რექტორი) რომელიც ერეკლე II და სოლომონ II ნდობით აღჭურვილი მოღვაწე იყო.<sup>107</sup>

ოსების გაქრისტიანების საქმეში დიდ როლს ასრულებდა ქართული საღვთისმეტყველო ტექსტების ოსურ ენაზე თარგმნა. 1747-1753 წ.წ. ილუმენმა გრიგოლმა რამდენიმე ქართული წიგნი ქართული საეკლესიო გრაფიკის (ხუცურის) გამოყენებით ოსურ ენაზე გადათარგმნა.<sup>108</sup> ქართული საეკლესიო შრიფტით ოსური წიგნების გამოცემის უფრო ადრინდელ ფაქტს ადასტურებს მ. ჯანაშიელი. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მას 1753

<sup>104</sup> იქვე, გვ. 238.

<sup>105</sup> იქვე, გვ. 239; Материалы по истории Осетии, т. V, Орджоникидзе, 1933, док. 4.

<sup>106</sup> Материалы по истории Осетии, т. V, док. 15;

<sup>107</sup> А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II, Спб., 1902, стр. 71-72.

<sup>108</sup> dasax, naSromi, gv. 246.

წელს დაბეჭდილი ოსური წიგნი უნახავს.<sup>109</sup> მიუხედავად იმისა, რომ ოსური წიგნების გამოცემის საფუძველი ქართული გრაფიკა იყო, მცირე ხანში რუსეთმა მიდგომა შეცვალა და სასულიერო კომისიაში მყოფ რუს იერარქებს უბრძანა, რომ ოსური საეკლესიო წიგნები მხოლოდ სლავური გრაფიკის საფუძველზე გამოეცათ.<sup>110</sup> ქართული საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნის საქმეს ნაყოფიერად აგრძელებდა მოზდოკის ეპისკოპოსი გაიოზი. 1785 წელს მან ოს მღვდელთან პავლე გენცაუროვთან ერთად საეკლესიო სლავური ანბანის საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი და ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნა წიგნი:

«Начальное учение человеком, хотящим учиться книг

Божественнаго писания». აღნიშნული წიგნი მოსკოვის სინოდალურ სტამბაში 1798 წელს დაიბეჭდა.<sup>111</sup> ოსთა საგანმანათლებლო საქმიანობას დიდი ამაგი დასდო იოანე იალღუზიძემ (გაბარაევმა) (1770-1830).\* იოანე იალღუზიძემ ქართული ანბანის საფუძველზე შექმნა ოსური ანბანი, რომელიც 1821 წელს თბილისის სტამბაში დაიბეჭდა. თუმცა, მისი გარდაცვალების შემდეგ ოსური წიგნების გამოცემა ქართული გრაფიკის საფუძველზე შეწყვეტილ იქნა. რუსეთის ხელისუფლების დავალებით 1844 წელს ფრანგმა აკადემიკოსმა ანდრეას შეგრენმა ძველი სლავური ანბანის საფუძველზე ოსური დამწერლობა შექმნა. 1923-1938 წ.წ ოსურ დამწერლობას საფუძვლად ედო ლათინური ანბანი, თუმცა, 1938 წლიდან ჩრდილოეთ ოსეთში, ხოლო 1954 წლიდან ე. წ. სამხრეთ ოსეთში საბოლოოდ რუსული გრაფიკა

<sup>109</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, т. XXII, 1897, стр. 64

<sup>110</sup> გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

<sup>111</sup> იქვე, გვ. 247.

\* იალღუზიშვილთა გვარი ქართული წარმომავლობის იყო. 1432 წლის თირის მონასტრის სიგელში იხსენიება ბეჟან იალღუზისშვილი, რომლის სალაპედ მოლარათუხუცესმა ხელმა თავხელისძემ თირის მონასტერს მელვრეკისში მცხოვრები გლეხი ჭონისშვილი შეწირა. გ. სოსიაშვილი, თირის მონასტრის 1432 წლის საბუთი და თავხელისძეთა საგვარეულო, ანალები, №11, 2015, გვ. 159. მოგვიანებით, იალღუზისშვილების, იგივე იალღუზისძეთა გაოსება მოხდა. ქართველთა გაოსების პროცესი განსაკუთრებით აქტიური იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში, თბ., 2010, გვ. 499-500.

დამკვიდრდა.<sup>112</sup> გარდა იმისა, რომ ქართველი სასულიერო პირები აქტიურ მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ ოს ხალხში, სამეფო ხელისუფლების მხარდაჭერით ისინი ცდილობდნენ ოსი ახალგაზრდების შემოყვანას ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში, ამას ადასტურებს საქართველოში აღზრდილი არაერთი ოსი სასულიერო პირის მოღვაწეობა. ერთ-ერთი მათგანი პართენი იკორთის ტაძრის არქიმანდრიტი ყოფილა. ის იხსენიება 1761 წლით დათარიღებულ იკორთის ტაძრის ერთ-ერთ ხელნაწერში.<sup>113</sup> ქართველ არქიმანდრიტ პახომს აღუზრდია ქურთათის ხეობელი ვინმე ბახტა, რომლის ქრისტიანული სახელი ბაგრატი ყოფილა. მას არაერთი ქართული წიგნი გადაუწერია, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი.<sup>114</sup> იკორთის მოანსტერში მოღვაწეობდა ოსი არქიმანდრიტი გამალიელი. როგორც იოანე ბატონიშვილი თავის “კალმასობაში“ გადმოგვცემს, ის ანტონ კათალიკოსის გაზრდილი იყო. ოსი გამალიელის სახელს არაერთი წიგნის გადაწერა უკავშირდება.<sup>115</sup> XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ: გიორგი ჯათიშვილი, ოსყოფილი ვანის-შვილი ჯვანის ძე დიაკვანი, XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოში მოღვაწეობდა ასევე ოს ყოფილი ნეოფიტე, რომელმაც ანტონ კათალიკოსისაგან არქიმანდრიტობა მიიღო.<sup>116</sup>

ოს მოღვაწეთაგან განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს იოანე იალღუზიძის ცხოვრება და შემოქმედება, სოფ. ზაღდადან ერეკლე II ბრძანებით საქართველოში ჩამოყვანილი ყმაწვილი დავით გარეჯის მონასტერში გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის იოანე ქარუმიძის ზედამხედველობის ქვეშ აღიზარდა, იოანე იალღუზი-

<sup>112</sup> ვ. ითონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 164; ნ. პოპიაშვილი, ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების თავისებურებები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში (აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2017, გვ. 113.

<sup>113</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1896, გვ. 25.

<sup>114</sup> გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 249. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. გ, №300, ფურც. 259; ალ. ლლონტი, ნარკვევები, თბ., 1955, გვ. 130-131.

<sup>115</sup> იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, თბ., 1948, გვ. 193; გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 250.

<sup>116</sup> იქვე, გვ. 251-252; იოანე ბატონიშვილი, კამასობა, II, გვ. 194.

დემ ქართულ-ოსურ კულტურულ ურთიერთობას მძლავრი ბიძგი მისცა.\*

საქართველოში მცხოვრები ოსების კულტურას განსაკუთრებული სული შთაბერა ნარში დაბადებული კოსტა ხეთაგათის მოღვაწეობამ. ოსი ხალხის წიაღიდან გამოსულმა დიდმა პოეტმა მშობლიური ხალხის ლიტერატურული ტრადიციები სრულიად სხვა სიმაღლეზე აიყვანა.\* ამ ტრადიციების შემდგომი გამგრძელებლები იყვნენ: დ. ჯიოევი, გ. ბესთაუთი, რ. ასაევი, ნ. ჯუსოთი და სხვ.<sup>117</sup>

XIX საუკუნის II ნახევარში საიმპერატორო კარი ცდილობდა საქართველოში ჩამოსახლებული ოსებისთვის რუსული განათლება მიეცა, რაც, ცხადია, კავკასიაში რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიხმოთ “ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელ საზოგადოების” მიერ საქართველოში, სოფელ როკაში ოსებისთვის სკოლის გახსნის ფაქტი. ოს ბავშვებს სკოლაში რუსი მასწავლებელი - სციპინი დაუნიშნეს. ცნობილი ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი, ამის შესახებ წერდა: “რუსი მასწავლებელი ოს ბავშვებთან, რომლებმაც რუსული ენა არ იციან და ლაპარაკობენ მხოლოდ ოსურად და ქართულად, ყოვლად გაუმართლებელია“.<sup>118</sup>

\* იოანე იაღლუზიძის შესახებ იხ. გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 252-256. ა. შანიძე, ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობიდან, მაცნე, 1964, № 1; Дз. Гугкаев, О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе, Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института. Выпуск VII. Сталинир, 1955; Вып. VIII, 1957; გ. ახვლედიანი, იოანე იაღლუძის გარშემო, ჟურნ. ფიდიოგი, № 2, 1928. (ოსურ ენაზე); ი. იაღლუზიძე, პოემა ალღუზიანი და სხვა მასალები, კრებული შეადგინა და გამოსცა შ. ქურდაძემ, ცხინვალი, 1988.

\* ამის შესახებ ვრცლად იხ. ა. მღებრიშვილი, ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბ., 2011, გვ. 38; ა. ცოტნიაშვილი, ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, ცხინვალი, 1968, გვ. 127-128; ა. ცოტნიაშვილი, მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პერიოდიკა ქართულ-ოსური ურთიერთობის შესახებ, ცხინვალი 1990, გვ. 40.

<sup>117</sup> ა. მღებრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70-80

<sup>118</sup> მ. გაჩეჩილაძე, სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა, თბ., 1996, გვ. 25-26.

XIX საუკუნის II ნახევარში დროების კორესპონდენტის გ. ლიახველის ინფორმაციით ეკლესიებთან არსებული სკოლები გაიხსნა დიდი ლიახვის ხეობაში, ჯავაში, კოშკაში, ედისაში.<sup>119</sup> ასეთი სკოლები როგორც ა. მღებრიშვილი განმარტავს: “ძირითადად მთის მოსახლეობაში ქრისტიანული რელიგიის დანერგვა-განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად”.<sup>120</sup> საქართველოში ჩამოსახლებული ოსები, თანდათან შემოდინდნენ ქართულ კულტურულ სივრცეში, ეზიარებოდნენ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს, მათი ქრისტიანიზაციის თვალსაზრით დიდ როლს ასრულებდა ქართული ენა, სწორედ ქართული ენიდან შედიოდა და მკვიდრდებოდა ოს ხალხში ქრისტიანული ტერმინები. ამის ნათელ წარმოდგენას ქმნის ოსურ ენაში შესული ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირებული ლექსიკა: ძუარ - ჯვარი, კუირი - კვირა, ტარანჯელოს - მთავარანგელოზი, მორხო - მარხვა, ბარისჩი, ბარაესკაე - პარასკევი, მიკალგაბირთაე - მიქელ-გაბრიელი, ჩირისტი - ქრისტე, მაირამ - მარიამი.<sup>121</sup> ოსურში ქართულიდან არის შესული ასევე სიტყვები: ალარდი - ალავერდი, დეკანოზ - დეკანოზი, სანიბა - სამება, ჯეორგუბა - გიორგობა.<sup>122</sup>

ქრისტიანული ტერმინოლოგიის გარდა, ქართულიდან ოსურ ენაში ბევრი ისეთი ლექსიკური ერთეული დამკვიდრდა, რომელიც დაკავშირებულია სამეურნეო ყოფასთან, მატერიალურ კულტურასთან. ასეთი სიტყვებია: კიტრი - ჯიტრი, ბოლოკი - ბულკ, ნიორი - ნური, ბალი - ბალ, ფოცხი - პოცხი, ტიკი - დიჩი, კაბა - კაბა, წინდა - ცინდა, დროშა - ტირისა, კირი - ჩირ, ხერხი - ხირხ.<sup>123</sup> გ. აბაევის (ამ მოსაზრებას იზიარებს გ. თოგოშვილიც) შეხედულებით, თავის მხრივ, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შედეგად ოსური ენიდანაც დამკვიდრდა ქართულ ენაში რიგი ლექსიკური ერთეულები: მაგ. შავი - საუ; ბევრი - (დიგ.) ბევრაე, ქუღუ - ხუღ, ლუდი - აელუტონ, დოდი - დუგ,

<sup>119</sup> გაზ. დროება, № 128, 1876.

<sup>120</sup> ა. მღებრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 393; საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებში სწავლა-განათლების კერებზე ვრცლად იხ. ტ. სარიშვილი, სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ ოსეთში, თბილისი-სტალინირი, 1958, გვ. 115; ა. მღებრიშვილი, ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, გვ. 391.

<sup>121</sup> გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 230;

<sup>122</sup> იქვე, გვ. 165.

<sup>123</sup> გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 230; В. Абаев, Осетинский язык и фольклор, т. I, М., 1949, стр. 87.

ორმო - უაერმ, ხიდი - ხიდ, ქადაგი - ქადაგ, ოს მკვლევართა მიხედვით ოსური სიტყვის ძირი “კად“ -ი გამოიყენება ქართულ სიტყვაში “სასი-ქად-ულო“.<sup>124</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული სარწმუნოება ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრებულ ალანებში ჯერ კიდევ X საუკუნიდან მკვიდრდება, რაზეც ზემოთ უკვე მივუთითებდით, ოსებში წარმართულ წეს-ჩვეულებებს საკმაოდ გვიანობამდე ჰქონდა გადგმული ფესვები. წარმართული წესები და რიტუალები ოსებში ქრისტიანობამ ჩაანაცვლა, თუმცა წინარექრისტიანული ელემენტები მაინც მძლავრად შემორჩა. სასულიერო კომისიის დაუღალავი მუშაობის მიუხედავად, ოსებში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება დიდ გამოწვევად რჩებოდა.\* XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის საიმპერატორო კარი ცდილობდა ოსები ქრისტიანულ რელიგიაზე გარკვეული გასამრჯელოს ფასად მოექცია. გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხ-

<sup>124</sup> В. Абаев, *Осетинский язык и фольклор*, т. I, стр. 86-87; გ. თოგომ-ვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე, გვ. 231.

\* აღსანიშნავია, რომ ოსებში გავრცელებული იყო ვაჩილას (თხის) კულტი, რომელიც ელია წინასწარმეტყველს უკავშირდება. გ. სოსიამ-ვილი, ძიებანი, თბ., 2007, გვ. 6-7. გაზ. დროების კორესპონდენტი, გ. ლიახველი (ჩოჩიშვილი) აღნიშნავდა, რომ ოსები პატივს სცემდნენ ოთხ წმინდანს: ილიას (ვაჩილას), თევდორე თორელს (ფალვარა), ნიკოლოზს (თუთირე) და გიორგის (ვასკირჯის). ოსები ვაჩილას უკლავდნენ თხას, თუთირეს ხარს, ფალვარას ღორს და ვასკირჯის ცხვარს. დროება, № 258, 1883, გვ. 3. გერმანელი მოგზაურის აუგუსტ ჰაქსტაუზენის გადმოცემით, ოსებში კატა, ძალი და ვირი ჯადოსნურ ცხოველებად ითვლებოდა. გ. გელაშვილი, ჰაქსტაუზენი ოსების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, № 1(5), თბ., 2009, გვ. 369. ოსებს სხვა წარმართული კერპებიც ჰქონდათ, როგორც იყო: ქურდებისა და მძარცველების ღვთაება საუბარაგი, აღნიშნული კერპი ალაგირის მთებში ს. ბიზში მდებარეობდა, ოსთა ერთ-ერთი სალოცავი იყო ასევე მკვლელთა მფარველი ღვთაება ფარნიჯი ძუარი. ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218. ოსებში, როგორც გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგის მიუთითებს, გავრცელებული იყო ანიმიზმი, კეთილი და ბოროტი სულების თაყვანისცემაც. იაკობ რაინეგის, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 211. ოსთა ერთი ნაწილი ისლამსაც აღიარებდა. დროების კორესპონდენტი გ. ლიახველი, ოს მოსახლებაში მაჰმადიანობის გავრცელებას ყაზარდოელებს მიაწერს. დროება №8, 1884; მ. გაჩეჩილაძე, სამაჩაბლოს ოსთა ყოფაცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა, თბ., 1996, გვ. 51.

ვალდი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ხაზინას ყოველწლიურად ოსების გასაქრისტიანებლად 1500 მანეთი ეხარჯებოდა. ოსები ქრისტიანობის მიღების სანაცვლოდ იღებდნენ ფულს და ტილოს პერანგს.<sup>125</sup>

სოციალ-დემოკრატიულ (ბოლშევიკურ) პარტიაში იქმნებოდა მითი, თუ როგორ იჩაგრებოდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობანი. ამის გამოვლინებაა ბოლშევიკთა ერთ-ერთი ლიდერის ი. სტალინის მიერ 1921 წლის 10 თებერვალს გაზეთ “პრავდაში” გამოქვეყნებული სტატია: “პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში. თეზისები რკპ(ბ) X ყრილობისათვის, დამტკიცებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ“. საბჭოთა ხელისუფლების მომავალი ბელადი წერდა: “კერძო საკუთრებაზე და კლასობრივ უთანასწორობაზე დაფუძნებულ ახალ ნაციონალურ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ არსებობა: ა) თუ თავიანთ ნაციონალურ უმცირესობებს არ დაჩაგრავენ (პოლონეთი, რომელიც ჩაგრავს ბელორუსებს, ებრაელებს, ლიტველებს, უკრაინელებს; საქართველო რომელიც ჩაგრავს ოსებს,\*\* აფხაზებს, სომხებს;

<sup>125</sup> ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 34.

\*\* ქართველი და ოსი ხალხის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში განსაკუთრებით მძიმე იყო 1918 წელი. სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური) პარტიის მიერ წაქეზებული ოსთა კოლაბორაციონისტული ჯგუფის მოძრაობა ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში დაიწყო. 1917 წლის 15-17 დეკემბერს, “სამხრეთ ოსეთის“ დელეგატთა მეორე ყრილობამ, რომელიც ცხინვალში გაიმართა, “სამხრეთ ოსეთის“ ეროვნული საბჭო აირჩია. ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა “სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 15. საქართველოს ეროვნული საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობდა “სახრეთ ოსეთის“ ეროვნულ საბჭოსთან, თუმცა ოსი სეპარატისტები დაპირისპირების პროვოცირებას ახდენდნენ. როგორც ლ. თოიძე წერს: აქ ერთმანეთში იყო გადახლართული სოციალური, ეროვნული და სეპარატისტული მოტივები“. იქვე, გვ. 23. 1918 წლის 19 მარტს, ცხინვალში ოსმა ბანდებმა შეიმზარა ტრაგედია დაატრიალეს. დახოცეს მოლაპარაკებაზე მისული ქართული დელეგაციის წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა. იქვე, გვ. 25-26. 1918 წლის მარტის ოსი კოლაბორაციონისტების გამოვლა ქართულმა სახალხო გვარდიამ ჩაახშო. იქვე, გვ. 28. ბოლშევიკების მიერ დაგეგმილი ოსთა აჯანყება შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. საინტერესოა თბილისელი ოსების პოზიცია ქართულ-ოსურ დაპირისპირებასთან დაკავშირებით. 1919 წლის 26 თებერვალს თბილისელ ოსთა მუშათა კრებაზე გამოსულმა მომხსენებელმა ვ. გაგლოევმა აღნიშნა: ერთადერთი სწორი გზა ოსეთის დე-



იუგოსლავია, რომელიც ჩაგრავს ხორვატებს, ბოსნიელებს და სხვ.)<sup>126</sup> თუ როგორ იჩაგრებოდნენ ეთნიკური უმცირესობანი დემოკრატიულ საქართველოში, ეს შეგვიძლია ნათლად დავინახოთ დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო რეგულაციებით. 1918 წლის 1 ოქტომბრის კანონის “საქართველოს სახელმწიფო ენის” მიხედვით, ქართულ ენას ჰქონდა სახელმწიფო ენის სტატუსი. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველგვარი საქმის წარმოება და კამათი უნდა გამართულიყო ქართულ ენაზე. ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი უფლებები ცალკე კანონით რეგულირდებოდა. 1918 წლის 15 ოქტომბერს მიღებულ იქნა კანონი “წესი ენის ხმარებისა”, რომლითაც დამატება შევიდა პარლამენტის რეგლამენტში და განისაზღვრა ეთნიკურ უმცირესობათა ენების გამოყენების პირობები.<sup>127</sup> პარლამენტის წევრებს სიტყვა უნდა წარმოეთქვათ ქართულ ენაზე და მათი სიტყვა არ ითარგმნებოდა. პარლამენტის წევრ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, რომლებმაც ქართული ენა არ იცოდნენ შეეძლოთ სიტყვის წარმოთქმა თავიანთ დედა ენაზე, რომელიც პარლამენტის ერ-

მოკრატიის წინაშე არის თავისუფალი საქართველო, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ოსეთი“. იქვე, გვ. 30. ამის მიუხედავად ოსი კოლაბორაციონისტების გამოსვლები მაინც არ წყდებოდა, მათ უკან ბოლშევიკური რუსეთი იდგა. სწორედ კრემლის წაქეზებით 1920 წლის 8 მაისს როქის რაიონში ოსებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ოსი კოლაბორაციონისტების ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან მკაცრი რეაგირება მოჰყვა. ოსთა აჯანყება“ ჩახშობილ იქნა. ვრცლად იხ., ა. მენთეშაშვილი, ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, კრებ. ოსთა საკითხი“, თბ., 1996, გვ. 285. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის და იძულებით გასაბჭოების შემდეგ ოს სეპარატისტებს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ბოლომდე დაუფასა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა და 1922 წლის 20 აპრილს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა. ახლად შექმნილ ოლქს ცხინვალთან ერთად 40 ქართული სოფელი გადაეცა. ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 90. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შესვლას აპროტესტებდა, მაგრამ ხელისუფლებამ მოსახლეობის მოთხოვნა ყურად არ იღო. G. Sosiashvili, *The Oppression of the Georgian Population in Tskhinvali Region During the First Years of Soviet Occupation, PRO GEORGIA, JOURNAL OF KARTVELOLOGICAL STUDIES, #27, WARSAW, 2017, p. 253.*

<sup>126</sup> ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 19.

<sup>127</sup> ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სახელმწიფო ენა, ყურნ. მართლმსაჯულება და კანონი, № 1, (28), გვ. 17.

თმა წევრმა მაინც იცოდა. წარმოსათქმელი სიტყვა უნდა გათარგმნილიყო ქართულად, თუ ამას 15 დეპუტატი მაინც მოითხოვდა.<sup>128</sup> კიდევ უფრო დიდ უფლებებს აძლევდა ეთნიკურ ემცირესობებს 1919 წლის 14 იანვარს მიღებული კანონი “ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებში ენის ხმარებისა“. ამ კანონის შესაბამისად თვითმართველობის ფარგლებში, თუ ეთნიკური უმცირესობა მაცხოვრებელთა ნახევარზე მეტი იყო, მათთვის საქმის წარმოება და მსჯელობა უნდა წარმართულიყო როგორც სახელმწიფო, ისე მათ მშობლიურ ენაზე.<sup>129</sup> საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობათა უფლებებს განსაკუთრებული ადგილი დაეთმო 1921 წელს მიღებულ კონსტიტუციაში. დემოკრატიული რესპუბლიკის ამ უმაღლეს დოკუმენტში მე-14 თავი სწორედ ამ საკითხს ეხება. კონსტიტუციაში ვკითხულობთ:

### მ უ ხ ლ ი 129

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედაენაზე.

### მ უ ხ ლ ი 130

ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძლიერებლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში. ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით. ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით. ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმართველობა-

<sup>128</sup> ნ. პოპიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

<sup>129</sup> იქვე, გვ. 114; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990, გვ. 26.

თა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსური საშუალებები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა.

### **მ უ ხ ლ ი 131**

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისათვის.

### **მ უ ხ ლ ი 132**

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

### **მ უ ხ ლ ი 133**

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერო სამსახური.

### **მ უ ხ ლ ი 134**

ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოსო საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების მოქალაქეთა ეროვნულ შემადგენლობის პროპორციის მიხედვით.

### **მ უ ხ ლ ი 135**

ეროვნული უმცირესობის სკოლაში სწავლა იწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

### **მ უ ხ ლ ი 136**

ადგილობრივი მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნული უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც.

### **მ უ ხ ლ ი 137**

არაქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პრეზიდენტს.<sup>130</sup>

<sup>130</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21, ბათომი, 1921, გვ. 36-

საქართველოს პირველი კონსტიტუციიდან ნათლად ჩანს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ხედვა ორიენტირებული იყო ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების ენობრივ და კულტურულ უფლებებზე, რაც სახელმწიფოებრივი მოწყობის მთავარ დოკუმენტში მკაფიოდ აისახა. 1989 წლის 15 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ასევე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. აღნიშნული პროგრამის მე-6 პუნქტში აღნიშნული იყო: “რესპუბლიკაში მცხოვრები ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეთათვის ქართული ენის დასაუფლებლად ხელშემწყობი პირობების შექმნა (ფინანსური და სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა) ყველა დაწესებულებასა და საწარმოში“. ამავე პროგრამის მე-13 პუნქტი არაქართულ სკოლებში ქართული ენის სავალდებულო საგნად სწავლებას ეხებოდა: “კონკრეტულ წინადადებათა შემუშავება რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ“.<sup>131</sup>

37. ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ მიღებულ კონსტიტუციაში (1922 წ.) ეროვნულ უმცირესობათა ენების შესახებ ასეთი სახის შენიშვნა იყო: თავი II. მუხლი 6. შენიშვნა: ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ თავისუფალი განვითარებისა და სამშობლო ენის ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულ, ისე საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში. საქართველოს მომდევნო (1927, 1937 წ.წ) კონსტიტუციებში ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივ უფლებებზე იგივე ჩანაწერებია, მცირეოდენი რედაქციული ცვლილებებით, მაგ. 1937 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ასეთი ჩანაწერი გვხვდება: საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე მოსახლე ნაციონალურ უმცირესობათათვის უზრუნველყოფილია უფლება თავისუფალი განვითარებისა და დედაენის ხმარებისა როგორც თავის კულტურულ, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში. ამავე კონსტიტუციის 157 მუხლის თანახმად: კანონები და აგრეთვე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და განმარტებანი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ქართულ ენაზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის ქართულ ენაზე და ავტონომიური რესპუბლიკის, ან ოლქის ენაზე.

<sup>131</sup> გაზეთი კომუნისტი, № 196, 1989; რევიონული კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული,

ქართული ენის განვითარების პროგრამის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომმა 1989 წლის 4 სექტემბერს მიიღო დადგენილება ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის თაობაზე. აღნიშნულ დადგენილებაში ვკითხულობთ:

- “1. დამტკიცდეს შემუშავებული და ფართო საზოგადოებრიობის მიერ მოწონებული ოსური ენის სახელმწიფო პროგრამა.
2. დაევალოს ოლქის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო და საზოგადებრივ ორგანიზაციებს უზრუნველყონ ოსური ენის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების უთუო და დროული შესრულება.
3. აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულმა ყველა ორგანიზაციამ ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და სახალხო დაპუტატთა საოლქო საბჭოს წარმოუდგინოს კონკრეტული წინადადებები მათი რეალიზაციის ვადების მითითებით.
4. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს წინაშე დაისვას საკითხები:

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პირველ პუნქტში შეტანილი იქნას სათანადო ცვლილებები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თაობაზე საქართველოს სსრ კანონისა და ოსური ენის განვითარების პროგრამის შესაბამისად;

აღნიშნული პროგრამის მესამე განყოფილების მე-9 და მე-14 პუნქტები არ განხორციელდეს აბიტურიენტებზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან.

(...)

სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. ჩეხოვი.

სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. კაჩმაზოვი“. <sup>132</sup>

კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 7-8.

<sup>132</sup> გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, №188, 1989 წლის 28 სექტემბერი; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 9.

ოსური ენის განვითარების პროგრამაში გაცხადებული იყო ის მიზნები, რომელიც კრემლის მიერ ინსპირირებულ ოს სეპარატისტებს ამოძრავებდათ. ენობრივი უფლებების გაფართოებით შენდებული იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის შეცლის სურვილი. ოლქში, დადგენილების თანახმად დაჩქარებული ტემპით უნდა მომხდარიყო ტელეცენტრის დაპროექტება და მშენებლობის დაწყება. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რა იმალებოდა აღნიშნულ დოკუმენტში. პროგრამაში აღნიშნულია:

“I. ოსური ენის კონსტიტუციური სტატუსი

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენებია ოსური, ქართული და რუსული, როგორც ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენა საბჭოთა კავშირში.\* ოლქის პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გააქტიურდეს ოსური ენის ფუნქციონირება.
2. საოლქო საბჭოს აღმასკომთან ჩამოყალიბდეს ოსური ენის მუდმივმოქმედი საკოორდინაციო საბჭო...
3. ოლქის ფარგლების გარეთ მცხოვრებ ოსურენოვან მოსახლეობას დახმარება გაეწიოს სასკოლო სწავლების ორგანიზაციაში ოსურ ენაზე, ხოლო იქ, სადაც ამის საშუალება არ არის, გათვლისწინებულ იქნეს სკოლებში ოსური ენისა და ლიტერატურის, როგორც საგნის, შესწავლა. ამასთან დაკავშირებით შესაბამისი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებში, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროში საჭიროდ ჩაითვალოს ოსური ენისა და ლიტერატურის ინსპექტორების შტატების შემოღება.

\* საბჭოთა სინამდვილეში ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში ცენტრალური ხელისუფლების მიერ მულტილინგვალური დამოკიდებულება ჩამოყალიბდა, რაც გულისხმობდა სამი ენის სწავლებას. 1. მშობლიური ენა (აფხაზური, ოსური), 2. რესპუბლიკის სახელმწიფო ენა - ქართული, 3. არაოფიციალური, მაგრამ ფაქტობრივად სახელმწიფო ენის ფუნქციების მქონე და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ინსტრუმენტად ქცეული რუსული. ამ სამი ენიდან ქართული ენის შემცირების ხარჯზე ყალიბდებოდა ბილინგვალიზმი. კ. გაბუნია, უმცირესობათა განათლების ასპექტები პოსტსაბჭოურ საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2017, გვ. 49.

6. ოლქის ქალაქისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა ადმინისტრაციებთან შეიქმნას ოსური სალიტერატურო ენის კონსულტაციისა და ფუნქციონირებისა და დაცვის ზედამხედველობის კომისია.

III. ოსური ენის სწავლება სკოლამდელ დაწესებულებებში, საშუალო სკოლებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში

1. სკოლამდელ დაწესებულებებში ოსი ბავშვებისათვის ოსურ ენაზე გადავიდეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

7. ქალაქისა და რაიონული ცენტრების სკოლების დაწყებით კლასებში უზრუნველყოფილ იქნეს ოსური ეროვნების ბავშვების ეტაპობრივი გადაყვანა ოსურენოვან სწავლებაზე. ამ საკითხზე ჩატარდეს საერთო სახალხო რეფერენდუმი.

10. შემოღებულ იქნეს ოსური ენის სწავლება ქართულ სკოლებში და ქართული ენისა და ოსურ სკოლებში მეხუთე კლასიდან.

11. შემოღებულ იქნეს ოსური ენის სწავლება სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედინსტიტუტის ყველა განყოფილებაზე, ოლქის საშუალო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

12. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედინსტიტუტში მისაღები გამოცდების დროს შემოღებული იქნეს გასაუბრება ყველა ოს აბიტურიენტებთან.

13. გათვალისწინებული იქნეს გარკვეული შეღავათები ოლქის გარეთ მდებარე ოსური სოფლებიდან სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შემსვლელ აბიტურიენტთათვის.

18. მოხდეს შეთანხმება ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, რომ იქ არსებულ უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებელში ყოველწლიურად გამოიყოს ადგილების გარკვეული რაოდენობა ოსი აბიტურიენტებისათვის როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ისე საქართველოს სსრ სხვა რაიონებიდან.

IV. რადიო და ტელევიზია

1. კონტროლი დაწესდეს სამხრეთ ოსეთში ტელეგადაცემების მომზადებისა და ორგანიზაციის პროცესებზე.

ა) დაჩქარდეს ოლქში ტელეცენტრის დაპროექტება და მშენებლობის დაწყება;

3. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის რესპუბლიკური კომიტეტის წინაშე დაისვას საკითხები:

ა) ოლქში ოსურ ენაზე რადიოგადაცემების გაზრდის შესახებ;  
(...)

4. გამოინახოს ტექნიკური შესაძლებლობანი რადიოსა და ტელეგადაცემების მისაღებად ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალური რესპუბლიკიდან.

(...)“<sup>133</sup>

ოსური ენის პროგრამის დამტკიცების შემდეგ სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭომ 1989 წლის 26 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მე-2 პუნქტში აღნიშნული იყო: “საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დაისვას საკითხი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტში ინფორმაციაში აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. 2. საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციის 75-ე მუხლს დაემატოს პუნქტი: “სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენაა ოსური ენა.“<sup>134</sup>

ენობრივი პოლიტიკის გააქტიურების ბუნებრივი გაგრძელება იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XII საგანგებო სესიის გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამოღების შესახებ, რომლის თანახმადაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაიქმნა. ეს გადაწყვეტილება 1989 წლის 10 ნოემბერს იქნა მიღებული და მასზე ხელს აწერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. სანაკოვეი.<sup>135</sup> ავტონომიური ოლქის ავტონომიურ რეს-

<sup>133</sup> გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, №170, 1989 წლის 5 სექტემბერი; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 9.

<sup>134</sup> გაზეთი, „საბჭოთა ოსეთი“, №188, 1989 წლის 28 სექტემბერი; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 10.

<sup>135</sup> რეგიონული კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამარ-



პუბლიკად გარდაქმნას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XII საგანგებო სესიის კიდევ ერთი გადაწყვეტილება მოჰყვა: “ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ოსეთის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 1989 წლის 26 სექტემბრის XI სესიის გადაწყვეტილების პირველი პუნქტის შეცვლის შესახებ,” რომლის თანახმადაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ოსური ენა გამოცხადდა: “ოლქში ქართული და რუსული ენების თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ფუნქციონირება განხორციელდება სსრ კავშირის ენობრივი პოლიტიკის თანახმად. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში საქმის წარმოების ენის საკითხი ჩიათვალოს სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს კომპეტენციად რეგიონის სპეციფიკის, მისი ეთნიკური და კულტურული პირობების გათვალისწინებით. ოფიციალური მიმოწერა საოლქო, რესპუბლიკურ და საკავშირო ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს შორის ხორციელდება საერთო-სახელმწიფო ენაზე.”<sup>136</sup> ეს იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ერთგვარი ნიადაგის შემზადება 1989 წლის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XII საგანგებო სესიის გადაწყვეტილებისა, სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამოღების შესახებ, რომლის თანახმადაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაიქმნა.<sup>137</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1989 წლის 16 ნოემბერს მიიღო დადგენილება და სამხრეთ ოსეთის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა ოსური ენის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ენად გამოცხადებას და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის შეცვლას (აქვე იყო საკითხი საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის შესახებ) გააუქმა, როგორც კანონთან შეუსაბამო.<sup>138</sup> თუმცა, სეპარატისტების ბრძოლა

თლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 12.

<sup>136</sup> რეგიონული კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 12.

<sup>137</sup> იქვე, გვ. 12.

<sup>138</sup> იქვე, გვ. 13.

“დამოუკიდებლობისათვის“ ამით არ დასრულებულა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთოთხმეტე სესიის მეოცე მოწვევის 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა.<sup>139</sup> საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმავე წლის 21 სექტემბერს მიიღო დადგენილება და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ცნო. დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.<sup>140</sup> ამის საპირისპიროდ ოსმა სეპარატისტებმა 16 ოქტომბერს კვლავ ჩაატარეს სახალხო დეპუტატთა საბჭოს სხდომა და კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-15 სესიის მე-13 და მე-14 გადაწყვეტილებები და მიიჩნიეს კანონიერად.<sup>141</sup>

1990 წლის 28 ნოემბერს უკვე სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-16 სესიამ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკისთვის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის დარქმევის შესახებ. გადაწყვეტილებას ხელს აწერს სეპარატისტების ლიდერი - სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. კულუმბეგოვი.<sup>142</sup> საბოლოოდ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, 1990 წლის

<sup>139</sup> გაზეთი “საბჭოთა ოსეთი“, №180, 1990 წლის 22 სექტემბერი; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 26.

<sup>140</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>141</sup> “საბჭოთა ოსეთი“, №197, 1990 წლის 19 ოქტომბერი; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002, გვ. 29.

<sup>142</sup> რეგიონული კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001] პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 30.

11 დეკემბერს მიიღო კანონი “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ”.<sup>143</sup> ქალაქ ცხინვალში აგონიაში მყოფი საბჭოთა ხელისუფლების წაქეზებით 1990 წლის მიწურულს და 1991 წლის იანვრიდან ოსი ექსტრემისტების გაუკონტროლებელი თარეში დაიწყო, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.<sup>144</sup> რუსეთის წამქეზებლური პოლიტიკით უკმაყოფილო ოსი ეროვნების მოქალაქეებმა 1991 წლის თებერვალში საპროტესტო ღია წერილით მიმართეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს-დე-კუელიარს, სადაც დაგმობილი იყო კრემლის მიერ ქართველებსა და ოსებს შორის ჩათესილი მტრობა და სიძულვილი. ისინი თავს საქართველოს შვილებად მიიჩნევდნენ და ამ ქვეყნისადმი ერთგულებას ადასტურებდნენ.<sup>145</sup> მიუხედავად იმისა, რომ 1990 წლის 11 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გააუქმა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე 1991 წლის 4 მარტს, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ ოს მოსახლეობას იარაღის დაყრისკენ მოუწოდა და მათ ხელშეუხებლობის გარანტიები მისცა. მიმართვაში საუბარი იყო კულტურული ავტონომიის შენარჩუნებაზე, რაც ოსებს ოლქის არსებობის პირობებში გააჩნდათ.<sup>146</sup> თუმცა, საქართველოს ხელისუფლების მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საუკუნეების განმავლობაში ორ ხალხს შორის მჭიდრო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. გვიან შუასაუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულმა ოსებმა შეითვისეს ქართული კულტურა. მათი იდენტობის მთავარი საყრდენები, როგორცაა, ენა, ტრადიცია, წეს-ჩვეულებანი ქართულ გარემოში ყოველგვარი წნეხისგან თავისუფალი იყო, განსხვავებით ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩენილი მათი თანამემამულეებისაგან. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებმა ოსებმა თავიანთი კონსტიტუციის მე-15 მუხლით სახელმწიფო ენად ოსურთან ერთად რუსული ენაც გამოაცხადეს.<sup>147</sup>

<sup>143</sup> იქვე, გვ. 31-32.

<sup>144</sup> ლ. სარალიძე, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი, წიგნში: საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, XVIII-XXI საუკუნეში, წიგნი II, თბ., 2016, გვ. 402-403.

<sup>145</sup> იქვე, გვ. 406.

<sup>146</sup> იქვე, გვ. 408.

<sup>147</sup> <http://region15.ru/docs/osseta-konstit/>

ასეთივე ჩანაწერი გააკეთეს საკუთარ “კონსტიტუციაში” სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია რესპუბლიკის ლიდერებმა. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის შუაგულში, რომელიც საოკუპაციო ხაზს მიღმა მოექცა, სახელმწიფო ენებად ოსური და რუსული ენა, ხოლო კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ეთნიკურ უმცირესობათა ენად (რაც საერთაშორისო საზოგადოების თვალის ასახვევად უფროა გამიზნული, სინამდვილეში ამ ტერიტორიებზე ეთნიკური წმენდა ჩაატარეს და ქართული მოსახლეობის სრული შემადგენლობა გამოაძევეს) ქართული ენა გამოცხადდა. საქართველოში მცხოვრები ოსების “კონსტიტუციის” მე-4 მუხლში ვკითხულობთ:

1. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენებია ოსური და რუსული. ოსური ენის შენარჩუნება და განვითარება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.
2. ოსური და რუსული ენები, ხოლო კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ქართული ეროვნების მოქალაქეებისათვის - ქართული, აღიარებულია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ოფიციალურ ენებად.
3. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხებს ეძლევა მშობლიური ენის თავისუფალი შესწავლის, განვითარების და გამოყენების უფლება.<sup>148</sup> რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ხელყოფასთან დაკავშირებით დამკვიდრდა ტერმინი: “მცოცავი ოკუპაცია”, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული იგნორირებით საოკუპაციო ხაზის გადმოწევას გულისხმობს. რუსეთის “მფარველობაში” შესულ ოსი ხალხის მიმართ საფუძველს მოკლებული არ იქნება თუ გამოვიყენებთ ტერმინს: “მცოცავი ასიმილაცია”. ოსების ე. წ. კონსტიტუციაში ორი სახელმწიფო ენის დამკვიდრება აშკარა საფრთხეს უქმნის ოსურ ენას, ოსი ხალხის მატერიალურ, თუ სულიერ კულტურას, ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს.

<sup>148</sup> <http://cominf.org/node/1166488810>

**GIORGI SOSIASHVILI****The Ossetian Language and Culture in Georgia  
(the Past and the Present, General Review)****Summary**

The relationship of Ossetian and Georgian people has existed for centuries. From the Middle Ages there was an active relationship of Georgian Kingdom with the Ossetians that settled in the mountainous part of the North Caucasus. The active relationship was expressed both by military connections and dynastic marriages, which provided more stability to the relationship of both people. In order to illustrate the above said, we will name Parnavaz, Giorgi I, Bagrat IX, Giorgi III family ties with the Heads of Ossetian Associations in the North Caucasus. In the rapprochement of Georgian and Ossetian people, a big role was played by spreading Christian religion in the North Caucasus. The Royal Government of Georgia greatly contributed to the cultural development of Ossetian people. Many Ossetian public figures of the XVIII – XIX centuries had an active cultural life. From this point of view, we can name the activities of the leader of Ikorta Monastery Archimandrite Gamaliel, and also Ioane Ialguzidze. At the end of the XIX century, the culture of Ossetians was taken to the higher level by Kosta Khetagati, whose successors were: Davit Jioevi, Giorgi Bestauti, Revaz Asaevi, Napi Jusoit etc. According to the constitution of Independent Republic of Georgia special rights were given to the ethnic minorities living in Georgia, among them were the Ossetians. There were administrative, cultural and linguistic rights of the ethnic minorities in the constitution. Despite this fact, there was a myth in Bolshevik circles as if the Osseations together with other ethnic minorities living in the Democratic Republic of Georgia were oppressed. There is a set phrase – creeping occupation - which appeared after the occupation of Georgian territories by Russia, and it means advancing the occupation line. We will be right to use the phrase “creeping assimilation” towards the Ossetian people that are under the “protection” of Russia. The introduction of two state languages in the so-called constitution of Ossetians is a vivid threat to the Ossetian language. The linguistic assimilation in the enormous state threatens with complete extermination of material or spiritual culture of Ossetian people, their customs and traditions.

## მანანა ტაბიძე

**არაავტოქთონი მოსახლეობის ენები საქართველოში**

**საკვანძო სიტყვები:** ავტოქთონი მოსახლეობა, არაავტოქთონი მოსახლეობა, ენობრივი უმცირესობა, ეთნიკური უმცირესობა, ეროვნული უმცირესობა, მიგრანტთა ენები.

ამა თუ იმ სახელმწიფოში ენობრივი სიტუაციის დახასიათებას ჩვეულებრივ მოსახლეობის აღწერით იწყებენ, სადაც უპირველესი მახასიათებელი ეთნიკურ-ენობრივი კუთვნილებაა, რადგან ესაა ნებისმიერ სახელმწიფოში ენობრივი სიტუაციის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორი; სწორედ მოსახლეობის ენობრივ-ეთნიკურ თავისებურებებს უკავშირდება სახელმწიფოს მიერ (ან, ამ ქვეყნის არასრულფასოვანი სახელმწიფოებრიობის შემთხვევაში, მის მიმართ) გატარებული ენობრივი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების არჩევის მიზეზები და შედეგები. ხოლო როგორც კი სახელმწიფოს მოსახლეობის ეთნიკურ-ენობრივ შემადგენლობას შევხებით, მაშინვე დაისმის ამ მოსახლეობის სხვადასხვა ნიშნით კლასიფიკაციის აუცილებლობის საკითხიც; მოსახლეობის უფლებრივი სტატუსის განსასაზღვრად იგი უნდა დაიყოს ძირითად და არაძირითად მოსახლეობად; ამ დაყოფას საფუძვლად უდევს თანამედროვე მიდგომა სახელმწიფოს მოქალაქეთა და არამოქალაქეთა მახასიათებლების განსაზღვრის სახით; ამ მიდგომამ, როგორც ცნობილია, დღევანდელ საერთაშორისო დოკუმენტებში ჩაანაცვლა ავტოქთონ და არაავტოქთონ მოსახლეობად ქვეყანაში მცხოვრებთა დაყოფის არცთუ შორეულ წარსულამდე მოქმედი პრინციპი. კლასიფიკაცია სხვა პრინციპებითაც შეიძლება განხორციელდეს, და უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ნიშნის მიხედვით დაჯგუფების ყველა შემთხვევა უთუოდ საინტერესოა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ კლასიფიკაციის თითქმის ყველა ტიპი ითვალისწინებს ცალკეული ჯგუფის ენობრივი კუთვნილებისა და დანარჩენ ჯგუფებთან ენობრივი მიმართების საკითხებსაც.

ეროვნული შემადგენლობა მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების საფუძველზე საქართველოს მოსახლეობის 86,8 პროცენტს ქართველები შეადგენენ, 6,3 პროცენტს - აზერბაიჯანელები, ხოლო 4,5 პროცენტს - სომეხი ეროვნების მოსახლეობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნაში მცხოვრები რაოდენობრივად პირველი ყველაზე მრავალრიცხოვანი 10 ეროვნება წარმოადგენს მთლიანი მოსახლეობის 99,6 პროცენტს.

იხ. ცხრილი

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის განაწილება 10 ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნების მიხედვით - ეროვნებები სულ (ათასიკაცი) პროცენტული განაწილება

სულ მოსახლეობა	3 713,8	100,0
ქართველი	3 224,6	86,8
აზერბაიჯანელი	233,0	6,3
სომეხი	168,1	4,5
რუსი	26,5	0,7
ოსი	14,4	0,4
იეზიდი	12,2	0,3
უკრაინელი	6,0	0,2
ქისტი	5,7	0,2
ბერძენი	5,5	0,1
ასირიელი	2,4	0,1
სხვა	14,3	0,4
უარი პასუხზე	0,6	0,0
ეროვნება მითითებული არ არის	0,5	0,0

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ჯგუფშიდა და ჯგუფთაშორისი ენობრივი კონტაქტები და ენობრივი კომპეტენცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ყოველი ჯგუფის სოციალურ-კულტურულ მდგომარეობასა და ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებაში მისი ინტეგრირების ხარისხს, ხოლო საზოგადოებრივი ინტეგრაცია მშვიდობიანი სამოქალაქო ცხოვრების პირობა გახლავთ.

სხვადასხვა სახელმწიფოს მკვიდრ და არამკვიდრ მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესთა რეგულაციის სხვადასხვაგვარი ისტორიული გამოცდილება დაუგროვდა, ამ გამოცდილებას კონკრეტული ქვეყნის (სახელმწიფოს) გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული გარემო განსაზღვრავდა და ამიტომ, რამდენად მსგავსიც არ უნდა იყოს ამა თუ იმ ისტორიული მომენტისათვის ზოგიერთი ქვეყნის ვითარება, მათი სახელმწიფოებრივი მოწყობის ავტომატური კოპირება გამართლებული ვერ იქნება.

საქართველოს გეოპოლიტიკური ხვედრი დიდად განაპირობებდა ჩვენში სხვადასხვა ეთნოსის შემოდინებასა და დასახლებას. საქართველოს სამეფო-სამთავროთა მესვეურებს, შეძლებისდაგვარად, გათვალისწინებული ჰქონდათ მოსახლეობის შიდა და გარემიგრაციათა შესაძლო გავლენა მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრების პირობებსა და იდენტობაზე, და მთელი რიგი ღონისძიებებით უზრუნველყოფდნენ ერთი მხრივ მოსულთა ინტეგრირებას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ხოლო მეორე მხრივ, ქართველთა ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად საჭირო იდეოლოგიურ თუ კულტურულ პოლიტიკას. ამ საქმეში ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების დაცვას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა.

დღევანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ, ტოლერანტიზმი და ლიბერალიზმი სხვათა რელიგიებისა და ეთნიკურ-კულტურული ღირებულებების მიმართ, რომელსაც ვაკვირდებით საქართველოს ისტორიულ წარსულში (სინაგოგა და მეჩეთი თბილისში, დავით მეოთხისეული ბრძანება ღორის დაკვლის თაობაზე და ა.შ.), არა მხოლოდ უცხოთა მიმართ ქართველთათვის დამახასიათებელი სტუმარმასპინძლობისა და კეთილგანწყობის გამოვლინებაა, არამედ პრაგმატიკაც, რადგან ქართველთა გენეტიკური და კულტურული იდენტობის შესანარჩუნებლად სხვათა განსხვავებულობის შენარჩუნებასაც ჰქონდა მნიშვნელობა. ხოლო რაც შეეხება კომუნიკაციას, დამხვდურთა, ავტოქთონი მოსახლეობის, ენა - ქართული ენა, როგორც სახელმწიფოებრივი ფუნქციონირებისათვის ყველაზე შესაფერისი და მორგებული ენა, ყველას მიერ აღიქმებოდა, როგორც ამ სახელმწიფოში (და არა მარტო) წარმატებული ცხოვრების გარანტია. შესაბამისად, განსხვავებული რელიგიური ან კულტურული მახასიათებლები არავის უშლიდა ხელს საქართველოში წარმატებულ ცხოვრებაში, რამდენადაც ენობრივი ბარიერი არ არსებობდა. მთელ კავკასიაში პოლიტიკურ-ეკონომიკურად აქტიურ პირთა მიერ ქართულ ენის საყოველთაო ცოდნაზე მიუთითებს არაერთი ისტორიული წყარო, ამ თემაზე საგანგებოდ მსჯელობს ვახუშტი ბაგრატიონიც, თავის “ახალ ქართლის ცხოვრებაში“.

1801 წლიდან რუსეთი საქართველოს ანექსია-ოკუპაციის შემდეგ ქვეყნის სამეფო ხელისუფლებას აუქმებს და ამ ახლად დაპყრობილ ტერიტორიაზე იწყებს ცარიზმისათვის უკვე კარგად



ცნობილსა და აპრობირებულ პოლიტიკას მოსახლეობის დემოგრაფიული სურათის ცვლით ენობრივი სიტუაციის ცვლისა და დაპყრობილი ტერიტორიის მცხოვრებთა (აწ უკვე მიგრანტთა ჯგუფებით გაჯერებულის) რუსიფიკაციის მიმართულებით. კოლონიზებული ტერიტორიის მცხოვრებლები, ცხადია, ფიზიკურად წინააღმდეგობას ვერ უწევენ (მიუხედავად არაერთი მცდელობისა) დამპყრობელს, ხოლო იდეურად, თუმცა კი გრძობენ მეტროპოლიის შორს გამიზნული მოქმედებების სახიფათო პერსპექტივას, მაინც აყოვნებენ<sup>149</sup> თუნდაც არაორგანიზებულ წინააღმდეგობას, რომელიც საპასუხო თავდაცვითი პოლიტიკის დაგეგმვისათვის დაგვიანებულია, და მხოლოდ სიტუაციურ თავდაცვაზეა აგებული. მეოცე საუკუნეს ახალი რეალობა მოაქვს, რომელშიც სახელმწიფო საზღვარი მხოლოდ ახლადწარმოქმნილ საბჭოთა კავშირსა აქვს, ხოლო რესპუბლიკების მოსახლეობა “მუდმივ მოძრაობაშია” “სახელმწიფო ხუთწლედების”, “ყამირის გატეხვის”, “ბამის მშენებლობის”, “გრანდიოზული კაშხლებისა და” ატომური სადგურების მშენებლობის სახელით. ამ პერიოდში იქმნება ხელოვნური ენობრივი კოლონიები, სადაც არერთგვაროვანი ენობრივი კომპეტენციის მქონე მოსახლეობის მიერ ენა-კოინეს არჩევანი, ბუნებრივია, სახელმწიფოებრივი ენობრივი პოლიტიკის მიხედვით ხორციელდება, სათანადო ენობრივი სიტუაციაც ხომ იმ მიზნით მომზადდა, რომ “არჩევანი” რუსულ ენაზე გაკეთებულიყო; ნებისმიერი სხვა “მოძრაობა” სახელმწიფო პოლიტიკასთან (არა მხოლოდ ენობრივთან) შეჯახებას ნიშნავდა (ხოლო სსრკ სახელმწიფო კურსი უმკაცრესი რეჟიმისა და რეპრესიების ვითარებაში რომ ვითარდებოდა, საყოველთაოდაა ცნობილი). დღეს ამ პერიოდის გახსენება იმიტომ დაგვჭირდა, რომ გვსურს თანამედროვე ენობრივი სიტუაციის შეფასებისას ძველი გამოცდილება გამოვიყენოთ და ენობრივი დაგეგმვის თანამედროვე გამოვლინებაში “დავიწყებული ძველი” ვიცნოთ და შევაფასოთ.

1990-იანი წლებიდან, ავად თუ კარგად, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაიქცა. 1991 წლის იანვრიდან კა-

<sup>149</sup> ეს უენიშვნა მეოცე საუკუნის კოლონიზებული საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლებებს ეხება, რომლებიც თითქმის მექანიკურად იმეორებენ მოსკოვის დირექტივებს ნაციონალურ პოლიტიკაში. რაც შეეხება მეცხრამეტე საუკუნეს, განმანათლებლების წყალობით იმპერიის ანტიქართული პოლიტიკა თავიდან ბოლომდე მხილებული მაინც იყო.

ნონიერი ხელისუფლების პუტჩით დამხობის გზით საქართველოს პატრონობის “დამჩემებელმა“ ხელისუფლებამ სხვა კურსებთან ერთად ახალი ენობრივი პროექტ(ებ)ი წამოიწყო; და თუმცა ეს პროექტი, ხელისუფლებათა ცვლის შესაბამისად, ნაწილობრივ განახლდებოდა ხოლმე, ძირითადი ხაზი თითქმის არ იცვლებოდა; და რამდენადაც “პროექტის დასაწყისიდან“ თითქმის 30 წელია გასული, ვფიქრობთ, უკვე შეიძლება ზოგი შედეგის დანახვა და იმის გადაწყვეტა, ამ წლებში საქართველოში განხორციელებული ენობრივი პოლიტიკა და მის შედეგად შექმნილი ენობრივი სიტუაცია კანონზომიერია, შემთხვევითი შედეგების მქონეა, თუ კარგად გააზრებული გეგმის საფუძველზეა მიღწეული.

მივყვეთ თანმიმდევრულად. კრიტერიუმები, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ენობრივი სიტუაციის შეფასებისას, შემდეგია:

რას უნდა ესწრაფოდეს სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის გატარებისას?

- საკონსტიტუციო მოთხოვნათა დაკმაყოფილებას (მათ შორის, ჩვენს კონტექსტში, ადამიანის უფლებებისა და სახელმწიფო ენის უფლებების ჰარმონიზაციას);
- სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაცია-ინტეგრაციას;
- სატიტულო ეთნოსის (და მასთან თანაცხოვრების მოწადინებისმიერი მოქალაქის) უნიკალურობის, სახელმწიფოებრივი დაცულობის განცდის, ეროვნულ-ენობრივ-კულტურული თვითშეგნების შენარჩუნებას (რამდენადაც ეს სახელმწიფო ამ ეროვნული კოლექტივის ერთადერთი სახლია);
- ტრადიციული ფასეულობების, მათ შორის სახელმწიფო ენის, შესწავლა-პოპულარიზაციას (რამდენადაც ნებისმიერი მოქალაქე თავის მოვალეობად აღიარებს თვისი ქვეყნის (სახელმწიფოს) უსაფრთხოების, ეკონომიკისა და კულტურის აღმშენებლობაში მონაწილეობას);
- თაობათა აღზრდას კონკრეტული სახელმწიფოს სიყვარულის, მის ბედ-იღბალზე პასუხისმგებლობის აღების, თანამოქალაქეებზე ზრუნვის მოვალეობის შეგნებით (ცხადია, დანარჩენი მსოფლიოს საყოველთაო მშვიდობისა და ტოლერანტობის კონტექსტში);
- საგანმანათლებლო პოლიტიკის იმგვარად წარმართვას, რომ გათვალისწინებული იყოს ამ სახელმწიფოს ისტორიულ მონაპოვართა, ტერიტორიის, კულტურის დაცვის გზები, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობათა განჭვრეტის გზით ენობრივ-კულ-

ტურული პარტნიორობის შესაძლო პერსპექტივების წარმოჩენა, და ამის შესაბამისად, მეორე-მესამე ენების სწავლების დაგეგმარება;

- კომუნისტური რეჟიმისაგან დატოვებული მძიმე მემკვიდრეობის - რუსიფიცირებული ან წარმოშობის ენის მიხედვით მონოლინგვური მარგინალიზებული ენობრივ-ეთნიკური ჯგუფების შემობრუნებას სახელმწიფოს მშენებლობისაკენ და მათ ენობრივ ინტეგრაციას სახელმწიფოს მთლიან ორგანიზმში;

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში ამჟამინდელი ვითარების განმაპირობებელი ენობრივი სიტუაციის მომზადება რუსეთის ჯერ ცარისტულმა და შემდეგ კომუნისტურმა იმპერიებმა მაშინ დაიწყეს, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკა ოფიციალურად ნაკლებად ერეოდა სხვა სახელმწიფოთა შიდა-მოწყობის იმ თავისებურებებში, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვას უკავშირდებოდა. ეს კი ხელ-ფეხს უხსნიდა იმ ქვეყნებს, რომელთაც ამა თუ იმ სოციალური არგუმენტით “შეფუთული” მიგრაციებით საკუთარ კოლონიებში დემოგრაფიული სურათის შეცვლა სურდათ. ასე იქმნებოდა საქართველოში ის ენობრივ-ეთნიკური სიტუაცია, რომელმაც ე.წ. კონფლიქტური კერები მოამზადა და შემდგომში, იმპერიის საჭიროებისამებრ, აამოქმედა კიდევ. ასე გაჩნდა საქართველოში ავტონომიათა შექმნის ილუზიური მოტივაცია; შერეულ მოსახლეობაში რუსული სკოლების გახსნის საჭიროების მტკიცების “საფუძველი”, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და სამოქალაქო საზოგადოებაში სხვადასხვა დროს მოხვედრილობის გამო ერთმანეთისაგან გაუცხოების ხელოვნური პირობები და ამ გაუცხოებული საზოგადოების სოციალურ დაპირისპირებებში ჩათრევის შესაძლებლობა.

დავიწყებთ იმით, რომ ჩამოვთვლით იმ ტერმინებს, რომლითაც არასახელმწიფო ენის წარმომადგენლები მოიხსენიებიან ლინგვისტურ და პოლიტიკურ ლიტერატურაში.

- ენობრივ-ეთნიკური ჯგუფები
- ენობრივი კოლექტივი
- ენობრივ-ეთნიკური დიასპორა
- ენობრივი უმცირესობა

ჩვენს მიზანს არც რომელიმე ლექსიკონთან დავა წარმოადგენს, და არც ამა თუ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან

კამათი. ჩვენ ვესწრაფვით საქართველოში მცხოვრები არაქართულენოვანი საზოგადოების, სამოქალაქო საზოგადოების თავისებურებათა მხოლოდ “შიგნიდან” დათვალიერებას, და ამ ტერმინთა ოფიციალურად გავრცელებულ მნიშვნელობასთან მათ მისადაგებას. შევეცდებით განვმარტოთ ეს პოზიცია:

ენობრივი უმცირესობა, როგორც სინტაგმა ორი კომპონენტისაგან შედგება: აქედან საკვანძო სიტყვად სწორედ უმცირესობა დაჩნდება, და სწორედ ამ სიტყვასთანაა დაკავშირებული ყველა პოლიტიკური და იურიდიული ინსინუაცია, რომელსაც შეიძლება შევხვდეთ;

“უმცირესობის“ უამრავი განმარტებიდან ყველაზე გაზიარებული ნაწილი ისაა, რომელშიც საუბარია სახელმწიფოს მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით რიცხობრივად მცირე ჯგუფზე, რომელსაც აქვს სხვებისაგან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი თავისებურებები, რაც თავად ამ ჯგუფის კონსოლიდაციის პირობაა; თუმცა “უმცირესობა“ ყოველთვის არ ნიშნავს რაოდენობრივ სიმცირეს, მაგრამ ყოველთვის (თითქმის) ივარაუდება, რომ ეს ჯგუფები უფლებრივად ჩამორჩება დომინირებულ მოსახლეობას.

ზოგი თვალსაზრისით, დედამიწაზე 6000-ზე მეტი ენაა, და მხოლოდ 200 სუვერენული სახელმწიფო; შესაბამისად, “ენათა უმრავლესობა“ ამ სახელმწიფოებშია განაწილებული, “უმცირესობას წარმოადგენს და მუდმივად იბრძვის ავტონომიისა და ხმის უფლებისათვის“<sup>150</sup>.

როგორც მიუთითებენ, თვითგამორკვევისადმი უმცირესობათა სწრაფვამ იმატა 1960-იანი წლებიდან, როდესაც კოლონიური იმპერიების საბოლოო რღვევა მოხდა, ხოლო გათავისუფლებული ქვეყნები, როგორც გარკვეული დროით ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოებრივი სისტემის დამოუკიდებლად მართვის გამოცდილების არმქონენი, მოუშზადებლნი შეხვდნენ ენობრივი პოლიტიკის წინაშე გაჩენილ (ან კოლონიალიზმის პერიოდში თავ-

150

[Бахтин Н. Б. Головки Е. В. Социоллингвистика и социология языка: Учебное пособие. — СПб.: ИЦ «Гуманитарная Академия»; Изд-во Европейского университета в Санкт-Петербурге. 2004. — 336 с., 2004](#)

სმოხვეულ) გამოწვევებს;<sup>151</sup> ენობრივი უმცირესობის საკითხი უშუალოდაა გადაბმული ეთნიკური უმცირესობის თემასთან.

**ეთნიკური უმცირესობა** არის მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც რიცხობრივად ჩამორჩება სახელმწიფოს ძირითად მოსახლეობას და ატარებს ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ განსხვავებებს დანარჩენი მოსახლეობისაგან, და ავლენს სოლიდარობას სურვილში, რომ შეინარჩუნოს თავისი კულტურული თავისებურებანი და ჯგუფური ღირებულება. რიგ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაში გამოყოფენ რასობრივ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობებს. ტერმინი ეთნიკური უმცირესობა მსგავსია ტერმინისა ნაციონალური უმცირესობა ანუ ეროვნული უმცირესობა, რომელიც უფრო გავრცელებულია აღმ. ევროპაში და ყოფილ სსრკ-ში, სადაც ეროვნულ უმცირესობად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც თავს მიაკუთვნებს ეთნიკურ ერს, მაგრამ ცხოვრობს ძირითადი თვითგანსაზღვრის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. “უცხოთა“ პრობლემა სახელმწიფოთა ფორმირების პერიოდიდან იჩენს თავს, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საზღვრების, კანონებისა და სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ატრიბუტიკის გამოკვეთა დაიწყო, და გამძაფრდა მეოცე საუკუნეში, როდესაც გაძლიერდა მცირე ჯგუფების ეთნიკური თვითშეგნება მიგრაციების, უფლებათა დაცვისა და დემოკრატიზაციის სხვა პროცესების გამო ან ფონზე.

1992 წელს დაარსდა ეროვნულ უმცირესობათა საქმეების უმაღლესი კომისრის ინსტიტუტი, რომლის მიზანიც არის უმცირესობათა უფლებების და მათთან დაკავშირებული კონფლიქტების თავიდან არიდება. და თუმცა ყველა ოფიციალურ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ უმცირესობათა ნაციონალური უფლებები მთავრდება იქ, სადაც შეიძლება სახელმწიფოს სუვერენულ და ერთიანობის ინტერესებს ეხებოდეს საქმე;

მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით, თითქმის ყველა გახანგრძლივებული კონფლიქტი, ბოლოს ავტონომიზაციის იდეამდე მიდის, და პრაქტიკულად არ სახელდება მაგალითები, როდესაც საერთაშორისო მექანიზმებმა ამ საფრთხეთა საბოლოოდ აღკვეთა შეძლო. ამიტომაც ხშირად მიუთითებენ, რომ “უმცირესობა“

<sup>151</sup> 1939 წლიდან 1980-იან წლებამდე სუვრენულ სახელმწიფოთა რიცხვმა 50-დან 200-ს მიაღწია.

ეს უფრო მდგომარეობა და დამცრობილი სტატუსის შეგრძნებაა, ვიდრე, რაოდენობა. ანუ ეს უფრო აქსიოლოგიური კატეგორიაა, ვიდრე სტატისტიკური. ამ მდგომარეობის (ან შეგრძნების ხელოვნურად სტიმულირებაც რომ შეიძლება, ამის მაგალითი ბევრია, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, და ჩვენს შემთხვევაში, საქართველოში).

სპეციალისტები აღიარებენ, რომ ტერმინი “ენობრივი უმცირესობა” სხვადასხვა ტიპის ჯგუფებს აერთიანებს მაგ., გერმანულენოვანი უმცირესობა პოლონეთსა და აშშ-ში სრულიად განსხვავებული.<sup>152</sup>

რამდენადაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტერმინოლოგიური ნიუანსები სხვადასხვა ტიპის პოლიტიკურ კამათში ჩართვას იწვევენ, შემოვიფარგლეთ სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით ნაკლებად მტკივნეული ტერმინით — “არავტოქთონი მოსახლეობა”, ამ ტერმინით, ვფიქრობთ, ხერხდება კონკრეტული ჯგუფებისთვის, მოქალაქეობის სტატუსის მიუხედავად, დამახასიათებელი განსხვავებული ინტერესებისა და მონაცემების მიზეზზე მინიშნება. ანუ ვცდილობთ, გამოვხატოთ ქართულის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის მიმართ ამ მოსახლეობის ნაირგვარი დამოკიდებულების უმთავრესი მიზეზი - ისინი საქართველოში ცხოვრების (ხშირად ხანგრძლივად), მიუხედავად ქართულენოვნები არ არიან (ანუ მათი გაქართველება არავის უცდია).

	ეროვნების მიხედვით			შობლიურად თვლიდა თავის ენას		
	1970	1979	1989	1970	1979	1989
საქართვე.						
შულ	4686358	4993182	5400841	94,3	94,9	95,7
ქართველი	3130741	3433011	3787393	99,4	99,5	99,7
აფხაზი	79449	85285	95853	97,2	96,1	96,4
ჭსი	150185	160497	164055	79,1	80,1	76,7
რუსი	396694	371608	341172	99,4	99,2	98,7
უკრაინელი	49622	45036	52443	59,0	52,7	53,4

<sup>152</sup> ჯ. ფიშმანის კვლევებმა გამოავლინა, რომ აშშ-ში არის 6553 სკოლა, რომლებშიც უმცირესობათა ენებს ასწავლიან, 1031 სხვადასხვა ბეჭდური გამოცემაა, 2590 რადიო და ტელეპროგრამა და 13 638 ეთნიკური რელიგიური ორგანიზაცია, რომლებიც უმცირესობათა ენებს იყენებენ. და თუმცა აშშ, თავისი ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმრავლის მასშტაბებით ასე თუ ისე ერევა ამ სიტუაციის მართვას, მაინც კატეგორიულია ინგლისურის, როგორც სახელმწიფო ენის უმაღლესი უფლებების დაცვაში.

ბელორუსი	6149	5702	8595	50,2	51,2	54,2
აზერბაიჯანელი	217758	255678	307556	97,6	98,0	97,7
სომეხი	452309	448000	437211	84,8	83,3	85,0
თათარი	5551	5089	4099	70,0	66,7	59,3
ებრაელი	44907	20324	10481	5,9	9,3	13,4
ქართველბრაელი	10475	7974	14314	96,9	94,3	95,1
ასირიელი	5617	5286	6206	64,6	66,1	53,7
ბერძენი	89246	95105	100324	40,2	40,7	57,0
ქურთი	20690	25688	33331	79,0	75,2	74,7

და თუმცა ამ ცხრილში წარმოდგენილი ვითარებიდან უკვე 30 წელია გასული, ევროსაბჭოს ანალიტიკოსთა დასკვნით, “საქართველოში ეროვნული უმცირესობების მარგინალიზაცია მძაფრდება“ (2016 წლის მონაცემებით); ანგარიშში ნათქვამია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 300 სკოლაში სწავლება მიმდინარეობს უმცირესობათა ენებზე, ამ სკოლებში განათლების ხარისხის დონე საშუალოზე დაბალია. უმცირესობებს აქვთ ენობრივი ბარიერები, რაც იწვევს მათი ეროვნული იდენტობისა და კულტურის მარგინალიზებას და ისინი არ არიან ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გაეროს წესდება არ ხმარობს ტერმინს - “ეროვნული უმცირესობა“ მაგრამ ქმნის მათი დაცვის რეალურ გარანტიებს. საერთაშორისო ფაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ აღიარებს იმ ინდივიდთა უფლებებს, რომლებიც ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან“, შექმნან ფართო ავტონომია. შემდგომ დადგინდა, რომ ამ ჯგუფებს არ შეიძლება ჰქონდეთ იმ სახელმწიფოდან გამოყოფის პრეტენზია, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, ანუ მათზე არ ვრცელდება ხალხთა თვითგამორკვევის უფლება (იხ. ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება). ზოგადად ამ ჯგუფთა ყველა კატეგორია “ეროვნულ უმცირესობათა“ ტერმინში ერთიანდება, მიუხედავად იმისა, ასეთი ჯგუფი სხვა სახელმწიფოში მცხოვრები ხალხის მცირედი ნაწილია (მაგ.: რუმინეთში - უნგრელები, საქართველოში - სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძენები და სხვ., ესტონეთში - რუსები), თუ - უმცირესობაში მყოფი ძირძველი მოსახლეობა. თავისთავად ცხადია, მათ არ გა-

აჩნიათ გამოყოფის უფლება იმ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ (იხ.: სეპარატიზმი, ირედენტისმი).<sup>153</sup> დასრულებული სახით ეუ-თა სტატუსი ჩამოყალიბდა გაეროს 1992 წლის “დეკლარაციაში იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც ეროვნულ თუ ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობებს მიეკუთვნებიან“. - დეკლარაციის მიხედვით, მათ უნდა მიეცეთ უფლება, თავისუფლად ეზიარონ თავიანთ კულტურას, რელიგიას, გამოიყენონ თავიანთი ენა საჯარო და პირად ცხოვრებაში, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის კულტურულ, რელიგიურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ თუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფოს ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანოების იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც ეხება უმცირესობის ბედს; იმ რეგიონში, სადაც ისინი ცხოვრობენ, უმცირესობათა წევრები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთობა დაამყარონ ამავე ჯგუფის სხვა წევრებთან ან სხვა უმცირესობებთან, ამ უმცირესობის მონათესავე პირებთან, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ (1-ლი - მე-3 მუხ.). საჭიროებისამებრ, სახელმწიფოები იღებენ ზომებს, რათა კანონის წინაშე სრული თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ უმცირესობათა ყოველი წარმომადგენლისათვის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რელიზაცია; უქმნიან მათ ხელსაყრელ პირობებს, რათა საშუალება მისცენ, გამოამჟღავნონ თავიანთი თავისებურებანი, განავითარონ თავიანთი კულტურა, ენა, რელიგია, ტრადიციები და ჩვეულებანი, თუ მათი კონკრეტული საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართალს; აღნიშნულ პირებს, შეძლებისდაგვარად, საშუალება მისცენ, შეისწავლონ თავიანთი მშობლიური ენა და მიიღონ განათლება ამ ენაზე; თუმცა საერთაშორისო დოკუმენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს კონსტიტუცია და სამოქალაქო მშვიდობის დაცვა აუცილებლად მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების ერთიანობას, რაც მიიღება მთელი სამოქალაქო სპექტრის საერთო საკომუნიკაციო ენის, ქვეყნის კანონმდებლობისადმი მორჩილებისა და საერთო აღმშენებლობით პროცესებში თანაბარი მონაწილეობის სურვილითა და უფლებით.

<sup>153</sup> თუ, ცხადია, სახელმწიფოს (მისი სისუსტის შემთხვევაში) გარედან არ აიძულებენ, დათანხმდეს ამგვარ გამოყოფას .



რამდენად მიღწევადია ამგვარი ერთიანობა იმ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფოს საერთაშორისო ორგანიზაციები უმცირესობათა უფლებების შელახვად უთვლიან თავისი მოქალაქეებისათვის სახელმწიფო ენის ფლობის მოთხოვნას?

ერთიც უნდა ითქვას: ამ ფონზე სრულიად წახალისებულია ინგლისური ენის, როგორც კონინეს სწავლება და ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობის, განათლების სხვადასხვა საფეხურზე სწავლის უფლებებისათვის ინგლისურის ამა თუ იმ ხარისხში (ძირითადად მაღალში) შესწავლის მოთხოვნა.

ამასთანავე, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და საყოველთაო მოხმარების უზრუნველყოფის ღონისძიებები აშკარად გაწეულია დროში (ნებისთი თუ უნებლიეთ) და ჩამორჩება იმ ტემპს, რომლითაც ინგლისურის (მართალია, ელემენტარული დონის) შემოსვლა ხდება საქართველოში ამ ბოლო დროს გაჩენილი უამრავი უცხოელის საკომუნიკაციო ენის (ასევე არცთუ მაღალი დონის) ინგლისურის სახით. ეს კი იძლევა უახლოესი მომავლის განჭვრეტის საშუალებას, კერძოდ, უცხოელების (მათ შორის, საქართველოში დასაქმებისა და ცხოვრების მოწადინე ნაწილის) მიერ ქართულის ათვისების საჭიროება არ გაჩნდება, რადგან მათ ადგილობრივი ენობრივი პოლიტიკა უკვე უმზადებს ინგლისურენოვანი კომუნიკაციის სავალდებულო მინიმუმზე მომზადებულ გარემოს: ორენოვანი წარწერების, ინფრასტრუქტურების წარმომადგენელ ინგლისურის მცოდნე კონტინგენტს<sup>154</sup> საგანმანათლებლო სისტემაში ინგლისურის ფუნქციური სარბიელის გაფართოების სახით და ა.შ. ჩვენ ჯერ კიდევ 2005 წელს გამოცემულ ჩვენს მონოგრაფიაში მივუთითებდით, რომ: “მიგრაციული და სოციალური სამსახურები ორი მიმართულებით განიხილავენ “გარედან მოსულთა“ “მიმღებ“ ქვეყანასთან ურთიერთობის საკითხს: 1. რა ღონისძიებები უნდა გატარდეს დამხვდურ გარემოში “მოსულთა“

<sup>154</sup> რაც შეეხება ინგლისურის ცოდნის ხარისხს, ეს საკითხი კიდევ ერთი არასასიამოვნო პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა: ინგლისური ენის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ამოქმედების შემთხვევაში (და ამის ნიშნები, როგორც აღვნიშნეთ, უკვე ჩანს, მოსალოდნელია მკვიდრი მოსახლეობის ენობრივი დისკრიმინაცია, რადგან მისთვის ინგლისურის ცოდნა ვერასოდეს გახდება იმ ხარისხისა, როგორიც უცხოეთიდან შემოდინებული მოსახლეობისთვის (მით უფრო, ვის ქვეყანაშიც ინგლისური სახელმწიფო ენაა).

უკეთ ინტეგრირებისათვის; 2. რა ღონისძიებები უნდა გატარდეს “წარმომგზავნ ქვეყანასთან “მოსულთა“ კავშირის შესანარჩუნებლად და ამ მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნების სტიმულირებისათვის.

ორივე ეს პროგრამა (ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავი) სრულიად ჰუმანური და პრაქტიკული მოსაზრებებითაა ნაკარნახევი. პირველ შემთხვევაში საუბარია იმ მოსახლეობაზე, რომელმაც ახალი სამშობლო აირჩია და მასში ინტეგრირების სწრაფსა და რაციონალურ გზებს ეძებს, მეორე შემთხვევაში კი საქმე ეხება იმ ადამიანებს, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზით (ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური და სხვ.) დროებით დატოვეს სამშობლო და ოდესმე უკან დაბრუნებას გეგმავენ (თვითონ ან შემდგომი თაობა), ასეთ შემთხვევაში მათთვის მნიშვნელოვანია საკუთარ ფესვებთან კავშირის შენარჩუნება.

ორივე შემთხვევაში გასათვალისწინებელია (და მოწინავე ქვეყნებში არის კიდევ გათვალისწინებული) “მიმღები“ ქვეყნის ინტერესები: რა სიხშირით და რა რაოდენობით ემიგრანტის მიღება, დაბინავება, დასაქმება და კულტურული ათვისება შეუძლია “მიმღებ“ ქვეყანას, რომლის ამოცანა ასეთ შემთხვევაში საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული წონასწორობის შენარჩუნებაა. და ამასთან, რა საშუალებებს ფლობს ცალკეული ქვეყანა (დღევანდელი გლობალური საკანონმდებლო სისტემის მოქმედების ვითარებაში) შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის ინტერესებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად “მოსული“ მოსახლეობის განსახლების, ენობრივი უფლებებისა და ამის საფუძველზე სოციალური აქტივობის დასარეგულირებლად. ეს ურთულესი საკითხები თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელი საკითხებია და მათზე პასუხები, ცხადია, მარტო წარსულის გამოცდილებით ვერ მოიძებნება.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველო დღეს ქვეყნის ტერიტორიიდან მოსახლეობის გადინების მდგომარეობაშია, მაგრამ დღესაც მის ტერიტორიაზე არიან ეთნიკური და ენობრივი დიასპორების წარმომადგენლები, რომელთა ქვეყანაში ინტეგრირების ხარისხი განსასაზღვრია და გასარკვევია მათი სახელმწიფოებრივი ორიენტაცია, რათა უკეთ მოხერხდეს ამ მოსახლეობისათვის დასახლებული ორი პროგრამიდან შესაბამისის მისაღება

და ამ მიმართულებით სპეციალური პროგრამების ამოქმედება. ამასთან, საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო დაბეჭდვით შეგვიძლია ვივარაუდოთ უახლოეს მომავალში იმიგრაციული პროცესების გააქტიურება, რასაც ქვეყანა მომზადებული უნდა შეხვდეს.

ენობრივი კომპეტენციის საკითხი კი ერთ-ერთი წამყვანი საკითხია იმიგრაციის პრობლემატიკაში, და უნდა ითქვას, რომ ყველაზე მწვავეც.<sup>155</sup>

დღევანდელ სამეცნიერო, და მეტადრე პოლიტიკურ ლიტერატურაში აქტიურად გამოიყენება რამდენიმე ტერმინი, რომელთა შინაარსის გააზრება აუცილებელია სახელმწიფოში სამოქალაქო ინტეგრაციის ენობრივი ასპექტის წარმატებული მართვისათვის.<sup>156</sup>

**მუდმივი მოსახლეობა** მოსახლეობის ძირითადი კატეგორიაა, რომელიც მოიცავს ადამიანთა ერთობლიობას, რომლისთვისაც მოცემული დასახლებული პუნქტი ან ტერიტორია მოცემული დროისათვის წარმოადგენს ჩვეულებრივი ბინადრობის ადგილს. მუდმივი მოსახლეობა აღირიცხება მოსახლეობის აღწერებისას XIX საუკუნის შუა პერიოდიდან დაწყებული. მუდმივი ბინადრობის განსაზღვრის კრიტერიუმები იცვლებოდა დროთა განმავლობაში და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

**ფაქტობრივი მოსახლეობა** მოსახლეობის ძირითადი კატეგორიაა, რომელიც მოიცავს ადამიანთა ერთობლიობას, რომელიც აღწერის მომენტში იმყოფება მოცემულ დასახლებულ პუნქტში ან მოცემულ ტერიტორიაზე. ფაქტობრივი მოსახლეობა აღირიცხება მოსახლეობის აღწერებისას ა. კეტლეს მიერ ბელგიაში 1846 წელს ჩატარებული აღწერიდან მოყოლებული. ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ფაქტობრივი მოსახლეობის ნაცვლად ხშირად არასწორად გამოიყენება ტერმინი “სახეზე მყოფი მოსახლეობა“.

<sup>155</sup> მანანა ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები თბილისი, გამომცემლობა ქართული ენა“, თბილისი, 2005, მონოგრაფია. 275 გვ.

<sup>156</sup> Демографический энциклопедический словарь. М., 1985, с. 122; Народонаселение. Энциклопедический словарь. М., 1994, с. 123; Демографическая энциклопедия. М., 2013, с. 246; დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი გ. წულაძე. მესამე გამოცემა გადამუშავებული და დამატებული. UNFPA. თბილისი, 2012

**იურიდიული მოსახლეობა** მოსახლეობის კატეგორიაა, რომელიც აერთიანებს მოცემულ დასახლებულ პუნქტთან რეგისტრაციის ამა თუ იმ წესით დაკავშირებულ ადამიანებს (მაგ. ჩაწერით). იურიდიული მოსახლეობა არ არის მუდმივი და ფაქტობრივი მოსახლეობის შესატყვისი, ვინაიდან ეს უკანასკნელი ორი კატეგორია გამოიყოფა ადამიანთა ბინადრობის ფაქტობრივი ხასიათის საფუძველზე და არა მისი ადმინისტრაციული გაფორმების მიხედვით.

**მოსახლეობა ჩაკეტილი (დახურული)** ეს არის მოსახლეობა, რომლის საერთო რაოდენობა და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა იცვლება მხოლოდ მოსახლეობის აღწარმოების პროცესის (ე.ი. შობადობისა და მოკვდაობის ურთიერთქმედების) შედეგად და არ განიცდის მიგრაციის გავლენას.

**მოსახლეობა ღია** ეს არის მოსახლეობა, რომლის საერთო და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა იცვლება არა მარტო მოსახლეობის აღწარმოების პროცესის, არამედ მიგრაციის გავლენითაც, რომელიც განიხილება მოსახლეობის რაოდენობის შევსების (კლების) წყაროდ.

ჩვენ შევეცადეთ, გვეჩვენებინა საკითხის სიმწვავე და ამ მიმართულებით თეორიული და პრაქტიკული მუშაობის საჭიროება. ქვეყნის ხელისუფლებას თავისი მოსახლეობის თვითმყობადობის მოფრთხილება ევალება და არა საერთაშორისო ტერმინებით კეკლუცობა. როგორც მივუთითეთ, სახელმწიფოთა საერთაშორისო ერთობები სხვადასხვაგვარ გამოსავალს გვთავაზობენ და ჯერ კიდევ არ მოითხოვენ ყველა სახელმწიფოსაგან საკუთარი პრობლემების ერთგვაროვნად გადაჭრას. ჩვენ უნდა შევძლოთ ვითარების სწორად შეფასება და იმ გამოსავლის მოძებნა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეესაბამება.

---

**MANANA TABIDZE**

**Languages of Nonnative People in Georgia**  
**Summary**

The article discusses obstacles to the integration of non-Georgian speaking population into the civil society of Georgia and the international scientific-political criteria that evaluate this society.

The linguistic and ethnic peculiarities of the population are related to the reasons and consequences of choosing the main directions of the language policy pursued by the state (or in the case of the wrong statehoof in this country, policy towards this country). And as soon as we consider the ethnic-linguistic composition of the population, the question of the necessity of classification of the population on different grounds will immediately be arisen; All the cases concerning the classification of the population are grossly interesting. The main thing is that almost every type of classification envisages the linguistic affiliation of the linguistic group to the individual group and the linguistic approach to the rest of the groups.

## ბელა შავხელიშვილი

### თანამედროვე დისკუსიები თუშების სამეტყველო კოდების სტატუსის შესახებ

ისტორიულად ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მკვიდრ ქართველთა ერთი ნაწილის - თუშთა - სამეტყველო დიალექტი ერთი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში, მიგრაციული პროცესების შედეგად, ამ მოსახლეობის მეტყველება გაიტოტა - ქართული ენის თუშურ დიალექტად და უფრო ღრმა თავისებურებების მქონე მეტყველებად - წოვათუშურად, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში დამოუკიდებელ ენადაც განიხილავენ. თუშები ორ ძირითად ჯგუფად იყოფდა: ჩაღმა-თუშებად და წოვა-თუშებად. პირველთა საშინაო მეტყველებას ჩაღმათუშური დიალექტი ჰქვია; მეორე ჯგუფისას - წოვა-თუშური.

წოვათუშები თანაბრად ფლობენ ქართულს - ეროვნულ ენას და წოვათუშურს - კერიის ენას. წოვათუშებისათვის წოვა-თუშური მეტყველება ისეთივე ღირებულებისაა, როგორისაც ქართულის დიალექტები სხვა ქართველებისათვის. წოვა-თუშურზე არასოდეს შექმნილა პატრიოტული ხასიათის მხატვრული ქმნილებები, რადგან წოვათუშებისათვის კულტურის ენა, სამშობლო ენა, მშობლიური ენაა ქართული ენა. წოვათუშების ქართული სალიტერატურო მეტყველებისათვის დამახასიათებელია მცირე ინტონაციური თავისებურებებით თუ განსხვავდება.

დღემდე წოვათუშების კერიის მეტყველება მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფშია გაერთიანებული მათი ვაინახურთან ნაწილობრივი ლექსიკურ-გრამატიკული ნათესაობის გამო. სინამდვილეში წოვათუშურში ვაინახური ფენა მხოლოდ 1/3-ს შეადგენს, 2/3 კი ქართულია (უფრო ძველი ქართული, არქაული ქართული). მეცნიერთა ნაწილი ქართულ ფენას თვლის ნასესხებად. უფრო ლოგიკური იქნება, სწორედ ვაინახური ნაწილი მივიჩნიოთ ნასესხებად. ამ კუთხით სიღრმისეული კვლევაა საჭირო.

სამეცნიერო ლიტერატურაში წოვათუშების საშინაო მეტყველება რამდენიმე სახელით იხსენიება; ქრონოლოგიურად სურათი ასე წარმოგვიდგება:

1. თუშურ-წოური - 1847 წ., იობ ცისკარიშვილის “თუშურ-წოური გრამატიკის“ მიხედვით, რომელიც დაიწერა რუსულად, სადაც ლექსიკური მასალის აღწერისას გამოყენებულია ქართული შრიფტი («Тушино-цовская грамматика» - 1847 წ.);
2. თუშური ენა - ანტონ შიფნერის “თუშური გრამატიკის“ მიხედვით, რომელიც გამოიცა გერმანულად 1878 წელს;
3. წოვა-თუშური (უფრო სწორედ წოვათის თუშური) - პირველად გვხვდება პ. უსლარის, ივ. ბუჭურაულისა (იხ. მისი ნარკვევებში «Записки о Тушети» -1887 г.) და ნ. მარის ნაშრომებში;
4. ბაცბური - პირველად ახსენა აკად. ნ. მარმა, შემდგომ გამოიყენა აკად. არნ. ჩიქობავამ როგორც ლინგვისტური ტერმინი;
5. წოვა-თუშური (ბაცბური) - როგორც სამეცნიერო ტერმინი მოხმარებაში აქტიურად დამკვიდრდა მე-XX ს-ის 60-70-იანი წლებდან;
6. ბაცბური ან წოვათუშური - შეპირისპირებული თუშურთან (რომელშიც მხოლოდ ჩაღმა-თუშური დიალექტი იგულისხმება).

აღნიშნული ტერმინები სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღწერილა (ნ. მარი, ი. დემერიევი, ნ. ქადაგიძე, რ. გაგუა, კ. ჭრელაშვილი და სხვ.); ამჯერად საკითხის გასარკვევად მოვიყვანთ სულ ორ მოსაზრებას:

აკად. ნიკო მარი: წო..-ს აღარებს ვევ-სორ-ს, ბაწობი-ს კი მოსოვ-ს (საერთო ფუძით მა-ს) ანუ \*ხევ-სურ-ში იგი გამოყოფს ორ ფუძეს - ხევი და სური > \*სო-რ\* > \*სო.., რომელიც ავტორის აზრით, უკავშირდება \*წო..-ს; თუ განვავრცეთ ავტორის მოსაზრება, გამოდის, რომ\* სო-რ შესაძლოა მიღებულია \*წო-რიდან..., სადაც ვ და \*რ (გაქვავებული) - კლასის ნიშნებია; ხევის და \*წო-რ-ის შერწყმის შედეგად წარმოიშვა \*ხევ-წორი > \*ხევ-სორი > ხევსური. როგორც ვხედავთ, აკად. ნიკო მარის ვარაუდით, ამ ორი ფუძის შერწყმისა და მათი გრამატიკული გარდაქმნის პროცესი ლოგიკურ ჯაჭვს ქმნის, ანუ, ხევ-სურ-ში იგი გამოყოფს სურ-ს ფუძეს და წო...//წორ-ს უკავშირებს. ავტორი იმასაც აღნიშავს, რომ “იმ შემთხვევაშიც კი, თუ თუშები არიან დანამდვილებით ეთნიკური თუშები, ან წოვები, როგორც მათ უწოდებენ ქართველები, ან ბაცბები, როგორც ისინი საკუთარ თავს ეძახიან - მაინც ზეცასავით ნათელია, რომ მათ ეკა-

ვით კავკასიონის ქედის მთელი სამხრეთი ფერდობი მისი უღელტეხილის ჩათვლით“ (3.-1386).

არანაკლებ საინტერესოა პეტრე უსლარის მსჯელობა; 1888 წელს გამოცემულ «Чеченский язык»-ში იგი წერს:

“ალაზნის სათავეებთან ცხოვრობენ თუშები, რომლებიც თავიანთ თავს ერთდროულად წოვა-თუშებსა და ბაცბებს უწოდებენ; თუ პტოლომეოსის მიერ ნახსენები ტუსკები ნამდვილად თუშები არიან, მაშინ ნოხჩიებთან მათი განშტოება მოხდა დაახლოებით 18 ს-ის წინათ; უცნაურობა იქნება თუშების ენა მივიჩნიოთ ისტორიულ ნოხჩურად ისევე, როგორც ნოხჩების ენას ვერ ჩავთვლით წამხდარ თუშურად; ეს იმას ემგვანება, ფრანგული რომ წამხდარ იტალიურად გამოვაცხადოთ, და პირიქით; ამრიგად, ჩეჩნურის კილოებთან დაკავშირებით ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მათი ერთ ქვაბში მოქცევის ნებისმიერი ცდა და ერთ სადამწერლობო ენად მიჩნევა, სრულიად არ ვრცელდება-თუშურ ენაზე“ (2.-3).

ამ ციტატებს გარკვეული სიციხადე შეაქვს წოვა-თუშების სამტყველო კოდების საკითხში: პეტრე უსლარი ხედავს რა წოვა-თუშების გარკვეულ ლექსიკურ საერთოს ჩეჩნურთან, მაინც ვერ ბედავს, მისივე სიტყვებით, მათ “ერთ ქვაბში” მოთავსებას. ვფიქრობთ, იგი სხვაობას ხედავდა არა მარტო ენაში, არამედ ამ ხალხების იდენტობის სხვა მახასიათებლებშიც - გენეტიკურ კოდში, ცხოვრების წესში, მენტალიტეტსა და სულიერებაშიც, რამდენადაც ეს ის თვისებებია, რომელიც პირდაპირ კავშირშია ენის განვითარება-კონსერვაციასთან.

ჩვენს შემთხვევაში მოხდა ის, რომ წოვათუშებში ქართული გენეტიკური კოდი, სულიერება და ცხოვრების წესი ჩამოიძვრა ქვეყნის კულტურული განვითარების პარალელურად, საშინაო მეტყველებამ კი კონსერვაცია განიცადა იმდენად, რომ მათი კერიის სამეტყველო ენა მათთვის ისეთივე ღირებულებისა დარჩა, როგორც სხვა ქართული დიალექტები საერთო ქართულთან მიმართებაში.

წოვა-თუშურის კვლევისას, პროფ. ი. დეშერიევა ენის კონსერვაციის გამო მასში დაინახა მხოლოდ მისი მშობლიური ვაინახური ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები და დასკვნებიც მხოლოდ თავისი ენების მონაცემების გათვალისწინებით გააკეთა. თუმცა, ვფიქრობ, მას რომ არქაული ქართული და ზოგადად



ქართული (თავისი დიალექტებითურთ) სცოდნოდა, კვლევა სულ სხვა შედეგამდე მიიყვანდა; თავის ნაშრომში «Бацбийский язык» (1953 წ.) ავტორი ტერმინ ბაცა-საც განიხილავს და ჩეჩ. ბუცს “ბალახს” უკავშირებს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში უნდა აიხსნას ფუძისეული უ-ს > ა-ში გადასვლის პროცესი, რაც ვაინახური ენების მონაცემებით ძალზე ჭირს, ამის დასტურია პანკისის ხეობაში არსებული ტოპონიმი ბაწარა, რომელიც ქისტი მოსახლეობის არტიკულაციით ისმის როგორც ბჭწწარ (ანუ, ფუძეში ჩნდება ფარინგალური ბგერა), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უნდა გამოიყურებოდეს როგორც ბწწარ (მდრ. ანალოგიური ფორმები: წ-თ. ლაწა “ტკივილი” - ჩეჩ. ლაზა, წ-თ. მოწ “თაფლი” - ჩეჩ. მოაზ).

ვფიქრობთ, ტერმინი ბააც “თუშეთი” და ბააცაა “ბაცბი” ვაინახურმა ენებმა ისესხეს წოვა-თუშურიდან, რამდენადაც, ჩვენი აზრით, იგი ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს წა||წო.. ფუძეს (ამაზე დავწერეთ ჯერ კიდევ 2008-ში პროფ. ი. დემერი-ევისადმი მიძღვნილ ჩვენს მოგონებებში (*Послание учителю и большому учёному... (посвящается 90-летию проф. Ю.Д. Дешериева)*), რაზეც ცნობილი ჩეჩენი ენათმეცნიერის პროფ. კატი ჩოკაევის წერილიც მივიღეთ, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ ბაცა და წოვას ჩვენეული ეტიმოლოგიური კავშირი მას სწორ მიგნებად მიაჩნია); ტერმინი ბაცას - წV..-იდან ჩამოყალიბების პროცესი ჩვენ სამ ეტაპად დავყავით:

1. -არსებული ტერმინების (წანი, წანარი, წარო, წოვა, წობონი, წოვბი...) თითქმის უმრავლესობას გასდევს წV.. ფუძე; მათგან - წა... ვფიქრობთ, რომ იყო პირველთაგანი, საიდანაც დანარჩენი ფორმები წარმოიშვა. ამ მოსაზრების დასტურად შეიძლება გამოვძღვეს ძვ-ქართ. ქუე-წარ, რომელიც ს-საბას ლენქსიკონში აიხსნება როგორც “ქვეით კერძო, ფრჯივ მავალი” (ანუ, ფეხით მავალი (1.-2, 236, 238) (ს-ს, 2, 238), ანუ ადამიანისა თუ ნივთის განკერძოებული (განმარტოვებული) მდგომარეობა ან მოძრაობა, რომელიც ჩვენი აზრით, ორი ფუძისაგან უნდა შედგებოდეს: 1.\*ქვე.. ნაწილი - ქვეით მყოფი, რომელიც მიწასთანაა ახლოს (ს-ს...); იგი გვხვდება წ.-თუშურ ქუითათ-ში “ფეხით” და ქოკ-ში “ფეხი” (სადაც კ - კნინობითის სუფიქსია) და 2. -წარ (სადაც \*რ - ისტორ. კლ. ნიშ.) - ანუ, \*ქუე-წარ - მართოდ

ყოფნად || მხოლოდ სიარულად უნდა მოიაზრებოდეს; ვფიქრობთ, სუფიქსი წა..წარ-ის სახით იგი შემორჩა ქართულსაც, მაგ.: \*წარ-წმენდა, \*წარ-ღვნა, \*წა-ბორძიკება, \*წა-მოდგომა, სადაც ერთჯერადი მოქმედების სემანტიკაა ჩადებული; ერთჯერადის ან მხოლოდობითის სემანტიკა წოვა-თუშურის რამდენიმე ნაცვალსახელშიც შეინიშნება, ესენია: წყე “ერთხელ“, წყეწყ “თითოჯერ“, მაწყ “ზოგჯერ“; გამომდინარე აქედან, თუშეთის პირველდასახლებულებსაც შეიძლება უწოდებდნენ \*წა-ნი (\*წ- ისტ. კლ. ნიშ., ი - მრ. სუფ.).

ტოპონიმი წაროც, ვფიქრობთ, აქედანაა, სადაც \*-რ ისტორიული კლასის ნიშანია; თუ გავითვალისწინებთ, რომ -ო დეიქტური ნიშანია, მაშინ ტოპონიმი წარო სრულად ამართლებს მის მნიშვნელობას; ამავე ანალოგიით ნაწარმოებია ტერმინები წანარი, წანარები, წანები, რომლებიც ისტორიულ უძველეს წყაროებშიც აღინიშნება.

2. - ეტაპს ჩვენ ვუკავშირებთ ფუძეში -ო- ხმოვნის გაჩენას; აი, რას წერს ამის შესახებ ნ. მარი: «...основа წან, ввиду особенностей тушинской фонетики перегласовки грузинского а в о и исчезновения исходного н, должна была звучать წო...» (3.-1386).

ვფიქრობთ, -ა და -ო- ხმოვნების ურთიერთმონაცვლეობამ ენაში ახალი ფორმა \*წო-რ-ა გააჩინა, რომელიც წოვა-თუშურში დღეს არ დასტურდება, თუმცა იგი ხუნძურსა და ანდიურ ენებში გვხვდება წორის სახით - წორებს ისინი უწოდებენ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის, კერძოდ კახეთის მაცხოვრებლებს;

წარ..// წორ.. ფონეტიკური პროცესის კანონზომიერებაზე მიუთითებს წოვა-თუშურ-ქართულ ენობრივ სივრცეში არსებული ა//ო-ს მონაცვლეობაც, შდრ: წამალი - წ-თ.წომალ, კახელი - წ-თ.კოხივ და სხვ.

3. მესამე ეტაპი, ვფიქრობ, ყველაზე თვალსაჩინოა და ხასიათდება ახალი ლექსიკურ-გრამატიკული ფორმების წარმოქმნის სიმრავლით, ესენია: \*წო-ვ-ა, \*წო-ბ-ა და \*წო-; ამ ფორმათაგან ბოლო ორი დღეს წოვა-თუშურში აღარ გვხვდება, თუმცა, წო” შემონახულია ქისტურის ეთნონიმ წო”-ბ ცო”ში “წოვები-ბაცბები“ (ანუ წოვა-თუშები), სადაც ბოლოკიდური“ - მრავლობითის სუფიქსია, ხოლო ისტორიულად იგი შესაძლოა ქალის კლასს

აღნიშნავდა - წო-\*ვ-ას ანალოგიით, სადაც \*ვ- მამაკაცის აღნიშვნელი გაქვევებული კლასის ნიშანია. მოგეხსენებათ, წოვა-თუშურის არსებით სახელებში დღეს კლასის ნიშანი უკვე გაქვევებულია, თუმცა მათი არსებობა ადვილად იკვეთება სიტყვათა სემანტიკაში (მაგ. \*ვ-აშ “ძმა“ და \*\*-აშ “და“).

\*წობას ნაცვლად შემონახულია ფორმა წო-ვ-ბი “წოვები“ (სადაც ვ\* გაქვევებ. კლ. ნიშანია, -ბი მრავლ. სუფ.).

ამ პერიოდს ეკუთვნის ენაში განვითარებული ახალი პროცესი, რომელიც და-ს (არის) მეშვეობით ნაწარმოები სახელების ჩამოყალიბებას ეხება; ახალი არა მარტო სახელები, არამედ ძალიან ბევრი ზმნური ფორმაც შეიქმნა ამ ხანაში; იგი როგორც პრეფიქსი გვევლინება და \*ბა-წა-ს გაჩენაც ამ დროის პროდუქტია; კლასების მიხედვით, ალბათ, იქნებოდა ოთხი ფორმა (\*და-წა, \*ვა-წა, \*\*ა-წა) რომლებიც აღნიშნავდა წანები||წოვების წარმომადგენლებს კლასის მიხედვით შესაბამისად - მრავალნი (\*და-წა), მამაკაცები (\*ვა-წა) და ქალები (\*\*-აწა), თუმცა ამ ფორმათაგან შემდგომში განვითარება ჰპოვა \*ბა-წა-მ, რომლისგანაც მრ. სუფიქსის ბი-ს მეშვეობით ჩამოყალიბდა \*ბა-წა-ბი > \*ბა-წ-ბი > ბაცბი, კერძოდ: წოვა-თუშურის ტენდენციამ ბგერათა შემჭიდროვებისკენ ჯერ მოგვცა ფორმა \*ბა-წ-ბი, რომელიც კანონზომიერად გადავიდა \*ბაც-ბი-ში, რამდენადაც წოური მკვეთრთან გუობს ან სპირანტს, ან თავისივე რიგის თანხმოვანს, შდრ. ქატა “ჩივილი“, ლაწმარ “ავადმყოფი“; გრამატიკულმა ფორმამ \*და-წა, \*ვა-წა, \*\*ა-წა, \*ბა-წა გადაინაცვლა ზმნებში და დღეს ცოცხალი კლასის ნიშნებით აღნიშნავენ “ღევნას, გამოკიდებას, დაღვენებას“ ფორმით: დ-აწა, ვ-აწა, “-აწა, ბ-აწა, ანუ კლასოვანი გრამატიკული ფორმა დამკვიდრდა იქ, სადაც ენაში ამის საჭიროება იყო - ზმნებში.

ასე რომ **წოვა** და **ბაცა** ერთი ფუძიდან წარმოქმნილი სიტყვებია.

ცნობისათვის: ვაინახები თუშეთს უწოდებენ - ბააც და მის მოსახლეობას (განურჩევლად წოვასი თუ ჩაღმასი) - ბააცაი. რაც ჩვენი დაკვირვების შედეგად მიმანიშნებელია იმისა, რომ იგი წოვა-თუშურიდანაა ნასესხები.

**წვ..** ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს ტოპონიმები წოვათა (<\*წოვათ+ძთა) და გომეწარი, სადაც \*გომე არქ. ქართულში

ნიშნავს “არს სახლი გლეხური, გომური“ (ს-ს, 1.-1, 65), ე.ი. \*გომურ+წარი > \*გომუ-წარი > გომე-წარი.

სათაურით “**Бацбийский язык**” -ით (1953 წ.) გამოცემას პროფ. იუნ. დეშერიევი ხსნიდა აკად. არნ. ჩიქობავას მოსაზრებით, რომ ენასთან თუ დიალექტთან არსებული ყველა ტერმინი უნდა აღინუსხოს და, შეძლებისდაგვარად, გამომზეურდეს - თუნდაც ასეთი ხერხითო. იმავე ლოგიკით, თავის დროზე აკად. არნ. ჩიქობავამ მისი და პროფ. ილია ცერცვაძის ავარიული ენის გრამატიკულ გამოკვლევას, ქართული ტერმინოლოგიური ტრადიციის გათვალისწინებით, “ხუნძური ენა“ დაარქვა. აკად. არნ. ჩიქობავა ამ მოსაზრებას ითვალისწინებდა, ალბათ მაშინაც, როდესაც თსუ-ს ფილოლოგიურ ფაკულტეტზე კავკასიური ენების კათედრის დაარსებისას წოვა-თუშურისა და ავარიული ენების სწვალების კურსს მან ბაცბური და ხუნძური უწოდა.

ვფიქრობთ, იმ დროში, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, ასეთი უმნიშვნელო, თუმცა მეცნიერებაში სრულიად საჭირო საქმიანობას, ოდესმე არაჩანსადი პოლიტიკური საჩხულო თუ დაედებოდა.

ამიტომ, საგანგებოდ უნდა მოვუწოდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, შემდგომში მსაგავსი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, გადახედოს სამეტყველო კოდების სტატუსს და შეიმუშავოს არა მარტო თუშეთთან დაკავშირებული შესაბამისი სახელები, არამედ ყველა ენასა თუ დიალექტის აღმნიშვნელი სწორი ტერმინოლოგია და მიანიჭოს მათ სახელმწიფო კანონით გათვალისწინებული სახელები, სადაც გამოჩნდება მხარე, თემი და სამეტყველო ენა, დიალექტი თუ კილოკავი.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჯერ კიდევ მე-XX ს-ის 70-იან წლებში ჩვენს ქართულ სოციალურ თუ სამეცნიერო სივრცეებშიც ამ საკითხისადმი, რბილად რომ ვთქვათ, დაუფიქრებელი დამოკიდებულება შეინიშნებოდა; მაგ. გამოიცა, პავლე ხუბუტიას “თუშური კილო“ (1969 წ.), რომელსაც, წესით, უნდა დარქმეოდა “ჩაღმა-თუშური დიალექტი“, რამდენადაც აღწერილია მხოლოდ ჩაღმების ლექსიკა. მის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: “იმ დიალექტთა შორის, რომლებიც მდიდარია ძველი და ახალი ლექსიკური ფორმებით... მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თუშურს“ (ბ.-3). გამოიცა ვალერიან ელანიძის სტატიები,

სადაც ავტორი პირდაპირ მოუწოდებს მოსახლეობასაც და მეცნიერებსაც თუშეთის სამეტყველო კოდების სტატუსი ორი ტერმინით განვსაზღვროთ: **ბაცბითა** და **თუშით**; შესაბამისად, მათ მეტყველებას ვუწოდოთ **ბაცბური ენა** და **თუშური დიალექტი**, რათა, როგორც ავტორი წერდა, უნდა აღდგეს სამართლიანობა“.

ვ. ელანიძის სამართალი გულისხმობდა თუშეთის ძირძველი მოსახლეობის მთლიანი ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა მიეკუთვნებინა მხოლოდ ჩაღმებისთვის - წოვათის თემის ჩამოცილებით, რამდენადაც იგი მათ საქართველოში შემოსახლებულ არაქართულ ტომად აცხადებდა. ამის დასამტკიცებლად, იგი მისთვის ყველა ხელმისაწვდომ საბუთს თუ წყაროს მისეული, ტენდენციური, ინტერპრეტაციით აწვდიდა მკითხველს - ხშირად აკად. ივ. ჯავახიშვილისა და სხვათა სერიოზული გამოკვლევების უსაფუძვლო კრიტიკასაც არ ერიდებოდა. ამას მოჰყვა თავად წოვათუშების დიდი აღმოფოთება და მაშინდელი მთავრობისა და ქართველი მეცნიერებების საფუძვლიანი მღელვარებაც. გამოიცა ვ. ელანიძის მოსაზრების მეცნიერულად გამაბათილებელი მრავალი სტატია გაზეთებსა და სამეცნიერო კრებულებში (აკად. აკაკი შანიძე, პროფესორები ნიკო ქადაგიძე, ვალერიან ითონიშვილი, გურამ ყორანაშვილი, აბრამ შავხელიშვილი, გერონტი გასვიანი, ელისო ბილანიშვილი და სხვ.).

აკად. აკ. შანიძე, რომელიც თავად გახლდათ თუშებში და შეისწავლა მათი მეტყველება, თვლიდა, რომ ოდესღაც ამ მხარის მთლიანი მოსახლეობა წოვათუშურად მეტყველებდა. ვფიქრობ, იგი გულისხმობდა ძველი ქართულის წინარე პერიოდს, სანამ გაიტოტებოდა ერთი დიდი სამეტყველო სივრცე ენებად: ძველ-ქართულ-სვანურ-მეგრულ-წოვათუშურად. ამის ნათელი მაგალითია პროფ. რ. გუჯეჯიანის გამოკვლევა, სადაც ვკითხულობთ: “ფაქტია, რომ იმ დროისთვის (იგი ქუჯისა და ფარნავაზის ხანას გულისხმობს) არსებობდა ქართველთა ადრინდელი ერთიანობის ხსოვნა, გამოხატული ეთნიკური და კულტურული იდენტობის ფაქტით“. ავტორი იქვე მიუთითებს პროფ. რისმაგ გორდუზიანის გამონათქვამსაც, რომლის თანახმადაც, “ისტორიულ მახსოვრობის ოდინდელი გენეტიკური ერთიანობის “ამგვარი ტრადიციის დამკვიდრების საწყისები ანტიკურ ხანაშია საგულ-

ვებელი“ (7.-10). ასე, რომ აკად. ა. შანიძის გამონათქვამი ზუსტად ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ამ თემაზე გამოაქვეყნა თავისი კომპეტენტური დასკვნა, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიკოსები: მარიამ ლორთქიფანიძე, დავით მუსხელიშვილი, ლევან ჭილაშვილი და სხვ., სადაც წერია, რომ საკითხის წოვა-თუშების არაქართველობის შესახებ და მათი თუშეთში გვიან დასახლების შესახებ დასმაც კი უხერხულია, რომ არ ვთქვათ, - დანაშაული მისი მოსახლეობისა და ქვეყნის წინაშე - მით უფრო მეცნიერის მხრიდან.

ეს ვნებათაღელვა დამთავრდა იმით, რომ ბ-მა ელანიძემ გაზეთ “კომუნისტის“ ფურცლებზე ბოდიში მოუხადა წოვათუშებსა და საზოგადოებას მათი შცდომაში შეყვანის მცდელობისათვის და დასძინა, რომ მან ნახა ახალი წყაროები და მათ საფუძველზე დაასკვნა, რომ წოვათის მოსახლენი ისეთივე ქართველები არიან, როგორც თუშეთის დანარჩენ თემთა მაცხოვრებლები და მათი აბორიგენობაც მისთვის უდავოა, ამიტომ ის ეცდება მისი ახალი შეხედულებები და კვლევები უახლოეს დროში ასახოს თავის ახალ ნაშრომებში.

თუმცა მიუხედავად ამ საჯარო აღიარებისა, ეს ავტორი კვლავ ძველი სულისკვეთებით აგრძელებდა მუშაობას და მას ამ საქმეში, სამწუხაროდ, თავისი მომხრეებიც ჰყავდა. აქ ყველას აღარ ჩამოვთვლით - მხოლოდ ერთს დავასახელებთ: მეოცე საუკუნის ბოლოს, ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამოსცა “თუშური ლექსიკონი“ პროფ. გიორგი ცოცანიძის ავტორობით, სადაც მხოლოდ ჩაღმა-თუშური ლექსიკა არის წარმოდგენილი. ვფიქრობ, ამით კიდევ ერთხელ ძალიან ოსტატურად გაიჟღერა ელანიძისეულმა მოწოდებამ, რომ ტერმინი თუში და თუშური მხოლოდ ჩაღმების კუთვნილებად უნდა მოიაზრებოდეს.

ერთი მაგალითიც, რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ ამ საკითხის გაუკუღმართების მსურველები დღესაც ბევრია, რომლებიც არანაირ დეზინფორმაციის გავრცელებას არ ერიდებიან და, ვფიქრობთ, ამით ან ვინმეს დაკვეთას ასრულებენ, ან რამე პირადი ინტერესი აწუხებთ, კერძოდ, ვინმე ტბილისსკაია<sup>87</sup> ავრცელებს წოვათუშებზე ასეთ ცნობას: „... в горный край Восточной Грузии, в Тушети, цова-тушины мигрировали с Северного Кавказа, из Ингушетии, причиной переселения цова-тушин из

Ингушетии явился религиозный вопрос: их принуждали отречься от христианства и обратиться в мусульманство. Чтобы не принять ислам, они покинули свои места обитания и двинулись в горы Грузии“ - ეს უკვე ახალი ვერსიაა, რომელიც დღემდე არ გაქდერებულა არცერთი ავტორის გამოკვლევაში - არც იმ ნ. ვოლკოვასთან, ვისაც იმომებს თავად ამ პოსტის დამდეგი - და კიდევ: „... В Ингушетии, где жили предки цова-тушин, была проблема малоземелья. Поэтому они решили искать для поселения новые, пригодные земли. Местность, из которой они мигрировали, называлась Вапи (Ваби), вблизи ингушского села Эрзи в Джейрахском ущелье“ (<https://tbilisskaya87.livejournal.com/>) - ამ ვერსიის მომხრენი თავად ვაინახებიც არიან; სინამდვილეში კი ვაბო ის ადგილია, რომელიც ისტორიულად თუშეთს ეკუთვნოდა და რომელიც თავის დროზე ვაინახებმა თუშებს დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც იძულებით დაათმობინეს. არ მინდოდა ამის გაქდერება, მაგრამ ამ წერილის ავტორი თბილისელი ბლოგერი ქალბატონია - არაქართველი.. ვფიქრობთ, რომ დროა დაფიქრდნენ ჩვენი მეზობელ-მეგობრები (მით უფრო - ჩვენივე თანამემამულენი), რომ ასეთ საქციელს ოდესღაც ბუმერანგის ძალა ექნება, რაც ჩვენ, ქართველებს სულაც არ გაგვიხარდება, რადგან მეზობლის და მეგობრის ფასი ჩვენ მამა-პაპიდან კარგად ვიცით. ისიც ვიცით და ვცდილობთ გაუფრთხილდეთ მათაც კი, როცა თავად ძალიან დიდ გასაჭირში ვართ.

ჩვენ, წოვებიც და ჩაღმებიც, როგორმე ერთმანეთში კი მოვრიგდებოდით - დრომაც ყველაფერი თავის ადგილას დაალაგა - არავის ეპარება ეჭვი წოვებისა და ჩაღმების ერთიან გენეტიკურ ქართველობაში და განცდა, თუ ვინ საიდანაა, აღარავის აწუხებს, მაგრამ ამჯერად საქმე უკვე ჩვენს მეზობელ ვაინახებს ეხება...

ვფიქრობთ, ოდესღაც გამართულმა უსაფუძვლო პოლემიკამ კავკასიის ამ მეზობლებში აღძრა სერიოზული განცდა, რომ ოდესღაც მათი წინაპრები თუშეთისა და კახეთის მკვიდრნი ყოფილან და ამის დასტურად წოვა-თუშურში არსებული მათი ენის მონათესავე ლექსიკას ასახელებენ. ისინი აცილებენ ტერმინებს - წოვათუშსა და ბაცბის -ერთმანეთს და სრული სერიოზულობით აცხადებენ, რომ თუშეთის ბაცბები არიან გენეტიკური ვაინახები, წოვათუშები კი - შესაძლოა იყვნენ ქართველები...

დღეს ჩეჩნები და ინგუშები ამ მოსაზრებას თავის მოსახლეობაში ძალიან აქტიურად ამკვიდრებენ და ამისთვის არაერთ ხერხს მიმართავენ: მაგალითად, მათი დაკვეთით 2009 წელს საქართველოს ტელევიზიის პიკის არხით გავიდა სიუჟეტი, გადაღებული ზემო ალვანში, სადაც ყოველგვარი მორიდების გარეშე წოვათუშები (ბაცბები) - ქრისტიან ინგუშებად არიან გამოცხადებული. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რამდენი საიტია გახსნილი ინტერნეტსივრცეში სახელწოდებით **“ჩეჩენცი. ინგუში. ბაცბიცი”** და როდესაც ამის გასაპროტესტებლად ხმას ამოიღებ, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე გწერენ: წაიყვანეთ თქვენი წოვა-თუშები, ბაცბებს კი ჩვენ არ დაგითმობთო...

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს “სამეცნიერო” **დივერსიასთან.**

ჩვენ ამ ყველაფერს მხოლოდ მცირეოდენი პოლიტიკანთა ინტრიგად განვიხილავთ, თუმცა ბევრი ამაში ვაინახების ძიების დამტკიცების ერთგვარ გამონათულებასაც კი ხედავს, მაგრამ ჩვენ უკვე გამოვიარეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო და საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა იციან, რომ თავის დროზე იქაც ასეთი “უწყინარი” რეპლიკებით დაიწყო ყველაფერი - ტერმინების მითვისებით, კერძო ხასიათის კინკლაობით და ვიცით, რაშიც გადაიზარდა ეს ყველაფერი...

ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი მხრიდან ამ საკითხის აღკვეთა თუ არა, განმუხტვა მაინც ვცადეთ და ინტერნეტსივრცეში დავდეთ წერილი სახელწოდებით **“Думаем, что над этим стоит подумать...(друзьям вайнахам и всем, кто встал на путь раздора...)**“ პროფესორების თეიმურაზ გვანცელაძის, მანანა ტაბიძის და თქვენი მონა-მორჩილის ხელმოწერებით, სადაც დოკუმენტურად, წყაროების მოხმობით, ავხსენით მცდარი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ და ისიც მივანიშნეთ, თუ ვის წისქვილზე ასხამენ წყალს... ზოგი ვაინახი თვისი ურაპატრიოტული აღქმისა თუ გააზრებული ანტიქართული გეგმის შესაბამისად აქტიურობს; მაგ., სულ ახლახან ინტერნეტსივრცეში დაიდო ერთ-ერთი ვაინახის - ვინმე ხამზათ მხავეის (ფვიქრობთ - ჩეჩნისა) ქართველებისათვის ერთი შეხედვით თითქოს სრულიად მომხიბლავი წერილი, რომელიც ეხება მის მოგზაურობას თუშეთში - ამჯერად ჩაღმა მხარის სოფლებში. აღწერს რა ამ კუთხის არჩვეულებრივ ხედებს, ხალხს, ვაინახებისა და ქართვე-



ლების ურთიერთსიყვარულსა და ისტორიულ ძმობას, ავტორი მაინც უშვებს ერთ ფრაზას: “У чеченцев сохранились предания о том, что они в древности переместились на северные склоны кавказских гор с юга, с территории, находящейся за Боковым хребтом (современные Тушетия и Хевсуретия). Произошло это, примерно, в конце первого тысячелетия нашей эры. Но не все нахи мигрировали на Северный Кавказ. Часть осталась на месте. ...с течением времени произошёл процесс разобщения нахских племен... и в дальнейшем на их основе образовались три народа - чеченцы, ингуши и бацбийцы, в далеком прошлом родственные грузинам“, ანუ, ავტორის აზრით, ოდესღაც მათაც ამ ტერიტორიაზე უცხოვრიათ და როდესაც აქედან აიყარნენ და გადასახლდნენ, თუშეთში დატოვეს მათი თანატომელები - ბაცბები... (ჯერ პირველი, რაც მოგდის აზრად - მათი წინაპრები რატომ გაიუფარეს ბუნებრივ ცხოვრების პირობებს და მიატოვედნენ ბევრად უკეთეს ადგილებს, ვიდრე შემდგომ მიიღეს; ეჭვს ბადებს ეს ლეგენდა იმიტომაც, რომ ჩეჩნებს ფესვების და სამშობლოს შეგრძნება იმდენად ძლიერი აქვთ, რომ საფრთხის შემთხვევაში მთლიანდ ერი და ბერი დგება ფეხზე მის დასაცავად - ჩვენ ამის მოწმეებიც ვართ..). და ერთიც: თუ ეს ხალხი ქართველების მონათესავენი არიან, მაშინ რატომ არ მუშაობენ ამ მიმართულებით: იკვლიონ ენა, შეადარონ ტრადიციები, გადახედონ იმ ისტორიულ გზას, რომელიც მათ გამოიარეს საქართველოსთან მიმართებაში და ა.შ. ესენი კი სამწუხაროდ, ტერიტორიების მონიშვნით არიან დაკავებულები და ამის დასამტკიცებლად, რაღაც ლეგენდებს თხზავენ.

როგორ ფიქრობთ, ასეთი უმნიშვნელოვანესი ლეგენდა ყურადღების გარეშე თუ დარჩებოდა ან მოგზაურებს (XVIII ს.), ან იმავე ვაინახების ფოლკლორის ჩამწერებს (XIX ს. - ჩახა ახრიევი მყავს მხედველობაში), რომლებიც თავად იყვნენ დაინტერესებულები აეხსნათ წოვა-თუშებისა და ვაინახების მეტყველების ნაწილობრივი მსგავსება?.. ან თავად იმ მკვლევრებს, ვინც ამ იდეის ჩანერგვას ცდილობდნენ ბევრად უფრო ადრე, სანამ ეს ავტორი გააჟღერებდა ამ თეზას - არა, რა თქმა უნდა! ეს და სხვა ლეგენდები (მაგ., რომ პირველი ჩეჩნის დედა იყო ქართვე-

ლი... - ალბათ, ანალოგიტ იმისა, რომ საქართველოს პირველი მეფის ცოლი ძურძუკის ქალი იყო..) შექმნილია ამ ბოლო დროს და, ალბათ, გასაგებია ვის მიზნებს ემსახურება იგი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩეჩნეთი და ინგუშეთი დღეს რუსეთის ფედერაციის შემადგენელი მხარეა.

ამ მოსაზრების გასამყარებლად ჩვენი ახალგაზრდა სტუმარი თუშეთის რამდენიმე ტოპონიმის ჩეჩნურად ახსნას ცდილობს; ჩვენ გვინდა განვმარტოთ მათი მნიშვნელობები, რამდენადაც ამგვარი პარალელების გავლება ბევრმა სხვადასხვა სცადა, მაგ.: დადიკურთა: “Дадикурта - от чеч. дади корта «отцовская голова»); ვფიქრობთ, აქ საგულვებელია წოვათუშური - “დად“ - მამა, “კურ“- ფესვი; შესაბამისად, “წინაპართა ადგილი“. დართლო: Дартло - от чеч. Дарта «беркут», რომელიც ქართ. “დართვას“ უფრო უკავშირდება, რამდენადაც მთათუშეთის სოფლებს ხშირად სახელი ერქმეოდა მოსახლეობის საქმიანობის მიხედვით - აქ უნდა განვმარტოთ: საქმე ისაა, რომ მთლიანად თუშეთის მოსახლეობის საქმიანობა უკავშირდებოდა მეცხვარეობას - წოვები და ნაწილობრივ პირიქითლელები ცხვრის გამრავლება-პატრონობას მისდევდნენ, გომეწრისა და ჩაღმის მოსახლეობა ცხვრისგან მიღებული პროდუქციის დაბინავება-გასაღებით იყო დაკავებული; მათი საქმე ძირითადად მატყლის დამუშავება და მისგან საჭირო სამომხმარებლო პროდუქციის კეთება იყო: თელავდნენ ნაბდებს, ფარდაგებს, კერავდნენ მამაკაცებისთვის მოსასხამ სამწყემსო ნაბდებსა და ქუდებს, ქსოვდნენ წინდებს, პაჭიჭებს, ხურჯინებს - ყველაფერს, რაც ადამიანების ჩაცმა-დახურვასა და ყოფას ხმარდებოდა (ხშირად ეს ყველაფერი, პროდუქტებთან ერთად, ქართული ჯარისთვისაც მზადდებოდა).

ამდენად, სოფლების სახელებიც ხშირად ასახავდნენ მოსახლეობის საქმიანობას, მაგ., ასე წარმოიშვა დართლო; ასევე ფარსმა, რომელიც უკავშირდება უფრო ფარას ან ფარტანას, რომელიც ს-საბას ლექსიკონში მატყლის ფთილას, მატყლს და ჩეჩილს ნიშნავს (1.-2,185) - ჩვენი სტუმარი კი ჩეჩნურ пхъарс-ს “ხელს“ უკავშირებს, რაც ალოგიკურად გვეჩვენება; ტოპონიმი; ტოპონიმი ჭონთიოს ანალოგს ავტორი ხედავს ჩეჩნური ერთ-ერთი თემის სახელთან ჭენთისთან, რომელიც მართლაც არის ჩეჩნეთში (Ч1онтио - это чеченский тайп ч1аьнти),

თუმცა, ჭონები ს-საბასთან აღნიშნულია როგორც “ბეწვისა და ქუდის მკერავები”; ასევე “კესელო“ (Кесело - чеченский тайп «кесалой», от кес - «полоса скошенной травы») - აქაც საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე: სახელწოდებით კესელო მთათუშეთში მდებარეობს ციხე-კოშკების კომპლექსი, რომელიც აღმართულია ამაღლებულ ადგილას, რომლის ნიადაგს კესს უწოდებენ, რომელიც მომდინარეობს კას-იდან (იხ. კასარი “მაგარი ქვის ნაირსახეობა“ (ს-ს: ); ასეთ ადგილებში ამოდის ყვავილი, რომელსაც თუშეთში კესანეს უწოდებენ.

ავტორი ტოპონიმ დიკლოს ხსნის როგორც ჩეჩ. дика-ს - “добрый, хороший“, თუმცა, ს-საბას ლექსიკონში დიკა ნიშნავს “გაზაფხულ ნათესი ხვარბალი“ (ს-ს,1,221) და ტოპონიმის ვფიქრობთ მასთანაა დაკავშირებული; წარო (ЦIаро - чеч. цIе «огонь, имя, красный») - \*წა.. (ამაზე ზემოთ ვიმსჯელებთ), გოგრულთა (Гогрулта чеч. горга - «круглый») - ამაში ვეთანხმებით (იხ. ქართ. მრგვალი, წ-თ. გოგრი(ნ) - ეს ის საერთო ფუძეა, რომელიც იმ ლექსიკურ შრეს ეკუთვნის, რომელიც საერთოა ვაინახურსა და ქართულისთვის, რომელიც უძველ დროს განეკუთნება - ამაზე ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია), ილიურთა (Илиурта чеч. «илии» - героическая песня) - ამ სახელს ძალიან საინტერესო ახსნა აქვს: ს-საბას ლექსიკონში ვკითხულობთ: “ებრაელურში ასეთი გამოთქმა არსებობს: ილი, ილილიმა საბაქთანა, რომელიც ითარგმნება როგორც “ღოთ, ღოთ ჩემო, რასათვის დამიტევებ მე“ (ს-ს,1-327) - ანუ, ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაისთვისაც მომიტევე მე... ამდენად, თუ გავითვალისწინებთ, რომ თუშები, როგორც ღრმად მორწმუნენი, თავად ჩადიოდნენ წმინდა მიწაზე და ოდითგანვე ჰქონდათ კავშირი ებრაელებთან, ვფიქრობთ, ამ წმინდა სლოგანის სახელზე მათ შეეძლოთ რომელიმე ადგილას დაედგათ ნიში ან სულაც აეშენებინათ პატარა სალოცავი, სადაც დროთა განმავლობაში ხალხიც დასახლდა და დაარსა სოფელი ილიურთა. ვფიქრობთ, ეს იმ მაგალითგანია, რომელსაც ჩვენ უნივერსალიებს ვუწოდებთ.

არ გვინდა ეს ჩვენი ეჭვები ჩეჩნებისა და ინგუშების მთლიანი მოსახლეობის მისამართით გამოვთქვათ, - არა, რა თქმა უნდა!. ვფიქრობთ, მათ უმრავლესობას ეს მითქმა-მოთქმა სასაცი-

ლოდ არ ჰყოფნის და ცალკეული თვითდაჯერებული ვაი-პატრიოტების ინიციატივად მიიჩნევენ, რომლებიც ახალ ისტორიას ქმნიან და იმის მაგივრად, რომ შეისწავლონ თავიანთი, არანაკლებ საინტერესო და კოლორიტული წარსული, ცდილობენ მართლმად მიისაკუთრონ სხვისი უკვე არსებული, არა ნაკლებ საინტერესო ისტორიის მქონე აღმოსავლეთ საქართველოს კუთხის მემკვიდრე. სამწუხაროდ, ისინი ამ მიზნით ქმნიან ახალ მითებს, რომლებშიც ახლებურად ცდილობენ წარმოაჩინონ ის ფაქტები, რომლებიც უკვე დიდი ხნის წინაა შესწავლილი.

დასანანია, რომ ამ საქმეში მათ, ნებისთ თუ უნებლიედ, მხარს უბამს პანკისის ზოგი მცხოვრები - მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ბ-ნი ხასო ხანგოშვილის რადიო-ინტერნეტ-გადაცემები, სადაც პანკისის ხეობის ისტორიის განხილვისას საერთოდ ამოღებულია თუშების ფაქტორი, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად ალვანის ველთან და ლოპოტასთან ერთად პანკისის ხეობაც გადაეცათ თუშებს (წოვას და ჩაღმას) და არსებობს ამის დამადასტურებელი მეფე ვახტანგის და შემდგომში ერეკლე-მეორის მიერ გამოცემული გუჯრები. ეს ყველაფერი იწვევს სამართლიან პროტესტს თუშების მოსახლეობაში და ამას გახსნილადაც ეუბნებიან ჩვენს მეგობრებს, მაგრამ შედეგად მხოლოდ საერთო განაწყენება რჩება, ზოგჯერ ისეთი, რომ გარკვეულ სარკაზმშიც გადააქვთ, მაგ., ერთი ჩეჩენი ავტორის პუბლიკაციაში ამოვიკითხეთ: “Баацаш - это те, которые подчиняемые нами...”, ანუ მათი ყმები ყოფილან თუშები (წოვასაც და ჩაღმასაც ისინი ბაცას უწოდებენ); საქმე ისაა, რომ თუ ჩეჩ. სიტყვა დ-ააცს კლასის ნიშანს შეუცვლი, შეიძლება მრავალი მნიშვნელობა მიანიჭო: “არა არის, მოჯამაგირეობა, ძოვა“ და სხვ. სიტყვა ბააცაშ მოჯამაგირის მნიშვნელობით ამ ბოლო დროს შექმნილი ფორმაა, რადგან მათ ენაში მისი აღმნიშვნელი სიტყვა **ლაი** არსებობს.

და ეს რეპლიკა იმ ხალხის მისამართითაა, რომელზეც XIX ს-ში მ. ოლშანსკი წერს: “თუშებს არა თუ არ ემინოდათ თავის მტაცებელი მეზობლების - დიდოელებისა და ქისტებისა, არამედ პირიქით, თავიანთი შეუპოვრი ვაჟაკობის წყალობით, ყოველთვის საშიშნი იყვნენ მათთვის“. ან როდის უნდა ყოფილიყვნენ თუშები მათი ყმები, როცა ან სამშობლოს სადარაჯოზე იდგნენ, ან ომობდნენ მის დასაცავად, ან საქმით - მეცხვარეო-

ბით იყვნენ დაკავებული, რაც უდიდეს შრომასა და დროს მოითხოვდა მათგან

ამ ავტორებს, სამწუხაროდ, ჰყავთ თანამოაზრეების მთელი არმია და მათში გაერთიანებულები არიან არა მარტო თავად ამ საქმის მიმდევარი ვაინახები, არამედ მეცნიერებათა წრეებში მიღებული მკვლევრებიც, რომლებიც თავის მხრიდან აწვდიან მცდარ ინფორმაციას -ასეთია, მაგალითად ან ჩესნოვი, რომელიც წერს: «В более отдаленных местностях Грузии (Ахметовский район) исконно живет третий нахский по языку, близкий чеченцам и ингушам, народ - бацбийцы. Их вместе с более поздними переселенцами из Чечни и Ингушетии грузины называют кистами. Все они сейчас практически ассимилировались с грузинами» (5.)

ამ ავტორს ცნობისათვის შევახსენებდი, რომ ბაცბებს (ანუ წოვათუშებს) ქისტებად საქართველოში არავინ აიგივებს; ქისტები 2 ს-ის წინ გადმოსახლებული ჩეჩნურ-ინგუშური ტომია, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა საკუთარი თვითშეგნება, ენა და რელიგია - ისლამი, ბაცბები კი (იგივე წოვათის თუშები) არის ძირძველი ქართველური ტომი, ქართული იდენტობითა და სულიერებით; და კიდევ - ბაცბი და წოვათუში ისეთივე თანაფარდობის ტერმინებია, როგორც ნოხჩო, იჩკერიელი და ჩეჩენი (ან ურია და ებრაელი), ამიტომ მათი სხვა და სხვა კონტექსტში ხმარება ან უმეცრებაა, ან, მაპატიეთ, პროვოკაცია...

დავუბრუნდეთ ტერმინოლოგიის საკითხს: ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ენას რამდენიმე ტერმინით მოიხსენიებენ: იოზ ცისკარიშვილი - თუშურ-წოური ენა (იხ. “Тушино-цовская грамматика“ - 1847), ანტონ შიფნერი - “თუშური ენა“ (იხ. “Das Tusch-Sprachen” - 1956), იუნუს დემერიევი - ბაცბური ენა (იხ. “Бацбийский язык“ - 1953), წოვა-თუშური ენა (იხ. -. Holisky & R. Gagua “Tsova-Tush (Batsbi), Caravan books - 1994).

პროფ. ნიკო ქადაგიძე ჯერ კიდევ მე-20 ს-ის 60-იან წლებში ორივე მხარისთვის მისაღები ტერმინების განმსაზღვრელ მოდელს სთავაზობდა - წოვა-თუშები და ჩაღმა-თუშები (შესაბამისად, წოვა-თუშური ენა და ჩაღმა-თუშური დიალექტი). აქ პატარა კორექტივს შევიტანდით: როგორც ლინგვისტურ ტერმინს

ბაცხურს (შემდგომი გაუგებრობების ასაცილებლად) ჩავსავამდით ფრჩხილებში და ასეთ მოდელს დავჯერდებოდით: **წოვა-თუშები და ჩაღმა-თუშები** - შესაბამისად: **წოვა-თუშური (ბაცხური) მეტყველება და ჩაღმა-თუშური დიალექტი**;

ამ ბოლო ხანებში პროფ. ა. ბერთლანმაც გამოთქვა თავისი მოსაზრება, რომელიც გვთავაზობს თუშების ორივე თემის მიმართებაში გამოვიყენოთ ტერმინი თუში - შესაბამისად, თუშური ენა და თუშური დიალექტი. ეს არახალია (გავიხსენოთ ა. შიფნერის “თუშური ენა“) და ჩვენც ვემხრობით ამ შემოთავაზებას, თუმცა, ენისა და დიალექტის ერთ ქუდქვეშ მოქცევა, ვფიქრობთ გამოიწვევს გაუგებრობას არა მარტო სოციუმში, არამედ მეცნიერებაშიც.

როგორც ვიცით, წოვათუშების კერიის მეტყველება მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფშია გაერთიანებული მათი ვაინახურთან ნაწილობრივი ლექსიკურ-გრამატიკული ნათესაობის გამო, რომელიც შეადგენს 1/3-ს, ხოლო 2/3 კი ძვ. ქართული და ქართულია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში რატომღაც მიიჩნევა, როგორც ქართულიდან ნასესხები - ამას ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით. ეს საკითხი შესასწავლია, რადგან არ შეიძლება ენის ლექსიკურ-გრამატიკული რეალების 2/3-ის ნასესხებად ჩაითვალოს. იქნება ეს სამეტყველო ენის ორგანული ნაწილია იმ გამონაკლისის გარდა, რომელიც საერთოქართველური ნასესხობებია. ამ კუთხით ვფიქრობთ, ქართველმა მეცნიერებამ, მისი სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე უნდა გადახედოს წოვა-თუშურის ნახურ ჯგუფში გაერთიანების საკითხსაც, რათა მან დაიმკვიდროს მისთვის ისტორიულად განკუთვნილი ადგილი ქართველური ჯგუფის ლინგვისტურ სივრცეში.

წოვათუშურად დღესდღეობით მოსახლეობის სულ 20-30% საუბრობს, ამდენად - ძნელია ამ სიტყვების წარმოთქმა, მაგრამ იგი გადაშენების გზაზეა დამდგარი. მისი გადარჩენის პერსპექტივაც ძალიან მცირეა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე სჯობია დავიბრუნოთ იობ ცისკარიშვილის მიერ შემოთავაზებული თუშურ-წოური - დავამატოთ თუშურ-ჩაღმური, სადაც მკვეთრად იქნება განსაზღვრული კუთხეც და სამეტყველო ერთეულიც.

ახლა ცოტაოდენ წოვა-თუშურ-ქართული გრამატიკული საკითხებიდან: წოვა-თუშურის ლინგვისტური მახასიათებელიც იდენტურია ქართულისა, მაგ., ორი ტიპის უღვლილებაა: პიროვანი და კლასოვან-პიროვანი, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ეს ენა მაგალითია კლასოვანი უღვლილებიდან პიროვანზე გარდამავალი პროცესებისა. თუ ვაინახური ენების მაგალითით ვიმსჯელებთ, სადაც მხოლოდ კლასოვანი უღვლილებაა, ეს პროცესი იქ არც დაწყებულა. ვფიქრობთ, წოურისთვის ამ გზით განვითარება ბუნებრივი მოვლენაა და იგი იმ კვალს მიყვება, რომელიც გაიარა დანარჩენმა ქართულმა. პიროვან-კლასოვან უღვლილებაში, როგორც კლასის მარკერი, ისე პირის ნიშანიც აღინიშნება და თანაბრად აწარმოებს გარდამავალ და გარდაუვალ ფორმებს, თუმცა ეს ეხება მხოლოდ ისეთ წინადადებებს, სადაც სუბიექტი პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელითაა გამოხატული (მაგ. ას ვუიტ-ას “მე მივდივარ“, აპ ვ-უიტ-აპ “შენ მიდიხარ“ (გარდაუვალი); ას მევ დ-აყ-ოს “მე პურს ვჭამ“, აპ მევ დ-აყ-ოპ “შენ პურს ჭამ“ (გარდამავალი). წოვა-თუშურში პიროვანი უღვლილება ჩამოყალიბების სტადიაშია; პროფ. კ. ჭრელაშვილის აზრით, იგი ორი ტიპისაა: 1. სუბიექტური აგებულებისა (მაგ. ლეიტ-სო “ვებმარები“, ლე“ტ-პ“ო “ებმარები“, ლე“ტ “ებმარება“ და 2. ობიექტური აგებულების: ლე“ტ-სო(ნ) “მე-ებმარება“, ლე“ტ-პ“ო(ნ) “გე-ებმარება“, ლე“ტ “ე-ებმარება“.

ამით განსხვავდება წოვა-თუშური ჩეჩურ-ინგუშურისაგან. ეს სულაც არაა ქართულის ზეგავლენით განვითარებული პროცესი. ენამ შეიძლება ლექსიკა ისესხოს, მაგრამ ის, რომ თავად ენის გრამატიკული სტრუქტურის განვითარების გზის კორექტირება შეძლოს ამ დონეზე, ნაკლებად დასაჯერებელია.

ვფიქრობ, წოვათუშურმა, მისი ხანგრძლივი კონსერვაციის წყალობით, ძალიან ბევრი საიდუმლო შემოგვინახა დღემდე, რომელსაც შეუძლია ერთი მხრივ, ქართველური ენა-კილოების განვითარების პროცესის კანონზომიერებათა ახსნას, მეორე მხრივ - ვაინახურ ენებთან სიახლოვის ანალიზის შედეგად, იბერიულ-კავკასიურ ენებში არსებული მრავალი ზოგადი ლინგვისტური პროცესის გაანალიზება-შესწავლის წყარო გახდეს.

ბევრი არქაული მინიშნებაა ლექსიკაშიც. წოვურში ძვ.-ქართულის უამრავი ლექსიკური ერთეული გვხვდება ისეთი, რომე-

ლიც თანამედროვე ქართულს აღარ გააჩნია, მაგ.: ღრუტ - ღრუტი, ქორედი, ჯერი, ამბარჩა, მსგეფსი, მრჩობლი, უჩინო, კაპრაში, კოტორი, გაფხაკალება (იმერ.) და სხვ.

თუშეთის ტოპონიმთა უმრავლესობაც არქაული ქართულით და წოვათუშურით აიხსნება, მაგ.: საგირთა: საგირ-თა შდრ. სა-გი “ჯიხვი”; საგ(ი)რ - ჯიხვები. -თა ქართული მაწარმოებელი სუფიქსი: “საგირთა“ - ჯიხვების ადგილი, “ჯიხვეთი“.

მოზართა - ქართულ მოძღვარს უნდა უკავშირდებოდეს (მოძღვარ-ი + თა (მაწარმ. სუფ.) > მოძღვართა): ვფიქრობთ, ეს სოფელი სასულიერო პირთა დაარსებული იყო, რადგან გაქრისტიანების დროს წმინდა ნინოს წობონები ეხმარებოდნენ ამ საქმეში და არაა გამორიცხული, რომ ამ ადგილას სახლობდნენ ისინი, ვინც ქრისტიანულ სწავლებას უძღვებოდა. ცნობილია, რომ დიდი ფარის ყოველ მფლობელს თითო სასულიერო პირი დაჰყვებოდა და, თუ გავითვალისწინებთ წოვათის ცხვრის რაოდენობას და მესაკუთრეთა სიმრავლეს, სასულიერო პირთა სიმრავლევც შესაბამისი იქნება.

ეთელტა - ტოპონიმი, რომლის ახსნაც, ალბათ, ყველაზე მეტად გაჭირდა; ამოსავალი ფუძის დიდი ძეხნის შემდეგ, მივაკვლიეთ ქართ. ეთერი-ს, რომელიც ს.-საბას ლექსიკონში ასეა განმარტებული: “ცეცხლი არს შემცველი ცათა უმდაბლესად... “ (1.-1,232); გასაგებია, რომ ეთელ-ტაში - ტა-სუფიქსი < თა-დანა.. (ამ საკითხს ეძღვნება პროფ. თ. გვანცელაძის გამოკვლევა), რ-ს > ლ-ში - წოვა-თუშურისთვის კანონზომიერი ფონეტიკური პროცესია და სემანტიკური დაკავშირებაც ალოგიკური არ უნდა იყოს.

ნადირთა - ტოპონიმი, რომელიც დაკავშირებულია ქარ. ნადირთან, ვფიქრობთ, მისი ტყესთან ახლოს მდებარეობისა და მასში ნადირის სიმრავლის გამო თუ გაჩნდა.

ნაზართა - მისი რეკონსტრუქცია ქართ. ნაძენარა უკავშირება.

შაფწყალა - ქართული სახელია, რომელიც ორი ფუძისაგან შედგება: შავი და წყალი; ვფიქრობ, სახელი ამ სოფელში მომდინარე რომელიმე წყლის ჯანმრთელობის მავნებლობის გამო შეერქვა ან ფერით იყო განსხვავებული.

ინღურთა - საბას ლექსიკონში ჩვენ გვხვდება ინაჭ-იდ-გა “ტრაპეზი, საგანგებო შეკრება“ (ანუ, ქართ სერობა -



რაც “სატრაპეზოდ დაჯდომას“ ნიშნავს (1.-1,131), სადაც ინაჯი არქ. ქართ. “მაღალი დასაჯდომის“ აღმნიშვნელია და თავად სიტყვა ახსნილია ასე: სერობად დაჯდა; თუ დავაკვირდებით ამ სოფლის განლაგების ადგილს, გასაგებია, თუ რატომ დაერქვა ეს სახელი, რადგან ეს ყველაზე ამალლებულ გორაკზე შეფენილი სოფელია; თუ ტერმინ ინდურთაში \*ინ მართლაც ინაჯის რელიქტია, მაშინ თავდაპირველი ფორმა წარმოგვიდგება ასე: ინაჯ-მდგომი > ინ-დგომი > ინ-დგომ+\*თა (\*თა სუფ.) > ინ-დგორ+თა (ა > უ - შდრ. ქართ. დგომა > სა-დგურ-რი) > ინ-დურ+თა (სადაც \*რ - მრ. სუფ., თა - მაწარმ. სუფ.); აქ ვახსენებ სერიც, რომელიც ვფიქრობთ, ძვ. ქართ. სერობასთან არის დაკავშირებული, რადგან ს. საბასთან სერის ერთ-ერთ მნიშვნელობად დასახელებულია “მეცხოვრენი ცხოვართა ყურთა დაჭედვა“ (ანუ, ცხვრის ყურზე გაკეტილებული ნიშანი); ვფიქრობ, თავად სერი, როგორც ტერმინი, გამოიყო გვიან და მისი თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა იყოს დაკავშირებული ამ პროცედურასთან, სადაც ცხვრის მონიშვნა ხდებოდა იმ მეცხვარის მიხედვით, რომელსაც ესა თუ ის ნიშანი ეკუთვნოდა. სერი ყველა მეცხვარეს ჰქონდა საკუთარი, რომ ცხვარი ერთმანეთში არ შეშლოდათ. ვფიქრობ, ამ პროცედურას მეცხვარეები ატარებდნენ ს. ინდურთაში. ეს იძლეოდა საშუალებას საერთო ძალებით დაცვათ ცხვარი ერთმანეთში არევისგან და დაკარგვისგან.

ამდენი საუკუნის შემდეგ შემონახული რომელიმე ტოპონიმის ფუძის რეკონსტრუქციის სიზუსტის მტკიცება ძალზე ძნელია, მაგრამ როდესაც ლექსიკურ-გრამატიკული მარკერები ამის საშუალებას იძლევა - მათი იგნორირებაც არ იქნება მართებული. ამიტომ ბარში, ალვანის ველზე განლაგებული თუშური სოფლების სახელების წიწალყურეს, ფხაკალყურეს, ბაიჩლაყურეს, ოთხთვალა, მუხროვანის, გურგალჭალასი და ბახტრიონის ფუძეების დაკვირვებაც მოვახდინეთ და ასეთი სურათი მივიღეთ:

სამი მათგანი - წიწალყურე, ფხაკალყურე, ბაიჩლაყურე ნაწარმოებია ყურე-ს მეშვეობით, რომელსაც ს-საბა ასე ხსნის: “წარზიდული ადგილი.. ზღვისაგან ან მდინარისგან უკუმდგარი ჯმელთა შინა...” (1.-2, 274) ქართ. წიწვნარის (შდრ. წიწვნარ+ყურე > წიწარ-ყურე > წიწალყურე), ანუ, ადგილი წიწვოვანი ხეებით შემოსაზღვრული;

იგივე “ყურეა“ გამოყენებული სოფლების ფხაკალყურესა და ბაიჩლაყურეს მაწარმოებლად, შდრ.: წ-თ ფხაკალის “კურდღელი“ (შდრ. ქართ. გაფხაკლება, ანუ “შეტოკება, შეცმაცუნება“) და არქ. ქართ. ბაეტარი “ცხენის მკურნალს“ (ს-ს-1.-90) > \*ბაიტარ-ჩ-ყურე (ჩ - ნათ. ბრ. ჩანართია) > \*ბაიტ-ლა-ჩ-ყურე > ბაიჩლაყურე;

მუხროვანის ეტიმოლოგიაც გამჭირვალეა - უკავშირდება მუხას;

ტოპონიმი ოთხთვალაც გამჭირვალე ჩანს (ოთხი თვალი, ანუ, ნათელი ყველა მხრიდან), მაგრამ ხომ არაა ეს სახელი დაკავშირებული არქ. ქართ. ოთხო-სთან, რომელსაც ს. საბა ხსნის ასე: “საბაითი გლეხურად, თავად საბაითი “ოთხის ვეგის მღერაა“, რაც ოთხი კოჭის (საქონლის) ჯანსაღი თანაარსებაა, რომელიც მოდის ბაეტარი-დან, რაც არქ. ქართ. “ცხენის მკურნალს“ ნიშნავს; არქ. ქართ.\*ოთხო+წ-თ ვ-ა (ვ - კაცის კლ. ნიშ.) კეთება > \*ოლხო-ვ-ა+ლა (სიტყვამაწარმოებელი სუფ.) > \*ოთხო + \*თ-ვალა (ფუძეების შერწყმისას, ო-ს დაკარგვა იწვევს \*თ-ს წარმოიქმნას) > ოთხოთვალა, ანუ, ეს ადგილი იყო, სადაც საქონლის მკურნალები ცხოვრობდნენ.

გურგალჭალაც ძალიან ადვილად აიხსნება: წ-თ გურგალ “მრგვალი“ + ჭალა, ანუ, \*მრგვალი ჭალა; ვფიქრობთ, ხშირად თავად ტოპონიმში იყო ჩადებული ადგილის მნიშვნელობა.

როგორც ვხედავთ, თუშების ნაცხოვრი ტოპონიმის ახსნარეკონსტრუქცია ძველი-ქართულისა და წოვა-თუშურის მეშვეობით ადვილად ხერხდება.

### **დასკვნის სახით ვიტყვით შემდეგს:**

დაფიქრება გვმართებს ყველა საკითხზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ფასეულობებს ეხება, თავად არ უნდა დავუშვათ ისეთი შეცდომები, რომლებიც შემდგომ ზიანს მოუტანს ჩვენივე სამშობლოს. ვფიქრობთ, სახელმწიფოს მესურებსაც მართებს ყურადღებით იყვნენ ასეთ საკითხებისადმი, რათა დროული და ადეკვატური რეაგირება მოახდინონ მსაგავს ქმედებებზე როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე ქვეყნის გარეთაც.

და კიდევ - დროა ჩვენმა მეცნიერებამ მკაფიოდ განმარტოს და ჩამოაყალიბოს ეს თემა და ყველას გააგებინოს, რომ ეროვნული და ეთნიკური იდენტობა არაა მხოლოდ გარკვეული ლექსიკის ერთობა - მოცემული მეტყველების ფონემატური თუ

გრამატიკული სტრუქტურის გარდა, სხვა ბევრი ფაქტორიცაა გასათვალისწინებელი: ანთროპოლოგიური მონაცემები, თვითშეგნება, სულიერება, მენტალიტეტი, ისტორიული ფესვები - მათი ისტორიული გზის გათვალისწინება და სხვა.

### **დამოწმებული ლიტერატურა:**

- ს-ს ორბელიანი - ძველი-ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1ტ-1991, 2ტ-1993
- П. Услар - Чеченский язык, Тиф., 1888
- Н. Марр - 1922, Кавказские племенные названия и местные параллели, СПб., 1922
- А.Шавхелишвили - 2001, Тушины, Тб., 2001
- Я.Чеснов - Генетические представления в менталитете чеченцев, CHECHEN.ORG, 2009
- პ. ხუბუტია - თუშური კილო, თბ., 1967
- რ. გუჯეჯიანი - ისტორიის რეპრეზენტაციის ეთნოლოგიური ასპექტები, თბ., 2017

**BELA SHAVKHELISHVILI**

**Contemporary Discussions on the Status  
of the Tush Speech Codes  
Summary**

Tsova-Tushian is a community language (spoken mainly in the families) without a written language. The local population is equally fluent in Georgian and their community language because they are just as valuable for them as the Georgian dialects and literary language for any Georgian. Their Georgian is a bit different with its slight intonation peculiarities characteristic of literary speech.

Tsova-Tushian community speech in the Iberian-Caucasian family is grouped together with Vainakh because of their partial lexical-grammatical kinship which is 1/3 while 2/3 is Old Georgian and Georgian, which in some scientific literature is allegedly considered to be borrowed from Georgian. We think that in this regard its in-depth study is necessary.

The article deals with the terminology of the Tsovati community population of Tusheti (toponyms, ethnos), which the neighbour tribes try to explain through their language-culture. I think that everyone should understand the thesis that identity is not just the unity of certain vocabulary - there are many other components that are decisive: anthropological data, self-consciousness, spirituality, mentality, historical roots – taking into consideration their historical path and many other things.

## გამოხმაურება:

**დიდი წიგნი დიდ მოღვაწეთა შესახებ**  
(სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი  
სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატთანე (1917-2017  
წ.წ.), თბილისი, 2017 წელი)

“მიიღე წიგნი... წიგნი მწუხარე,  
წიგნი სპეტაკი ოცნების ჩემის,  
მიიღე ნიშნად სიყვარულისა  
და უდიდესი პატივისცემის“.

პროფ. სერგო ვარდოსანიძის წიგნი: “საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატთანე (1917-2017 წ.წ.)“ მნიშვნელოვანი გამოცემაა; ვფიქრობთ, მის შესახებ, როგორც საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებამ, ასევე, მთელმა საქართველომ უნდა გაიგოს, რამდენადაც, დღეს, მოგეხსენებათ, მომგებიანი გახდა საერთაშორისო ტერმინებით თავმომწონეობა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხისა და ხალხის უფლებათა დაცვისთვის თავგამოდება და საკუთარის დამცრობით უცხოური ფასეულობების დაჩემება; ამ ფონზე, წარმოდგენილ კველვაში მრავალი ისეთი ფაქტია მოხმობილი, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენს ქართველი ერის ღირსებას.

არასდროს ჰქონია ჩვენს ქვეყანას ამდენი უმაღლესი სასწავლებელი, მაგრამ არასდროს ჰკლებია ისე საქვეყნო საქმეების კეთების მოწადინე ხალხი, როგორც ახლა. თუმცა, ღმერთმა ნუ ქნას, რომ კარგი არაფერი ხდებოდეს... და ხდება კიდევ:

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჯერ სრულიად ხანმოკლე ცხოვრებაში უკვე რამდენიმე ისეთი დიდი მნიშვნელობის ღონისძიება განხორციელდა, რომელიც ასწლოვანი ისტორიის უნივერსიტეტებსაც მოენატრებათ. ასეთია: სამეცნიერო და სასწავლო სფეროში ტრადიციული მაგისტრალური ხაზის შენარჩუნება-გაგრძელება, ძლიერი ეროვნული სულისკვეთებით აღსასვსე ჰუმანიტარული სკოლის გადარჩენა-გაძლიერება, საქართველოსთვის საჭირობოროტო საკითხების კვლევა გლობალიზაციურ ზღვაში ჩაძირვისა-

გან ქვეყნის გადასარჩენად და საქართველოს ისტორიის, ენისა და კულტურისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური ნაშრომების მომზადება-გამოცემა. ჩვენს უნივერსიტეტში, რომელთანაც თანამედროვე მსოფლიოს მრავალი მოწინავე ქვეყნიდან თანამშრომლობენ მეცნიერები და სტუდენტები, მუდამ საქართველოა, მუდამ მამულისათვის უბედრთ გული.

ამ ატმოსფეროს შექმნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ჩანაფიქრია, ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმაში კი მთელი კოლექტივი მონაწილეობს - პატრიარქის რწმუნებული, უნივერსიტეტის რექტორი, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, მმართველობითი და ტექნიკური სექტორი.

და რა საკითხიც არ უნდა მოვიხსენიოთ საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან, ყველგან განსაკუთრებული პატივისცემით უნდა დავასახელოთ პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, როგორც უნივერსიტეტის თავკაცი და ამასთან, სამეცნიერო და სასწავლო სფეროს დაულალავი მუშაკი, თუმცა, ამჯერად პროფესორ ვარდოსანიძის შესანიშნავი წიგნის გამო ვსაუბრებთ. მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომა საქართველოს ეკლესიის ყველაზე კრიტიკული ხანის მესვეურთა ვინაობის, ღვაწლის, ფართო სახელმწიფოებრივ კონტექსტში შესრულებული ისტორიული როლის შეფასების მიმართულებით, შეჯამდა არაჩვეულებრივი წიგნით, რომლის სათაურია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ას-წლოვანი მატიანე (1917-2017 წ.წ.);

წიგნში გამოწვლილვითაა შესწავლილი წმიდა კირიონის, ლეონიდეს, წმიდა ამბროსის, ქრისტეფორეს, წმიდა კალისტრატეს, მელქისედეკის, ეფრემის, დავითის, ილია II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენები.

ერთი შეხედვით, ბიოგრაფია ვისიმე კონკრეტული ცხოვრებაა მხოლოდ, თუმცა, ცხადია, ეს ასე არ არის, რადგან არ არსებობს მხოლოდ ერთი ადამიანის ცხოვრება, ის უეჭველადაა გადაბმული მრავალთა ბედზე და განიცდის ისეთი პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ფაქტორების ზეგავლენას, რომელთა გარეშეც სულ სხვაგვარად წარიმართებოდა მოვლენები. რჩეულთა ცხოვრება კი თავადაა ისტორია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ეს წიგნი დიდი ხანია დასაწერია. რამდენი თაობა გაიზარდა ათეისტურ საბჭოთა კავშირში, რომელმაც თითქმის არაფერი იცოდა იმ ბრძოლაზე,

რომელსაც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია აწარმოებდა ურწმუნოების, ქართული კულტურის მიმტაცებლებისა და საქართველოს გადაშენების მოწადინეთა წინააღმდეგ. რა ხერხებით უტევდა იმპერია და ხარბი მეზობელი ყოველივეს ქართულსა და წმინდას, რაოდენ გააზრებული, ღრმად გაცნობიერებული ჰქონდათ ქართველ ღვთისმსახურებს (და მით უფრო ეკლესიის მეთაურთ) საკუთარი მოვალეობები და პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე. პროფ. ს. ვარდოსანიძის წიგნმა ცხადყო, როგორ ხდებოდა ეს ყოველივე, მივიწყებიდან გამოიხმო ისტორია და თანამედროვეობას დამხმარედ და გამამხნეველად წამოაშველა.

როცა შევყოყმანდებით, ღირს კი რამედ ჩვენი ფაციფუცი ქვეყნის სვე-ბელზე, ან ვის ესმის ჩვენი ხმა ამ უკიდევანო და აფორიაქებულ მსოფლიოშიო, უნდა გადავფურცლოთ ეს დიდტანიანი წიგნი და მის ნებისმიერ გვერდზე ამოვიკითხოთ პასუხი; ამგვარ პასუხთაგან ერთს დავიმოწმებ; მაგალითად, კათალიკოს ამბროსი ხელაიასადმი მიძღვნილ ნაწილს:

“მე შევასრულე ჩემი მოვალეობა და როგორის თვალთ შეხედავს უზენაესი სასამართლო ჩემგან ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეს, ამას დაგვანახებს ის განაჩენი, რომელიც გამოტანილ იქნება... ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენს წინაპრებს ტკბილად მიაჩნდათ სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის ტანჯვის მიღება, აგრეთვე ჩემთვის ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სასამართლო მშობლიური ეკლესიისა და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოღებისათვის. ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვრისა, რომელიც ჩემგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების თითქმის 37 წლის განმავლობაში ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამალღებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში, იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული. ამითაც ბედნიერად ჩავთვლი ჩემ თავს, როგორც მორწმუნე ვიტყვი, იყოს ნება ღვთისა და მოგმართავთ ქრისტეს სიტყვებით: „ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირით ჩემზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქუნთა (19, 162)“.

უწმიდესი ამბროსი გრძნობდა, რომ მისი ეს სიტყვები ურწმუნო სასამართლოს წევრებისათვის არაფერს არ ნიშნავდა, მაგრამ

იგი იყო გამხმნევება ათასობით პატრიოტი ქართველისა, რომელთა ეროვნული სულის ჩაკვლას ცდილობდნენ ბოლშევიკები.

აღსანიშნავია ამ დიდტანიანი მონოგრაფიის ტექსტობრივი მხარე. ავტორის თხრობის მანერა აკადემიურია, ანალიზი ღრმა და საიმედო, ფაქტობრივი მასალისადმი დამოკიდებულება - კეთილსინდისიერი და ზუსტი, მსჯელობა დინჯი და თანამიმდევრული, დასკვნები დამაჯერებელი, ხოლო ყოველი ისტორიული ფაქტი და ეპიზოდი დანახულია ფართო დისკურში, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ფონის გათვალისწინებით. საუბარი ნათელია, ექსპრესია ზომიერი და ქართველი მეისტორიებისათვის დამახასიათებელი სადა მხატვრულობით გამორჩეული.

ჩვენს ქვეყანასა და მის ეკლესიას განსახილველი ასწლეულის მანძილზე მრავალ უდიდეს განსაცდელთან მოუხდა შეხვედრა. განსაცდელი არც ახლა გვაკლია... გულის სიღრმეში ყველამ ვიცით, რისა და რატომ გვემინია... მაგრამ უფლის იმედით შეგვყურებთ მომავალს. წინამდებარე წიგნი ამ იმედის ერთ-ერთი მასაზრდოებელია, რადგან მისი ფურცლებიდან უახლოესი ისტორია შემოგვყურებს და სხვადასხვა განსაცდელის დაძლევის გასაოცარ მაგალითებს გვთავაზობს.

მშობლები გვასწავლიდნენ - როდესაც ჩვენში რაიმე მნიშვნელოვანი ხდება, ამ მოვლენას ორი გადასახედიდან გახედე - ახლოდან (შინიდან) და შორიდანო (გარედან);

წინამდებარე მონოგრაფია შინაურებს საგულისხმო გაკვეთილად მოევლინა - როგორ უნდა გაუძლო ჭირს, როგორ უნდა გიყვარდეს და ემსახურო ღმერთსა და ქვეყანას, როგორ უნდა გამოიმუშავო განსაცდელთან სიმტკიცით დგომა, როგორ უნდა იცნო მტერი, როგორ არ უნდა მოგატყუოს გაიძვერა მოყვარემ, როგორ უნდა ისწავლო, იშრომო და ილოცო...

გარეშეთა წინაშე კი ამ წიგნმა არდავიწყების ძეგლი აუგო მეოცე საუკუნისა და ოცდამეერთის დასაწყისის ქართულ ეკლესიას და ყველას გასაგონად განაცხადა: მაშინ, როდესაც ყველას უჭირდა დედამიწაზე, ხოლო ქართველებს ასგზის უფრო ცდიდა ბედი, ჩვენს ეკლესიას სათავეში წმინდანები და თავდადებული მოღვაწენი ედგნენ და ურწმუნოების გრძელი ტალანიდან სინათლისაკენ მიჰყავდათ ერი. ის სინათლე ახლაც გვიხმობს.

მანანა ტაბიძე  
ტარიელ ფუტყარაძე



## **ოთარ მათეშვილის “ინგლისურ-ქართული იდიომების ლექსიკონი“**

ჩვენ წინაშეა უდიდესი შრომის შედეგი, რომელიც განსაკუთრებული თავმდაბლობით აჩუქა ქართველ წიგნიერ საზოგადოებას პროფესორმა ოთარ მათეშვილმა. ხაზს ვუსვამ თავმდაბლობას იმიტომ, რომ ამ შესანიშნავი სპეციალისტისა და, უდავოდ, მოღვაწე ადამიანის უამრავ ღირსებათა შორის თავმდაბლობა ის ღირსებაა, რომელიც ძალიან ხშირად აკლია ჩვენს საზოგადოებას, და რომელსაც თან თუ არ დაჰყვა, ძნელად თუ გამოიმუშავენს ადამიანი.

ამ ლექსიკონის შესწავლისა და დამუშავების საქმეები ჯერ კიდევ წინ არის და ყველაფრის შემჩნევასა და აღწერას, ცხადია, ამ მოკლე წერილში ვერ შევძლებ, მაგრამ შევეცდები იმ რამდენიმე მომენტზე გავამახვილო ყურადღება, რომელიც განსაკუთრებით ფასეული და საინტერესოა ჩემთვის, ქართული ენის მუშაკისათვის, რადგან მე, პირადად, ამ ლექსიკონს, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენათმეცნიერების წარმატებად აღვიქვამ:

1. ნებისმიერი საკითხის გააზრება თეორიით ხდება, მაგრამ თეორია ვერც დაიბადება და ვერც პრაქტიკის მშობელი გახდება ემპირიული მასალის ფუნდამენტური ცოდნის გარეშე. ამიტომაცაა, რომ ყველა მსურველი ვერ მოერევა ლექსიკონის შედგენის უმძიმესსა და საკმაოდ უმადურ საქმეს (თუმცა ნებისმიერი წიგნიერი ადამიანი მოახერხებს მეტ-ნაკლებად გამართული თეორიული ტრაქტატის დაწერას).

2. ლექსიკონის შედგენა (ცხადია, კარგ ლექსიკონზეა საუბარი) მოითხოვს ლექსიკოგრაფიის ცოდნას, თითოეული სიტყვის განმარტების კონტექსტებში მოძიებასა და შემოწმებას, სხვა ლექსიკონებში ანალოგიური მასალის კრიტიკულად გააზრებას, განმარტებათა სიზუსტის, სტილისტიკურ-ორთოგრაფიული გამართულობის უზრუნველყოფას, მკითხველი აუდიტორიის ენობრივი კომპეტენციის გათვალისწინებას, დიდ ენობრივ ალღოს, ენობრივი ეტიკეტის დაცვას და კიდევ მრავალ მნიშვნელოვან თვისებასა და ცოდნას; რომელთაგან სულ ცოტა ორი ენის ზედმიწევნითი ცოდნა სავალდებულო პირობაა;

3. თარგმნით ლექსიკონთა შორის იდიომთა ლექსიკონი სირთულის უმაღლეს მწვერვალად მიიჩნევა ამ საქმის სპეციალისტთა

მიერ, რადგან იდიომური ლექსიკა ფაქტობრივად უთარგმნელი ლექსიკაა, და მისი ერთი ენიდან მეორეში გადატანა არა მარტო ლინგვისტური, არამედ ეთნოკულტურული, ლიტერატურათმცოდნეობითი, სემიოტიკური, ისტორიული, კულტუროლოგიური, გეოგრაფიული, ფოლკლორული და კიდევ უამრავ სხვა ინფორმაციის ღრმა ცოდნასთანაა დაკავშირებული. სხვანაირად ვერ აიხსნებოდა (მაგალითად: **A London particular** ლონდონის მახასიათებელი (ლონდონისთვის დამახასიათებელი)–(ეტიმ. დიკენსი) ნისლი; ან: **Achilles' Club** აქილევსის კლუბი. – ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების სტუდენტების მძღვოსნების გაერთიანებული კლუბი; ან: **Appeal from Philip drunk to Philip sober** - ნასვამი ფილიპის მიმართვა ფხიზელი ფილიპისადმი - თხოვნა, რომ ვინმემ საღად იაზროვნოს და გადახედოს ნაჩქარევ გადაწყვეტილებას; **Apple of your eye** - თვალის ჩინი - რამე (უმეტესად - ვინმე) თქვენთვის განსაკუთრებული. და ა.შ.); ოთარ მათეშვილის ლექსიკონში ორმაგად რთული სამუშაოა შესრულებული, რადგან განმარტებითი ნაწილი ორი პუნქტისაგან შედგება: ერთი მხრივ ინგლისური იდიომის სიტყვასიტყვითი თარგმანია მოცემული, ხოლო მეორე მხრივ: ქართულში - სრული ან შედარებითი იდიომურობის მქონე შესატყვისი.

4. საქართველომ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ-კულტურულ ველში ლამის ორი საუკუნე გაატარა (მოგხსენებათ, ბოლომდე ჯერაც არ გამოსულა ამ გავლენებისაგან), და გასაოცარია, რომ რუსულ-ქართული ან პირიქითა ლექსიკონების სიუხვით თავს ვერ მოვიწონებთ. იდიომთა დიდტანიან ლექსიკონზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთთან თანაცხოვრების ხანაში ძალიან მწირად მოგვეძეგებოდა ევროპული ენების ქართულთან შეჯერებული თარგმნითი ლექსიკონები. ამას თავისი უაღრესად უარყოფითი შედეგები მოჰქონდა ქართული ენისათვის, რამდენადაც ქართული რომელიმე ევროპულ ენასთან თავისი ენობრივი მასალის მორგებას კი არ ცდილობდა, არამედ ძირითადად ერთადერთი გამაშუალებელი ენის - რუსულის მიმართ შეიმუშავებდა ხოლმე დამოკიდებულებას და თარგმანთა უმრავლესობაც რუსულ ქურაში გამოტარებული და “მორუსულელებული“ აღწევდა ჩვენამდე. სწორედ ამიტომ გაჭირდა ესოდენ, 90-იანი წლების შემდგომ პერიოდში ევროპული ენებიდან ქართულად თარგმნა (ნებისმიერი ჟანრისა და ფუნქციური სტილის

მასალისა), რასაც, მოგეხსენებათ უკონტროლო სესხების, კალკირების სიუხვე, ბარაბარიზმების მოძალემა, ენობრივად ღარიბი ტექსტების სტილისტიკური ხარვეზებით შედგენა და უამრავი გაუმართლებელი დუბლეტის გაჩენა მოჰყვა, და რასაც დღემდე ვერაფერი მოუხერხა ნორმატიულმა ღონისძიებებმა. წინამდებარე ლექსიკონი მნიშვნელოვნად გაარღვევს ამ ჩაკეტილ წრეს;

5. უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია ლექსიკონის საკუთრივ ქართული ნაწილი, რომელიც ქართველოლოგებისათვის უდიდეს საანალიზო მასალას შეიცავს. მოგეხსენებათ, საბას ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულებზე არანაკლებ საინტერესო და სამეცნიერო თვალსაზრისით გაცილებით ტევადი სწორედ განმარტებითი ნაწილია. აქაც ასეა, იდიომს ხომ ერთი სიტყვით ვერ განმარტავ; განმარტებები თავისი მნიშვნელობით ხშირად ენციკლოპედიური ხასიათისაა; ასე რომ ჟანრობრივად წინამდებარე ლექსიკონი ენციკლოპედიურობის ელემენტებსაც შეიცავს;

6. უდავოდ, მისასალმებელია, რომ ქართველმა სპეციალისტებმა უკვე გამოსცეს თარგმნითი ლექსიკონები, რაც საშუალებას აძლევს ჩვენს საზოგადოებას და დარგობრივი სფეროების წარმომადგენლებს ქართული შესატყვისები მოუძებნონ უცხოურ მასალას. ბატონ ოთარ მათეშვილის ლექსიკონი ამ დიდ ეროვნულ საქმეში ჩადებული დიდი ფასეულობაა.

და ბოლოს, ჩვენში ქებაზე მეტად ძაგება უყვართ, ბევრნი თავიანთი უნიათობის მისაჩქმალად სხვათა კარგი საქმეების დამცრობას ცდილობენ. ვიცი, ამ წიგნსაც გამოუჩნდება ჩასაფრებული წამკითხველი, რომელსაც მინდა ვუთხრა:

1. ასეთი ლექსიკონი ქართულად ადრე არასოდეს გვქონია;
2. ბევრ ქვეყანას დღესაც არა აქვს ამგვარი წიგნი;
3. ასეთი კარგი ქართულით გაწყობილი განმარტებები უამრავ სპეციალისტსა და ახალგაზრდას გაუადვილებს სწავლისა და კვლევის საქმეს;
4. ამ ლექსიკონმა ყველა კეთილმოსურნე ოპონენტს მისცა ბიძგი დაუკვირდეს და კეთილი რჩევით გაამდიდროს ლექსიკონის ხელახალი გამოცემები;
5. ამ ლექსიკონით გადაიშალა ახალი ფურცელი ქართულ-ინგლისური ენობრივი კონტაქტების ისტორიაში, და მომავალ ლექსიკოგრაფებს “სიძნელე გზისა გაუადვილა“;

6. ეს ლექსიკონი დღესვე ჩაებმება თარგმანმცოდნეობის, ინგლისურ-ქართული ურთიერთობების, ლექსიკოგრაფიის სასწავლო კურსებში;

7. ამ ლექსიკონის ბაზაზე ჩვენს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს უკვე ვაწყებინებთ საკვლევ სამუშაოებს;

და არაკეთილმოსურნე ოპონენტებს ვეტყვით კიდევ ერთს: თქვენც შექმენით ასეთი წიგნები, თქვენი წიგნებიც გაგვახარებენ.

ახლა ბატონ ოთარსაც მივმართავ: დიდ მადლობა ამ თავდაუზოგავი შრომისათვის; ეს წიგნი მთელი თქვენი პროფესიული საქმიანობის ნაყოფია; მისი ბოლო ნაწილი განსაკუთრებულად მძიმე სულიერი განსაცდელის ქამს გასრულდა, ალბათ, მოხდელი მოვალეობის, გადატანილი ომისა და სხვათა სასიკეთოდ გაღებული მსხვერპლის მანუგეშებელი მადლის სახით შეგაძლებინათ უფალმა მისი განხორციელება.

კვლავაც ბევრი გელვაწოთ ქართული ენის სასიკეთოდ.

მანანა ტაბიძე



დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ა. ჰოლიტაოვსკაინას №4. 19, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversal@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversal@gmail.com)